652
1960/3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

5

1960

ლიტერატურული კრებული

ალმანახი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აჭარა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის აჭარის განყოფილების ორგანო

შინაარსი

გ. სალუქვაძე — ლექსები 3
ა. შერვაშიძე — მემედი (მოთხრობა) . . . 6
ჯ. ჯაყელი — მოდრეკილი სატევარი (პოემა) 11
გ. სანაღირაძე — ყველაზე ლამაზი ზღაპარი (მოთხრობა) . . . 14
პ. აბრამია — ლექსები 19
ძ. მუაგია — ლექსები 20
ნ. მოდებაძე — ის იწევდა მაღლა, მაღლა... (მოთხრობა) 22
შ. როყვა — ლექსები 27
რ. ართილაყვა — ლექსები 29
გ. კაკიტაძე — უსახელო ბარათი (მოთხრობა) 31
ვ. თევზაძე — ხომალდი (ლექსი) 34
ა. ბააზოვი — ისევ გამოიდარა (ლექსი) . 35
ს. ხელაძე — დაბადების დღე (მოთხრობა) 36
ძს. ჩიქვილაძე — ლექსები 38
ალ. კუპრინი — სპილო (მოთხრობა, თარგმნა მ. ჭიჭინაძემ) . . . 39
ჰ. მანი — სტერნი (მოთხრობა, გერმანულიდან თარგმნა გ. კეჭელმაძემ) . 47
ჯ. კ. ჯერომი — როგორ დაკარგა ჰერისმა ცოლი (ინგლისურიდან თარგმნა მ. ჩიჯავაძემ) . 53
ა. მიცკევიჩი — ძაღლი და მგელი (იგავ-არაკი, თარგმნა ხ. ვარდოშვილმა) 56

5

1960

სექტემბერი
ოქტომბერი

აჭარის სახელმწიფო გამომცემლობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგონებანი

ალ. ჩავლეიშვილი—საუბრები იოსებ გრიშაშვილთან . . 58

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

შ. ქურიძე—ნამდვილი და ყალბი განძი 64
შ. ნიშარაძე—ზოგიერთი შენიშვნა „ჩაისა“ და „მეგლუდის“ მხატვრული ენის შესახებ . 74

ხელოვნება

ქ. კოზისაროვა—შინაარსიანად და საინტერესოდ 79

წიგნის თაროზ

ნ. თალაკვაძე—სიცოცხლის სიმღერა . 81
კ. ღლონტი—საქართველო-ამიერკავკასიაში კაპიტალიზმის განვითარების შესახებ . . . 81

სატირა და იუმორი

შ. შუბლაძე—იგავ-არაკები 83
ალ. სამსონია—სტუდენტობა და სიყვარული (მოთხრობა) . . 85

რედაქტორი შოთა ქურიძე
სარედაქციო კოლეგია:
ხ. ახვლედიანი, ნ. გვარიშვილი, პ. ლორია, გ. სალუქვაძე (პ/მგ მდივანი), ალ. ჩავლეიშვილი, ფრ. ხალვაში.

რედაქციის მისამართი: ბათუმი, გორკის ქ. № 1, ტელეფონები—14-06, 13-35.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი საღუქვაძე

სიმღერა ბათუმზე

როცა ქუჩებში მიწყდება ხმაური,
როცა მზე ჩადის ყაყაჩოს სადარი,
ზღვისპირა ბაღებს ჩაუვლის ზღვაური,
რომ უთხრას ლურჯი ტალღების ზღაპარი.
თავზე გევლება ფრთათეთრი თოლია,
თოლიებივით დაჰქრიან ნავები.
შენზე ლამაზი არავინ მგონია,
გიმღერ, ბათუმო, გელოლიავები.
ფერად-ფერადი ვარდებით ენთები,
ბაღებს გიქარგავს პალმების ჩრდილები.
მიყვარს მე შენი მოლურჯო ქედები,
შენი ლაჟვარდი და შენი წვიმები.
როცა გშორდები, გნატრულობ, ვღონდები,
შენკენ ვიჩქარი და მომიხარია,
მესალმებიან მიმოზის ტოტები
და გულში ისევ მზიანი დარია.

გაზაფხული

გაზაფხულის ელვარება
ატმის ტოტებს მოსდებია.
ცისარტყელას მთებისათვის
ხელი გაუწოდებია.
ვარსკვლავებად მოციმციმე
დაცვარული ფოთლებია.
განა თოვლის ფიფქებია —
ალუჩების ტოტებია.
ნაირფერად დახატული
ველები და სერებია.
მოიმღერის გაზაფხული,
ყელი მოუღერებია.

გულღია და ხელგაშლილი
სტუმრებს რომ ელოდებიან,
ჭერმაღალი სახლები და
წითელქუდა ოდებია.
ხალისით რომ მამღერებენ,
ძილშიც რომ არ მშორდებიან,
საქართველოს მთებია და
საქართველოს კორდებია.
კრიმანჭულით რომ მხვდებიან,
ძმებია და მოყვრებია...
საქართველოს სიყვარული
ხანძარივით მომდებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ ა რ ი

მოვარდა ქარი ამ შუაღამით,
რომ ერთხელ კიდევ ძალა ეცადა.
გადმოუყრიდა დედაჩემს კრამიტს
და მუხას ტოტებს დაულეწავდა.
პატარას მუდამ ოფლში მწურავდა,
ქარი გრიალით სახლს რომ უტევდა,
დედა თბილ საბანს დამახურავდა
და მაგრად, მაგრად ჩამიხუტებდა.
შეწუხებული ეტყოდა მამას:
„რამ ამოაგდო ამაღამ ქარი,
ალბათ, ხეხილი დალეწა ქარმა“...
დაიძინეო, ეტყოდა ქმარი.
ალბათ, საბანში ტრიალებს დედა:
„როდის ჩადგება ნეტავი ქარი“...
მაგრამ ოთახში დარჩენილს კენტად
დაიძინეო, არ ეტყვის ქმარი.
აყვავებული ატმები სწუხან,
მონატრებიათ დილა და დარი.
ქარში კაცივით ტორტმანებს მუხა
და შფოთავს, ვიდრე ჩადგება ქარი.

ტბას გაეკრა ჩრდილი...

ტბას გაეკრა ჩრდილი —
გადუფრინა წერომ,
და დამფრთხალი შველი
შეეფარა ჩეროს...
თელას უნდა ღრუბლის
ქულა შეაჩეროს,
მთვარეს უნდა სხივით
ნისლის კაბა კეროს,
ირემს — დაცვარული
ფშანი გადათქეროს,
შენ კი — ყველას ჯობდე,
ყელი მოიღეროს,
რომ შემხედავ, მზერა
გაიალმაცეროს,
რაც არ უნდა გითხრა,
რაც არ უნდა ვწერო,
აღარ დაიჯეროს...
ტბას გაეკრა ჩრდილი —
გადუფრინა წერომ...
როგორ მომენატრა
შენი ტანის ჩეროს.

მ ა ტ ა რ ე ბ ე ლ ში

ჩვენ თბილისამდე ვიმგზავრებთ ერთად,
ვისაუბრებთ და არ დავიძინებთ.
დიდხანს გაგრძელდეს ეს ღამე ნეტა
და დილა ნუღარ შეღებავს მინებს.
გათენებამდე თუმცა შორს არის,
დასასრული აქვს გზასაც, სურვილსაც...
მგონია ახლა შენ ხარ შროშანი,
მე — ნიაღვარი გაზაფხულისა.

* * *

გამგზავრებამდე შეგხვდები დილით...
ჩემივე გულის ფართქალი მესმის.
როდის ვეწვევი ხელახლა თბილისს,
რომ მოგიტანო ახალი ლექსი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

ილაპარაკეთ, გევედრებით... ოღონდ ქართულად...
ოღონდ ქართულად ილაპარაკეთ...

გალაკტიონი.

შენ ოქროყანის ნიავი გზრდიდა,
შხეფი გესხურა ქართულ წყაროთა.
მზე გიღიმოდა თბილისის ციდან,
შარლოტა!
როგორ მხიბლავდა შენი ქართული,
გისმენდი, თითქოს ჩიტი გალობდა.
ქართველ ქალივით წარბშემართული
მასლაათობდი ჩვენთან, შარლოტა!
შენც ჩვენებური სილაღე გშვენის,
შენც სილამაზის ღმერთი გწყალობდა,
ჩვენი მკვიდრი ხარ, მოკეთე ჩვენი,
შარლოტა!
...მაგრამ მე რაღამ წამართვა ენა,
გული სიტყვებად დაღვრას ლამობდა.
ვინ თქვა ქართველის ამდენი თმენა —
უსიტყვოდ ვიდექ შენთან, შარლოტა...

* * *

მოღერებული შველივით ყელი...
ნაპერწკლით სავსე, წყლიანი თვალი...
თექვსმეტი, მხოლოდ თექვსმეტი წელი
და სული ლურჯი იებით მთვრალი...
შენ საყვედურით მიცქერი თვალში —
წყენა გადუვლის სახეს ჩრდილებად...
ბავშვობის დღეებს იგონებ ბავშვი,
მე მიხარია და მეცინება.

* * *

ბაღის კარებთან დაფნა და პალმა...
უცნობი ქალი, შვენება სრული...
იგი ჩემს გვერდით სხვას მიესალმა
და აღარ ვიცი, რად დამწყდა გული.

* * *

ფერდობს ანათებს იელი,
ფუტკარი ნექტრით მთვრალია...
გოგოს შინ დედა მიელის,
მიეჩქარება ძალიან.

ბიჭი უსიტყვოდ გაბრუნდა
გულში იმედის გავლებით:
„თუ ჩემთან მოცდა არ სურდა,
უკან რად დარჩა თვალები?“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამირან შერვაშიძე

მ ე მ ე დ ი

1918 წლის მარტის მიწურული იყო, მაგრამ ზაფხულივით თბილოდა. სასტუმრო „ენი დუნიეს“ ყავახანა ისევ ქუჩის პირას გამოეფინა. ზღვიდან მონაბერი ნელი სიო ოდნავ არხევდა პალმების შტოს. ყავახანის მუშტრები ბაასითა და თურქული ყავის სმით, ზოგი გაზეთის კითხვით, ზოგი ნარდის თამაშით და ზოგიც ნარგილეს ქაჩვით ირთობდა თავს. უცებ, ყველას ყურადღება ახლად შემოსულმა ოსმან აღამ მიიპყრო და თითქმის ყველა მათგანი თემენას წესით მიესალმა:

— სალამ ალეი ქუმ!

— ალეი ქუმ სალამ! — საერთო სალამი უთხრა ყველას ოსმან აღამ და თავისუფალ მაგიდას შემოუჯდა, აჭარულად შემოხვეული ყაბალახი მოიხადა, გაოფლიანებული შუბლი ბაღდადური ცხვირსახოცით მოიწმინდა, ყაბალახი სკამის ზურგზე ჩამოკიდა და ცალი თვალით ახედა მომტანს, რომელიც სალდათივით გამოეჭიმა დაკვეთის მოლოდინში.

— კახვე!—ძუნწად ისროლა ერთადერთი სიტყვა ოსმან აღამ და „ბაღდადური“ ერთხელ კიდევ გაატარ-გამოატარა შუბლსა და გაოფლიანებულ კისერზე.

— სულთანური, თუ?....

— თურქული! — ისევ მოკლედ მოუჭრა ოსმან აღამ.

— ამბობენ, მალე ყველაფერი თურქული იქნებაო. — გაუბედავად წამოიკნავლა მომტანმა.

— შენს პირს შაქარი! — ღიმილით მიუგო ოსმან აღამ მას, რომელიც იმ წამშივე თითქმის ხტუნვით გაეშურა ყავის მოსატანად.

სულეიმან ეფენდი შეუმჩნევლად გამოჩნდა ყავახანის მაგიდებს შორის. იგი ფრთხილად და მოწიწებით ეკითხებოდა რაღაცას ხან ერთსა და ხან მეორე მუშტარს, მერე კი თამამად მივიდა ოსმან აღასთან, რომელიც ამ დროს სიამოვნებით მიირთმევდა თურქულ ყავას და, როგორც ეტყობოდა, რაღაც ფიქრებში იყო გართული.

— მე მითხრეს ოსმან აღა თქვენ ბრძანდებით!

— მე კი ვარ ოსმან აღა, მაგრამ თქვენ ვინ ხართ?! — თითქმის გაკვირვებული შეეკითხა ოსმან აღა ახალმოსულს, რომელმაც იმ წუთშივე პაროლით უპასუხა:

— სტამბოლში კარგი დარია...

— ჩვენთან წვიმა მოდის! — მიუგო ოსმან აღამ და მაგიდასთან მიბა-ტიჟა სულეიმან ეფენდი.

— ლა-ილახ-ილ ალლაჰ, მუხამედუნ რესულ ულა, — შვებით წარმოთქვა ოდნავ ხელაპყრობილმა სულეიმან ეფენდიმ და მის სიტყვებს ორივეს ფრიად თავაზიანი თემენა მოჰყვა.

— დაბრძანდით... მაშ, სულეიმან ეფენდი თქვენ ბრძანდებით? — სიამოვნებით წარმოთქვა ოსმან აღამ, ხელები კმაყოფილებით დაისრისა და სულეიმან ეფენდის სკამი მიუჩოჩა.

— მე გახლავართ, ფაშა ბატონო! — დაუდასტურა სულეიმან ეფენდიმ გვერდით მჯდომ ოსმან აღას, მერე უბიდან წერილი ამოიღო და დიდმნიშვნელოვნად გადასცა ნას.

ეტყობოდა, წერილი ფრიად სასიამოვნო იყო. მის კითხვას რომ მორჩა, კმაყოფილმა ოსმან აღამ სულეიმან ეფენდის მხარზე ხელი დაადო და ალერსიანი თვალებით შეხედა:

— დიდება ალლაჰს, ამასაც ვეღირსე... როდის ჩამობრძანდით?

— ტრაპიზონიდან გუშინ გამოვედით. ამ დილით უკვე აქ ვიყავით.

— თან გახლავთ ვინმე?

— ორი კაცი... თვითონ ენვერ ფაშას დავალებით... მაგრამ ისინი ტრაპიზონელი ლაზები არიან და უსინდისოდ გვიღალატეს... მხოლოდ ახლა გავიგეთ მემედ ბეგ აბაშიძის კაი კაცობა და ხელს არ ვახლებთო.

— სად არიან ახლა ისინი? — ხმამაღლა იკითხა ოსმან აღამ და სახეზე სიბრაზემ გადაურბინა.

— მაშინვე უკან გაბრუნდნენ და ხვალ, ალბათ, ისევ ტრაპიზონში იქნებიან.

— გიაურები!.. — ბრაზით სავსე ხმით წამოიყვირა ოსმან აღამ, — მაგრამ არა უშავს, მოღალატეებს თავისას მიუზღავენ. თქვენ რას ფიქრობთ? იქნებ, თქვენც აიცრუეთ გული? — და პასუხის მოლოდინში ჩვეულებისამებრ ცალი თვალი ბასრი ისარივით გაუყარა სულეიმან ეფენდის თვალებში.

— მაგ შემთხვევაში მეც უკან გავბრუნდებოდი. მე ჭეშმარიტი მუსლიმანი ვარ და შარიათის, ისლამის, ჩვენი ფადიშახის, ფეიჰამბერისა და თვითონ ალლაჰის მტერს სათანადოდ გავუსწორდები!

— ალლაჰ ხეირ ვერსუნ, კარდაშ! — სიხარულით წამოიძახა ოსმან აღამ და სკამი უფრო ახლოს მისწია სულეიმან ეფენდისთან.

— სანამ დავალებას შევასრულებ, მე მაინც მაინტერესებს გავიგო რა კაცია... ზოგი აქებს, ზოგი აგინებს! — იკითხა სულეიმან ეფენდიმ.

— შესახედავად თქვენც მოგეწონებათ, მაგრამ ვაი, რომ ავი კაცია... ბეგი მაინც არ იყოს... გიაურია, ნამდვილი გიაური! მთელი აჭარა არია და ხალიფის გზას ააცდინა. ვითომ თვითონაც მუსლიმანია, მაგრამ სინამდვილეში მთელი სამუსლიმანოს მტერია. თუმცა მუსლიმანობა თურქებმა ძალად მოგვახვიეს, მაგრამ ისლამსა და შარიათს არას ვერჩიო... სინამდვილეში კი საქართველოსაკენ უჭირავს თვალი და აჭარასაც ქართველებისაკენ მიექაჩება. მოსაკლავია, ნამდვილად მოსაკლავია და თქვენ, ალბათ, თვითონ ალლაჰის მოგზავნილი ხართ, ეს შეითანი გზიდან რომ ჩამოვიშოროთ!

ოსმან აღას ნათქვამით წაქეზებულმა სულეიმან ეფენდიმ რევოლვერი ხელში შეატრიალა და მუქარით სავსე სიტყვები გადმოაფრქვია:

— უჰ, გიაურ-ოღლი გიაურ, შვიდსავე ტყვიას შიგ შუბლში მივარტყამ.

ოსმან აღამ თავის ძეწკვიან საათს დახედა, მოსმენილი სიტყვებით ნასია-მოვნებმა სულეიმან ეფენდის ღიმილით გადახედა და დამრიგებლური ტონით შიმართა:

— სადაც არის გამოჩნდება... ამ დროს იცის მოსვლა და აი იმ მაგიდასთან ჯდება, — თვალით ანიშნა, ყაბალახს ხელი წამოავლო და ასადგომად მოემზადა. — მე წავალ, ჩემთან ერთად რომ დაგინახოს, მოგერიდებათ... აბა, თქვენ იცით, სულეიმან ეფენდი. ჩემი სახლი ხომ იცით?

— უკვე ვიყავი, მაგრამ არ დამხვდით.

— ახლა კი საგანგებოდ დაგელოდებით!

ოსმან აღა დინჯად წამოდგა, სულეიმან ეფენდი კი მოწიწებით წამოიწია, მერე ერთმანეთს ღრმა თემენა მისცეს და ოსმან აღა ნელი ნაბიჯით გაუდგა გზას.

სულეიმან ეფენდიმ თვალი გააყოლა ოსმან აღას, მერე ისევ ჩამოჯდა სკამზე, ოსმან აღას ნაჩვენებ მაგიდას მიაპყრო თვალები და ფიქრს მიეცა. უცებ, თითქოს მიწიდან ამოძვრნენო, მაგიდებს შორის დატრიალდნენ გაზეთის გამყიდველები, რომლებიც ახალ-ახალ გაზეთებსა და ტელეგრამებს ატრიალებდნენ ხელში და ჩახლეჩილი ხმით გაჰკიოდნენ:

— ტელეგრამა... კლემანსოს სიტყვა... პუანკარეს აზრი...

— ვილსონის გამოსვლა... ლოიდ ჯორჯის მოთხოვნა.

— სედაი მილეთი ენვერ ფაშას ჩამოსვლის შესახებ.

— ენვერ ფაშა ზეგ ბათუმში იქნება.

— აბა, ცხელ-ცხელი გაზეთები, ტელეგრამები...

როცა ყველა მსურველმა შეიძინა გაზეთი და ტელეგრამები, მეგაზეთეები სწრაფად მოშორდნენ მაგიდებს და მხიარული სიმღერა წამოიწყეს:

გეგეჭკორი კარტი იგრალ,
ბატუმ პრაიგრალ,
ა ჩხენკელი ვ ეტო ვრემია
კარსომ ტარგავალ.

ყავახანის მუშტრების ყურადღება ახლად მოსულმა ახოვანი აგებულების შუახნის კაცმა მიიპყრო. ფეხზე მას წაბლისფერი კრაგი ეცვა, ათლეტურ ტანზე კი გალიფე და ინგლისური ფრენჩი ემოსა. თავზე მუქი ქარვისფერი ბუხრის ქუდი ეხურა. ქუდს ქვემოთ მოჩანდა ღია წაბლისფერი მოხუჭუჭო თმა. მოსულს ძლიერ შვენოდა ოდნავ კეხიანი ქართული ცხვირი და მეტყველი ლამაზი თვალები. იგი ყველას თავაზიანად ესალმებოდა და ყველა უდიდესი პატივისცემით აძლევდა საპასუხო სალამს.

ახლად მოსული სულეიმან ეფენდისთან შეჩერდა და, ტელეგრამების კითხვით გართულმა, იგი ვერც კი შეამჩნია, ისე ჩამოჯდა მის მაგიდასთან. სულეიმან ეფენდი ცნობისმოყვარეობით უცქერდა მას და თან გულში ფიქრობდა, ვიღაცაა, ეტყობა, უბრალო ვინმე არ არისო. უცნობს თითქოს ტანმა უგრძნოო, კითხვას თავი მიანება და უცებ გადახედა სულეიმან ეფენდის, რომელიც თითქმის პირდაღებული მიშტერებოდა მას.

— მაპატიეთ, რომ უკითხავად დავჯექი თქვენს მაგიდასთან! — დარბაისლური თავაზიანობით მიმართა უცნობმა სულეიმან ეფენდის და თან გულღიად გაუღიმა.

— როგორ გეკადრებათ... მე მოხარული ვიქნები მასპინძლობა გაგიწიოთ! — სწრაფად უპასუხა სულეიმან ეფენდიმ და იმ წამსვე მომტანისაკენ გაიხედა, მაგრამ მას უცნობისათვის უკვე მოჰქონდა თურქული ყავა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რას ბრძანებთ, ეფენდი!... გატყობთ, აქაური არა ხართ და მასპინ-ძლობა ჩემი ვალია, საიდან ბრძანდებით?

— ტრაპიზონიდან გეახელით.

— რა ამბავია თქვენში?

— იქ არა უშავს, ყველაფერი წესრიგშია, მაგრამ აქ, როგორც ვატყობ, ძალიან ურევენ.

— სამწუხაროდ, რაც ახლა ჩვენს მხარეში არეულობაა, თურქების ბრალია! — უკმაყოფილოდ წარმოთქვა უცნობმა.

— თურქების?! — გაიკვირვა სულეიმან ეფენდიმ. — ალბათ, ძალიან გძულთ თურქები!

— რატომ?!.. მე მხოლოდ ჩემი ხალხის მტრების მტერი ვარ და მათ შორის თურქი მოძალადეების მტერიც. თურქ ხალხს კი დიდ პატივსა ვცემ.

— თქვენ თურქების პატივისმცემელი ხართ?! — თითქმის ხმამაღლა წამოიძახა განცვიფრებულმა სულეიმან ეფენდიმ და ეჭვით სავსე თვალებით მიაშტერდა უცნობს.

— დიახ! — მტკიცედ უპასუხა უცნობმა და განაგრძო: — სადაც თურქებსა და ქართველებს შორის ჩამოგდებული შუღლი სიკვდილს სთესავდა და სისხლი იღვრებოდა, მე მინდა იქ ძმობისა და მეგობრობის წყარო ჩუხჩუხებდეს, რომ იქ ქართველებსა და თურქებს შორის ძმობისა და მეგობრობის ხიდი გაიდვას!

სულეიმან ეფენდი სულგანაბული უსმენდა უცნობს, თვალებში უცქერდა ამ უცნაურ ადამიანს და ყურებს არ უჯერებდა მოსმენილს — ძლიერ ესიამოვნა უცნობის გულწრფელი სიტყვები, მაგრამ ბოლოს მაინც ეჭვის თვალით გადახედა...

— ქართველებისაგან ეს შეუძლებელია!

— პირიქით, — შეედავა უცნობი, — მიუხედავად იმისა, რომ თურქები ყოველთვის დამნაშავენი იყვნენ ქართველების წინაშე, ჩვენ მაინც არა ვართ თურქებთან მეგობრობის წინააღმდეგი.

— ნუთუ თქვენს შორის ბევრია, ასე რომ მსჯელობს?! — კვლავ გაკვირვებული თვალებით შეხედა უცნობს სულეიმან ეფენდიმ.

— უმეტესობა! — მოკლედ მოუჭრა უცნობმა.

— როგორც ვატყობ, თქვენ კარგად იცნობთ თურქებს და თურქული ენაც ჩინებულად გცოდნიათ!

სულეიმან ეფენდის სიტყვებმა ღიმილი გამოიწვია უცნობის სახეზე და ალერსიანი ხმით უპასუხა:

— ამას ყველაფერს ჩემს სიმდიდრედ ვთვლი. სულზე უფრო მეტად მიყვარს ჩემი ტკბილი ქართული, მაგრამ დიდ პატივს ვცემ საამო თურქულ ენასაც. ნამუკ ქემალის „სილისტრია“ მე ვთარგმნე თურქულიდან ქართულ ენაზე, აგრეთვე სეფეთ ნეჰიზისა და გუზიდე საბრის ნაწარმოებები. ახლა ქართული მწერლობის რამდენიმე ნიმუში მინდა ვთარგმნო თურქულად, რომ ჩვენმა ხალხებმა ერთმანეთი კარგად გაიცნონ და მეგობრულად დაუახლოვდნენ. უკვე დროა ბოლო მოეღოს ერთმანეთის სიძულვილსა და უნდობლობას და ჩვენ, კარის მეზობლებმა — ქართველებმა და თურქებმა, უკვე დროა ერთმანეთს მეგობრობის ხელი გავუწოდოთ!

სულეიმან ეფენდი ფეხზე წამოდგა, უცნობს ხელი გაუწოდა და აღტაცებით უთხრა:

— თქვენისთანა კაცის გაცნობა ჩემთვის სწორედ რომ ბედნიერებაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიერიდან მეგობრად მიგულეთ... მწამს, თქვენც გამიწევთ მეგობრობას და ერთ საქმეში ძმასავით გამომადგებით... იმედი მაქვს უარს არ მეტყვით!

— სიამოვნებით! ბრძანეთ... რა გნებავთ?

— მემედ ბეგ აბაშიძეს დავეძებ, დღესვე უნდა შევხვდე, თორემ მერე გვიან იქნება... ამბობენ, ამ დროს იცის მოსვლაო... როგორც კი გამოჩნდება, გთხოვთ, მანიშნოთ, თორემ ხელიდან გამიძვრება. მასთან შესახვედრად ჩამოვედი.

უცნობს გაეცინა და მხიარული თვალებით გადახედა სულეიმან ეფენდის.

— მე თითონ გახლავარ მემედ აბაშიძე!

თქვა და გამომცდელი თვალებით შეხედა სულეიმან ეფენდის, რომელსაც ისე აუთამაშდა სახის კუნთები და ისე განცვიფრდა, რომ მუდამ თავდაჭერილსა და თავაზიან მემედს სიცილი წასკდა.

— ნუთუ მართალს ამბობთ?! — ხმამაღლა წამოიძახა სულეიმან ეფენდიმ და მარჯვენა ხელი რევოლვერისაკენ გააქანა.

— დიახ, მე გახლავარ! — მტკიცედ უპასუხა მემედმა და თვალებში რისხვამ გაუელვა.

— აი, თურმე როგორი ყოფილხართ! — ძლივს წარმოთქვა სულეიმან ეფენდიმ და შიშნარევი და გაკვირვებული თვალებით ზომავდა მემედ აბაშიძეს, რომლის სახე ისეთ სიდინჯესა და სიდიადეს გამოხატავდა, რომ სულეიმან ეფენდიმ ვეღარ გაუძლო, გატყდა და ადამიანს, რომელსაც მოსაკლავად დაეძებდა, გამოუტყდა: — არა, ასეთ ადამიანს მე თითსაც ვერ ვახლებ!

სულეიმან ეფენდიმ ჯიბიდან ამოღებულ რევოლვერს დახედა და მწარედ გაიცინა.

— რა მოხდა, რა გემართებათ, ეფენდი?! — ჩვეული დარბაისლური ტონით შეეკითხა მემედ აბაშიძე და ფინჯანში დარჩენილი გაცივებული ყავა ბოლომდე შესვა.

— მე დავალებული მქონდა თქვენი მოკვლა, მაგრამ, — სულეიმან ეფენდიმ თავის რევოლვერს დახედა და ისევ ჯიბეში ჩაიდო, — უარს ვამბობ...

ყავახანაში მთვრალი მეზღვაურებისა და სპეკულანტების ჯგუფი შემოვიდა. ისინი ხრინწიანი ხმით, მაგრამ ხმამაღლა მღეროდნენ:

ჩიკი ჩიკი, პრაპორჩიკი,
ასლანჩიკი და დუხანჩიკი...

სულეიმან ეფენდიმ ყავა მოსვა, წყალი დააყოლა და ფეხზე წამოდგა.

— ამის შემდეგ, ალბათ, სხვას დაავალებენ... გთხოვთ ფრთხილად იყოთ... ახლა კი ჩემი აქ დარჩენა აღარ შეიძლება. მშვიდობით!

სულეიმან ეფენდი თემენას წესით გამოემშვიდობა მემედ აბაშიძეს და თავჩაქინდრული გაშორდა იქაურობას. ღრმად ჩაფიქრებული მემედი კი გაქვავებული გასცქეროდა ზღვის სანაპიროს, რომელსაც უთვალავი თურქული ფელუგა და შხუნა მოსდგომოდა. მთვრალი სპეკულანტები და მეზღვაურები კვლავ მღეროდნენ:

ჩიკი, ჩიკი, პრაპორჩიკი,
ასლანჩიკი და დუხანჩიკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯემალ ჯაყელი

მოდრეკილი სატევარი

1.

გათენდა. მტრედმა ცისფერმა
ცისკარს მშვიდობა ახარა.
მოჰქუხს ჩანჩქერი —
მშობელის
ჩამონაშალი ჭაღარა.
სამზიარ სჭექეს ნადური —
ეჯიბრებიან ძმები ძმებს,
მოხუც ლომანას ამ დილით
სახლში რა გააძლებინებს.
სჭედავს და სჭედავს ნამგალსა,
ბევრზე ბევრია სამკალი.
— ვინც ომის აფრა აუშვას,
ფეხქვეშ გაიგდე, დაჰკალი. —
ეს სთქვა და ხანჯალს გადასწვდა
იდუმალ ზრახვით ამგვარით:
„ისა სჯობს ღველფში გავრიო
და გამოვჭედო ნამგალი“.
შემდეგ შვილიშვილს ანიშნა, —
დაჰბერე მთელი ძალითა.
მაგრამ ფოლადამ უარი
ჰკადრა რიდით და კრძალვით
— გთხოვ მაპატიო, ბაბული,
(და დაუკოცნა ხელები)
ისე იოლად მაგ ხანჯალს
ნუ მოდრეკ, ნუ შეელევი.
გემუდარები გულითა
სურვილი შეატრიალე,
ეგ შეინახე როგორაც
ბრძოლების მემატიანე.
მოხუცს მოსწონდა ნათქვამი,
გულიდან ამომდინარი.
ურო დაუშვა, გადადო
გრდემლთან ფოლადი მღვივარი.
სამფეხა სკამზე ჩამოჯდა,
ფიქრებს მიეცა შორეულს:
„ჩვენი დღეები წარსულთან
რარიგ გვაშორიშორებენ“.
— მუშა ვიყავი მჭედელი, —
ყველავ იგონებდა ლომანა, —
სიმწარის ოფლმა დამწვარი
ღაწვები ბევრჯერ მონამა.
ვშრომობდი, მაინც მშიოდა,
დროება იყო ასეთი.
სად არ ნახავდი დაცემულს,
სად არ ნახავდი დასევდილს.
ოქტომბრის გრგვინვამ მოგვისწრო,
შემძვრელმა ცის და ხმელეთის.
დიდი სინათლის წყურვილით
არ დაგვინდვია ბნელეთი.
იყო ზათქი და ქუხილი,
ძმობა შეკრული ფიცითა.
იქ შემიღებეს პერანგი
შერუჯულ მკერდის სისხლითა. —
თქვა და დახედა მახვილსა
ჩამოღარულსა ცხრა ღარით.
შორით უმზერდა ყრმობასა
განათებული ჭაღარით.

2.

ომი ოაიწყო საზარი.
ზეცამ ღრუბლები აშალა,
სამშობლოს მტერი მოუხდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხანათურად, აშარად.
მოერტყნენ ახალგაზრდები
ოქტომბრის დროშის გარშემო.
— ბრძოლის დროს უნდა იბრძოლო,
შრომის დროს უნდა აშენო!
თქვენი ჭირიმეთ, ლომებო,
რომ დაგირახტავთ რაშები.
თავისუფლების ჩანჩქერო,
შენ არასოდეს დაშრები.
მთელი სოფელი აქ არი
და ბერიკაციც აქ არი.
— ახლა სჭირდებით ქვეყანას,
თუ დაჰკრავთ, ახლა დაჰკარით! —
ასე დუდუნებს ლომანა
და ხანჯალს სინჯავს ალესილს,
ხალხში კოცონად ინთება
ძისი თვალების ნაკვესი.
— ბიჭო, მომხედე, ფოლადავ,
რომ დაგიკოცნო თვალები. —
და გულისპირი გახსნოდა
ნამეხარ-ნაგრიგალევი. —
ახლა თქვენშია ძალღონე,
გზა-კვალს გილოცავთ გულგაშლით,
არ შეგრცხვენოდეთ მარჯვენი
და ვაჟკაცობის ულვაში!
ვაჰ, დამემართა სიბერე
(ეშმაკი სატიალეა),
არ შემიძლია მახვილის
თქვენებურ დატრიალება,
თორემ... მეც მახსოვს შერკენა,
ჭყვია მრჭობია ეკლადა,
წამოგყვებოდით ურჯულოს
მოსარჯულ-მოსადრეკადა.
ცალ მუხლს დაეყრდნო ფოლადა,
მკერდზე დაიდო მარჯვენა:
— ერთი გული მაქვს, დავხარჯავ
სამშობლოს გადასარჩენად.
შემდეგ წამოდგა ვეფხვივით,
შეენოდა მხარგაშლილობა,
უსიტყვო ფიცით ემთხვია
ლომანას მკერდზე ჭრილობას
და შემდეგ მისგან ნაბოძებ
ხანჯალს აკოცა ყმაწვილმა.
ფოლადმა თითქოს სიმტკიცე
შიგ გულში გაუნაწილა.

3.

— რა განსაცდელი დაუდგათ
მთის არწივების საბუდრებს,
არა, ჩვენს მონაპოვართა
მტერი ვერ დაისაკუთრებს!
ვართ მოიმედე შვილების,
შევარდნებად რომ დავზარდეთ.
მოკვდეს ის, მამულისათვის,
ვისაც სიცოცხლე დაზარდეს. —
დაეხარბება მოხუცი
წერილს, გაკეცილს ორადა.
თითქოს სტრიქონში იდუმალ
ტკბილად ჩურჩულებს ფოლადა:
„ვისლა გავცურეთ მხარულით,
ბრძოლით, ზათქით და ხმაურით.
მოძმე მომიკლეს თვალწინა —
ტანაშოლტილი ჭადარი,
ფარულმა ცრემლმა დამწვიმა,
მომედო ცეცხლი, ღადარი.
თითქო გავსვავდი უცნაურ,
სისხლი მომწყურდა ძალიან,
მომხვდურს ვურტყამ და ვეხლები.
ხანჯალი ამბობს — ძვალია,
ძვალია ბერლინამდისა!..“

4.

გათენდა დილა სისხამი,
მთა-ბარმა მკერდი გადიხსნა
და გამარჯვება გვახარა
გამარჯვებათა მაისმა.
მოდიან ბრძოლის ველიდან
მკერდგარუჯული გმირები,
ბევრჯერ სიკვდილის თვალებში
გულცეცხლად შენამზირები,
და ვაჟკაცური სიმღერა
მკერდზე ია-ვარდს მიაშლით.
დედები შვილებს ხვდებიან
ხალხის ზღვა-ტაშის გრიალში.
ჭერს დაუბრუნდნენ მერცხლები,
მზეჭაბუკები — კერიას.
„სიკვდილი ან გამარჯვება“
ფიცივით მკერდს აწერიათ.

* * *

მკერდზე ვარსკვლავი ციმციმებს
გმირული ბრძოლის დასტური.
ფოლადამ უმალ შეიხსნა
ფოლადი მამა-პაპური.
ლომანას გადაუწოდა,
ძველი ლომია ქებული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მზეზე პრიალებს მახვილი
მტრის ძვლებზე დაბლაგვებული.
— არ შეგირცხვინე წამითაც,
არც ჟანგი მოვაკიდეო.
მოვირტყამ, თუკი ოდესმე
ბრძოლის დრო მოვა კიდეო.
შენ გაგიხვრიტეს გულმკერდი,
მე გამიხვრიტეს მარჯვენა.
შენ — ოქტომბრის მზის ძებნაში,
მე — ამ მზის გადასარჩენად.

ეპილოგის მაგიერ

— მორჩა, გათავდა, არ იყოს
ომის ხსენება ამიერ.
სიცოცხლეს მრავალჟამიერ,
მშვიდობას მრავალჟამიერ,
ზეცას წიგნივით წაკითხულს,
კაცის ხელს მრავალჟამიერ,
კაცის თვალს, მიწის წიაღში
ჩაწვდენილს, მრავალჟამიერ.
მრავალჟამიერ კაცის გულს —
მთელი სამყაროს ოდენას,
ხალხთა გულიდან გულისკენ
მშვიდობის გადაწოდებას! —
თქვა და წამოდგა ლომანა,
მზე ჩაფრქვევოდა თვალებსა.
გახედა მწვანე ჯეჯილებს
ზღვასავით მონანავესა.
დაჰკრა გრდემლზე და... ხანჯალი
მოდრიკა როგორც ნამგალი:
— არა თუ ომი,
ამ ქვეყნად
იყოს მშვიდობა სამკალი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი სანაძირაძე

ყველაზე ლამაზი ზღაპარი

როცა მაღლობი აიარეს, ერთბაშად ყველაფერი უკან დარჩა — შუქურის კოშკი, ეზოში გაფენილი ბადე, ვიწრო ქუჩა და სახლები. ცა მუქი იყო, ძალზე მუქი და წვიმდა. ატალახებულ გზაზე ბორბლები ეფლობოდნენ. მამა ბრაზობდა. დიდრონი, დაკუნთული ხელებით დაყრდნობოდა საჭეს და ბრაზობდა. მერე დაღამდა. მაგრამ წვიმა არ შეწყვეტილა. ფარნის შუქზე ზოგჯერ ვერცხლისფრად გაიელვებდნენ მაღალი თხმელები. ისე კი უმეტესად გზა ტრიალ მინდორში გადიოდა. ბიჭი ჩუმად იჯდა. მამამ მოუხედა და მხრით შეანჯღრია.

— იქ, ჯიბეში, სიგარეტებია, — თქვა მამამ.

— აა? — გამოცოცხლდა ბიჭი, ჯიბეები მოქექა, თავი გააქნია. — აღარაფერი დარჩა. — თქვა მან.

„დალახვროს ეშმაკმა, გაუელვა მამაკაცს, გულმავიწყობაც დამჩემდა, აკი ცარიელი კოლოფი წეღან გადავაგდე?“... ახლა დაბამდე უნდა ითმინოს, იქ კარგი კაფეა, ღვინოსაც იშოვიან. სითბოსა და საწოლის გახსენებაზე ვანოს თვალები ებლიტებოდა. იგი ახლა კიდეც ნანობდა, რომ ასე შორ გზაზე წამოიყვანა ბიჭი. თუმცა ბიჭი არც ისე ცუდად გრძნობდა თავს. ტყავის უზარმაზარ კურტაკში გახვეული, მინას მიყრდნობოდა, გზას გაჰყურებდა.

— მოგწყინდა? — ჰკითხა ვანომ.

— არა, მამა, ქარი ქრის და ქარში ისე კარგია ოცნება!

„იგი თერთმეტი წლისაა და ადამიანი, ალბათ, მის ასაკში სწავლობს ნამდვილ ოცნებას, გაიფიქრა მამამ. ანდა ოცნების გარდა რაღა რჩება, როცა წინ სველი გზაა და უკუნი ღამე?“

ბიჭმა დაახველა.

— არ უნდა გაგეღო სარკმელი, — თქვა მამამ.

— აღარ გავაღებ, — თქვა ბიჭმა.

— აღარ გავაღებ! — გამოაჯავრა მამამ, — ხომ ხედავ, ისევ დაგახველა, იქნებ ტანშიაც გტეხს?

გოჩა შებინდების მერე გრძნობდა უგუნებობას, მაგრამ დამალა. მამამ საჭე გაასწორა, დამატებითი ფარნები ჩართო, მაინც ათიოდე ნაბიჯს იქით

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაფერი ჩანდა. მოტორი ოდნავ ხმაურობდა, ერთხანს ჩუმად ისხდნენ, ქარი ქროდა და უსმენდნენ ქარის შხუილს.

— როცა პატარა ვიყავი, — თქვა მამამ, — შენზე უფრო პატარა, დედამ ძალიან ლამაზი ზღაპარი მიამბო. იმ წელს დიდი თოვლი მოვიდა, თოვლმა სახლები დაფარა და დედას ჩემი მარტო გაშვებისა ეშინოდა — დაიკარგებაო. დედა დამისვამდა მუხლებზე და ათას რამეს მომიყვებოდა. მაგრამ ყველაზე უფრო ერთი ზღაპარი დამამახსოვრდა, ლამაზი ზღაპარია. იმ წელს ბევრი თოვლი მოთოვა, ბევრი თოვლი, ზღაპარში კი ერთი სიტყვაც არაა თოვლზე.

— როცა მოთოვს, ქუჩებში არ ვირბენ, — თქვა ბიჭმა, — მე ყველაფერს გაგიგონებ, მამა, ოღონდ...

— ოღონდ რა?

— ოღონდ კანარის ჩიტი მიყიდე, ილოს მამას ოთხი ასეთი ჩიტი ჰყავს, ისე გალობენ, ისე...

— კანარის ჩიტი? — დაეკითხა მამა.

— ჰო, კანარის ჩიტი, მე ყველაფერს გაგიგონებ, მე ხომ ჯერ არაფერი მითხოვია.

— კარგი. — თქვა მამამ, — გიყიდი, თუკი ასე გინდა. მაშინ ზღაპარი სხვა დროისათვის გადავდოთ.

გოჩა მიხვდა, რომ მამა გაანაწყენა, გაიტრუნა. ახლოს მიიწია, მკლავზე წაეპოტინა. მამას მსხვილი მკლავი ჰქონდა.

— მამა, ა, მამა... შეიძლება ახლა მოჰყვე?

— რა, ზღაპარი?

— ჰო, ლამაზი ზღაპარი, აი, დედამ რომ გიამბო დიდ თოვლში.

— აკი არ გაინტერესებდა?

— მე ძალიან მაინტერესებს, მამა, ძალიან, გეფიცები ძალიან, მაგრამ კანარის ჩიტზე ეს უცებ მომივიდა. მიამბობ?

ბიჭმა ისევ დაახველა. „კარგი ზღაპარი იქნება, თუ გაცივდა“, გაუელვა ვანოს. საყელო აუწია და ლოყაზე მოუთათუნა ხელი. ბიჭს თბილი ლოყა ჰქონდა.

ამასობაში ხიდი გაიარეს. წინ, გზის შუაგულში, უზარმაზარი მამაკაცი დაინახეს. მამაკაცს ხელი აეწია, შეჩერებას თხოვდა. მანქანის შუქზე ბუნდოვნად ჩანდა იმისი სახე. მაგრამ კარგად ჩანდა რუხი საწვიმარი და ჩექმები. როცა ავტო დაამუხრუჭა, მამამ სარკმელი გააღო.

— შენ რაღა გინდა? — ჰკითხა მამამ. უცნობმა სოფელი დაასახელა.

— შორსაა, — თქვა მამამ.

— მიმიყვანე, — შეეხვეწა უცნობი, — ძალიან გთხოვ, მიმიყვანე, ბავშვი მყავს ცუდად... მაგვიანდება.

მამამ გოჩას გადახედა. იფიქრა არ მისმენსო, მაინც ჩუმად ჩაილაპარაკა:

— თითონაც ხედავ, მანქანის ტარება ჭირს, საბურავებიც ვერ გაუძლებენ.

— რა ვქნა, — მიუხვდა უცნობი, აწრიალდა, — ბევრი ფული არა მაქვს, მაგრამ ვალში არ დაგრჩები.

— აა? — გაიკვირვა მამამ, მერე ამოიოხრა. — არაფერი შემიძლია, ძლიერ მეჩქარება, თანაც სხვა გზით მივდივარ, თორემ სიამოვნებით, განა ფულზეა საქმე?

უცნობი კიდევ დიდხანს იდგა კაბინასთან. ალბათ, მანქანის ამუშავებას უცდიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გესმის, ამაღამ უსათუოდ უნდა მივიდე შინ. ცოლმა დარეკა, ბავშვს დიდი სიცხე აქვს, ის კი ისეთი პატარაა, ისეთი პატარა...

ვანომ მხრები აიწურა. როცა უცნობს შორს გასცდნენ, ბიჭის მზერა იგრძნო.

— რატომ არ წამოიყვანე? — თქვა ბიჭმა.

— ვინა? ის აყლაყუდა?

— ჰო, მას ბავშვი ჰყავს ცუდად.

„დაიწყო", გაიფიქრა ვანომ, „აღარ მომასვენებს კითხვებით". — მეორე სიჩქარე ჩართო, უნდოდა გოჩას ყურადღება გზისკენ გადაეტანა.

— ძალიან კი იცი, ბავშვი საერთოდ ჰყავს ავად თუ არა. ვიცნობ მაგ ვაჟბატონებს, ყოველთვის რაღაცათი შეწუხებული არიან, თავს გაბრალებენ, იქნებ უფასოდ წაგვიყვანონო

— იგი არ ჩანდა ასეთი და ძალიან ცუდი ვქენით, რომ არ წამოვიყვანეთ, მანქანაში ხომ გვაქვს ადგილი? აკი დილით ხუთნიც ვიჯექით?

მამამ წარბები მოჭმუხნა.

— კარგი, — თქვა მან, — ხომ არ გინდა დავბრუნდეთ?

ბიჭი დუმდა. წვიმამ იმატა.

„სისულელე ვქენი, რომ წამოვიყვანე". ახლა უფრო მწარედ ინანა ვანომ, „ამ ღლაპთან ორი კაპიკის შოვნისაც მეშინია, სირცხვილიაო. შვილიც ასეთი უნდა, არაფერს მოგერიდება". დილინდელი საუბარი გაახსენდა, გული ნოუვიდა. „არა, აწი არასოდეს წამოვიყვან. ხუმრობაა, ორი დღედაღამე გზაში! ეც გასართობი მოვიგონე რაღა! რომ ჩავრჩე სადმე, მაშინ?" ბიჭს გადახედა. გოჩას პატარა სანათი ჩაერთო და რომელიღაც ჟურნალს ათვალიერებდა. „ტიალი ღამეა, წარღვნის ღამე, ეს კი ზის, თავისთვის კითხულობს. არჩინე, კარგად ჩააცვი, საკუთარი მანქანით გაასეირნე ბიძასთან, რომელიც ორი დღის სავალზე ცხოვრობს. ეს კი, თუ გიხელთა, ჭკუის სწავლებას დაგიწყებს. რა კეთილია, ა? მაგას რომ ვუყურო, მთელ ქვეყანას ზოსამსახურედ უნდა დავუდგე. იიჰ! სიგარეტი მაინც მქონდეს".

მანქანა ძველი იყო, ოთხადგილიანი, მაგრამ ვანო ძლიერ ამაყობდა თავისი „ბებრუხუნათი". ომის შემდეგ ნავსადგურში დაიწყო მუშაობა, მანქანაც მაშინ იყიდა. პირველად უკვირდა, როცა შემთხვევითი მგზავრები ფულს აძლევდნენ. მერე შეეჩვია და ამას სავალდებულოდაც თვლიდა. „ბოლოსდაბოლოს მანქანა ხომ ჩემია, ბენზინსაც ტყვილა არავინ მოგცემს, არც მოვლის ხარჯებია მცირე". ახლა მას აღარ ჰყოფნიდა ყოველთვიური ხელფასი. სამუშაოს შემდეგ გვიანობამდე დააქროლებდა მანქანას. განსაკუთრებით ცუდი ამინდი წყალობდა. ამ დროს შინ ეჩქარება ყველას... რა თქმა უნდა, გოჩამ არაფერი არ იცოდა ამ დამატებით სახსრებზე, მაგრამ დღეს... ვანოს გაახსენდა ბიჭის გაოცებული მზერა, როცა მგზავრს ფული გამოართვა. მაშინ ძლივს გაუსწორა თვალი, წაიბურტყუნა: „შენ რა, გინდოდა რამე?" ბიჭმა თავი გააქნია. იგი თვალს ადევნებდა, როგორ მომუჭა ფული და როგორ შეინახა უბეში...

ახლა ისინი ისხდნენ ჩუმად. ჩუმად ისხდნენ და უსმენდნენ წვიმას. მოულოდნელად მანქანა ჩაეფლო, მაგრამ გადმოსვლა არ დასჭირვებიათ, მანქანამ ერთი კი წაიჯუჯღუნა, მერე თავი აიწყვიტა და გაცურდა. ასფალტი დაიწყო. შორს, ძალიან შორს, ნათურები აციმციმდნენ. ესეც წამით. ასიოდე მეტრის იქით უკუნი სიბნელე ჩამოწვა. „ალბათ, ბორცვი მოეფარა", გაიფიქრა მამამ,

„აქ ბორცვიანი ადგილებია, ალბათ, ბორცვი მოეფარა“. ცალი ხელით მცირე შეკვრა ამოიღო, ბიჭს გაუწოდა. „ხაჭაპურია, ჭამე“.

— გმადლობ, მამა, არ მინდა.

— მაშინ მე ჩამომიტეხე.

გოჩამ შეკვრა გახსნა, ორ ნაწილად გაჰყო და მოზრდილი ნაჭერი მამას გაუწოდა.

— გემრიელია, — თქვა ვანომ, — დედაშენი მუდამ გემრიელ ხაჭაპურს აცხობს. — წამით იგრძნო — ბიჭი არ უსმენდა. — რაზე ფიქრობ? — ჰკითხა. იმ წუთს მას ძალიან უნდოდა გოჩას ზღაპარზე ეთქვა რამე. მაშინ ადვილად აეწყობოდა საუბარი. ასე არ მოხდა.

— ამ გზაზე ხშირად დადიან მანქანები?

— ისე, ხანდახან, რატომ იკითხე?

— ის კაცი ხომ წვიმაში დარჩა.

ვანოს ტანში შეაჟრიალა. „ისევ უცნობზე ფიქრობს, ჰე, ასე თუ ეწყინებოდა, ნამდვილად წამოვიყვანდი“.

— თერთმეტ საათზე ავტობუსი გამოივლის, — იცრუა, რათა ბიჭი დაემშვიდებინა, — მეც იმიტომ არ წამოვიყვანე. მერედა, მისი სახლი სულ სხვა მხარესაა, აი, იქ უნდა გადაგვეხვია, აი, იმ გზისკენ.

ბიჭს არ გაუხედავს.

— მართლა გამოივლის ავტობუსი?

— გამოივლის.

— კარგი კიდევ. მაგრამ ავტობუსი ნამდვილად მიიყვანს სახლამდე?

მამამ ისევ იცრუა. მერე კარგახანს, ვიდრე განათებულ ქუჩაზე გავიდოდნენ, სიტყვა არ დაუძრავს. ქუჩა ზღვასთან თავდებოდა. იქ პატარა კაფე იყო.

— ამაღამ დავისვენოთ, — თქვა ვანომ, — დილით ბიძასთან იქნები, ამინდიც დაწყნარდება.

მანქანა კუთხეში დააყენეს. პატარასა და ზომაზე თბილ დარბაზში თითქმის არავინ იყო. მამამ გოჩა მაგიდასთან დატოვა, თითონ სასტუმროსაკენ გაემართა. სასტუმრო ორიოდე ქუჩის იქით ეგულებოდა. ნახევარი საათის შემდეგ დაბრუნდა.

— დავაგვიანეთ, — თქვა მან, — ხომ გითხარი, დანავსული ვარ-მეთქი. ჰოდა, აი, დავრჩით გარეთ, მგზავრობაც საშიშია.

ბიჭს ისევ დაახველა.

— გაგიციებიათ, — შეწუხდა მებუფეტე, — ახლავე ლიმონიან ჩაის მოგართმევთ. აქ რჩებით ღამით, არა? ეჰე, ეს ძალიან ცუდია, რომ ოთახი ვერ ეშოვეთ. ის თქვენი მანქანაა, კუთხეში რომ დგას? აბა, დაალევინეთ ეს ჩაი მაგ ყმაწვილს, თანაც შეეცადეთ კარგად მოასვენოთ.—მებუფეტე ქალს მაღალი მკერდი და ოდნავ შეჭაღარავებული თმები ჰქონდა.

— ამ დაბაში არავის ვიცნობ, — თქვა ვანომ, — ოდესღაც ფრონტელი მეგობარი ცხოვრობდა, მაგრამ მოძებნა არ გინდა?

— ჰო, — თქვა მებუფეტემ. — მან ცხელი ჩაი მოიტანა და გაიღიმა, — ჩემს ოთახში მოთავსდით. მე კი მეზობელთან გადავალ. ბავშვის გულისთვის ყველაფერს გავაკეთებ. მეც დედა ვარ, მესმის. ჰოდა, ნურსად ნუ აპირებთ წასვლას, ბავშვს ტანი დაუზილეთ და მოასვენეთ, თორემ სანამ ბინას მოძებნიდეთ, თავზე დაგათენდებათ.

ვანომ განზე გაიხმო ქალი, რაღაც უთხრა. ქალმა იწყინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შეინახეთ ეგ ფული, — თქვა მან, — ღვთის გულისათვის, როგორ გე-კადრებათ. მე ვხედავ, შორიდან მოდიხართ, ბავშვსაც საშინლად ახველებს, თორემ... როგორ გეკადრებათ. თუ რაიმე დაგჭირდეთ, მე აქა ვარ, ნუ მომე-რიდებით, აი, ეს თავშალიც აიღეთ, გამოგადგებათ.

ოთახი პატარა კარით უერთდებოდა ბუფეტს. იგი არც თუ ისე ცუდი გა-მოდგა. გოჩა კარგად მოთავსდა გასაშლელ ლოგინზე.

— წვიმს, თქვა მან, — საშინლად წვიმს, რა მოუვა იმ კაცს, ავტობუსმა რომ არ გამოიაროს?

მამა ჩაფიქრდა. რომელიღაც წერტილს უყურებდა კედელზე. უყურებდა და ნანობდა. მაგრამ არა იმას, რომ ბიჭი წამოიყვანა ამ შორეულ გზაზე, არა, იმ წუთს თვალწინ უცნობი მამაკაცი ედგა, რომელიც ტრიალ მინდორში დარ-ჩა ქარში, წვიმაში, როცა ირგვლივ კუნაპეტი ღამეა და ვერსად გადაიყუდრებ.

— დაიძინე, — თქვა მან, — ავტობუსი უსათუოდ გამოივლის.

— რომ არ გამოიაროს? მას ხომ ბავშვთან ეჩქარება, მას ხომ ბავშვი ჰყავს ცუდად?!

— არ ვიცი, — თქვა მამამ, — შეიძლება მე მივაკითხო. შენ არ მოგწყინ-დება უჩემოდ?

— რას ამბობ, მამა! — გაეხარდა ბიჭს, წამოიწია.

— მე ხომ დანამდვილებით არ მითქვამს, შეიძლება-მეთქი. მე მორიგეს-თან წავალ და გავიგებ, მართლა გამოივლის თუ არა ავტობუსი.

— კარგი, მამა!

ვანომ შეამჩნია, რომ ბიჭი „მამას“ ძალზე ტკბილად წარმოთქვამდა. გაი-ღიმა, თავზე გადაუსვა ხელი.

— მე არ დავიძინებ, მამა, — თქვა გოჩამ, — მე დაგიცდი, შენ უსათუოდ უნდა მომიყვე ლამაზი ზღაპარი, სადაც ერთი სიტყვაც არაა თოვლზე.

— კარგი!

„როგორ ჩქარა იზრდებიან ბავშვები, — გაიფიქრა ვანომ, — როგორ ჩქარა“. იგი კარებისაკენ მიაბიჯებდა და ამაყობდა, რომ ბიჭმა მოყვასის სიყ-ვარული გაუღვიძა. მერედა ეს ხომ უბრალო მოვალეობაც იყო? — იგი მძი-მედ მიაბიჯებდა კარებისაკენ. მიაბიჯებდა და გრძნობდა გოჩას მზერას. მაგ-რამ არ მობრუნებულა. გარეთ ისევ წვიმდა და წვიმდა.

— გესმით, — თქვა ვანომ, როცა ბუფეტში გავიდა. იქ უკვე რამდენიმე მამაკაცი იჯდა. ისინი რკინიგზელები იყვნენ. — როცა აქეთ მოვდიოდით, იქ, გზაზე, ვიღაც უცნობი დარჩა, მანქანაში ტევა არ იყო და ვეღარ წამოვიყვანე. თქვენ მიხედავთ ბავშვს?

მებუფეტე ქალი დახლს დაყრდნობოდა. ქალი მიუხვდა. მიუხვდა და გაი-ღიმა. მერე მობრუნდა, ჭიქა შეუვსო.

— დალიეთ, — თქვა მან, — მოგიხდებათ.

ვანომ ქუდი დაიხურა. იმ წუთს იგი ძალიან ლამაზი იყო და ძალიან მოტე-ხილი. პიჯაკში კარგად ეხაზებოდა ბეჭები. მიმავალს ქალმა ისევ გააყოლა მზერა.

— ერთი შეხედვითაც შეატყობ, ნამდვილი მამაკაცია!

როცა მანქანაში ჯდებოდა, ვანოს დედის ზღაპარი გაახსენდა, ლამაზი ზღაპარი გაახსენდა. მაშინ იგი პატარა იყო და დიდ თოვლს სახლები დაეფარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლიო აბრამია

ზ ღ ვ ა ს

არის წუთები, როცა სულაც არ გემღერება,
მაშინაც, ზღვაო, ჩემი ჩანგი შენ გეფერება
და მხიბლავს კენტად მოფარფატე თეთრი თოლია!

როდესაც გიცქერ, გასაოცრად ვნეტარებ მაშინ,
ჩემი გულისთქმა მესმის შენს დიდ მჩქეფარებაში,
თითქოს ძარღვებში მივლის, რაც აქ ქარს უქროლია!

ვმღელვარებთ ერთად, ვიდრე ზვირთი გარს ეფინება
და მოქანცულებს თბილ ქვიშაზე მიგვეძინება!..

თეთრი აფრები

რა სიწყნარეა, ზღვაზე ღელვის დასცხრა ჯებირი,
ციმციმებს სივრცე, გასარკული დაჰქრის ზეფირი
და საოცარი დარი დგება — გამოზამთრების!..

მიმოფანტულა — საწვიმარი ყომრალი ბური,
ვტოვებ ძველ ბოღაზს, უკან მრჩება ის ნავსადგური,
ლაჟვარდებისკენ მიმაქანებს თეთრი აფრები!

წყლის უდაბნოში გადამტყორცნის ანძათ მშვილდები,
შშობლიურ ნაპირს მივადგები და დავმშვიდდები!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქსენია მჭავია

ცაცხვების ხეივანი

ცაცხვების ხეივანი,
ცაცხვების ხეივანი,
საამო ჩურჩული ხეთა!..
თითქოს შენ მოგძახის
მსუბუქი ნიავი,
თითქოს შენს ნაკვალევს ვხედავ.
ალბათ, შენც აქედან
გაშლილი ოცნებით
გასცქერდი სურამს თუ ბორჯომს,
სიცოცხლის სიმღერას
გიმღერდნენ ფრთოსნები,
ნიავი გირხევდა ქოჩორს.
აქ გული ხალისით
რამდენჯერ დამტკბარა!
მზე ენთო შინა და გარეთ,
რამდენი ოცნება
ცვარივით ანკარა
ძიანდე ქვიშხეთის ქარებს!
ახლა ეს ცაცხვები
კვლავაც შრიალებენ,
კვლავ მესმის ჟღურტული მერცხლის,
შენ გეძებ,
შენ გელი, თვალებგიშრიანო,
ამანთე სიმღერის ცეცხლით!
არა თქვა,
არა თქვა, არისო გვიანი,
სულის და ფიქრების ერთავ...
ცაცხვების ხეივანი,
ცაცხვების ხეივანი,
საამო ჩურჩული ხეთა!..

სურათი მტკვრის სანაპიროზე

ხიდთან პატარებს შეეკრათ რკალი,
ერთურთს უქებდნენ ბადეს, ანკესებს.
ხიდქვეშ კი იწვა მდუმარედ მტკვარი
და ისვენებდა გაშლილ ვაკეზე.

არც ბუტბუტებდა, არც მძვინვარებდა,
პირზე სიმშვიდეს არ იცილებდა,
თითქოს ნაბრძოლი ამაყ ქარებთან
იყო დაღლილი და იძინებდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წაბლის ხის ნათქვამი

სოფელ ტაშისკარში უზარმაზარი წაბლის ხეა. გადმოცემით ამ ხის ძირას შეასვენა თავისი ლაშქარი გიორგი სააკაძემ, როცა შემოსეულ ყიზილბაშებს ებრძოდნენ ქართველები.

დილა არის თუ ბინდია, მზეა თუ ღრუბლის ქულები,
თქვენი მქუხარე ხმა მესმის საომრად შემართულების,
ომახიანი ძახილით მთები რომ ააცახცახეთ,
არ დავინდოთო მომხდური, ძველქართველურად დასძახეთ.

თქვენი დიდებით გავზრდილვარ, თქვენს სახელს ვეალერსები,
თქვენ გამიფურჩქნეთ კვირტები და გამიმაგრეთ ფესვები,
ვერც ქარიშხალმა მომდრიკოს, ვერც ყინულებმა დამაზროს,
საუკუნეებს გავუძელ და არც მოვკვდები არასდროს.

საით წასულხართ, სად გძინავთ, განა უკვალოდ წახველით?
დაეცით, მაგრამ ცას შერჩა თქვენი გმირული სახელი,
ღრუბლებთან დანავარდობენ თქვენი მშფოთვარე აჩრდილნი,
თქვენი ხმლის ნაპერწკლებია ჰაერში ელვად გაჭრილი.

თქვენი ფხიანი ვაჟობით მეც გული ამიელვარდა,
თქვენ შემარჩინეთ სახელი, მაქციეთ ცოცხალ ძეგლადა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოდარ მოდებაძე

ის იწევდა მაღლა, მაღლა...

თამასა 180 სანტიმეტრზეა. ხუთი სპორტსმენი ეცილება ერთმანეთს პირველობას. მოედნის ირგვლივ გულშემატკივრებს მოუყრიათ თავი. ზოგი შარველის ჯიბეში ხელებჩაწყობილი გულგრილად უყურებს შეჯიბრებას. ზოგი მთელი არსებით განიცდის. ისინი ხანდახან კიდეც სტვენენ.

მესამე ნომერი ემზადება გადასახტომად.

— თემურ, — ეუბნება მწვრთნელი, — თავი თავისუფლად გეჭიროს. იფიქრე მხოლოდ გამარჯვებაზე, სხვა ყველაფერი დაივიწყე. — და ისევ გაუმეორა: — იფიქრე გამარჯვებაზე, მხოლოდ გამარჯვებაზე.

თემური მოემზადა. გასარბენი ბილიკი თვალით მოზომა, მერე ადგილს მოსხლტა, თამასის წინ მარჯვენა ფეხზე მთელი ძალით აიწია, ჰაერში გასწორდა და... ტაშმა იქუხა.

თემური ერთხანად სილაში იჯდა და თამასას უყურებდა, რომელიც ნელა ირხეოდა.

— როგორ ფიქრობ, პირველ ადგილს აიღებს? — თქვა ერთმა.

— უნდა აიღოს, მას კარგი მონაცემები აქვს. — უპასუხა მეორემ.

— ჯერ ადრეა გამარჯვებაზე ლაპარაკი, — თქვა მესამემ, — მას ცნობილი სპორტსმენები ეჯიბრებიან.

თემურის ამხანაგები, რომელნიც შემთხვევით მოსულიყვნენ, მოფარებით ხალხში იდგნენ. მათ იცოდნენ, რომ თემური შეჯიბრებაში მონაწილეობდა, მაგრამ რამდენადმე გულგრილი იყვნენ. დამარწმუნებლად ამბობდნენ, რომ იგი ვერ გაიმარჯვებდა. საერთოდ უკვირდათ თემურის შეჯიბრებაში მონაწილეობა, ხოლო, როცა მან 180 სანტიმეტრი სიმაღლე დაძლია, გაოცებამ იმატა, ისინი სახტომ მოედანს მიუახლოვდნენ.

— შეხედეთ თემურს, — თქვა გივიმ. — იგი მაღალია, გამხდარი. — ბავშვობაში თემური და მე ერთად ვვარჯიშობდით ხტომაში.

— ხტომა უსწავლია. — გაიღიმა რეზომ.

— ხტომას მე ვასწავლიდი, ახლა კი... — თქვა ისევ გივიმ და ხელი თემურისკენ გაიშვირა, — წარმოგიდგენიათ? ხტომა არ იცოდა, მე ვასწავლიდი-მეთქი.

— ნუ ტრაბახობ! — უთხრა რეზომ.

შემდგომ შეჯიბრებიდან ორი სპორტსმენი გავიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თემურმა გადახედა მწვრთნელს. — „აი, ერთადერთი ადამიანი, რომელ-მაც დიდი ამაგი დამდო“, გაიფიქრა მან და ადგილზე რამდენიმე მსუბუქი მოძრაობა გააკეთა. ამხანაგები ახლა წინა რიგში იდგნენ. მათ სახეზე ცნობისმოყვარეობა და გაკვირვება იხატებოდა. როცა თემურმა მათკენ მიიხედა, გივიმ ხელი ასწია და გამამხნევებლად დაუქნია.

თემურმა მას კეთილად გაუღიმა.

— არ ველოდი, — ჩაილაპარაკა გივიმ, — თუ ოდესმე ხტომას ისწავლიდა ეს ჭლახა.

რეზომ მხოლოდ გაიღიმა.

— გახსოვთ, ეზოში ბურთს რომ ვთამაშობდით, მეკარედ დავაყენეთ და ბურთი ხელიდან უვარდებოდა, — თქვა ანზორმა.

თამასა 185 სანტიმეტრზეა.

თემურს თამასა არ შეურხევია, ისე გადაევლო. გულშემატკივრებმა მთელი ძალით დასცხეს ტაში. თემური ამხანაგებთან მივიდა. ღრმად სუნთქავდა.

— მომილოცავს, — უთხრა გივიმ და ხელი ჩამოართვა, — უნდა გვასახელო.

თემურმა ცალი წარბი ინსტინქტურად ზე ასწია, როგორც თავის სილამაზეში დარწმუნებულმა ქალმა.

— არ გაჯობონ, — უთხრა რეზომ. — მათზე ნაკლები რითი ხარ?!

— გარბენაში საჭიროა მთელი სიზუსტე, — უთხრა გივიმ, — ნუ შეეცდები გრძელი ნაბიჯით დაიძრა ადგილიდან.

თემურმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

— უნდა გვასახელო, შენი იმედი გვაქვს. — თქვა რეზომ.

თემურს გრძელი, გამხდარი ფეხები ჰქონდა, პირზეც გამხდარი იყო. სპორტი ბავშვობიდანვე იტაცებდა, მაგრამ იმედი არავის ჰქონია, რომ იგი ესოდენ დიდ შეჯიბრებაში გამოვიდოდა. თავად მორიდებული, თავმდაბალი იყო.

გულშემატკივრებმა თემურს ცნობისმოყვარე თვალით შეხედეს. ზოგს მისი გაცნობა მოუნდა, დალაპარაკება. ზოგმა მის სპორტულ ჩუსტებზე დაიწყო ბჭობა. მერე ტანი შეუქეს.

— თემურს უაღრესად ზუსტი გარბენი აქვს, — თქვა ერთმა, — ამასთან თამასაზე გადავლებისას ტანით იდეალურად მოძრაობს.

— სპეციალისტები კი სხვას აქებენ, — თქვა მეორემ, მიუხედავად იმისა, რომ თემურმა ამას წინათ მეტი სიმაღლე აიღო. ნამდვილი სპორტსმენია. იგი ახალია, თავისებური. იქნებ ამის გამჟღავნება არ სურთ.

— ქება დამოკიდებულია თაყვანისმცემლებზე. ზოგჯერ ასეც ხდება: ავტორიტეტული პიროვნება თავის საყვარელ სპორტსმენს აქებს. ეს ქება ხალხში გადადის და ბევრი, რომელსაც არასოდეს არ უნახავს სპორტსმენი, აქებს. თუ ახლა წარმატებას ვერ აღწევს, იტყვის, რომ ის სულ მალე ყველას აჯობებს. მაგრამ ეს დროებითია. სპორტში ყველაფერი პირად შესაძლებლობაზეა დამოკიდებული. ძლიერი დღეს თუ არა ხვალ მაინც აღიარებას მოიპოვებს.

იგი შეჩერდა. თემური ამ დროს 190 სანტიმეტრის დასაძლევად გაემართა. მსუბუქი, ზუსტი ნაბიჯით მირბოდა, მაგრამ როცა გადასახტომად უნდა აწეულიყო, ნაბიჯი აურია, განზე გაიქცა.

— ა, ნახავ, ვერ გადახტება. — თქვა გივიმ.

— საკვირველია 185 სანტიმეტრი როგორ აიღო. — დასძინა რეზომ.

— საერთოდ, შეჯიბრებაში არც უნდა გამოეყვანათ, — თქვა ანზორმა. — რა სპორტსმენი ეგ არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თემური მეორედ მოემზადა გადასახტომად. თითქოს შიში დაეუფლა. სახეზე მოწყენილობა აღებეჭდა. გაახსენდა მწვრთნელის დარიგება „იფიქრე მხოლოდ გამარჯვებაზე“, დაავიწყდა, რომ 190 სანტიმეტრია დასაძლევი. უეცრად მოწყდა ადგილს, თამასას წინ აიწია და, როცა გამოერკვა, ხალხის ძახილი, ყიჟინა ისმოდა. მან კმაყოფილად შეხედა თამასას, რომელიც არ შერხეულა.

შემდგომ შეჯიბრებიდან კიდევ ერთი სპორტსმენი გავიდა.

— ძაღლის იღბალი აქვს,— თქვა გივიმ. — მე მახსოვს, რომ 160 სანტიმეტრზე ძლივს ხტებოდა. ხტომის არავითარი ტექნიკა არ ჰქონდა.

— შენც დაიწყე, ანზორ, ვარჯიში, — უთხრა რეზომ. — თემური თუ ხტება, შენ რა, მასზე ნაკლები ხარ?.. სცადე.

— ჰმ! — გაიღიმა ანზორმა. — მე რომ მევარჯიშა, თემურს მართლაც ვაჯობებდი.

გივის გვერდით მდგომმა გულშემატკივარმა ჰკითხა.

— რა გვარია მესამე ნომერი?

გივიმ გაიღიმა და მისთვის არც შეუხედავს.

— რა საჭიროა გვარი. — თქვა მან.

მაყურებელთა შორის ბევრი თემურის ნაცნობი იყო. ერთმანეთს მხოლოდ ქუჩაში ესალმებოდნენ. ისინი პირველ რიგში იდგნენ. პირხმელმა, დაბალმა ბიჭმა მოიგონა, რომ თემურმა და მან ერთმანეთი გზაში გაიცნეს. პირხმელმა ბიჭმა თემურის ახლოს ჩაიარა, მაგრამ თემური დახრილი იყო და ვერ შენიშნა.

გივი ხმამაღლა ამბობდა:

— მე ვასწავლიდი ხტომას, ახლა კი... სისულელე ჩავიდინე, სპორტს რომ ბოლომდე არ გავყევი. ჰმ, ვინ იმარჯვებს!

— მე მახსოვს შენ საუცხოოდ ხტებოდი. — უთხრა რეზომ.

— ასეა, გლახებს უმართლებს ხოლმე. — თქვა ანზორმა.

გივიმ მძიმედ ამოიოხრა.

პირხმელი, დაბალი ბიჭი მიუახლოვდა მას.

— შესანიშნავი სპორტსმენია, არა?

— ჰო. — მიუგო გივიმ.

— უთუოდ პირველ ადგილს აიღებს. — მერე დასძინა: — რა ტანი აქვს, თანაც ისე მსუბუქად მოძრაობს, თითქოს ბუმბული იყოს.

ანზორმა ირონიით გაიღიმა.

— არა ვარ მართალი? — იკითხა ანზორის ღიმილით დაეჭვებულმა პირხმელმა ბიჭმა.

— პირველ ადგილს როგორ აიღებს, — თქვა გივიმ, — კარგი სპორტსმენი ხომ არ გგონია? ეს ვინაა... შენ სხვები ნახე. მათთან თემური ბუზია.

— განა ისინი უფრო მაღლა ხტებიან?

— მაგრამ ისინი უკეთესნი არიან. ხტომა მაინც იციან.

პირხმელ ბიჭს გაკვირვება გამოეხატა სახეზე.

— მიწაზე ძლივს დადის და სპორტსმენი! — ჩაილაპარაკა რეზომ.

— არ გახსოვთ? — თქვა ანზორმა, — როგორი მოუხეშავი, ტლანქი იყო. სირბილიც არ იცოდა.

პირხმელი ბიჭი წავიდა და თავის ამხანაგებს უთხრა:

— ვერაფერი სპორტსმენია თემური, სირცხვილია პირველი ადგილი მაგან აიღოს.

— სხვის ნათქვამს უყურებ? — ჰკითხა ამხანაგმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სხვის ნათქვამს რატომ?!

— აბა, ვერ ხედავ, როგორი ტექნიკა აქვს?! თამასას ისე ევლება, პირდაპირ საოცრებაა... შორიდან იოლი გეჩვენება ხტომა. სცადე და მიხვდები, ერთი უბრალო ილეთის დაუფლებისათვის რაა საჭირო... საკუთარი შეხედულება უნდა გქონდეს.

— დღეს ასეა ხოლმე, — თქვა შეჯიბრებიდან გასულმა სპორტსმენმა, რომელმაც 180 სანტიმეტრი ვერ დაძლია. — ვისაც შეუძლია, ის არ ხტება, ვისაც ხტომა არ შეუძლია, ის მონაწილეობს ხოლმე შეჯიბრებაში. რა სპორტსმენია თემური!

— ვინც ხტომა იცის არ ხტება? მაშ, თქვენ ხტომა არ გცოდნიათ, თორემ რატომ ღებულობთ მონაწილეობას შეჯიბრებაში?

ბიჭებმა ბჭობა შეწყვიტეს. არც გივი, რეზო და ანზორი ლაპარაკობდნენ. ყველა თამასას მიაჩერდა.

თამასა 195 სანტიმეტრზე ასწიეს.

თემურის ჯერია. მკვლავები დაუშვა. ერთი ღრმად ჩაისუნთქა და ადგილს მოსხლტა. ერთი, ორი, სამი... გულშემატკივრებმა მისი ნაბიჯები დათვალეს. უცებ ყველა გაიტრუნა და ტაშმა იგრიალა.

— შესანიშნავი სპორტსმენია. — თქვა ერთმა.

— მომწონს მისი ათლეტური აღნაგობა, ტექნიკა. — დასძინა მეორემ.

გივი, რეზო და ანზორი უსიტყვოდ იდგნენ. გივი თვალებმოჭუტული უყურებდა თემურს. სახეზე აღარ ემჩნეოდა დამცინავი ღიმილი. უხილავი, მკაცრი ცვლილება მოხდა მასში. თემურის მოძრაობა უაღრესად დახვეწილია, სპორტული. მაგრამ გივის ფიქრები მაინც შორდება ამ გაგებას. არ უნდა იფიქროს.

— პირველი ადგილისათვის პრიზს მიიღებს. — თქვა რეზომ.

— ამასთან ფულსაც. — მიუგო ანზორმა.

— პირველი ადგილისათვის ბევრი ფულია. — თქვა გივიმ.

— მაშ, ფულიანი იქნება თემური. — ჩაილაპარაკა რეზომ.

— მაგის ფულსაც რა ვუთხრა, — თქვა ანზორმა. — ვინ ნახა მაგის ფული! არ გახსოვთ? სულ დაკერებული შარვალი ეცვა. ჩვენს პურმარილზე ქეიფობდა.

— ახლა ბევრი ფული ექნება. — ჩაილაპარაკა გივიმ და ხელი დაუქნია თემურს.

თემური სახეგანათებული მიუახლოვდა ამხანაგებს. სახეზე ბავშვური გულუბრყვილობა ეხატა. ანზორსა და რეზოს მხარზე ხელი დაჰკრა.

— ყოჩაღ, წარმატება გაქვს. — უთხრა ანზორმა.

— მიდი, მთავარია ნებისყოფა, — ერთი მეტოქე გყავს, არ გაჯობოს. — ეუბნება გივი. — მხოლოდ იცოდე, მარჯვენა ფეხზე, რაც კი შეძლო, აკვრითი მოძრაობა გააკეთე. ჰო, თუმცა ჩემი სწავლა რად გინდა. შენ ისედაც იცი.

თემური ბავშვივით გახარებული იყო.

— მწვრთნელი გეძახის. — უთხრა რეზომ.

ანზორმა თქვა:

— პირველი ადგილისათვის ბევრ ფულს მიიღებ.

თემურმა მოიხედა და მხოლოდ გაიღიმა.

— შენც ერთი, რას აქებ და ამხნევებ! — უთხრა ანზორმა, როცა თემური წავიდა.

— საჭირო კაცია უკვე. — თქვა გივიმ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამასა ორ მეტრზეა. პირველი თემური ხტება. მაყურებელი გაიტრუნა. ბევრს ეეჭვება მისი წარმატება. ვიღაცამ თემურს ყვავილი ესროლა. თემური ღელავდა.

მსაჯმა ნიშანი მისცა.

თემური ადგილს მოსხლტა. მაყურებელი ტანის მოძრაობით მიჰყვა. ყველამ შენიშნა, რომ მისი ნაბიჯი მძიმე, ტლანქია. თემური მარჯვენა ფეხზე მთელი ძალით აიწია. თამასაზე გადავლებისას ჰაერში მოიხარა, რომ მთელი სხეულით გადასულიყო, მაგრამ მარცხენა ფეხი, რომელიც დახრილი დაურჩა, თამასას წამოსდო. ხალხს ყრუ ძახილი აღმოხდა.

თემურის მეტოქის ცდაც უშედეგო აღმოჩნდა.

თემურმა თამასას გახედა. ორი მეტრი! არასოდეს გადამხტარა ასეთ სიმაღლეზე. იქნებ უკეთესი იყო 195 სანტიმეტრის შემდეგ აღარ ეცადა ხტომა. ახსოვს, როცა პირველად 180 სანტიმეტრი დაძლია, სიხარულით ცას მისწვდა. ორი მეტრი — ფანტასტიკური სიმაღლეა. წარმოიდგინა მთელი წარმატება, რომელიც ამ სიმაღლის აღებისას ელის, მაგრამ ახლა არაფერზე არ უნდა იფიქროს. გაახსენდა მწვრთნელის სიტყვები — „იფიქრე მხოლოდ გამარჯვებაზე“.

— ვერ გადახტება. — თქვა გივიმ.

— რატომ ვერა, დაჰკრავს ფეხს და გადახტება. ყველაფერია მოსალოდნელი. — გაიცინა რეზომ.

ხალხი კვლავ გაიტრუნა. თითქმის არავის დაუნახავს, როდის მოწყდა ადგილიდან თემური და, როცა მიწაზე მოკეცილი შენიშნეს, ყველანი ქარდაკრულ მუხასავით შეირხნენ.

თემურის მეტოქის ყოველი ცდა ამაოა.

ტაშის ხმამ, შეძახილებმა იმატა. ხალხი ესალმებოდა ახალ სპორტის ოსტატს.

მწვრთნელი მშობელივით მოეხვია თემურს. ნაცნობებიც მივიდნენ. ბევრმა შორიდან გაუღიმა, ხელი დაუქნია.

თემური კვარცხლბეკზე იდგა. პიონერები ყვავილებს ესროდნენ. როცა მსაჯმა მისი გვარი გამოაცხადა, ყველამ ტაში დაუკრა. თემურმა მაღლა ასწია ხელი და პირმცინარე, გამარჯვებით ბედნიერი ყველას ესალმებოდა. გადახედა გივის, რეზოს, ანზორს. იმათაც ტაში დასცხეს. გივი ხელის ქნევით მიესალმა გამარჯვებულს.

— გაიმარჯვა, ხედავთ! — თქვა გივიმ.

— შენ რომ გეხტუნა, მაგას მაინც აჯობებდი. — უთხრა ანზორმა.

— ახლა ასეა ხოლმე, გლახას უმართლებს. — თქვა გივიმ, — კაცს, რომელმაც ხტომა არ იცოდა, ხალხი ტაშს უკრავს.

თემურს კვარცხლბეკიდან ჩამოსვლა უნდოდა, მაგრამ ხალხი გარს ერტყა. კვლავ ყვავილებს ესროდნენ. თემურმა გადახედა ხალხს. ის გრძნობდა რაღაც ახალს, ადიოდა ზევით, უფრო მაღლა, ვიდრე წარმოედგინა, და მას უნდოდა ყველასათვის ჩაევლო ხელი და ასულიყვნენ ერთად აი იმ სიმაღლეზე, სადაც თვითონ ადიოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შოთა როყვა

არწივები ტვერის ბულვარზე

სიმონ ჩიქოვანს

წარმომესახა გაშლილი ფრთებით
არწივი, მაღალ მთასა მყივარი,
წარმომესახა ვეება მთები,
ლურჯი ქედი და თეთრი მყინვარი.
კავკასიონის დავლანდე ქედი, —
თურმე სახლებზე თოვლი ყოფილა!
ამ მოჩვენებამ გამიხსნა მკერდი,
გული ყრმასავით ამიფოფინა.
ო, წმინდა იყოს ეს მოლანდება,
დავდექ და სული ამაღლდა უცებ,
წამომემართა ფრთები საფრენად
და მთის ნიავი შემეხო გულზე.
ბულვარი, როგორც თეთრი მდინარე,
აგრძელებს გზას და მიყვება ვაკეს,
მე აშლილ ფიქრებს თავი მივანდე
და წინ ბილიკი ვერ გავიკაფე.
ასე სცოდნია სახებას მშობლის,
ცის სილურჯეში გაწვდენილ ზოლებს,
შორს მოგაგნებს და ჟრუანტელს
მოგგვრის,
დაგივლის ტანში და აგათრთოლებს.
ხარბად გასცქერი ფრთაგაშლილ
არწივს,
თვალები ხდება ცეცხლის მკვესავი,
და უნებურად იფიქრებ კაცი,
რომ არწივების ხარ ნათესავი.
საარწივეზე შორს გიდევს ბუდე,
იქ ნათობს შენი ვარსკვლავი ცისკრის,
გეძახის შენი მამულის ზღუდე,
შენი მდინარე და შენი ნისლი.
ო, წმინდა იყოს ეს მოლანდება,
ეს ჟრუანტელი გულზე დაკრული,
ეს წარმოსახვა არწივის ფრთებად
ღრუბელის, ცაზე გამოსახულის!

ა ე რ ო პ ო რ ტ ი

მიდი-მოდიან თეთრ ღრუბლებს ზევით,
აეროგზები იმედიანი,
ღაღი ოცნების გაშლილან ფრთები
და ლეგენდების ისმის გრიალი.
ოთხივე კუთხის ყვავილს თუ ფოთოლს
აქ ნახავ ღამით თუ დილით ადრე,
აღმოსავლეთის მშვენებას ლოტოსს,
თუ მოელვარე შირაზის ვარდებს.
ფერით ყვითელი, შავი თუ თეთრი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოდის მოხუცი, ქალი და ბავშვი,
ხმა მომღერალი, მჟღერი და მკვეთრი,
ზუზუნებს, როგორც ფუტკარი სკაში.
როგორც ეპოქას, —
აეროს ღვიძავს,
ღელავს, ხმაურობს პორტი მარადჟამს.
აქ თითქოს ხედავ, რომ ბრუნავს მიწა,
რომ სივრცეები დაპატარავდა...

* * *

„ყველა სიმღერა რასმე გაგონებს“...

ირ. აბაშიძე.

ქარს მიაქვს სადღაც ის სიმღერები,
დაჰფანტა, როგორც ისლის ღერები.
ქარს მიაქვს სადღაც ის გატაცება
და აშრიალებს ძეწნის ტოტივით.

ბავშვობის ხმების, ნაპერწკლიანის,
მინდვრის ბოლოდან მესმის წკრიალი.
რა ლამაზია იმ ხმათა ჟღერა,
რა მახლობელი და შორეული!

ქარს მიაქვს სადღაც ის სიმღერები,
მინდვრის ბოლოში ისმის ბგერები,
ქარმა წამართვა ჩემი ბავშვობა,
ვით მოწყვეტილი ვერხვის ფოთოლი.

ქარი იქედან აღარ დაბერავს
და იმ ხმებს აქეთ არ წამოიღებს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევაზ ართიღაყვა

ვაჟას სოფელში

იმედად დატოვებული
შენი პატარა ცარგვალი,
ოცნებას დატოლებული
შენი სოფელი ჩარგალი.
შემომეგება ხალისით,
მეც ამან გამახალისა,
ხან მიყუჩდება, ხან ისმის
მთიდან ბღავილი ხარისა,
ყველგან სიცოცხლე მიცინის,
სად დარდი და სად ჩარგალი!
როდის ყოფილა ჩარგალი
დარდისგან დასაჩაგრავი,
მე შევესწარი პირიმზეს
სიცილზე, განა ტირილზე,
თავს რომ უხრიდა ნიავს და
გულს რომ უხსნიდა დილის მზეს.

შენი ლექსების შაირად
მთები მთებს ესიტყვებიან
და გულში ნადებ-ნაფიქრალს
შენსავით ლექსად ყვებიან.
მთის ფერდზე ზვავი შევნიშნე,
მე შენი კვალი მეგონა,
მთა განიერი ფიქალი
შენი მხარ-ბეჭი მეგონა.
მთას ნისლი შემოხვეოდა,
შენი ნაბადი მეგონა,
ჩანჩქერის ჩამონამღერი
შენი ფანდური მეგონა.
ვაჟაუ! შენთან სტუმრობა
ოცნებასავით ამიხდა,
ყველა ოჯახში მასპინძლად
შენი ლექსები დამიხვდა.

გ უ დ ა მ ა ყ რ უ ლ ი

ქორწილში ცეკვა-თამაში,
სიმღერაც უნდა მაყრული,
რომ გაჩაღდეს და გახურდეს
ქორწილი გუდამაყრული.
ნეფემაც ჯამი გასტეხა,
ოჯახში შემო, მაყარო,
თქვენი თვალების ელვამა
მზის სხივი შემომაყაროს.
გახურდა, ცაში აიჭრა
სტვირი და გუდა მაყრული,
გაჩაღდა, ეშხში შევიდა
ქორწილი გუდამაყრული.
გუდამაყრულმა მაყრულმა
მიდამო გადააყრუა.
გაგრძელდა ლხინი, გაგრძელდა,
ჭერში ქუდს ისვრის მაყარი,
და პატარძალი ანათებს,
პირზე ვარდგადანაყარი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეწისქვილის სიყვარული

დაღღინებს მეწისქვილე:
ინდი-მინდი, ფერად შიხდი,
მთელი ღამე მე წისქვილში
სიყვარულის ფიქრებს ვშლიდი.
თუ ვერ შევძლო სიყვარული,
გულო, მაშინ გამიქვავდი,
მთელი ღამე მე წისქვილში
სიყვარულის საფქვავს ვფქვავდი.
დაღღინებს მეწისქვილე,
ინდი-მინდი, ინდი-ძიხდი...
შენ ღიმილი დამიტოვე,
დამიტოვე, როგორც მინდი.
ინდი-მინდი, ინდი-მინდი,
დრო არ იცდის, დრო კი მიდის,
მე კი გუშინ ოცნებაში
შენს სარკმელში შემოვფრინდი.
მე შენ გული გაგატანე,
შენ ღიმილი დამიტოვე,
წისქვილმა და შენზე ფიქრმა
თმა და წვერი დამითოვეს.
წისქვილში დგას ფქვილის ბუღი
და თვალებიც მეწვის ფქვილით,
სხვისას რითი ჩაძორჩება,
ნეტავ, გული მეწისქვილის?!
თმას ჭაღარა გარევია,
ეს ხომ ფქვილმა შემათეთრა,
ას გაზაფხულს გავუძლებდი,
გავუძლებდი შენთან ერთად.
ინდი-მინდი, ფერად შინდი...
შენს სიყვარულს არ შევშინდი.
ეს სიმღერა ავიჩემე
ხმას შემიწყობს სარეკელა,
ჩემისთანა სიყვარული
თუ შეიძლოთ სცადეთ ყველამ.
ეს სიმღერა ავიჩემე,
მუდამ შინდი, მუდამ ინდი,
მეწისქვილე ვარ და ვიცი —
სიყვარულსაც უნდა მინდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გელა კაკიბაძე

უსახელო გარათი

სამსახურიდან დაბრუნებულმა მერაბ ჩიქოვანმა ფოსტა მიიღო და განცვიფრებით დახედა უცნობი ხელით დაწერილ ბარათს.

— ნეტა ვინ უნდა იყოს? რატომ მისამართს არ აწერს? რაღაც ამბავია. — გაიფიქრა და კონვერტი გახსნა. წერილი მართლაც საინტერესო აღმოჩნდა. ის ასე იწყებოდა:

„პატივცემულო მერაბ! მე, როგორც თქვენს კეთილსა და ერთგულს, მინდა გითხრათ, რომ თქვენი მეუღლე რუსუდანი საქვეყნოდ თავს გჭრით და გიფუჭებთ სახელს. თქვენი თავმოყვარეობა ფართო საზოგადოებრიობის წინაშე შელახულია. ვიცი, ძნელია ორი ბავშვის დედის პატიოსნებაში ეჭვის შეტანა ისეთი მოსიყვარულე ქმრისაგან, როგორიც თქვენ ბრძანდებით, მაგრამ ფაქტი ჯიუტია. ის თქვენ გღალატობთ. ამის დასამტკიცებლად გიგზავნით სურათს, სადაც თქვენი მეუღლე და ის „ვაჟბატონი“ ერთმანეთს სიყვარულით ჩასციცინებენ. მჯერა, სამაგიეროს გადაუხდით უღირს მეუღლეს.

პატივისცემით ი. რ.“.

...მაშ მღალატობ? — დაიკვნესა მერაბმა და სურათს დააკვირდა. იგი ძლიერ ბუნდოვანი იყო. ქოლგის ქვეშ ძლივს გაარჩია რუსუდანი და ვიღაც შზის სათვალიანი მამაკაცი.

სურათი ხელიდან გაუვარდა. ოთახში ყველაფერი აირია, ამოძრავდა. ერთი თვის გაჩერებული კედლის საათის ისარმაც თითქოს მოძრაობა დაიწყო. ზარის წკრიალი მოესმა. ძლივს წამოდგა. წერილი და სურათი საწერი მაგიდის უჯრაში ჩაკეტა და კარის გასაღებად გაემართა.

რუსუდანს სამსახურიდან საბავშვო ბაღში გამოევლო. გულზე მიეკრა პატარა გია, თამაზი კი კარებს ფეხს ურტყამდა. რუსუდანმა გაბრწყინებული თვალებით შეხედა მეუღლეს, მაგრამ საპასუხო ღიმილი რომ ვერ დაინახა, შეცბა. წინათ მერაბი ბავშვს ჩამოართმევდა, ბიჭებს მოეფერებოდა, დაღლილ მეუღლეს მაგიდის გაშლაში მიეშველებოდა, მაგრამ მერაბი დღეს ის აღარ იყო, რაც ძველად. რუსუდანმა იგრძნო მეუღლის უგუნებობა, მაგრამ არაფერი უთქვამს. ხალათი გადაიცვა და სადილის თადარიგს შეუდგა.

მერაბს სამსახურიდან ბაზარში გამოევლო და ბლომად წამოეღო სურსათ-სანოვაგე.

— ასე რომ მცოდნოდა, დავითს წამოვიყვანდი, სულ მეუბნება მეგობრებთან: საუბარი მომენატრაო, — ჩვეული გულუბრყვილობით დასცდა რუსუდანს.

— ვინ დავითს? — უხეშად გაეპასუხა მერაბი.

— ჩვენს მთავარ ექიმს.

— ეს-ღა მაკლია! — გესლიანად გამოსცრა მერაბმა.

— მერაბ?! — საგონებელში ჩავარდა რუსუდანი.

* * *

აირია ოჯახი... დაიკარგა სიმშვიდე... მერაბი დილით გავიდოდა სახლიდან და გვიან ღამით ბრუნდებოდა მთვრალი. რუსუდანმაც დაჰკარგა ხალისი. გახდა. ოჯახსა და ბავშვებს არაფერს აკლებდა, მაგრამ ნაძალადევად. ქმრის უხასიათობა და ახირება ტანჯავდა, მიზეზი კი ვერ გაეგო. ერთი თვის შემდეგ მშობლებს გაანდო საიდუმლო, მე მასთან აღარ მეცხოვრება და თქვენთან გადმომიყვანეთო. გაუტყდათ ძილი, წაუხდათ განწყობილება, გადაწყვიტეს მოლაპარაკებოდნენ მერაბს და მიზეზი გაეგოთ.

* * *

რუსუდანს ხშირად ეუბნებოდნენ მეგობრები, მერაბი, ჩვენი სამსახურის კუთხეში რომ ბაღია, იქ იდგაო და ამ საქმეს ეჭვნეულადაც უყურებდნენ. მაგრამ რუსუდანი ხან რას იმიზეზებდა და ხან რას. ბოლოს, იძულებული გახადეს ფანჯრიდან გადაეხედა და დაენახა თვალებდაცეცებული მერაბი. ამ ამბავმა კიდევ უფრო ააფორიაქა ისედაც განერვულებული რუსუდანი. სადარაჯო რა მჭირსო, ფიქრობდა და ბოღმა ახრჩობდა, მაგრამ ამაზე მერაბთან სიტყვა არ დასცდენია. რაკი ასე ფიქრობს, დე თვითონ დარწმუნდეს ჩემს სიმართლეშიო.

ერთხელ მერაბი ჩვეულებრივ გვიან დაბრუნდა შინ. ეტყობოდა, ზომაზე მეტი დაელია. ეძინათ ბავშვებს. რუსუდანი პატარა გიას მისწოლოდა და უცნაურ ფიქრებს გაეტაცნა. დაერღვა სიყვარულით შექმნილი პატარა ოჯახი და ყველაზე მეტად ის აწუხებდა, რომ მიზეზი ვერ ამოეხსნა.

— მე ერთი უბედური კაცი ვარ ამოდენა ქალაქში, მე ხალხი დამცინის. მე ყველაფერი დავკარგე. ვინ არის დამნაშავე? ვინ ამირია წმინდა ოჯახი?! ვინ შეურაცხყო გიასა და თემურის მამა? მიპასუხე, ქალბატონო!

— რა დაგემართა, მერაბ. მეორე თვეა მაწამებ. თუ ვინმე გიყვარს და ჩვენს შორის მესამე პირი ჩადგა, მე რა შუაში ვარ? ერთგულად გემსახურები და სირცხვილი არასოდეს მიჭმევია შენთვის.

— ჰმ... სირცხვილი არასოდეს გიჭმევია? ერთგულად მემსახურები ხომ? ან წუთში დაგიმტკიცებ შენს ერთგულებას. მე მინდოდა ერთად დამენახეთ ორივენი და სამაგიერო გადამეხადა. მორჩა, შენ შენი გზით, მე ჩემი... — გაცეცხლებული მერაბი საწერ მაგიდას ეცა, სურათი და წერილი ამოიღო და რუსუდანს თვალწინ დაუტრიალა.

ყველაფერი მოსალოდნელიაო, გულში გაივლო რუსუდანმა და წერილის კითხვას შეუდგა. ნაწერი შეიცნო. ეს ხომ მისი სტუდენტობის ამხანაგის გიორგის ნაწერი იყო, რომელიც ერთ დროს ცოლობას სთხოვდა, მაგრამ მერაბის სიყვარულით გატაცებულს, ყურადღება არასოდეს მიუქცევია? თვალწინ დაუდგა გიორგი მოჭუტული ცბიერი თვალებით. ყურს ჩაესმა მისი გესლიანი სიტყვები: „მაშ არ გიყვარვარ, ხომ? ისეთ დროს გაგამწარებ, რომ არ მოელოდე“. გამოერკვა. მერაბს გადახედა. რა სუსტი ნებისყოფის ყოფილაო, გაიფიქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა და მთელ თავის ცხოვრებაში პირველად შეაჟრჟოლა მეუღლის დანახვაზე. მაგიდის ნათურას მიუახლოვდა. სურათს დახედა. შვებით ამოისუნთქა. კიდევ კარგი, გიორგი ვაჟას არ იცნობდა და მასთან გადამიღო, თორემ, როგორც ჩანს, მერაბისათვის ეს მცირედიც საკმარისი იქნებოდაო, — გაივლო გულში და ზეიმედ ამოიხვნეშა. სიტყვა არ უთქვამს. ხალათი გაიძრო და გიას ფრთხილად მიუწვა.

— მე ამას არ გაპატიებ! — დაიყვირა მერაბმა.

— ნუ ყვირი. ბავშვებს ძინავთ. — გააფრთხილა რუსუდანმა. და გვერდი იბრუნა.

— როგორ? ოჯახი შემირცხვინე, თავსლაფი დამასხი და ხმასაც არ მაღებინებ?.. მე შენ გიჩვენებ... — დაიქუხა მერაბმა და საწოლისაკენ ფეხარევით გაექანა. ხმაურზე ბავშვები ტირილით წამოცვივდნენ და გულზე მიეკრნენ აცახცახებულ დედას.

— კარგად დახედე სურათს! — მშვიდად შეესიტყვა რუსუდანი გაცეცხლებულ ქმარს და მწარედ აქვითინდა.

მერაბი თვალებს არ უჯერებდა. რამდენჯერმე შეამოწმა სურათი... ბავშვებისა და რუსუდანის ქვითინი გულს უკლავდა. ადგილი ვეღარ ეპოვა... ოთახში წინ და უკან ბორიალობდა და ჩურჩულებდა: „ეს ხომ ვაჟაა, ჩემი ვაჟიკა, რუსუდანის უფროსი ძმა...“

კვლავ გათბა ოჯახი, კვლავ დაუბრუნდა სიცოცხლე დამუნჯებულ კედლებს, მხოლოდ რუსუდანს სტკიოდა გული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვალერიან თევზაძე

ხომალდი

დიდი ხომალდი შემოდის პორტში,
თოკით აბამენ და აღრჩობს ბრაზი...
დიდი ზღვების და პორტების მეფეს
ისე, რომ აღარც უხდიან ბოდიშს,
თოკით აბამენ და აღრჩობს ბრაზი...
რას არ შეიძლებს ხელები კაცის!
რას არ მიწვდება გონება კაცის!
როგორ უბრალოდ აბამენ თოკით
დიდი ზღვების და პორტების მეფეს,
ოკეანისა და ზღვების ფსკერზე
როგორ უბრალოდ აბამენ თოკით!..
ასე ანკესით იჭერენ თევზებს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასმათ ბაბაზოვი

ისევ გამოიდარა

ისევ გამოიდარა,
გულმა გაიხალისა.
სიომ შემოიტანა
სიხარული ხვალისა...
მზის ნათელი სხივები,
ღამის შავი თვალები,
ლურჯი ჰორტენზიები,
თეთრი იასამნები...
ირგვლივ სუნი მწიფობის
ამ სიხარულს ეთვისა,
ტკბილი —
„დილა მშვიდობის!“
ძნელი —
„ღამე ნებისა!“
ყოფნა, არდასვენება
გულს რომ უნდა ნებავდეს,
ღამეების თენება
ახალ შეხვედრებამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოსო ხელაძე

დაგადეგის დღე

რამდენჯერ დავფიქრებულვართ და მოგვგონებია ბავშვობა, უნებლიე ღიმილით აგვტოკებია ბაგე. მაგრამ ხომ არის მეხსიერებაში ჩარჩენილი ისეთი რამეც, გულს რომ გაკაწრავს?

და მაინც ტკბილია ბავშვობის მოგონება.

...ჩვენში ხომ ხშირი წვიმები იცის. ჰოდა, ერთ წვიმიან დღეს მომაგონდა ეს ამბავი.

...სოფლის ბიჭებთან ერთად მე და ჩემი ძმა სიმინდის ღეროებისაგან ორლულიან თოფს გავაკეთებდით, გრძელ ჯოხზე გადავჯდებოდით და ასე შემოვირბენდით მთელ სოფელს. საღამოს ჩაის საწონ პუნქტთან შევიკრიბებოდით. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა დარიკო დეიდა კალათს მოგვცემდა. სირბილით მივიტანდით მწონავთან — სიმონ ბაბუა, დამკვრელის მოკრეფილია, ურიგოდ აწონე.

ლაღად, სიხარულით მიფრინავდნენ დღეები სოფელში. ეს იყო მხოლოდ, არ იქნა და ვერ შევეჩვიე ფეხშიშველა სიარულს. ჩემი ტოლები კი ისე დანავარდობდნენ ფეხშიშველნი ეკალ-ბარდებში, თითქოს ხალიჩაზე დარბოდნენ. ერთ დღეს გადავწყვიტე მეც ფეხშიშველა მევლო. ძვირად დამიჯდა. მარცხენა ფეხში აკაციის ეკალი ღრმად შემესო.

მეორე დღეს დილით ჩემმა ძმამ ძროხები გარეკა საძოვარზე. ბებია და ბაბუა ჩაის საკრეფად წავიდნენ. სახლში მარტო დავრჩი. კოკისპირული წვიმა დაიწყო.

ჯარისკაცის შინელში გავეხვიე, კერიასთან ტახტი მივაჩოჩე და ჩავთვლიმე. ფეხის ტკივილი არ მასვენებდა და ყველა ცალფეხა მელანდებოდა. ვწყევლიდი იმ დღეს, როცა ფეხშიშველა სირბილი გადავწყვიტე.

წვიმა მატულობდა. პატარა მდინარე, რომელიც ბაბუას ოდას ჩაუდიოდა, შხუილითა და ღრიალით მორბოდა. ახლა ძმაზე ფიქრი ამეკვიატა. ალბათ, მთლად გაიწუწა, არ გაცივდეს-მეთქი, შევშინდი.

უცებ ოდის ქვეშ ჩვენმა არაბამ დაყეფა.

— მაინძელო, ეი, მაინძელო! — მომესმა ჭიშკრიდან.

„ვინ უნდა იყოს ამ თავსხმაში?“ — წამოვდექი და კარები გავაღე.

არაბა, ჩვენი ბებერი არაბა ჭიშკართან სიხარულით წკმუტუნებდა. გამიკვირდა, ვინ უნდა იყოს-მეთქი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი სოფლის ფოსტალიონი! აი თურმე ვის ელაქუცება არაბა.

— მობრძანდით, ლადიკო ბაბუა, — თავზე შინელი წამოვიხურე და კოჭლობით ჭიშკრისაკენ გავემართე.

— ხომ კაი ამბავია, ბაბუა ლადიკო?

— კაი ამბავია, ბაბუა, კაი ამბავი. მარტუაი ხარ შინ?

— ჰო, მარტო ვარ.

— ხომ არ გეშინია, ბაბუა?

— არა, ოღონდ ფეხში ეკალი შემესო და...

— ეკალი? ძირს უნდა დეიხედო, ბაბუა, ძირს. ა წერილი გამომართვი. ჩქარა შედი შინ, არ დასოლდე.

— შემობრძანდით, ლადიკო ბაბუა, ცოტა დაისვენეთ, მაგრად წვიმს, გადაიყუდრეთ.

— არა, ჩემო ბაბუა, ახლა სხვაც უნდა გავახარო. ამისთანა ამინდში რომ შეიტან სიხარულს, იგია საქმე... კარგად იყავი, კარგად...

მე სირბილით შევვარდი სახლში. კერიასთან ახლოს მივიწიე, ბარათს დავხედე: ღია ბარათზე მხოლოდ ორი განაწერა იყო — „გილოცავ დაბადების დღეს — 9 ივლისს“. ეს მამაჩემი მწერდა. მაშინ თერთმეტი წელი შემისრულდა. იგი ფრონტიდან მილოცავდა დაბადების დღეს. მარტოდ დარჩენილმა არაბას გავუზიარე ჩემი სიხარული.

— აი ხომ ხედავ, ჩემო არაბა. მამას ფრონტზე მოვაგონდი. — შემდეგ ისევ ბარათს დავხედე. რამდენჯერმე გადავიკითხე იგი. — ახლა, ახლა სად არის ჩემი მამა? იქნებ მტრის ნაღმი სანგარში აფეთქდა, ან იქნებ თვითმფრინავებმა იერიში მიიტანეს მის სანგრებზე, ან... არა, არა, არაბა, მამაჩემს მტერი ვერ მოერევა. გახსოვს შენ მამაჩემი? არ გახსოვს? აი დამთავრდება ომი, ჩამოვა იგი. ბიძაჩემიც — შენი პატრონიც ჩამოვა. სიმონ ბაბუა ისეთ ლხინს გადაიხდის, რომ მთელ სოფელს შეჰყრის.

სიხარულმა ფეხის ტკივილი დამავიწყა, გულში ჩავიკარი ბარათი, რომელსაც დღესაც მაშინდელი სიხარულის ცრემლები ატყვია, და ტკბილად ჩამეძინა.

* * *

რამდენჯერ დავფიქრებულვართ და მოგვგონებია ბავშვობა, უნებლიე ღიმილით აგვტოკებია ბაგე. მაგრამ ხომ არის მეხსიერებაში ჩარჩენილი ისეთი რამეც, გულს რომ გაკაწრავს?

და მაინც ტკბილია ბავშვობის მოგონება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქსენია ჩიქვილაძე

მშობლიური წყარო

აქ რომ წყარო მორაკრაკებს,
არის ბროლის შესადარი,
ყური უგდეთ მის სიმღერას,
ხომ ყღერს როგორც საზანდარი?
მშობლიური წყარო არის,
უკვდავების წყალი ჰქვია,
მიველ, ახლოს ჩამოვჯექი,
ეს ცინცხალი წყარო არის,
ბაგეს ნამი დამეფრქვია...
მოვერცხლილი, ცისკარული,
მომესხურე დროზე, თორემ
დავიწვები სიყვარულით.

ქ ა რ ი ა შ ა რ ი

მივდივართ მწვანე ტყეში და გვხვდებიან მტრედის გუნდები,
თუ კოცნა მთხოვე, მხედარო, მე ამ გზით შინ დავბრუნდები.
ხელებს გვიწვდიან გზადაგზა ჩვენი ნაცნობი ვერხვები,
ვეალერსები გვირილებს, ნაზი თითებით ვეხები.
ტყე გაიშალა შრიალა და აჩურჩულდნენ ალვები,
ყელს მომეხვია ვაჟკაცი, როგორღა დავემალები!
ორივეს ცეცხლი გვეკიდა, თან ჰქროდა ქარი აშარი,
სატრფომ ტუჩებში მაკოცა, ქარმა წამართვა თავშალი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე კუპრინი

ს პ ი ლ ო

I

პატარა გოგონა ავადაა. მასთან ყოველდღე დადის ექიმი მიხეილ პეტროვიჩი, რომელსაც გოგონა დიდი ხანია იცნობს. ხანდახან მას ორი უცნობი ექიმიც მოჰყავს ხოლმე. ისინი გოგონას ხან ზურგზე დააწვენენ, ხან მუცელზე, ტანზე ყურს დაადებენ და უსმენენ. თვალის ქუთუთოს დაუწევენ და უცქერენ. შემდეგ მოიღუშებიან, მრავალმნიშვნელოვნად ამოიქშენენ და ერთმანეთში გოგონასათვის გაუგებარ ენაზე ალაპარაკდებიან.

ბოლოს საბავშვო ოთახიდან სასტუმროში გადიან, სადაც მათ დედა ელოდებათ. ყველაზე მთავარი — მაღალი, ჭაღარა, ოქროსსათვალიანი ექიმი დედას ძალზე სერიოზულად და დიდხანს უყვება რაღაცას.

კარი ღიაა და გოგონა თავისი საწოლიდან ყველაფერს ხედავს და ისმენს. ბევრი რამ არ ესმის, მაგრამ იცის, რომ მასზე ლაპარაკობენ. დედა დიდი, დაცლილი ნამტირალევი თვალებით შესცქერის ექიმს. გამოთხოვებისას მთავარი ექიმი ხმამაღლა ამბობს:

— მთავარია არ მოაწყინოთ, შეუსრულეთ ყველა სურვილი.

— ოჰ, ექიმო, მას არაფერი არ სურს.

— ეს არ ვიცი... გაიხსენეთ, თუ რა მოსწონდა ადრე, ავადმყოფობამდე, სათამაშოები... სასუსნავი....

— არა, არა, ექიმო, მას არაფერი არ სურს...

ეცადეთ როგორმე გაართოთ... რაიმეთი მაინც... პატიოსან სიტყვას გაძლევთ, თუ მოახერხებთ და გააცინებთ, გაამხიარულებთ, ეს საუკეთესო წამალი იქნება. გაიგეთ, რომ თქვენი გოგონა გულგრილობითაა დაავადებული და სხვა არაფრით. ნახვამდის, ქალბატონო!

II

— საყვარელო ნადია, ჩემო საყვარელო გოგონა, — ეუბნება დედა, — ხომ არ გინდა რაიმე?

— არა, დედა, არაფერი არ მინდა.

— გინდა საწოლზე დაგიჯენ ყველა თოჯინას. დავდგათ სავარძლები, დივანი, მაგიდა, გავაწყოთ ჩაის ჭურჭელი. თოჯინები დალევენ ჩაის და ისაუბრებენ ამინდზე, თავის შვილებზე.

— გმადლობთ, დედა... არ მინდა... ყველაფერი მომწყინდა.

— კარგი, ჩემო გოგონა, არ გვინდა თოჯინები. კატიას ან ჟენიჩკას ხომ არ დავუძახოთ? შენ ხომ გიყვარს ისინი.

— არ მინდა, დედა, ნამდვილად არ მინდა. არაფერი, არაფერი არ მინდა. მომწყინდა და მეტი არაფერი.

— გინდა, შოკოლადს მოგიტან?

მაგრამ გოგონა აღარ უპასუხებს და ჭერს მისჩერებია ნაღვლიანი თვალებით. მას არაფერი არ სტკივა, სიცხეც კი არა აქვს, მაგრამ დღითი-დღე ხდება და სუსტდება. რაც არ უნდა გაუკეთონ, მისთვის სულერთია და არც არაფრის სურვილი არა აქვს. წევს ასე მთელი დღეობით და მთელი ღამეები ჩუმად, მოწყენილი. ხანდახან ჩათვლემს ნახევარი საათით, მაგრამ სიზმრადაც რაღაც შემოდგომის წვიმასავით ნაცრისფერს, დაუსრულებელსა და მოწყენილს ხედავს.

როცა საბავშვო ოთახისა და კაბინეტის კარები ღიაა, გოგონა ხედავს მამას. მამა ბოლთას ცემს და პაპიროსს ეწევა. ხანდახან იგი საბავშვო ოთახში შემოვა, ჩამოჯდება საწოლის კიდეზე და ფრთხილად ეალერსება ნადიას ფეხებს, შემდეგ უეცრად ადგება, მივა ფანჯარასთან და ქუჩაში იცქირება, რაღაცას უსტვენს, მხრები კი უცახცახებს. მერე სწრაფად მიიდებს ცხვირსახოცს ხან ერთ თვალზე, ხან მეორეზე და, თითქოს გაჯავრდაო, ისევ კაბინეტში გარბის. შემდეგ ისევ ბოლთას სცემს და... გამუდმებით ეწევა, ეწევა, ეწევა... კაბინეტი კი თამბაქოს ბოლისაგან სულ ერთიანად ლურჯდება.

III

ერთ დილას გოგონამ ჩვეულებრივზე უფრო ხალისიანად გაიღვიძა. მან სიზმრად რაღაცა ნახა, მაგრამ სახელდობრ რა, ვერაფრით ვერ მოუგონებია და დაჟინებით მისჩერებია თვალებში დედას.

— გინდა რაიმე? — ეკითხება დედა.

გოგონას უცებ მოაგონდა სიზმარი და თითქოს საიდუმლოდო, ჩურჩულით ეუბნება:

— დედა, შეიძლება... სპილო მიშოვოთ? ოღონდ ის კი არა, სურათზე რომაა... შეიძლება?

— რა თქმა უნდა, ჩემო გოგონა, რა თქმა უნდა, შეიძლება.

დედა მიდის კაბინეტში და მამას ეუბნება, რომ გოგონას სურს სპილო. მამა სასწრაფოდ იცვამს პალტოს, იხურავს ქუდს და სადღაც მიემგზავრება. ნახევარი საათის შემდეგ ბრუნდება ძვირფასი, ლამაზი სათამაშოთი. ეს დიდი ნაცრისფერი სპილოა, რომელიც თავისით აქნევს თავსა და კუდს; სპილოს წითელი უნაგირი აქვს, უნაგირზე ოქროს კარავია და მასში სამი პატარა კაცუნა ზის, მაგრამ გოგონა ისევე გულგრილად მისჩერებია სათამაშოს, როგორც ჭერს, კედლებს და უხალისოდ ამბობს:

— არა, ეს სრულებითაც არაა ისეთი. მე, მე მინდა ნამდვილი, ცოცხალი სპილო, ეს კი მკვდარია.

— აბა კარგად შეხედე, ნადია, — ამბობს მამა, — ახლავე მოვმართავ და იგი ნამდვილად, ნამდვილად გაცოცხლდება.

სპილოს მართავენ პატარა გასაღებით. იგი იქნევს თავს, კუდს, გადადგამს ნაბიჯს და დააბოტებს მაგიდაზე. გოგონას ყველაფერი ეს სრულებითაც არ აინტერესებს და მოსწყინდა კიდევაც. მაგრამ მამას რომ არ აწყენინოს, მშვიდად ბუტბუტებს:

— მე დიდი, დიდი მადლობელი ვარ, საყვარელო მამიკო. ალბათ, არავის არა აქვს ასეთი საინტერესო სათამაშო... მხოლოდ გახსოვს... ერთხელ შენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამპირდი სამხეცეში წაგიყვან და ნამდვილ სპილოს გაჩვენებო... მაგრამ ერთხელაც არ წაგიყვანივარ.

— მომისმინე, ჩემო საყვარელო გოგონა, გაიგე, რომ ეს შეუძლებელია. სპილო ძალზე დიდია, იცი როგორი მაღალია იგი? ჭერს აწვდება, ჩვენს ოთახებშიაც არ დაეტევა... თანაც სად უნდა ვიშოვო იგი?

— მამა, მე არ მინდა ისეთი დიდი სპილო... შენ თუნდაც პატარა მომიყვანე, მხოლოდ ცოცხალი... თუნდაც აი ამხელა... თუნდაც სპილოს შვილი.

— საყვარელო გოგონა, ყველაფერს სიხარულით გავაკეთებ შენთვის, მაგრამ რაც არ შემიძლია, არ შემიძლია. ეს ხომ იგივეა, უეცრად მითხრა: მამა, ჩამომიღე ციდან მზე.

გოგონა ნაღვლიანად ღიმება.

— რა სულელი ხარ, მამა, განა მე არ ვიცი, რომ მზის ჩამოღება არ შეიძლება, მაშინ ხომ დაგვწვავდა ყველას. მთვარეც არ შეიძლება, არა, მე სპილო მინდა, ნამდვილი სპილო.

გოგონა ხუჭავს თვალებს და ჩურჩულებს:

— დავიღალე, მაპატიე, მამა...

მამამაც იტაცა თმაში ხელი და კაბინეტში გავარდა. იქ რამდენიმე ხანს ბოლთას სცემდა. შემდეგ პაპიროსის ნამწვავი იატაკზე დააგდო (რისთვისაც მას ყოველთვის უწყრება დედა) და მოახლეს უყვირა:

— ოლღა! პალტო და ქუდი!

შემოსასვლელში გამოდის ცოლი.

— საით, საშა? — ეკითხება იგი.

მამა კი მძიმედ სუნთქავს და იკრავს პალტოს ღილებს.

— მაშენკა, მე თვით არ ვიცი საით... მხოლოდ მგონია დღეს საღამოთი მართლაც მოვიყვან აქ, ჩვენთან, ნამდვილ სპილოს.

ცოლი აღელვებული მისჩერებია.

— საყვარელო, კარგად ხომ ხარ? თავი ხომ არ გტკივა? იქნებ დღეს ცუდად გეძინა?

— მე სრულებითაც არ მძინებია, — უპასუხებს იგი მკაცრად. — ვხედავ, შენ ისიც გინდა მკითხო, ჭკუაზე ხომ არ შევიშალე. არა, ჯერჯერობით არა. ნახვამდის. საღამოს ყველაფერი გაირკვევა. მამა მიიჯახუნებს შემოსასვლელ კარს და ქრება.

IV

ორი საათის შემდეგ იგი სამხეცეში იჯდა, პირველ რიგში, და უყურებდა, როგორ აკეთებენ სხვადასხვა ოინს გაწვრთნილი მხეცები. ჭკვიანი ძაღლები ხტოდნენ, მალაყს გადადიოდნენ, ცეკვავდნენ, მღეროდნენ მუსიკაზე, დიდი მუყაოს ასოებისაგან აწყობდნენ სიტყვებს. წითელ კაბებსა და ლურჯ შარვლებში გამოწყობილი მაიმუნები დახტოდნენ ბაგირზე და დასეირნობდნენ დიდ პუდელზე შესკუპულნი. უზარმაზარი წითური ლომები ხტებოდნენ ცეცხლმოდებულ სალტეებში. მოუქნელი სელაპი დამბაჩას ისროდა. ბოლოს კი სპილოები გამოიყვანეს. სულ სამი სპილო გამოიყვანეს — ერთი დიდი, ორი კი ძალზე პატარა, ჯუჯა, მაგრამ სიმაღლით ისინი ცხენზე მაინც ბევრად დიდები იყვნენ. ეს უზარმაზარი ცხოველები, შესახედავად ესოდენ მოუხეშავი და ტლანქები, ისეთ საოცრად ძნელ ოინებს ასრულებდნენ, რომელთა გაკეთება ძალზე მოხერხებულ ადამიანსაც გაუჭირდებოდა. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ყველაზე დიდი სპილო. ის ჯერ უკანა ფეხებზე დგებოდა, ჯდებოდა, ყირაზე გადადიოდა, ხის ბოთლებსა და კასრზე გორავდა, ხორთუმით

მუყაოს დიდ წიგნს ფურცლავდა, ბოლოს მაგიდას მიუჯდებოდა და გულზე წინსაფარაფარებული სადილობდა როგორც კარგი თავაზიანი ბიჭი.

წარმოდგენა დამთავრდა. მაყურებლები იშლებიან. ნადიას მამა კი ჩასუქებულ გერმანელთან, სამხეცის პატრონთან მიდის. პატრონი დგას ფიცრულ ტიხარს იქით და პირში დიდი შავი სიგარა გაუჩრია.

— მაპატიეთ, გეთაყვა, — ამბობს ნადიას მამა. — არ შეგიძლიათ თქვენი სპილო ცოტა ხნით ჩემს სახლში გამოუშვათ?

გერმანელი გაოცებისაგან ჯერ ფართოდ აჭყეტს თვალებს, მერე აღებს პირს და სიგარა მიწაზე უვარდება. იგი ხვნეშით იხრება, იღებს სიგარას, ისევ იჩრის პირში და მხოლოდ შემდეგ წარმოთქვამს:

— გამოვუშვა? სპილო? სახლში? მე თქვენი არ მესმის.

გერმანელს თვალებში ეტყობა, რომ მასაც სურს იკითხოს, ხომ არ სტკივა ნადიას მამას თავი... მაგრამ მამა სწრაფად უხსნის, რაშიცაა საქმე: მის ერთადერთ ქალიშვილს სჭირს რაღაც უცნაური სენი, რომელიც რიგიანად ექიმებმაც ვერ ახსნეს. იგი ერთი თვეა წევს, დღითიდღე სუსტდება, ხდება, არაფერი არ აინტერესებს, მოწყენილია და თანდათანობით ქრება. ექიმები მის გართობას მოითხოვენ, მაგრამ მას არაფერი მოსწონს, მოითხოვენ შევუსრულოთ ყველა სურვილი, მას კი არაფერი სურს და აი დღეს მან ცოცხალი სპილოს ნახვა მოისურვა. ნუთუ ეს არ შეიძლება?

მამა გერმანელს პალტოს ღილზე კიდებს ხელს და აკანკალებული ხმით უმატებს:

— აი... მე, რა თქმა უნდა, იმედი მაქვს, რომ ჩემი გოგონა გამოჯანმრთელდება. მაგრამ... ღმერთო დამიფარე... ვთქვათ, მისი ავადმყოფობა ცუდად დამთავრდა... ვთქვათ, გოგო მოკვდა?.. აბა ერთი წარმოიდგინეთ... მე ხომ სამუდამოდ დამტანჯავს იმაზე ფიქრი, რომ უკანასკნელი თხოვნა ვერ შევუსრულე.

გერმანელი იღუშება და ფიქრში წასული საჩვენებელი თითით მარცხენა წარბს ისრესს. ბოლოს ეკითხება:

— ჰმ... რამდენი წლისაა თქვენი გოგონა?

— ექვსის.

— ჰმ... ჩემი ლიზაც ექვსისაა. ჰმ... მხოლოდ, იცით რა, ძვირი დაგიჯდებათ. სპილო უნდა მოვიყვანოთ ღამით და მხოლოდ მეორე ღამით წამოვიყვანოთ უკან, დღისით არ შეიძლება. შეგროვდება ხალხი და მთელი ამბავი დატრიალდება. ამგვარად გამოდის, რომ მე ვკარგავ მთელ დღეს. და თქვენ უნდა ამინაზღაუროთ დანაკლისი.

— ო, რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა... ამაზე ნუ სწუხხართ...

— შემდეგ, პოლიცია თუ დაგვრთავს ნებას, რომ სპილო სახლში შევიყვანოთ.

— ამას მე მოვახერხებ. იგი ნებას დაგვრთავს.

— კიდევ ერთი კითხვა: თქვენი სახლის პატრონი თუ დაგვრთავს ნებას, რომ მის სახლში სპილო შევიყვანოთ.

— ნებას დაგვრთავს. მე თვითონ ვარ იმ სახლის პატრონი.

— ოჰო! ეს უკეთესია. და კიდევ ერთი კითხვა. რომელ სართულზე ცხოვრობთ თქვენ?

— მეორეზე.

— ჰმ... ეს უკვე არ ვარგა. გაქვთ თუ არა სახლში განიერი კიბე, მაღალი ჭერი, დიდი ოთახი, განიერი კარები და ძალიან მაგარი იატაკი. ეს იმიტომ,

რომ ჩემი ტომი სიმაღლით სამი ადლი და ოთხი გოჯია, სიგანით ხუთნახევარ ადლი. გარდა ამისა, ის ასთორმეტ ფუთს იწონის.

ნადიას მამა ერთი წუთით ჩაფიქრდა.

— იცით რა? — ამბობს იგი. — წავიდეთ ჩვენსა და ყველაფერი ადგილზე გავსინჯოთ, თუ საჭირო იქნა, გასასვლელს გავაგანიერებ.

— ძალიან კარგი! — ეთანხმება სამხეცის პატრონი.

V

ღამით სპილო სტუმრად მიჰყავთ ავადმყოფ გოგონასთან. თეთრ ჩალითაგადაფარებული მედიდურად მიაბიჯებს იგი შუა ქუჩაში, თავს აქნევს, ხორთუმს ხან დაიხვევს, ხან გაშლის. გარშემო კი, გვიანი ღამის მიუხედავად, უამრავი ხალხი შემოხვევია. მაგრამ სპილო ამას აინუნშიაც არ აგდებს. იგი ყოველდღე ასობით ადამიანს ხედავს სამხეცეში. მხოლოდ ერთხელ გაბრაზდა ცოტათი. ვიღაც ბიჭი პირდაპირ ფეხებში შეუძვრა და უქნარების გასართობად მანჭვა-გრეხა დაიწყო. მაშინ სპილომ მას დინჯად მოხადა ხორთუმით ქუდი და მეზობელ ღობეზე გადაისროლა.

პოლიციელი ხალხში გარეულა და ბუზღუნებს:

— ბატონებო, გთხოვთ დაიშალოთ. საოცარია, რას ხედავთ აქ უცნაურს! მიკვირს სწორედ, თითქოს არასოდეს გენახოთ ცოცხალი სპილო ქუჩაში.

უახლოვდებიან სახლს. სახლში კი ყველგან, სადაც სპილოს უნდა გაევლო, ყველა კარი ყურთამდე დაეღოთ, ბევრგან დაეხსნათ კიდევაც.

სწორედ ასე მოიქცნენ მაშინაც, როდესაც სახლში შეჰქონდათ დიდი სასწაულთმოქმედი ხატი.

მაგრამ კიბის წინ სპილო შეწუხებული გაჩერდა და გაჯიუტდა.

— რაიმე სასუსნავი მივცეთ, — ამბობს გერმანელი. — ტკბილი ნამცხვარი ან რაიმე... აბა ტომი!... ოჰოჰო... ტომი!..

ნადიას მამა გარბის მეზობელ საფუნთუშეში და ყიდულობს დიდ, მრგვალ არაქისის ტორტს.

სპილოს ძალიან უნდოდა მთლიანად, მუყაოს ყუთიანად გადაეყლაპა იგი, მაგრამ გერმანელმა მხოლოდ მეოთხედი მისცა. ტომის ეგემრიელა და ხორთუმი გაიწვდინა მეორე ლუკმისათვის. მაგრამ გერმანელი უფრო ეშმაკი გამოდგა. ტორტი ხელში დაიჭირა და კიბეზე ასვლა დაიწყო — საფეხურიდან საფეხურზე.

სპილომ აღარ დააყოვნა და გაწვდილი ხორთუმით, ყურებგადმოფიჩორებული თავისდაუნებურად აჰყვა მას.

კიბის ბაქანზე ტომიმ მეორე ნაჭერიც მიიღო.

ამგვარად იგი შეიყვანეს სასადილო ოთახში, საიდანაც წინასწარ გაეტანათ მთელი ავეჯი, ხოლო იატაკი სქლად მოეფინათ თივით... სპილო ფეხით იატაკში ჩახრახნილ კაუჭს მიაბეს, თან ახალი სტაფილო, კომბოსტო და თალგაში დაუყარეს. გერმანელიც იქვე მოთავსდა დივანზე. სინათლე ჩააქრეს და დაწვნენ დასაძინებლად.

VI

დილით გოგონამ ალიონზე გაიღვიძა და უპირველეს ყოვლისა იკითხა, სპილო თუ მოვიდაო.

— მოვიდა, — უპასუხა დედამ, — მაგრამ ბრძანა, ნადიამ ჯერ ხელ-პირი დაიბანოს, თოხლო კვერცხი შეჭამოს და ცხელი რძე დალიოსო.

— ბრაზიანი ხომ არაა?

— არა. აბა ჭამე, გენაცვალე, და მერე ვესტუმროთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სასაცილოა?

— ცოტათი. ჩაიცვი თბილი კოფთა.

კვერცხი შეიჭამა, რძე დაილია. ნადია ჩასვეს იმ პაწია ეტლში, სულ პატარაობისას რომ აჯენდნენ. მაშინ სიარულიც არ იცოდა. ეტლით იგი სასადილო ოთახში გაჰყავთ.

სპილო იმაზე გაცილებით დიდი აღმოჩნდა, ვიდრე ნადია ელოდა, როცა მის სურათებს ნახულობდა. სიმაღლით იგი კარებზე ოდნავ დაბალი იყო, სიგანით კი ნახევარი სასადილო ოთახი ეჭირა. ნაოჭებიანი, ხეხეში კანი ჰქონდა. ფეხები სვეტებივით სქელი. გრძელი კუდის ბოლოს რაღაც ცოცხის მაგვარი ება. თავი — დაკორძილი, რომელზეც დიდი პანტურა ყურები ჩამოკიდებოდა. თვალები ჰქონდა პატარა, პატარა, მაგრამ ჭკვიანი და კეთილი. ეშვები — მოჭრილი, ხორთუმი — გველივით გაგრძელებული, ბოლოში ორი ნესტოთი და მათ შორის მოძრავი, მოქნილი თითით. ხორთუმი რომ მთელ სიგრძეზე გაეწვდინა, ალბათ, ფანჯრებსაც მიწვდებოდა.

გოგონა სრულებით არ შეშინებულა. გაუკვირდა კი ცხოველის უზარმაზარი სიდიდე. სამაგიეროდ გადიამ, თექვსმეტი წლის პოლიამ, შიშისაგან წივილ-კივილი ატეხა.

სპილოს პატრონი, გერმანელი, მივიდა ეტლთან და წარმოთქვა:

— დილა მშვიდობისა, ქალიშვილო. ნუ შეგეშინდებათ, გეთაყვა. ტომი ძალზე გულკეთილია და ბავშვები უყვარს.

გოგონა გერმანელს თავის პატარა გაცრეცილ ხელს უწვდის.

— გამარჯობა, როგორ ბრძანდებით? — ამბობს იგი, — მე სრულებით, ერთი ბეწოთი არ მეშინია. რა ჰქვია მას?

— ტომი.

— გამარჯობა, ტომი, — წარმოთქვამს ნადია და მორიდებით თავს უკრავს, რადგან სპილო დიდია.

— როგორ გეძინათ ამ ღამით?

გოგონა მასაც უწვდის ხელს. სპილო ფრთხილად იღებს და უჭერს მის წვრილ თითებს თავის მოქნილ ძლიერ ცხვირა თითს, ამასთან იმაზე უფრო ნაზად, ვიდრე ექიმი მიხეილ პეტროვიჩი. სპილო თან თავს აქნევს. თვალები კი სულ უფრო უვიწროვდება, თითქოს უცინის კიდეც.

— მას ხომ ყველაფერი ესმის? — ეკითხება გოგონა.

— ო, რა თქმა უნდა, ყველაფერი, ქალიშვილო!

— მხოლოდ არ ლაპარაკობს, არა?

— დიახ, აი, ვერ ლაპარაკობს მხოლოდ. იცით, მეცა მყავს ერთი ქალიშვილი, თქვენსავით პატარა. მას ლიზა ჰქვია. ტომი მისი დიდი, ძალიან დიდი მეგობარია.

— ტომი, თქვენ უკვე დალიეთ ჩაი? — ეკითხება გოგონა სპილოს.

სპილო ისევ გამოსწევს ხორთუმს და თბილი ძლიერი სუნთქვით უბერავს გოგონას სახეზე. ნიავი გოგონას თხელ თმებს უწეწავს.

ნადია იცინის და ტაშს უკრავს. გერმანელიც გულიანად იცინის. ისიც სპილოსავით დიდი, სქელი და კეთილია, და ნადია ამსგავსებს კიდეც მათ ერთმანეთს. იქნებ ნათესავებიც არიან.

— არა. მას ჩაი არ დაულევია, ქალიშვილო. მაგრამ იგი სიამოვნებით სვამს შაქრიან წყალს. თანაც ძლიერ უყვარს ფუნთუშები.

შემოაქვთ ფუნთუშებით სავსე ლანგარი. გოგონა უმასპინძლდება სპილოს. იგი თავისი თითით მოხერხებულად აიტაცებს ფუნთუშას და რგოლივით მოხრილი ხორთუმით მალავს მას სადღაც თავქვეშ, სადაც სასაცილო, სამკუთხედი, ხაოიანი ქვედატუჩი უქანქალებს. ფუნთუშა სპილოს მშრალ კანს ედება და შრიალებს. ასევე მოექცა ტომი მეორე ფუნთუშას, მესამესაც, მეოთხესაც, მეხუთესაც, თან მადლობის ნიშნად თავს იქნევს და პატარა თვალები კმაყოფილებისაგან კიდევ უფრო ეჭუტება. გოგონა კი მხიარულად კისკისებს.

როდესაც ყველა ფუნთუშა შეიჭამა, ნადია აცნობს სპილოს თავის თოჯინებს.

— შეხედეთ, ტომი, ეს მორთული თოჯინა სონიაა. ძალზე გულკეთილი ბავშვია, მხოლოდ ცოტა ჭირვეულია და წვნიანს არ ჭამს. ეს ნატაშაა — სონიას შვილი, მან სწავლა უკვე დაიწყო და თითქმის ყველა ასო იცის. ესეც ნატრიოშკა, ეს ჩემი ყველაზე პირველი თოჯინაა. ხედავთ, მას ცხვირი აღარ შერჩა, თავიც მიწებებული აქვს, თმებიც დაცვივდა, მაგრამ მოხუცის სახლიდან გაგდება ხომ არ შეიძლება? ხომ მართალს ვამბობ, ტომი? ეს ადრე სონიას დედა იყო, ახლა კი ჩვენთან მოახლედაა. აბა, ვითამაშოთ, ტომი: თქვენ იქნებით მამა, მე — დედა, ესენი კი ჩვენი შვილები.

ტომი თანახმაა. იგი იცინის, მატრიოშკას კისერში ჰკიდებს ხორთუმს და პირისაკენ მიაქვს.

მაგრამ ეს მხოლოდ ხუმრობაა. თოჯინას იგი ისევ დებს გოგონას მუხლებზე, მართალია, უკვე შესველებულსა და გამოღეჭილს, მაგრამ მაინც მთელს.

შემდეგ ნადია ტომის დიდ სურათებიან წიგნს ათვალიერებინებს და უხსნის:

— ეს ცხენია, ეს იადონი, ეს თოფი... აი გალია ჩიტუნიათი, აი სათლი, სარკე, ღუმელი, ნიჩაბი, ყვავი... ეს კი შეხედეთ, სპილოა! რა სასაცილოა, სულ არა გგავთ, არა? განა სპილოები ასეთი პატარები არიან, ტომი?

ტომიც თანახმაა, რომ არასოდეს ქვეყნად არ შობილან ასეთი პატარა სპილოები. საერთოდ მას ეს სურათი არ მოსწონს, თითიც წაატანა გვერდის კიდეს და გადააბრუნა.

დადგა სადილობის დროც, მაგრამ გოგონა ვერაფრით ვერ მოაშორეს სპილოს. ისევ გერმანელმა მოისაზრა.

— ნება მომეცით, მე ყველაფერს მოვაგვარებ. ესენი ერთად ისადილებენ.

მან სპილოს დაჯდომა უბრძანა. ისიც თვინიერად დაჯდა, ამას კი ის მოჰყვა, რომ მთელ ბინაში იატაკი შეინძრა, კარადაში ჭურჭელი აზანზარდა, ხოლო ქვევით მცხოვრებლებს ჭერიდან ბათქაში ჩამოუცვივდათ. სპილოს წინ გოგონა დასვეს. მათ შორის დადგეს მაგიდა. სპილოს კისერზე სუფრა შემოახვიეს და ახალმა მეგობრებმა სადილობა დაიწყეს. გოგონა მიირთმევს ქათმის წვნიანსა და კატლეტს, სპილო კი სხვადასხვა ბოსტნეულსა და სალათს. გოგონას ერთი ბეწო ჭიქით აძლევენ ხერესს, სპილოს—თბილ წყალს ჭიქა რომით და იგი სიამოვნებით სვლეპს ამ სასმელს ხორთუმით. შემდეგ მათ მიართვეს ტკბილეული. გოგონამ ჭიქა კაკაო, სპილომ კი ნახევარი ტორტი მიიღო, ამჯერად ნიგვზისა. ხოლო გერმანელი სასტუმრო ოთახში მამასთან ზის და ისევე სიამოვნებით, როგორც სპილო, სვამს ლუდს, ოღონდ უფრო ბევრს.

სადილის შემდეგ მოდიან მამის ნაცნობები. მათ შემოსასვლელშივე აფრთხილებდნენ, რომ არ შეშინებოდათ სპილოსი. მათ ჯერ არ სჯეროდათ. შემდეგ კი, ტომი რომ დაინახეს, კარებს გაეკრნენ.

— ნუ გეშინიათ, იგი კეთილია! — ამშვიდებს მათ გოგონა. მაგრამ ნაც-

ნობები სწრაფად გადიან სასტუმრო ოთახში და ხუთ წუთსაც აღარ ჩერდებიან, — მიემგზავრებიან.

საღამოვდება. გვიანაა. გოგონას დაძინების დროც მოვიდა, მაგრამ ვერ იქნა და სპილოს ვერ მოაშორეს. ისევ სპილოსთან დააძინეს და უკვე დაძინებული გაიყვანეს თავის ოთახში. არც ის გაუგია, თუ როგორ გახადეს ტანთ. ღამე ნადიას დაესიზმრა, რომ იგი ცოლად გაჰყვა ტომის და მათ ბევრი შვილები შეეძინათ, პატარა, მხიარული სპილოები. სპილოც, რომელიც ღამით წაიყვანეს სამხეცეში, ხედავს სიზმარში საყვარელ, ალერსიან გოგონას. გარდა ამისა, მას ესიზმრება ნიგვზისა და არაქისის დიდი, ჭიმკრის ოდენა ტორტები.

დილით გოგონა იღვიძებს მხნე, სიცოცხლით სავსე და, როგორც წინათ, ავადმყოფობამდე, ხმამაღლა და მოუთმენლად გაჰყვირის ისე, რომ მთელ სახლს ესმის:

— რძე მინდაა!

ამ ყვირილზე დედა მხიარულად იწერს პირჯვარს თავის საწოლ ოთახში.

მაგრამ გოგონას მაშინვე აგონდება გუშინდელი დღე და კითხულობს:

— სპილო?

მას უხსნიან, რომ სპილოს საქმე ჰქონდა და სახლში წავიდა, რომ მას ჰყავს შვილები, რომლებსაც მარტო ვერ დატოვებდა, რომ მან დაიბარა მოკითხვა გადაეცათ ნადიასათვის და რომ იგი სტუმრად ელოდება მას, როგორც კი იგი გამოჯანმრთელდება.

გოგონა ეშმაკურად იღიმება და ამბობს:

— გადაეცით ტომის, რომ მე უკვე სრულიად ჯანმრთელად ვარ.

თარგმნა **მაყვალა ჭიჭინაძემ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰაინრიხ მანი

ს ტ ე რ ნ ი

ახალმა ამბებმა სულ აუბნიეს თავგზა გერდ გიოცს. 1918 წელს იგი უკანვე შემოუძღვა თავის ასეულს ბერლინში. მართალია, თავი დამარცხებულად არ მიაჩნდა, მაგრამ ყველაფერი არეულ-დარეული იყო და სხვებთან ერთად ისიც მიიმალა. ცოტა ხნის შემდეგ ისევ ამოჰყო თავი და მაშინვე უკიდურეს მემარჯვენეთა გზას დაადგა. მხოლოდ ამ გზით თუ მოხერხდებოდა გერმანიისა და გიოცის პირადი საქმეების მოგვარება. მისი პირადი საქმეები კი, რომელიც ფრონტიდან დაბრუნებულს საკმაოდ აწეწილ-დაწეწილი დახვდა, ბოლო წლებში მეტად შემაშფოთებელი იყო. მამისეულ ფირმას ხელიდან გაეშვა ომის მიერ ნაწყალობევი ხელსაყრელი პირობები; მოხუცი დროს ჩამორჩა და ბოლოს მიიცვალა კიდეც. გერდ გიოცი იძულებული იყო დედისა და დის სარჩენად ვალი აეღო. მალე ყველაფერი გაყიდა და სულ მთლად ცარიელი დარჩა. ვინ იფიქრებდა ამას!

როგორც შეგეფერება, ისე უნდა იცხოვრო კაცმა — თუ არა და სიცოცხლე არც ღირს! ნეტავ როგორ ახერხებს ეს ხალხი სპეკულაციას? დიახ, ყველა ეწევა სპეკულაციას, მაგრამ რა ოინებით — ამას არავინ ამჟღავნებს. ვერც ერთ საქმეში თავს ვერ შეყოფ! ობერლეიტენანტმა ერთ-ორჯერ ამაოდ სცადა სპეკულაცია, მაგრამ ყველა ხედავდა, რომ ის უუნარო და გამოუცდელი დილეტანტი იყო. ამავე დროს „ნაციონალური საქმეც“ ზედიზედ მარცხდებოდა და სისტემის შეცვლა სულ უფრო და უფრო საეჭვო ხდებოდა. ლისი ლერხეს, რომელსაც გიოცი მუდამ ანუგეშებდა ხოლმე, მდგომარეობა შეიცვლებაო, უკვე აღარ სჯეროდა მისი.

გიოცმა იგი ერთ-ერთი შვებულების დროს გაიცნო. ლისი ლერხე მაშინ ჰაუპტფოგტაიპლაცზე მაღაზიაში მუშაობდა მანეკენად. გიოცს შეეძლო დაეყვედრებინა მისთვის, კარგ ადგილას მოგაწყვეო. მის მუნდირსა და ხარისხს ხომ დიდი ძალა ჰქონდა: გიოცმა ერთხელ შეარხია წარბი და... ლერხე კინოში გადაიღეს. მალე მას შვებულებაც გაუთავდა. გიოცი არასდროს არ ეჭვიანობდა ლერხეზე. ეჭვიანობა მხოლოდ მაშინ დაიწყო, როცა ყველა საქმეში ხელი მოეცარა. გაუბედურებული კაცი ერთგულებას მაინც ეძებს ხოლმე.

1922 წლის მაისის დასასრულს მათ გადამწყვეტი საუბარი ჰქონდათ. ერთხელ, როცა ლისი ლერხე თავის ოთახში კაბებს ისინჯავდა, გიოცმა გადაწყვიტა ყველაფერი გამოეკითხა მისთვის. მეტად ბევრი და მდიდრული კაბები

ჰქონდა ლისის. ყოვლად შეუძლებელია დაიჯერო, თითქოს რომელიმე კინოგადამღები საზოგადოება ამ ხარჯებს ასწორებდეს. სანამ მკერავი იქ იყო, გიოცი მალავდა თავის ბრაზს და თავაზიანად იქცეოდა. ქერათმიან ლისს ძალიან უხდებოდა ნაირნაირი ყვითელი კაბები. მოხდენილ ფეხებზე აბრეშუმის წინდები ემოსა, სამ სარკეს შორის ტრიალებდა და შეღებილი ტუჩებით ტიტინებდა: „დიდებულია. დღეს ყველა ჩემს სილამაზეზე ლაპარაკობს“.

დარჩა თუ არა მასთან მარტო, გიოცმა საყვედურები დაუწყო: ძალიან კარგად ვიცი, რა ფულსაც გაძლევენ იმ კინოში, ვერავის გააცურებ! განა ვერ ვხვდები მაგ ფულებს საიდან იღებო!

„ისევ დაიწყე?“, ჰკითხა ლისმა და თვითონაც შეუტია: ჩემისთანა მომხიბლავ ქალთან გულუხვი თუ არ იქნები, ხმა მაინც ჩაიკმინდეო. რაო, ჩემს გამო დაგეხლართა გზები? სისულელეაო.

ერთ-ორჯერ ბანქოში რისკი გასწია, ცოტაც კოქსით წაისპეკულანტა და მაინც გაკოტრდა!

„არც კი დაიჯერებს ხალხი, რომ ასე გამოთაყვანებული ხარ“. სადღა იყო მისი ჭიკჭიკა ენა. მაგრამ ლისს მაინც უყვარდა თავისი მეგობარი და ამიტომ მაშინვე შეაქო მისი ბუნებრივი ღირსებანი:

„ერთი შეავლე თვალი შენს თავს, რა დახატული ფიგურა გაქვს, რა ყინულივით ცივი იერი!“ ისინი ისევ შერიგდნენ და ლისმა, როგორც იქნა, დაიყოლია გიოცი შემდგომ ყველაფერი მისი მითითებებით გაეკეთებინა. არავითარი ეჭვი არ უნდა ჰქონოდა ამის შემდეგ ქალის ნაცნობებისადმი, რომლებიც გიოცისათვის დახმარების გაწევას მოიწადინებენ!

„სულელო, შენს ღირსებას არავინ შელახავს“, დაასკვნა ლისმა და მანიკურიანი თითები ლოყაზე მოუცაცუნა. მალე ისინი მოტოცშტრასეს გაუდგნენ.

ლუდხანა „ფარშევანგში“ გამოირკვა, რომ ლისს ვიღაც ბულდოგის ჯიშის ჯმუხა ბატონი ელოდა. მას სტერნი ერქვა. გაიგონა თუ არა მისი სახელი, გერდ გიოცმა მონოკლი გაიკეთა. სტერნს თვალები დაუსისხლიანდა. ორივენი გაშეშებული ისხდნენ. ლისი გაოცდა.

„ რა დაგემართათ?“

აჰ, აი თურმე რა, სტერნი რაკოვის ასეულში რიგითი ჯარისკაცი ყოფილა. ეს მოჰგონებიათ.

„ვინც კი დარბაისელი კაცი გაგაცანი, რათა რაიმე საქმეში ხელი მოგიმართოს, ყველა ოდესღაც ფეხისადგილში გყოლია ჩანაკეტი“.

„ფეხისადგილი!“ — ჩაიბურტყუნა სტერნმა. — „იმ ადგილთან შედარებით, სადაც მე ვიჯექი, ფეხისადგილი პირველი კლასის სასახლეა, ეს ლუდხანა კი რა მონაგონია“. მან ხელით წრე შემოხაზა. ირგვლივ ხელოვნური მარმარილო და შიგნიდან გაკაშკაშებული აფალიანი მაგიდები ბრწყინავდნენ.

„ეს დიდებულად მოგსვლიათ“, ჩაურთო ლისმა.

ეს ამბავი პოლონეთში მოხდა, შუა ზამთარში. ობერლეიტენანტ რაკოვის ბრძანებით ღობის სარზე მიბმული სტერნი მთელი დღე თოვლში იდგა.

„იმის გამო გული ახლაც გაფუჭებული მაქვს“, — თქვა სტერნმა.

რაკოვმა პასუხად ცხვირში ჩაიდუდუნა:

„თქვენ ძალიან გებრალებოდათ თქვენი ძვირფასი გვამი, ახლა კი, როგორც ჩანს, მშვენივრად ახერხებთ სპეკულაციას“.

„მე იღბლიანი კომერსანტი ვარ. ვინც უუნაროა და გაბოროტებული, ის სპეკულანტს მეძახის“, მკვახედ მიუგო სტერნმა.

დაძაბული მდგომარეობის შესანელებლად, ლისმა კაპელმაისტერს შიმი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დააკვრევინა და ორივესთან იცეკვა. ამის შემდეგ კავალრები იძულებული გახდნენ ერთად დაელიათ. ლისმაც დალია, ჩანაფიქრს ასე უფრო ადვილად განვახორციელებო.

სტერნს გერდ გიოცისათვის რაიმე გამოსარჩენი საქმე უნდა მიეცა.

მესამე თუ მეოთხე სამიკიტნოში თვალებაწყლიანებულმა სტერნმა წამოროშა:

„რაკოვ, აი ხელსაყრელი საქმე — მომყიდე ლისი!“ გერდ გიოცმა, რა თქმა უნდა, ანგარიშის გასწორება მოითხოვა. ლისმა ძლივს დაამშვიდა ისინი. სტერნი და გიოცი შეთანხმდნენ, ხვალ ლისის ოთახში ერთმანეთს შეხვედრო-დნენ და წესიერად მოელაპარაკნათ.

პირველად გერდ გიოცი მოვიდა. ის შიშობდა, რახან მიამხანაგებს, სტერნს იქნებ რაიმე მალული მიზნები ჰქონდესო. ამან ლისი აღაშფოთა:

„პატიოსან სიტყვას გაძლევ, იმ კაცთან არასდროს არავითარ საქმეს არ დავიჭერ“.

გერდ გიოცმა მტკიცედ განაცხადა:

„მთელ ქვეყანაზე ის კაცი ყველაზე არასასიამოვნოა ჩემთვის და მაშინვე ყველაფერი გათავდება, თუ საქმე იქამდე მივიდა, რომ...“

ამ დროს სტერნიც შემოვიდა. მას უკვე ეშოვნა საქმე რაკოვისათვის.

„ძველი მეგობრის გულისათვის“, — უთხრა მათ სტერნმა და თვალები მოჭუტა. მეტად სახიფათო საქმე იყო. სტერნი არაფერში არ უდგებოდა თავდებად. თუ კი ეს საქმე მოგვარდა, გამდიდრდებიო, უთხრა მან. გერდ გიოცმა შეაწყვეტინა:

„რაც ჩემს ღირსებას შელახავს...“

„ეს თქვენი საქმეა“, — მოუჭრა სტერნმა.

რადიუმი იყო მოსაძებნი, თანაც საკმაოდ დიდი რაოდენობის. იქნებ რო-გორმე იპოვონ. თავდაპირველად ის ერთ ჯარისკაცს მოეტაცა რუმინეთში. ჯარისკაცი მალე მომკვდარიყო, რის შემდეგაც ერთ სანიტარს მოუპარავს. მან არც კი იცოდა თურმე, რა იყო ის. ასე გადადიოდა ხელიდან ხელში, ახლა კი არავინ იცის სად გაქრა. სტერნმა დაუსახელა გვარები და მისამართები, რომ-ლებიც კი ხელთა ჰქონდა. თავად მას არ შეეძლო ყველა კვალს გასდევნებოდა და მთელი დრო ამ საქმისათვის შეეწირა.

„რაკოვ, პირდაპირ გეუბნებით, უნდა ირბინოთ, სანამ არაქათი არ გამო-გეცლებათ; ამის გარდა, შეიძლება სადმე კისერიც მოიტეხოთ“.

„ეს სწორედ საჩემო საქმე ყოფილა“, — უთხრა გერდ გიოცმა. მას სურ-და მაშინვე გასდგომოდა გზას.

„მოიცათ, ხარჯის ფული მიიღეთ“, უთხრა სტერნმა და ქვითარი გამოუ-წერა. გერდ გიოცი წავიდა.

„თქვენ უფრო მეტად გყვარებიათ წესრიგი, ვიდრე მეგონა“, თქვა ლისმა. სტერნმა გესლიანად მიუგო:

„რაკოვი ახლა ქუჩებში დარბის, მე კი აქ ვზივარ“.

„ნურაფრის იმედი ნუ გექნებათ“, — მტკიცედ მოუჭრა ლისმა. მაგრამ სტერნი უკვე აქ იყო და შეეძლო გაესწორებინა ლისის ახალი კაბების ხარჯები.

„დღეს ყველა ჩემს სილამაზეზე ლაპარაკობს“, — თქვა ლისმა შერიგე-ბის კილოთი.

გერდ გიოცი კი დარბოდა. ჯერ პირველ მისამართს მიაკითხა. იქ მას ერთი კაცის ზუსტი მისამართი მისცეს, რომელსაც თურმე თვითონ ენახა რადიუმი. მისგან ყველაფერს გაიგებო, უთხრეს. მივიდა, მაგრამ იქ დამაკმაყოფილებე-

ლი ჰასუხი ვერ მიიღო. ახლა სხვებისაკენ მიუთითეს. ასე რამდენჯერმე განმეორდა. ეს პატარ-პატარა ცნობები გერდ გიოცს ხან აახლოებდა, ხანაც უფრო აშორებდა მიზანს. დადიოდა მევახშეებთან, მიკიტნებთან, ღარიბ-ღატაკებთან, რომელთა ბინებსაც გულმოდგინედ ჩხრეკდა ხოლმე. ქალები ჰპირდებოდნენ, ნაქურდალს ჩვენს საყვარლებს მოვპარავთ, თუ ფულს გაიღებო. ჰამბურგის ერთ-ერთ კაფეში ანონიმური პაემანი დაუნიშნეს. იქ ერთ ბნელ კუთხეში მან მეტად საეჭვო კაცი შენიშნა, რომელსაც ხელოვნური წვერი ეკეთა. იმ კაცს თვითონ ჰქონია თურმე... რადიუმი? სწორედ რადიუმი. მაგრამ ეს ტყუილი გამოდგა. გერდ გიოცმა სამჯერ მიაკითხა კაფეს; ერთხელ მაგიდის ქვეშ რაღაც შეხვეული შენიშნა, მაშინვე მივარდა, მაგრამ უცბად ვიღაცამ ნიკაპქვეშ მძლავრად ამოჰკრა და ძირს დასცა.

ლისმა გიოცი მხოლოდ რამდენიმე კვირის შემდეგ ნახა. გიოცი გამხდარიყო, სახე არეოდა და, პირველად თავის სიცოცხლეში, დაუდევრად ეცვა. ამ დღეებში უფრო მეტი განვიცადე, ვიდრე მთელი ომის განმავლობაშიო, გაიძახოდა იგი. როგორც იქნა, ყველაფერს მივაგენი, ბევრთან გავაბი კავშირი, უცნობებიც კი ხშირად ძალიან საჭირო ცნობებს მაწვდიდნენო.

„აი, ხედავ ამ გეგმას? ეს მე მეტად ძვირი დამიჯდა. სახლს ეზო აკრავს, ეზოში არხი გადის, არხის ბოლოში კი ერთი ქვა მორყეულია, სწორედ იმ ქვის ქვეშ დევს...“

„რადიუმი?“

გერდ გიოცმა მტკიცე რწმენით დაუქნია თავი.

„უნდა ვიპოვო ის სახლი, თუმცა კაცმა არ იცის მისი ასავალ-დასავალი“.

„იქნებ არც კი არსებობს ქვეყანაზე ეგ სახლი შენს რადიუმთან ერთად?“

გერდ გიოცი ვერაფერს მიხვდა, ლისს კი უფრო გარკვევით არაფერი უთქვამს. მას ეცოდებოდა გიოცი. სტერნი ერთხელაც არ უხსენებია გიოცს, თუმცა მიზეზი კი ჰქონდა.

სტერნთან ლისი უფრო პირდაპირი იყო.

„თქვენ გაიძვერა ხართ. თქვენი რადიუმი მახეა და მეტი არაფერი“.

„თუნდაც აგრე იყოს“, თქვა სტერნმა მშვიდად. ლისი განცვიფრდა.

„რას ამბობთ! ნუთუ ამ რადიუმისათვის, რომლის ამბავი თავიდან ბოლომდე თქვენი მოგონილია, გერდ გიოცი საავადმყოფოში უნდა მოხვდეს?“

„არა“, — თქვა სტერნმა და თვალები მილულა, თითქოს მეტისმეტად დაღლილიაო. „საავადმყოფოში კი არა, საპატიმროში“. სტერნმა თვალები გაახილა და მთლად დაბნეულმა ლისმა იმ თვალებში შემაძრწუნებელი რამ დაინახა. ეს იყო სიძულვილი. მღვრიე, დაუოკებელი, ბინძური ნაკადი სიძულვილისა იღვრებოდა სტერნის თვალებიდან. ჩანდა საშინლად ტანჯავდა ეს გრძნობა სტერნს. ის თრთოდა, კუნთები ეკრუნჩხებოდა, ფითრდებოდა და წითლდებოდა. სტერნმა ძლივს მოაბრუნა დამძიმებული ენა:

„რაკოვი მუდამ მდევნიდა და მამცირებდა, ახლა კი მე გავამწარებ, სანამ ბოლო არ მოეღება. მას ჩემი ჩაძაღლება უნდოდა, ახლა თავად მოვინელებ“.

სტერნმა გულზე მიიდო ხელი.

ლისმა ნაძალადევად გაიცინა: „შენც საქმე გიშოვია... ნუ ხარ ასე სასაცილო“. ქალი გამომწვევად დატრიალდა მის ცხვირწინ.

სტერნმა მოურიდებლად უთხრა:

„თქვენ, ჩემო ფროილაინ, თავდაპირველად მხოლოდ იმიტომ დაგიახლოვდით, რომ რაკოვამდე მიმეღწია. ახლა კი თქვენც გაგისწორებთ ანგარიშს“.

მან დაიჭირა ლისი, უფრო სწორად, ხელი შეაშველა, რადგან ქალი თითქმის თვითონვე ჩაუვარდა ხელებში; ლისს ეშინოდა მისი და იზიდავდა კიდეც ეს შემაძრწუნებელი სიძულვილით შეპყრობილი ადამიანი. ასეთი მამაკაცი მას ჯერ კიდევ არ ენახა! ლისი თავის თავს მუდამ ფიცს აძლევდა, სტერნს არასოდეს არ დავნებდებიო, მით უმეტეს ახლა. თუმცა მისგან ბევრი საჩუქარი ჰქონდა მიღებული, რასაც სტერნი ქალის თანხმობად სთვლიდა. დააღწევს თუ არა თავს? გერდ გიოცს პასუხი მაინც მოეთხოვა მისთვის, რაც ქალს სტერნის ჯადოსაგან დაიხსნიდა. მაგრამ გიოცი აჩრდილებს დასდევდა.

სტერნმა დაიბარა გიოცი. „რაკოვ“, — უთხრა მოურიდებლად, — „თქვენ ერთ სახლში უნდა შეიპაროთ“. სტერნი გულგრილად შეჰყურებდა, როგორ აღშფოთდა და აიფხორა მისი მსხვერპლი.

„თუ თქვენ ამ საქმისათვის მეტისმეტად კეთილშობილი ხართ, მაშინ როგორც გინდათ... თავისთავად ცხადია, დანახარჯს გადაგახდევინებთ, თქვენ წინასწარ ძალიან ბევრი ფული გამომტყუეთ“.

მსხვერპლმა, რომელიც მთელი თავით მაღალი იყო სტერნზე, ცოტა კიდევ გაიფართხალა და დანებდა. სად და რანაირადო, ჰკითხა მან.

„ვილაცამ დაგვასწროო“, — აუხსნა სტერნმა, — „კაპიტალისტი ყოფილა და ფული ბევრი დაუხარჯავს. ჩვენ ვერაფერს გავხდებით... უამისოდ...“ მან თითი დაატრიალა.

„რა გაეწყობა“, — თქვა გერდ გიოცმა. სიხარბისაგან ხმა ჩახრინწოდა. სტერნმა ფოტოსურათი უჩვენა.

„ეს სახლი ჰუნდეკელეშია, განმარტოებით დგას. შეპარვა ადვილია. ის, რასაც თქვენ ეძებთ, საწოლ ოთახში დევს. ამ ღამით სახლში არავინ იქნება“.

ისიც უჩვენა, თუ სად დაელოდებოდა მანქანა, რომელიც გერდ გიოცს დასჭირდებოდა. სტერნის უკანასკნელი სიტყვები იყო: „საწოლ ოთახში“, თანაც ბოროტად ჩაიხითხითა. უცნაური იყო, მაგრამ, კარი უკვე მოიკეტა და გიოცს მისი ხითხითი არ გაუგონია.

მანქანა მართლაც ელოდა. მძღოლი ზურგშექცევით იდგა. გერდ გიოცი მანქანას მიუახლოვდა თუ არა, მძღოლი გაუჩინარდა. გიოცმა მარტომ წაიყვანა მანქანა და ერთ კუნჭულში შეჩერდა. სახლი აქვეა, ზუსტად ისეთი, როგორიც ფოტოსურათში. ფანჯრები ჩაბნელებულია. გიოცი ეზოს კართან მივიდა და ხანგრძლივად დარეკა; შემდეგ სწრაფად შევარდა მანქანაში. საათი დანიშნა და ოცი წუთი ელოდა, ნეტავ რა მოხდებაო. პირველ სართულზე ერთი ფანჯარა ღია იყო, საიდანაც მთვარის შუქი ოთახში შედიოდა. ხომ არ ინძრევა რამე შიგ? ხეივანი სრულიად განცალკევებული და საკმაოდ ფართოა, ამას გარდა, სახლის წინ ხშირი ტყეა, მაგრამ ხეივნის მიღმა ერთ-ერთ განმარტოებულ ბინაში ისევ ანთია სინათლე. თბილი ჰაერი აკაციების ძლიერი სუნით გაჟღენთილიყო. ვაი თუ ამ სურნელებამ ვინმე ლოგინიდან წამოაყენოსო, შიშობდა გიოცი. მან ყველაფერი გულდაგულ და სწრაფად მოიფიქრა, როგორც ღამის იერიშის წინ. სერიოზული საფრთხე არსად ჩანდა. სახიფათო მხოლოდ მთვარის სინათლე იყო.

სიბნელეში ბაღის კარი შეამტვრია. სახლის წინა ხედს მალე მთვარის კაშკაშა შუქი მოეფინა. ნაცვლად იმისა, რომ სვეტების ჩრდილებს შეფარებული ფრთხილად ამძვრალიყო, უშიშრად ახტა აივანზე. ისე თავდაჯერებულად იქცეოდა, ვინმეს რომ დაენახა, იფიქრებდა, პატრონია და სახლში ბრუნდებაო... გიოცმა სწორედ საწოლ ოთახში ამოჰყო თავი. მთვარის კაშ-

კაშა სინათლეზე გარკვევით ჩანდა ფართო ლოგინი. მეორე მხარეს... ოკ! აბა იარაღი, მტერია! ვიღაც კედელს აკვროდა, მთვარის შუქზე გარკვევით ჩანდა ქალის ფიგურა. ერთი შეხედვით ნახატი გეგონებოდათ. კედელზე უსასოოდ ხელებგაშლილ ქალს თავი დაეხარა. გერდ გიოცმა მისკენ წაიწია.

„ლისი!“

უეცრად ბნელში რაღაცას წამოჰკრა ფეხი ნეტავ ვინ წევს აქ? სწრაფად გადმოაბრუნა უცნობის სხეული.

„სტერნი!“ თითქოს გავარვარებული რკინა იყოო, გერდ გიოცმა მყისვე უშვა ხელი. ლისი და გიოცი ბრმებივით მიშტერებოდნენ ერთმანეთს. შემდეგ გიოცი სტერნისაკენ დაიხარა.

„გათავებულია“, — მოკლედ მოსჭრა მან.

ახლა ლისისაკენ გაექანა. ქალმა ხელები გაასავსავა.

„ახლავე გაიგებ ყველაფერს. დამაცადე!“

სახლი ლისისაა; მთელი ეს ქონება სახლთან ერთად ლისის სახელზე გაუტარებია სტერნს; ფულიც. ქალი კი მხოლოდ დაპირებებით ისტუმრებდა.

„ჩემმა მზემ! მუდამ დარწმუნებული ვიყავი, რომ სტერნს ჩემთან არაფერი გამოუვიდოდა და მართლაც არაფერი გამოუვიდა“.

მაგრამ ლისი ამაოდ შიშობდა. გერდ გიოცს სხვა რამე აწუხებდა.

„მერედა, რატომ უნდა შემოვპარულიყავი აქ? შენ გაქვს რადიუმი?“

ლისი ჯერ ვერაფერს მიხვდა, ბოლოსღა მოაგონდა:

„რადიუმი მახე იყო: მას შენი დაღუპვა უნდოდა“. უცბად ლისმა შეჰყვირა: „ახლა კი მივხვდი, აი, თურმე რატომ ვერ ისვენებდა აქ. აქეთ-იქით დარბოდა, ღელავდა და სინათლის ანთებას არ მანებებდა. შენ გელოდა, გერდ გიოც, შემოხვიდოდი თუ არა, შეგიპყრობდა“.

ლისი დაიხარა და მკვდრის ქვეშიდან რაღაც ნივთი გამოათრია. ჩურჩულით განაგრძო: „მისი რევოლვერი: როგორც კი შემოხვიდოდი, მაშინვე დაგახლიდა“.

ლისმა ისარგებლა გიოცის დაბნეულობით და ორივე ხელი მოხვია. — „სამაგიეროდ თვითონ ამოხდა სული. თავისი სიკვდილით მოკვდა... ის შენი დაუძინებელი მტერი იყო, გერდ გიოც... კარგად მოვაწყე არა?“ — ჰკითხა ქალმა, რომელიც ახლა საოცრად მომაჯადოებელი იყო. — „ჩვენ ახლი მდიდრები და ბედნიერები ვართ“. გული კი უცახცახებდა, ვაი თუ ასეთ ბედნიერებასა და სიმდიდრეზე უარი თქვასო. მაგრამ გიოცი არაფერს ამბობდა. ლისმა ნაზად უთხრა: „აქაურობას მოაშორეო“.

გერდ გიოცმა მეორეჯერ აღარ გაამეორებინა. ძლივს საშუალება ეძლეოდა თავისი ვაჟკაცობა გამოემჟღავნებინა და ამ მტანჯველი მდგომარეობიდან თავი დაეღწია.

„ავიყვან და მანქანაში ჩავსვამ. მშვენიერი ღამე. გასეირნება. გულის დამბლა“...

ასეც მოიქცა და უკან დაბრუნებულს კარებშივე შეეგება ლისის ალერსიანი ხელები. ერთმანეთს გადახვეულნი მთვარის შუქით გაკაშკაშებულ კიბეს აჰყვნენ და საქორწილო სარეცლისაკენ გაემართნენ.

გერმანულიდან თარგმნა **გიორგი კეჭელმაძემ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერომ კ. ჯერომი

როგორ დაკარგა ჰერისმა ცოლი

ჰერისს, როცა ის ახალდაქორწინებული იყო, ერთი უსიამოვნება შეემთხვა, და ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ კაცს არ შეუძლია დაინახოს, რა ხდება მის ზურგს უკან.

მაშინ ის ჰოლანდიაზე გავლით ცოლთან ერთად მოგზაურობდა ველოსიპედით. გზა ქვიანი იყო და ველოსიპედი საკმაოდ ხტუნავდა. „მაგრად იჯექი“, — უთხრა ჰერისმა ცოლს ისე, რომ უკან არც კი მიუხედავს. მისის ჰერისმა კი „ჩამოხტი“ გაიგონა. რატომ უნდა ეფიქრა მას ჰერისი ეტყოდა „ჩამოხტი“, როდესაც უთხრა „მაგრად იჯექი“? ამის ახსნა არავის შეეძლო. მისის ჰერისი ამბობს: „შენ რომ გეთქვა „მაგრად იჯექი“, რატომ ჩამოვხტებოდი?“ ჰერისი კი ეუბნება: „მე რომ მდომოდა ჩამომხტარიყავ, რატომ გეტყოდი „მაგრად იჯექი?“

კამათის სიმწვავე განელდა, მაგრამ ისინი ამაზე ახლაც დაობენ.

ასე იყო თუ ისე, ფაქტი ფაქტია, რომ მისის ჰერისი ჩამოხტა ველოსიპედიდან, ხოლო ჰერისმა მთელი ძალით გააქროლა ველოსიპედი, დარწმუნებულმა, რომ ცოლი კვლავ უკან ეჯდა. მისის ჰერისმა პირველად იფიქრა, ჰერისს უნდა თავი მომაწონოს აღმართშიო. მაშინ ისინი ხომ ჯერ კიდევ ახალგაზრდები იყვნენ და ჰერისს ასეთი რამეები სჩვეოდა. მისის ჰერისი მოელოდა, რომ ჰერისი ბორცვის თავს მიაღწევდა თუ არა, ჩამოხტებოდა ველოსიპედიდან, თავმომწონედ დაეყრდნობოდა ზედ და ასე დაელოდებოდა. მაგრამ როცა მისის ჰერისმა დაინახა, როგორ გასცდა ჰერისი ბორცვის თავს და დაეშვა ციცაბო დაღმართში, ჯერ გაოცდა, შემდეგ აღშფოთდა და, ბოლოს, შეშინდა კიდევაც. ბორცვზე ავარდა, დაუწყო ხმამაღლა ძახილი, მაგრამ ჰერისს ფიქრადაც არ მოსვლია უკან მოეხედა. მისის ჰერისი კიდევ ხედავდა მას ერთი მილის მანძილზე, შემდეგ კი ჰერისი ტყეში გაუჩინარდა. მისის ჰერისი დაჯდა და ტირილი დაიწყო. დილით ხომ მათ ცოტა წაიჩხუბეს, იქნებ ჰერისმა ეს სერიოზულად მიიღო და ახლა აპირებს მიატოვოს იგი. მას კი არც ფული აქვს, არც ჰოლანდიურად შეუძლია ლაპარაკი. გამვლელ-გამომვლელნი თანაგრძნობით უყურებდნენ მას. იგი შეეცადა ყველასათვის გაეგებინებინა თავისი გასაჭირი. ისინი კი მხოლოდ იმას მიხვდნენ, რომ ამ ქალმა დაკარგა რაღაცა, მაგრამ რა?

მისის ჰერისი წაიყვანეს მახლობელ სოფელში და პოლიციელი მოუძებ-

ნეს. პოლიციელმა მისის ჰერისის ჟესტ-მიმიკიდან დაასკვნა, რომ დაკარგული იყო ველოსიპედი.

იმწუთშივე ამუშავდა ტელეგრაფი. მეზობელ სოფლის გზაზე აღმოაჩინეს ერთი საბრალო ბიჭი ქალის ძველებური ველოსიპედით. ბიჭი სასწრაფოდ მიუყვანეს მისის ჰერისს კარეტით, მაგრამ მას არც ეს ბიჭი აინტერესებდა, არც მისი ველოსიპედი. ბიჭი ისევ გაუშვეს და ძებნა განაგრძეს.

ჰერისი კი ამ დროს მთელი მონდომებით მიაქროლებდა ველოსიპედს. ის თითქოს რაღაც მოჭარბებულ ძალას გრძნობდა, ცა ქუდად არ მიაჩნდა და დედამიწა ქალამნად. დარწმუნებულმა, უკან მისის ჰერისი ზისო, თქვა: „რამდენი ხანია ასე მსუბუქად არ მიმგზავრია, შესანიშნავად ვგრძნობ თავს, ალბათ, ჰაერმა იმოქმედა“. შემდეგ დაიმედა, ოღონდ არ შეშინდე და გაჩვენებ რა სწრაფად შემიძლია მართვაო. იგი მთელი ძალით დააწვა საჭეს და გააქროლა. ყველაფერი ელვის სისწრაფით რჩებოდა უკან: სახლები და ეკლესიები, ძაღლები და წიწილები. მოხუცი სოფლელები პირდაღებული მისჩერებოდნენ მას, ბავშვები კი ყვირილით ამხნევებდნენ.

ასე გაიქროლა მან დაახლოებით ხუთი მილი. როგორც შემდეგ ჰყვებოდა, უცებ მას უცნაური, გაუგებრობის გრძნობა დაეუფლა. მას არ გაჰკვირვებია, რომ უკანიდან არ გამოეპასუხნენ — ძლიერი ქარი იყო და ველოსიპედიც საკმაოდ ინჯღრეოდა, მაგრამ მაინც იგრძნო, რომ მის უკან ადგილი ცარიელი იყო. სასწრაფოდ მოაფათურა ხელი, მაგრამ უკან არავინ იჯდა. ჩამოხტა, უფრო სწორად, გადმოიჭრა ველოსიპედიდან და გამოვლილ გზას გახედა. თეთრი და სწორი გზა დაბურულ ტყეში იკარგებოდა. მასზე არავინ ჭაჭანებდა. ათი წუთის შემდეგ ჰერისი გზაჯვარედინთან აღმოჩნდა, გაჩერდა და დაიწყო ფიქრი, თუ რომელი გზით ჩამოიქროლა მან აქ წეღან.

ამ თავისმტვრევაში იყო, როდესაც ერთი ცხენოსანი მიუახლოვდა. ჰერისმა იგი გააჩერა და შესჩივლა, რომ ცოლი დაკარგა. ამ ამბავმა ცხენოსანი არც გააკვირვა და არც შეაწუხა. მათ საუბარში გზაზე კიდევ ერთი გლეხი გამოჩნდა, რომელსაც ცხენოსანმა ჰერისის ამბავი ისე მოუყვა, თითქოს სამწუხარო კი არა, ძალიან სასაცილო რამ ყოფილიყო. გლეხმა ჰერისის მღელვარება სრულიად ზედმეტად ჩასთვალა. ეტყობოდა, არც ერთი და არც მეორე ჰერისის დახმარებას არ აპირებდა. ჰერისს ისღა დარჩენოდა, რომ ლაზათიანად შეეკურთხებინა მათთვის და ალალბედად დადგომოდა შუა გზას.

დაახლოებით შუა გზაზე მას ორი ქალიშვილი და ერთი ვაჟი შემოხვდა. იქნებ ამათ შეუძლიათ მიშველონო, და შეეკითხა, ხომ არ გინახავთო ჩემი ცოლი. ისინი დაინტერესდნენ, თუ როგორი გარეგნობისა არის იგი. რა იცოდა ჰერისმა იმდენი ჰოლანდიური, რომ წესიერად აეწერა ცოლის გარეგნობა. მხოლოდ იმის თქმა მოახერხა, რომ მისი ცოლი ლამაზი და საშუალო ტანის ქალია. რა თქმა უნდა, ეს ზოგადი აღწერა საკმაო არ იყო. ასე ხომ ყველა კაცს შეუძლია სხვისი ცოლი მიითვისოს! შემდეგ ჰკითხეს, რა ეცვა მის ცოლს. ქვეყანაც რომ დაქცეულიყო, ჰერისი ამას ვერ მოიგონებდა. ვინ აგიწერთ ქალის ჩაცმულობას, რომელსაც უკვე ათი წუთია, რაც დაშორდა!

ჰერისმა ძლივძლიობით მოიგონა ლურჯი ქვედაკაბა, შემდეგ კიდევ რაღაც, რომელიც კისრამდე ხწვდებოდა. შეიძლება ის კოფთა იყო. რაღაც ქამრის მსგავსიც ახსოვდა. ნეტა კოფთა რა ფერის იყო — მწვანე, ლურჯი თუ ყვითელი? საყელო ჰქონდა თუ ბაფთით იკვრებოდა? ქუდზე ფრთა ჰქონდა დამაგრებული თუ ყვავილები, ან საერთოდ ეხურა კი ქუდი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამდენის თქმა ჰერისმა ვეღარ გაბედა. შეცდომის დაშვება სახიფათო იყო: ამათაც არ მოეშორებინათ ის თავიდან!

გოგონებს გაეცინათ. ჰერისს ნერვები აეშალა. ახალგაზრდას კი ერთი სული ჰქონდა, როდის მოიშორებდა მას თავიდან. ამიტომ მახლობელი ქალაქის პოლიციაში წასვლა ურჩია. ჰერისიც ასე მოიქცა.

პოლიციაში მას რაღაც ქაღალდი მისცეს და უთხრეს სრულად აღეწერა მისი ცოლის გარეგნობა, თან დაწვრილებით მიეთითებინა სად და როგორ დაკარგა ის.

რა იცოდა ჰერისმა, სად დაკარგა ცოლი. ერთადერთი, რაც მას შეეძლო ეცნობებინა პოლიციისათვის, იმ სოფლის სახელი იყო, სადაც ისაუზმეს. ჰერისს ისიც ნამდვილად ახსოვდა, რომ იქ ცოლიც ახლდა თან.

პოლიციაში კი უკვე ორჭოფობა დაეტყოთ. მათ სამ რამეში ეპარებოდათ ეჭვი: პირველი — ნამდვილად თუ იყო ის ქალი მისი ცოლი; მეორე — ნამდვილად დაკარგა მან ის თუ არა; მესამე — რატომ მაინცდამაინც დაკარგა ის.

ეს შეკითხვები ჰერისს ერთმა სასტუმროს პატრონმა განუმარტა, რომელიც თვითონაც ძლივს ახერხებდა ინგლისურად ლაპარაკს.

ამოქმედდა პოლიცია და იმავე საღამოს ჰერისს პოლიციის კარეტით წარუდგინეს ცოლი და მის ძებნაში დახარჯული თანხების სია.

შეხვედრა, მოგეხსენებათ, უნაზესი არ იქნებოდა. მისის ჰერისი არ გახლდათ კარგი მსახიობი, ვერასოდეს ფარავდა თავის გრძნობებს და ამჯერად კი, როგორც თვითონ გულახდილად იტყვის ხოლმე, არც უცდია მათი დაფარვა.

ინგლისურიდან თარგმნა **მინიკო ჩიჯავაძემ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამ მიცკევიჩი

ძალლი და მგელი

ლაფონტენის მიხედვით

მეტად გამხდარი, უილაჯო ძვალტყავა მგელი,
შებინდების ჟამს უგზოუკვლოდ ლასლასით მსვლელი,
მის ბრწყინვალებას — მსაჯულის ძაღლს გზად შეეფეთა,
ზორბა ბერნადინს, დიდ მუცლიანს და მსუქანს მეტად.
ტანზე ბეწვები უბრწყინავდა თვალის მომჭრელი,
მუხლზე სწვდებოდა დაშვებული ღიღაბი სქელი.
— ჩემო ნათლიავ, უმდაბლესი სალამი წრფელი,
თქვენს უნახავად გავატარე რამდენი წელი!
პატარა ლეკვი ვით გაზრდილხარ, გამხდარხარ დიდი,
როგორ ბრძანდებით, თქვენი საქმე ხომ კარგად მიდის?
— არა მიშავს-რა! — ძაღლმა უთხრა
კუდის შერხევით.
— ოჰ, ზედ გეტყობა, შენსავ ტყავში ვეღარ ეტევი!
ვიშ, რა შუბლი გაქვს, რარიგ მკვრივი, მაგარი, სწორი,
დიდი მუცელი — ქონით სავსე, ქეჩო როგორი!
დიახ, მუცელი საოცარი... დე, გავხდე წერა
მშიერ ძაღლების, თუ მენახოს ჯერ მთა და ველად
ასე ვეება მუცლიანი მსუქანი ღორი!
— კარგია, მასხრობ, მაგრამ ნუთუ არ ხარ მსურველი
ჩემებრ იცხოვრო, გაისუქო შენაც მუცელი?
— როგორ თუ არ მსურს!
— მაშ, თუ გინდა ბედი იპოვო,
ტყეები, მთები სჯობს ეშმაკებს რომ დაუტოვო,
მინდვრად ხეტიალს სამუდამოდ ანებე თავი,
მოდი ხალხთან და ემსახურე, მათთან იყავი!
— კი, მაგრამ რა ვქნა, რა სამსახურს მოვკიდო ხელი?
— როგორ თუ რა ჰქნა! რა ბავშვი ხარ გამოუცდელი!
იყავი შენთვის, დიდ ჯაფასაც არვინ გავალებს,
ეზო-მიდამოს უდარაჯე და უთვალთვალე,
ყეფით ამხილე სტუმრის მოსვლა; იყავი ფრთხილი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთხოვარს ეძგერე, ებრაელსაც გაჰკარი კბილი.
გახსოვდეს ბატონს ელაქუცე, არ ჰკადრო ავი,
მსახურთ წინაშეც კუდის ქნევით დაჰხარე თავი.
ასე თუ იზამ, შენი საქმე არ წავა ცუდად,
მათგან ძვირფასი საჩუქრები გექნება მუდამ:
პურის ნამუსრი, ძვლების გროვა, სხვაც ბევრი რამე.
იცხოვრე ასე არხეინად, ჭამე და ჭამე!
მგელი ისმენდა ნათქვამს პირით, ცხვირით და ყურით,
სიტყვებს ყლაპავდა ხარბი მადით ნერწყვმორეული.
წარმოიდგინა ახალ ყოფის სისავსე სრული,
იგრძნო ჰაერში მსუქან კერძის საამო სუნი
და ძაღლს შეხედა: — ეს რა არის, რას გიგავს ყელი?
— სისულელეა!
— მაინც რაა!
— აი, წუხელის
ჯაჭვი მეკიდა და მეტყობა იმისი კვალი.
ღამით მაბამენ, რომ მტერს ფხიზლად ვადევნო თვალი.
— მაშ, მართალს ამბობ? გვიან მითხარ, რაც მთავარია!
— რა, არ დარჩები?
— არა, ძმაო, არა მცალია!
მე მირჩევნია თავისუფლად ნაპოვნი ლუკმა,
ვიდრე განცხრომა მონობაში და გდება უქმად. —
თქვა და მოჰკურცხლა, მყის განშორდა ტყესა და ღრესა,
და გარბის დღესაც!

თარგმნა **ხარიტონ ვარდოშვილმა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ჩავლეიშვილი

საუბრები იოსებ გრიშაშვილთან

დიდებული ადგილია ბორჯომი, წარმტაცი ბუნება, განთქმული მინერალური წყალი, მშვენიერი სასტუმრო, მიდით და დაისვენეთ! აქ შეხვდებით სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს. საუბრობენ ნაცნობები და ახალგაცნობილები. ბევრ საინტერესოსა და სასარგებლოს მოისმენს კაცი.

დასვენების დროს ბორჯომში ხშირად ვხვდებოდი პოეტ-აკადემიკოს იოსებ გრიშაშვილს. მასთან საუბარს ვიწერდი რამდენიმე წლის განმავლობაში. ჩვეულებრივად ასეთ ჩანაწერებს ავტორის სიცოცხლეში არ აქვეყნებენ, რაც ზოგჯერ ერთგვარ გაუგებრობას ქმნის, რადგან მათში შემდეგ ისეთი რამეც აღმოჩნდება, რაც სინამდვილეს არ შეეფერება.

ვაქვეყნებთ რა ი. გრიშაშვილთან რამდენიმე საუბრის ჩანაწერს, დე, თვით პოეტმა განსაჯოს და, თუ რამე არასწორადაა გადმოცემული, გაგვისწოროს.

1.

აგვისტოს მზიანი დღეა. დილის 10 საათი იქნება. პოეტი ი. გრიშაშვილი სასტუმროს წინ მდინარის პირას დამდგარა და წყალს ჩაჰყურებს. ერთ ხელში პური უჭირავს, მეორეში კი ჟურნალ-გაზეთები. ერთხანს იდგა ღრმად ჩაფიქრებული. ხელი არ შემიშლია. როდესაც წამოსვლა დაიპირა, მივუახლოვდი, მივესალმე და ვუთხარი: რაიმე ახალ ნაწარმოებს ხომ არ ქმნიდითმეთქი. — არა! — მიპასუხა მან. ყურს ვუგდებდი ბორჯომელას ჩხრიალს. ერთ დროს ჩვენი დიდი აკაკი გაუტაცნია მას:

ჩემი გასართობი მხოლოდ
არის შავი ბორჯომელა,
მის ჩუხჩუხზე ნაპირ-ნაპირ
რომ ავჰყვები ნელა-ნელა.
მივალ, სადაც მას შეერთვის
ჩახრუხა და ჩახრიალა.
თითქოს ციდან გადმონაქანს
თან მოჰქონდესთ შნო და ძალა...

— მართლაც საინტერესო ლექსია, — დავძინე მე, — ბორჯომელამ და ჩანჩქერმა აკაკის მოაგონა საქართველოს სიძლიერე წარსულში, სამწუხარო აწმყო და ამასთანავე მაინც გამოთქვა მომავლის რწმენა და მოწოდება:

ახლა უნდა მიშველება,
ეჭირვება ხსნა და შველა!
აი რას მღერს მოჩუხჩუხე
შავი წყალი, ბორჯომელა.

ასე დაამთავრა აკაკიმ ეს ლექსი. დღეს ნაშველი და ხსნილია აკაკის ტურფა საქართველო. მწერლები ახლა უმღერიან ამ განახლებულ სამშობლოს და მის ოქროადამიანებს. — ეს მართლაც ასეა.—თქვა იოსებმა.—დიდი ილიასი არ იყოს, პოეზია სწორედ რომ უცნაური მადლია. მწერალი მუდამ ქვეყნისა და ადამიანების ბედით არის დაინტერესებული, უადამიანო ლიტერატურა შეუძლებელია. რაზედაც არ უნდა წერდეს მწერალი, ყოველთვის მისი ჩანგი შეუგნებლად თუ შეგნებულად ადამიანთა ურთიერთობას აქცევს მთავარ ყურადღებას. ზღვაზე წერს, თუ ჩხიკვებზე და შვლის ნუკრზე, საბოლოოდ მაინც ადამიანთა ბედით არის დაინტერესებული, პირდაპირ თუ არაპირდაპირ მუდამ ადამიანურს გვაგონებს.

— სრული სიმართლეა! ეს რომ ასე არ ყოფილიყო, — ჩავურთე მე, — მცენარეებსა და ცხოველებზე დაწერილი ვაჟას ნაწარმოებები ბოტანიკისა და ზოოლოგიის ობიექტი იქნებოდა და არა ხელოვნებისა.

მგონი იოსებს ეს აზრი მოეწონა და დასტურის ნიშნად პურიანი ხელი ასწია. მე ეუთხარი პურს წამოგიღებ-მეთქი და წავიწიე გამოსართმევად, მან კი ნება არ დამრთო და მითხრა:

— მე უნდა წამოვიღო. მიხარია ხოლმე, როცა რამეს ვაკეთებ. მიყვარს ბაზარში წასვლა სანოვაგისათვის და ასე წამოღება: ერთ ხელში

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულის საზრდო მიჭირავს, ძეორეში—კუჭის. ბაზარში ადრე დილას მივდივარ, სახლში კი გვიან ვბრუნდები, ზოგჯერ იმდენად გვიან, რომ სადილი უკვე მზად უნდა იყოს. ამის მიზეზი ის არის, რომ აუცილებლად წიგნების მაღაზიაში უნდა შევიარო. ვიქექები ბუკინისტებთანაც. დაგვიანების გამო ცოლი მესაყვედურება: წიგნის საყიდლად სხვა დროს წადი, თუ სანოვაგე მოგაქვს, მოიტანე და ამ დროს თავი დაანებე სახელგამის მაღაზიებსო. მე კი ვეუბნები:

— დაანებე შენ თავი პაპიროსის წევას და მეც დავანებებ თავს ბაზარში წასვლის დროს წიგნების ყიდვას.

— თქვენი მეუღლე პაპიროსს ეწევა?

— ძალიან ბევრს! მომღერალია. ქეთევან ჯაფარიძე, გაგეგონებათ!

— როგორ არა! სახელგანთქმული მომღერალია.

— ჰოდა, ძალზე ვნებს ნიკოტინი, არ ვიცი რა ვუშველო!

ამ დროს სასტუმროს კიბეს მივუახლოვდით, ზევიდან მსახიობი სესილია თაყაიშვილი ჩამოდიოდა. გაიმართა მათ შორის საუბარი. წასვლისას სესილიამ იოსებს ლოყაზე თითები მოუცაცუნა და უთხრა:

უჰ, მე შენი სული ვჭამე,
იოსებ-ჯან არ შაგციოდეს!

იოსებს გაეცინა და თქვა: ალბათ, ახალგაზრდა გოგონას როლი აქვს დაკისრებული და ჩემთან ვარჯიშობს. ახირებული ხალხია ეს მსახიობები. აქ მომაგონა თავისი „ქალი მსახიობი“, რომლის რეფრენი ასე ბოლოვდება: „მაგრამ თურმე მსახიობი ცხოვრებაშიც მსახიობდა“.

დაშორებისას იოსებმა მითხრა: შემოიარეთ ხოლმე ჩვენთან, აქვე ვცხოვრობ მეორე სართულზე, ოთახის ნომერი არ მახსოვს და არც ვიმახსოვრებ. ოთახის კარს ზემოთ მინას გაზეთი ავაფარე, რომ დერეფნიდან ღამე ელნათურის სხივი არ შემოსულიყო, სინათლეზე ვერ ვიძინებ. ასეთი ოთახი რომ შეამჩნიოთ, ის იქნება ჩემი ბინა და გთხოვთ მოხვიდეთ. მადლობა მოვახსენე, მაგრამ ბინაში კი არასოდეს ვწვევივარ. ვერიდებოდი, ვშიშობდი დასვენების ძვირფასი დრო არ წამერთმია. შემიმჩნევია, რომ ბინიდან გამოსული ოდნავადაც ვერ ისვენებდა, რადგან აუარებელი ნაცნობი ხვდება, მასთან თითქმის ყველა მიდის, ყველას გატაცებით ელაპარაკება. საერთოდ საუბრის დიდი მოყვარულია. დაუჯდომლადაც კი საათობით შეუძლია ილაპარაკოს. ერთხელ აბაზანის მისაღებად წავიდა დილის 9 საათზე და ორასი ნაბიჯით დაშორებულ აბანოსთან მისვლამდე 3 საათი გავიდა. იქ რომ მივიდა, მისი რიგი გასული იყო და როცა უთხრეს, სამი საათი დაგაგვიანდათო, თქვა: გზაზე რაღაც ორ-სამ კაცს გაველაპარაკე, განა ამდენი დრო გავიდაო და უკან ბრუნდებოდა, მაგრამ გრიშაშვილობამ უშველა და რიგს გარეშე რიგიანი აბაზანა მიიღო.

2.

როგორც აღვნიშნე, იოსებთან ხშირად მოდიოდნენ ნაცნობები და ზოგჯერ მისი სხვებთან საუბრის მოწმეც ვხდებოდი. ერთხელ, მაგალითად, პოეტთან მოვიდა ახალგაზრდა ნაცნობი ქალი, რომელსაც ათი წლის ვაჟი ახლდა. იოსებმა ბიჭს აკოცა და დედას უთხრა:

— ეს ბავშვი თქვენი შემოქმედებაა?

— დიახ! ეს ბიჭი ჩემი შემოქმედებაა, რომელიც თქვენი შემოქმედებით არის გატაცებული.

— აბა, დამიმტკიცოს!

დედამ ბავშვს უთხრა: „ეს არის პოეტი სოსო გრიშაშვილი, რომლის ლექსები გიტაცებს და ზეპირად სწავლობ. აბა, ერთი მისი ლექსი თქვიძია სოსოს გაუხარდება“. ბავშვმა მართლაც იშვიათი გამომეტყველებით წარმოთქვა პოეტის ცნობილი ლექსი „პიონერის ნატვრა“. სოსო აღტაცებით შეჰყურებდა და, როდესაც ბავშვმა ლექსის ბოლო ტაეპი წარმოთქვა:

ჩემი ოცნება ერთია —
სწავლაში ვიყო პირველი!..

პოეტს თვალები გაუბრწყინდა და თქვა: ბავშვები ჩვენი ცხოვრების ყვავილები არიან. ყოველთვის ხალისით მივდივარ მათთან შეხვედრაზე, მახარებს მათი სიტყვების მოსმენა, რადგან ბავშვების გრძნობა და აზრები უშუალო, ყველაზე გულწრფელი, უანგარო და მოუსყიდველია.

3.

ერთ-ერთი შეხვედრის დროს იოსებს ვკითხე: თქვენს ლექსში „ჩემი აღმართი“ არის ორი ასეთი ტაეპი:

შენ რიოში ხარ, როგორც სადიხა,
და ჩვენს სიყვარულს არ უხდი ღალას.

თუ თქვენ სადიხად გულისხმობთ აღმაჰმადხანის მკვლელ სადიხას, მაშინ, როგორ უნდა გავიგოთ მთელი გამოთქმა?

— ძველ ქართულში,—თქვა იოსებმა,—რიოში ნიშნავს „ყალბ მარგალიტს“ და ჩემი სატრფო ამ შემთხვევაში შევადარე ყალბ სადიხას.

— შეიძლება კი სადიხას ყალბი მარგალიტი ეწოდოს? თუ მას ჩვენი ქვეყნის მოსისხლე მტერი მოუკლავს, ეს კარგად ახასიათებს მას და არა ყალბად, ამიტომ თქვენი შედარება აზრობრივად არ უნდა იყოს გამართლებული.

— სადიხას იმიტომ ვუწოდე ყალბი და შერყვნილი, რომ მან მიპარვით, ღალატით მოჰკლა აღმაჰმადხანი. ასე მიპარვით მოკვლა კი ვერ არის სასახელო. სიკვდილიც პირდაპირი და ვაჟკაცური უნდა იყოს. ამგვარი გაგებით შედარება გამართლებულად მიმაჩნია.

4.

დილის 10 საათია. სასტუმროს წინ იოსები დავინახე, ხელში პირსახოცი უჭირავს და აბაზა-

ნის მისაღებად მიდის. მივესალმე, ჩემი ქალიშვილი გავაცანი.

— სწავლობს? — მკითხა იოსებმა.

— სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ქიმიის ფაკულტეტზე, ლიტერატორობა არ ისურვა!

— რას გააწყობ! ყველას თავისი მისწრაფება აქვს, აი, მაგალითად, მე, პატარაობისას სულ იმაზე ვფიქრობდი, რომ „იზბოშჩიკი" გავმხდარიყავი, ოცნებობდი მყოლოდა კარგი ცხენები და ეტლი, გრძელი მათრახი, წვერი მოშვებული, და გამერეკა ცხენები. ეს იყო ჩემი იდეალი, მწერალი კი გამოვედი!

— ალბათ, წიგნი გიყვარდათ.

— პატარაობიდანვე დამჩემდა წიგნისადმი მისწრაფება. „მიყვარდა კითხვა... წიგნს ვსახავდი მე თვალისჩინად, მიყვარდა კითხვა და ამ კითხვამ გადამარჩინა", ზეპირად ჩაურთო მწერალმა ეს სტროფი და იქვე დასძინა: გამუდმებით ვკითხულობდი, მაგრამ სასწავლებელი მაინც ვერ დავამთავრე, ზოგჯერ კლასში ჩავრჩენილვარ ზოლმე, და ეს არა იმიტომ, რომ სწავლის ნიჭი და უნარი არ მქონდა, არამედ იმიტომ, რომ სახლში ჭკუის მასწავლებელი, მოცემული გაკვეთილის ამხსნელი და დამრიგებელი არავინ მყავდა. მასწავლებელი რომ გაკვეთილს აგვიხსნიდა, მე იმას სახლში უმეტესად არ ვსწავლობდი, რადგან თავზე არავინ მადგა: მამა ადრე მომიკვდა, დედა გამითხოვდა და დავრჩი ობლად, მარტოდ. ვიყავი ერთ პატარა ოთახში უპატრონოდ. საგნებს შორის ყველაზე მეტად ანგარიში მეჯავრებოდა და არც ახლა ვიცი მისი რამე. არც კი ვკითხულობ რამდენი ჰონორარი მერგება და როგორ გაიანგარიშეს ის. რასაც მაძლევენ, ვიყრი ჯიბეში, ალალი იყოს! ვინ იცის: იქნებ მე გადავაყოლე, ან მათ გადმომაყოლეს. ახალგაზრდობაში ყველაზე მეტად მხატვრულ ლიტერატურას და ჰუმანიტარულ-მეცნიერული შინაარსის წიგნებს ვეტანებოდი, ყოველდღიურად მათ ვაგროვებდი. წიგნების შეძენა რაღაც „ლოთობად" გადამექცა და დიდძალი წიგნები შევაგროვე, მაგრამ ხშირად ნაცნობ-მეგობრებს მიჰქონდათ და მეკარგებოდა. ამიტომ დავწერე ლექსი და ჩამოვკიდე ბიბლიოთეკის კარზე (ზეპირად თქვა ეს ლექსი. უნდა ითქვას, რომ ძალზე ბევრი ლექსი ახსოვს ზეპირად). ჩვენი ყურადღება მიიპყრო ლექსის ბოლო სტროფმა, სადაც ნათქვამია:

წიგნს შევწირე მე ოჯახი,
გამიჩინა გულს იარა,
მთხოვე რაც გსურს, მთხოვე რაც გსურს,
პერანგს მოგცემ, წიგნს კი არა!

— მაინტერესებს, თუ წიგნი რატომ მაინცდამაინც პერანგს დაუპირისპირეთ?

— იმიტომ, რომ პერანგი ყველაზე ახლოა ადამიანის გულთან, იგი უშუალოდ ეკვრის სხეულს. მას და ტანს შორის სხვა არაფერია. მაგრამ წიგნები პერანგზე ახლოა ჩემს გულთან. ამით მე გამოვხატე წიგნის სიახლოვე, უშუალობა და მისი დიდი მნიშვნელობა. ამიტომ არ მოგცემთ, მაგრამ მობრძანდით ჩემთან ბინაზე და რამდენიც გნებავთ, იმდენი იმეცადინეთ ჩემს ბიბლიოთეკაში:

მე ხომ, ძმაო, ხელს არ გიშლი,
არ გაკადრე სიტყვა მწვავე,
აი სახლი გრიშაშვილის —
დაჯექი და იმუშავე.

5.

ერთი შეხვედრის დროს პოეტს ვკითხე: თქვენ სიყვარულის მგოსანსაც გიწოდებენ. ბევრი ლექსი სატრფიალო ხასიათისაა და ყველა მათგანი ხომ არ არის დაკავშირებული რაიმე რომანტიულ თავგადასავალთან?

— ყველა ჩემი სატრფიალო ლექსი რომელიღაც კონკრეტულ მოვლენასთანაა დაკავშირებული: სიყვარული, სიძულვილი, ეჭვიანობა და ამგვარი გრძნობები, განცდები გადმოტანილია მათში. ერთხელ ერთ ქალს შევსტრფოდი, ძალზე მიყვარდა (მახლას! რა ლექსებს ვწერდი!). როგორც შეყვარებულებს სჩვევიათ, ხშირად ვიბუტტებოდით. მისი დაბადების დღეს (17 სექტემბერი) ყოველთვის ვესწრებოდი. ერთხელ იმის დღეობაზე გაბუტვის გამოისობით არ მივედი. იგი ცხოვრობდა გორაკზე. სახლის პირდაპირ ხე იდგა. ხშირად მიყრდნობილი ამ ხეს ვუცქერდი სატრფოს ფანჯარას (ალბათ, ამის გამო ხე გადახრილად გაიზარდა) და აი 17 სექტემბერსაც, რასაკვირველია, იქ ისევ იმ ხეს ავეტუზე და ჩუმჩუმად თვალს ვადევნებდი ვინ შედიოდა იმის სახლში. ეჭვი მკლავდა, რომ მის თაყვანისმცემლებს შორის მეც არ ვიყავი. ის ხე, ჩემი მესაიდუმლე, ახლაცა დგას გადახრილი ტანით. მას შემდეგ დიდი ხანი გავიდა. გეფიცებით, დღესაც რომ ჩავუვლი იმ ხეს, მოწიწებით ქუდს ვუხდი მას. ეს არის ჩემებური პოეტის რომანტიკა. თქვენ რაც გინდათ, ის დაარქვით!

6.

ერთხელ სოსო ჟურნალ-გაზეთების საყიდლად წავიდა და მეც წამიყოლია. ჟურნალი „დროშა" იყიდა (№ 7, 1960 წ.). გადაშალა და წამიკითხა მისი ახალი ლექსი „მოხუც სატრფოს:

გულში სევდამ დაივანა,
ძველებურად აღარ ბრწყინავ,
წელნაზი და თვალსხივანა,
შენ ასეთი იყავ წინათ!
მახსოვს — როდი დამიჯერე, —
ტრფობას გთხოვდი სანეტაროს,
მითხარ: „ლექსი დამიწერე"!
აი გიწერ, მაგრამ რა დროს?

გიხილე და დავრჩი სახტად...
სთქვი: სად გაქრა იგი ხანა,
მტკვრის ნაპირას ანჩისხატთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამართული არიფანა?
ცქრიალებდი, ნარნარებდი,
გიხდებოდა შარიშური,
მიწას ფეხს არ აკარებდი,
გიყურებდა ყველა შურით...
ნუ თუ დასჭკნა ასე მალე?
ასეთია ყველას ბოლო?
უ! სიბერევ გამეცალე,
არ მსურს ლექსი შეაჟრჟოლო!

მახსოვს კითხვის დროს თვითეულ ტაეპს თითს აყოლებდა და ყოველ სიტყვას ხმის ცახცახით წარმოთქვამდა. აქ მთლიანად იმიტომ მომყავს ეს ლექსი, რომ ამასთან დაკავშირებით პოეტმა საინტერესო აზრები გამოთქვა, რომელთა შორის, ჩემი შეხედულებით, მეტად საგულისხმო და საინტერესოა შემდეგი:

პოეტმა თქვა, ეს ლექსი კონკრეტულ ფაქტზე აღმოცენდა, იგი სინამდვილის ერთეულ მოვლენას შეეხებაო. მაგრამ, როგორც ჩანს, იგი არ ჩაკეტილა ამ ერთეულში, არ მიჯაჭვულა ამ კერძოზე. არამედ განზოგადებულა და ამგვარად წარმომდგარა როგორც საყოველთაო ტიპიური განცდა. არავისთვის არ იქნებოდა საინტერესო მხოლოდ იმის თქმა, რომ ერთი ჩემი ნაცნობი ლამაზი ქალი მოხუცდა და დაჭკნა. მე კი, ამ კერძოდან მივედი იმ ზოგად დასკვნამდე, რომ ყველა ადამიანს აშინებს ეს წარმავლობის სევდა: „სილამაზეა მხოლოდ ნიჭი ხორციელების და ვით ყვავილი, თავის დროზედ მსწრაფლად დაჭნების“ და ყველა ადამიანს ერთნაირად შეეხება ივი. სიბერეს ადამიანი ვერ გაექცევა და ამან არ შეიძლება ადამიანი არ ააღელვოს და არ დააღონოს. ამასთანავე ამ ლექსით მგონია მკითხველი იმასაც იგრძნობს, რომ ამ მოკვდაობის რამდენადმე დაძლევა რაღაცნაირად მაინც შეიძლება. პოეტი ამას მიაღწევს კარგი ლექსებით, თუ, რა თქმა უნდა, ლექსებს სიბერე არ შეეპარება, ამით მისი ავტორიც ხალხის ხსოვნაში დარჩება. ამიტომ არ მსურს სიბერემ „ლექსი შეაჟრჟოლოს“. ყველას შეუძლია თავისი საქმით რამდენადმე მაინც დატოვოს კვალი ხალხის ისტორიაში. ასე გადაიზარდა კერძო ზოგადში, ერთეული — საყოველთაოში. მე მგონია ამის გარეშე არ არსებობს ჭეშმარიტი პოეზია.

— ეს მოსაზრება თქვენ ლექსის დაწერამდე შეიმუშავეთ ცნებითი აზროვნების საშუალებით და შემდეგ განახორციელეთ სახეებით, თუ ლექსის დაწერის შემდეგ გააცნობიერეთ იგი?

— შემდეგ გავაცნობიერე! რასაკვირველია, როდესაც წერას შევუდგები, მსურს რაღაც ვუთხრა მკითხველს, მაგრამ ეს რაღაც მაშინ ყალიბდება და ფორმდება, როცა ვწერ და არა წინასწარ. რომ ვწერ, მაშინ არც კი ვიცი რა გამოვა, შემდეგ, დაწერილს რომ წავიკითხავ, ვნახავ: რაც მითქვამს, სწორედ ის არის, რაც უნდა თქმულიყო, ე. ი. როდესაც რამეს ვწერ, მე იმაზე კი არ ვფიქრობ, რომ რაიმე აზრი ან იდეა ჩავდო შიგ, არამედ ვწერ და შემდეგში გამოდის ეს იდეა და აზრი.

— ბატონო იოსებ! ეს ხომ იდეალისტური შეხედულებაა? განა შემოქმედების პროცესი არაცნობიერი აქტია?

— ასე კია და! რაც გინდათ, ის დაარქვით, მე სრულ სიმართლეს მოგახსენებთ.

— თქვენ ისე გამოგდით, როგორც აბრეშუმის ჭიას...

— მეტად კარგი შედარება მოიყვანეთ! სწორედ რომ პოეტი აბრეშუმის ჭიას ჰგავს. ჩემი შემოქმედების პროცესი მაგონებს იმ აბრეშუმის ჭიას, რომელიც პარკს ქსოვს. მან ხომ არ იცის, რომ პარკს ქსოვს? მას ეს პროცესი ხომ არ აქვს გაცნობიერებული? **ქსოვს იმიტომ, რომ არ შეუძლია არ მოქსოვოს.** იგი ინსტინქტურად მოქმედებს, მაგრამ მეტად სასარგებლო საქმეს აკეთებს. მწერალიც ასეა.

— ამაში არ შემიძლია დაგეთანხმოთ...

— წერის დროს იდეაზე არ ვფიქრობ. ჩემდა უნებურად, შეუმჩნევლად, წინასწარ განუზრახველად გამოდის იდეურად გამართული ლექსი. შეიძლება ეს არავინ დაიჯეროს, მაგრამ ეს ასეა და რა ვქნა! მერწმუნეთ!

— რა გაეწყობა! დე, ასე იყოს! მაგრამ მე მაინც არ მჯერა! მეც მერწმუნეთ!

7.

—პატივცემულო სოსო! როგორც ვიცი, თქვენ დაბადებული ხართ 1889 წლის 11 აპრილს ძველი სტილით, ე. ი. 23 აპრილს ახალი სტილით და ამიტომ თქვენი დაბადების 70 წლისთავი უნდა გამართულიყო მიმდინარე წლის აპრილში. რატომ გადადეს იგი სექტემბერ-ოქტომბრისათვის?

— მე გადავადებინე შემოდგომისათვის, რადგან მარტ-აპრილის დღეები იყო ჩვენი ეროვნული გლოვის დღეები გ. ტაბიძისა და შ. დადიანის გარდაცვალების გამო. ყველა მძიმედ განვიცდიდით ამ სამწუხარო მოვლენას. მაშინ ჩემი იუბილეს მოწყობა არ შეიძლებოდა.

— რას იტყვით თქვენს იუბილეზე, კმაყოფილი თუ ხართ?

— მადლობის მეტი რა მეთქმის! ხალხმა, მთავრობამ და პარტიამ დიდად დააფასეს ჩემი მცირე შრომა. მშვენიერი საიუბილეო ზეიმი მომიწყვეს, სახალხო მწერლის სახელი მომანიჭეს. მწერლისათვის ამაზე მაღალი ჯილდო არ არსებობს. დიდი ლენინი ამბობდა „ხელოვნება ხალხს ეკუთვნის“ და, ალბათ, ჩემი პატარა, მაგრამ გულწრფელი შემოქმედება, რამდენადმე ხალხის ინტერესებს ემსახურება, რაც ჩემთვის ძალზე სასიხარულოა და დიდი სტიმულის მომცემი შემდგომ მუშაობაში.

— სად მოეწყო თქვენი იუბილე „სენსაციურად?“

— ქუთაისში! რკინიგზის სადგურში ახალგაზრდებმა ამიტაცეს და ხელში აყვანილი ჩამატარეს სადგურის მრავალსაფეხურიან კიბეზე, შემდეგ ჩამსვეს ძველებურ ეტლში და ასე წამომიყვანეს, გზაზე ადამიანთა ორღობეში გამატარეს, ყველა მესალმებოდა. ეს იყო ჩემთვის მართლაც რაღაც საოცარი მოვლენა, რომელიც შუდამ მემახსოვრება... (აქ სოსოს თვალი ცრემლით დაენამა). მთელმა საზოგადოებრიობამ, ადგილობრივმა გაზეთმა, რედაქტორმა მეფისაშვილმა ძალიან პატივი მცეს. პოეტმა ქალმა რუთა ბეროძემ ქუთაისში ჩემი ყოველი ნაბიჯი მხატვრულად აღწერა. თბილისში რომ ჩამოვედი, რუთა ბეროძეს მადლობის ბარათი მივწერე (აქ იოსებმა ზეპირად თქვა ლექსი, რომელიც 24 ტაეპისაგან შედგება. მე მხოლოდ ორ სტროფს მოვიტან):

ქუთაისმა და ქუთათურ
ხალხის ხმამ ასე ინება:
ჩემი აყვანა ხელში და...
ეტლითაც გასეირნება!
იზრდება მამულიშვილთა
მემკვიდრე ახალგაზრდობა.
მოხუცის დატკბობისათვის
ჩემი ვაშა და მადლობა...

8.

— როგორ წერთ ლექსებს? — ვკითხე ერთხელ შეხვედრისას.

— ზოგჯერ წერის ჟინი მომიგლის და ერთი ამოსუნთქვით უცებ დავწერ ლექსს. შემდეგ ეს ლექსი ხუთი, ათი და ზოგჯერ ოცი დღის განმავლობაში დევს ხელუხლებლად. მერე მოვდგები როგორც რედაქტორი (ეს სიტყვა სამჯერ გაიმეორა) და ვაკვირდები მის იდეას, რიტმს, რითმას, ასე დავწურავ და შეიძლება 10 სტროფიდან 2-3 სტროფი დარჩეს საბოლოოდ. მაგალითად, ჩემი ლექსი „ჯამბულს“ პირველად 30 ტაეპიანი იყო, ეხლა 8 ტაეპისაგან შედგება. მინდოდა რაღაც ახალი, ორიგინალური რამე შეთქვა და ბოლოს მივაგენი: „მიყვარხარ, რომ შენ — ასი წლის კაცი, სოსო ჯუღაშვილს ეძახი მამას!“ ამით შევება ვიგრძენი, განვიცადე ესთეტიკური ტკბობა.

დიდ ყურადღებას ვაქცევ რითმებს. რითმა ყოველთვის ახალი და თავისებური უნდა იყოს. ლექსში მოულოდნელი, კარგი რითმა ქმნის მუსიკას. მე უმეტესად ვწერ ჯვარედინი რითმებით და შოთას შაირით, წინათ კი, განწყობის მიხედვით, ჩემებურ წყობასაც ვქმნიდი („სოსოს ვკითხე“, „ჩემი დედოფალი“, „სანთლების ხეივანში“ და სხვ.).

9.

— რას გაიხსენებდით აჭარასთან თქვენი ურთიერთობის ისტორიიდან? — ვკითხე პოეტს ერთი შეხვედრის დროს.

— განსაკუთრებით მიყვარს აჭარა, საქართველოს ეს სახელოვანი მხარე. ბათუმის მოწინავე ინტელიგენცია „საქველმოქმედო საღამოს“ ისე არ გამართავდა, რომ მე არ მიეწვიე. მეც დიდი ხალისით მივდიოდი იქ. აჭარლები ჩვენი ძმები არიან, რომლებმაც სამასი წელი თურქეთის ტყვეობაში გაატარეს, მაგრამ შეინარჩუნეს დედა ენა და ღირსეულად დაიცვეს ეროვნული ქართული დროშა.

მახსოვს, 1919 წელს ბათუმში ჩავედი და მონაწილეობა მივიღე ლიტერატურულ საღამოში. წავიკითხე ლექსი „ბათუმისთვის“, რომელიც მიმართული იყო ბათუმში ინგლისელი ინტერვენტების, კუკ-კოლისისა და მისი იმპერიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ. როგორ! ვფიქრობდი, ის არ კმაროდა, თურქეთმა ბათუმის ქართველებს ისლამის რჯული მიაღებინა, ახლა ვინმე კუკ-კოლისი ცდილობს ჩვენს გადაგვარებას? პატრიოტული ლექსი გამომივიდა. წავიკითხე ომახიანად. ლექსის წერის დროს გაზეთებში იყო, რომ იალბუზის მთა აფეთქდაო. ესეც გამოვიყენე ლექსში. საცენზურო პირობების გამო ეს ლექსი მაშინ არ დაბეჭდილა. იგი ფრანგულად თარგმნა პოეტმა ელისაბედ ორბელიანმა (1870-1942) და დაბეჭდა თავის ფრანგულ ჟურნალში (1919 წ. № 4), რომელიც თბილისში გამოდიოდა. აი ეს ლექსი, რომელიც ქართულად პირველად ქვეყნდება:

რა შურთ ჩვენი? რომ სამშობლოს სხვას არაკის ვედავებით,
რომ სხვა ერთა აზატ ჩონგურს ერთ ტკბილ სიმად ჩვენც ავებით,
რომ ვუსინჯავთ ყველა ერსა ხმას, სახის ფერს, კბილს თუ კილოს..
— და ამიტომ საქართველო განა უნდა გაიკილოს?
ღღეს ჩვენს ირგვლივ ბნელმა ძალამ დარაზმა და დაამზადა —
ყველა ჯურის მოღალატე, ვერაგი და ჰარამზადა, —
ყველა მეთქი! ვისაც გულში არ უღვივის წმინდა გრძნობა,
ვინც საკუთარ ტვინის ბოგირს ვერასოდეს დაეყრდნობა
და უნდათ, რომ საქართველო, — ეს პატარა ნატვრის თვალი, —
კვლავ გახადონ სხვისი მონა მორჩილი და შენამკრთალი.
არასოდეს! ვიდრე ზეცა არ შესწყვეტავს მზის ჩანჩქერებს,
ვიდრე მტკვარი თავის ბუტბუტს არ მოსპობს და შეაჩერებს,
ვიდრე ერთი ქართველიც კი სამშობლოსთვის ასე ზრუნავს —
არ მოჰკვდება საქართველო, მაინც ბრუნავს... მაინც ბრუნავს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

საქართველო კეთილია, უწყინარი, ჩუმი, წრფელი, —
მაგრამ თუ მის აზიზ სულში, აფათურეს ბილწი ხელი...
საქართველოს ყველა უყვარს, იგი ყველას შეიხიზნებს,
მაგრამ თუკი გველაძუებს ჩვენ შეუტყობთ გველურ მიზნებს:
ავზავთდებით ისე რისხვით, ისე მწვავედ, ღრმად, საგრძნობლად,
რომ მტერს ერთ კაცს არ გადურჩენთ მათი ამბის მოსათხრობლად!
არ იცით, რომ იალბუზი შემოსილი ყინვის ლოდით,
საიდანაც ცეცხლის ხორბლებს ჩვენ არასდროს მოველოდით —
დღეს აზვავდა, დღეს ცეცხლს ისვრის, დღეს ყინული დნება... ქრება...
და ყველაფერს, რაც ხელს უშლის, გადალეკვას ემუქრება!
ჩვენც აგრე ვართ! ჩვენს ზღვა გულში ჩუმი ცეცხლი ბუდობს ჯერე,
მაგრამ თუ კი გაგვახელეს? მაშინ, მტრებო, დაგვიჯერე,
რომ დავანთებთ ცეცხლის კოცონს, გავაჩაღებთ ცეცხლის რკალებს
და შიგ ჩავწვავთ ყველა ერის პოლიტიკურ მაჭანკალებს.
დე იცოდნენ სხვის სამშობლოს ჩვენ არასდროს შევეხებით
და ჩვენსასაც არ დაუთმობთ, რომ გაჰქელონ ტლანქ ფეხებით!

10.

— რას იტყვით ახალგაზრდა მწერლების შესახებ?

— ძალზე ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა მწერალი შემოემატა ჩვენს პოეზიას. მოდიან ახალი საიმედო კადრები, რაც ჩვენთვის ძალზე სასიხარულოა, ბარაქალა მათ! შეძლებისდაგვარად ყველას ვეხმარებოდი, ბევრი ახალგაზრდა პოეტის ნათლია ვყოფილვარ (მათი პირველი წიგნის რედაქტორი). ეს ჩვენი, ძველი თაობის ღვიძლი საქმეა, მაგრამ ამასთანავე გულს მტკენს ზოგიერთი ახალგაზრდა დამწყები მწერლის ქცევა და განწყობილება. შეხვდებით ისეთ ახალგაზრდა პოეტს, რომელიც ჰონორარის შეძენის მიზნით სტრიქონებს განგებ ამტვრევს, რომ ამით ჰონორარის რაოდენობა ხელოვნურად გადიდოს. ლექსის ტაეპი უნდა გატეხოს რიტმის სიმძიმემ და არა ჰონორარის ძალამ. ერთ ჭკვიან კაცს უთქვამს: ფული რომ მწერალს ქმნიდეს, როტშილდი შექსპირი იქნებოდაო. მე ჩემს ახალგაზრდობაში, ცარიზმის დროს, გასაბჭოებამდე ჩემს ნაწერებში არასოდეს არ მიმიღია ჰონორარი. ახლაც ძლიერ მეხამუშება იმ ლექსისათვის ფულის მიღება, სადაც ქალს სიყვარულს უცხადებს ვაჟი... სიყვარული და ფული? ამას წინათ ერთმა ჩემმა ნაცნობმა თავისი 12 წლის ვაჟი მომიყვანა: ერთი გადახედე ჩემი შვილის ლექსებსო, მითხრა. მე ვურჩიე ერთი ლექსის დაბეჭდვა ჟურნალ „დილაში". მერე ფულს მომცემენო, მკითხა ახალგაზრდამ. მე გავვოცდი!

ამასთანავე, ზოგიერთი დამწყები პოეტი ვერ იქცევა თავაზიანად (ნამეტნავად მაშინ, თუ ნაღვინევია). მაგალითად, შეხვდება რომელიმე მხცოვან მწერალს, მოურიდებლად მივა, შინაურულად დაჰკრავს მხარზე ხელს, შეანჯღრევს და ეტყვის: „სხვა? ჩვენო პოეტოჯან, როგორა ხარ, როგორა?" ჩემი ახალგაზრდობის დროს სხვაგვარად ვექცეოდით უფროსი თაობის მწერლებს. მაგალითად, როცა აკაკი წერეთელს დავინახავდი გოლოვინის პროსპექტზე, ღმერთკაცივით ტაატით მოსიარულეს, წინ როგორ გავუსწრებდი, დავინახავდი თუ არა, მეორე ტროტუარზე გადავიდოდი და შორიდან თავაზით შევცქეროდი...

11.

ერთხელ იოსებს შევეკითხე: „ჟაკტის" ბინაში რომ ცხოვრობთ, რატომ საკუთარი სახლი არ აიშენეთ?

— მე ლექსებს ვაშენებ და არა სახლებს. პოეტებს სულის ინჟინერი ტყუილად გვიწოდეს? მე სახლში მცხოვრებნი უფრო მაინტერესებს, ვიდრე თვით სახლი. ჩვენს დროში ბევრჯერ მქონდა შესაძლებლობა საკუთარი „სახლ-მუზეუმის" აშენებისა, მაგრამ არ მქონდა სურვილი მშენებლობისა, რადგან ხელისუფლებამ სრულად დააკმაყოფილა ჩემი საბინაო პირობები. ჩემი მამაპაპეული ხარფუხის ბინა კი (სადაც დავიბადე) შეაკეთა და ორი სართული დაამატა ქალაქის მთავრობამ...

ახლა იქ მოეწყო იოსების ბიბლიოთეკა და ეწოდება „გრიშაშვილის სახლ-მუზეუმი". იქ არის გადატანილი ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა, რომელიც პოეტმა უანდერძა ქართველ ერს და მფარველობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შოთა ქუჩიძე

ნამდვილი და ყალბი განძი

დიდი ინტერესით შეხვდა ჩვენი მკითხველი საზოგადოებრიობა დემნა შენგელაიას ახალ მოთხრობა-ამბავს „განძი". ეს ინტერესი სავსებით ბუნებრივი და კანონზომიერია, რამდენადაც დემნა შენგელაია ქართული პროზის საყოველთაოდ აღიარებული ოსტატია და არაერთი მშვენიერი ნაწარმოებით გაამდიდრა მშობლიური ლიტერატურა. ამჯერადაც მწერალმა არ გააწბილა მისი ნიჭის მოტრფიალენი და ერთხელ კიდევ გაახარა ისინი. უდავოა, რომ „განძი" ერთ-ერთ ფრიად საპატიო ადგილს დაიკავებს ჩვენს საბჭოთა პროზაში, როგორც ჭეშმარიტი ხელოვნების ნაწარმოები, როგორც მომწიფებული მხატვრული ოსტატობის მრავალმხრივ მისაბაძი ნიმუში.

ზოგადად თუ ვიტყვით, „განძის" ძირითადი თემაა ადამიანის დამოკიდებულება კერძო საკუთრებისადმი და ამის გამო შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ იგი არ გამოირჩევა სიახლით. მართლაც, აბა რომელ ქვეყანაში, რომელ ეპოქაში არ უწერიათ ამის შესახებ? ბურჟუაზიულ ლიტერატურას რომ თავი დავანებოთ, იგი იყო საბჭოთა მწერლობის ერთ-ერთი მთავარი და წამყვანი თემა ოცდაათიან წლებში, როცა ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობდა თავისი მასშტაბით მანამდე არნახული გრანდიოზული პროცესი ადამიანთა ფსიქოლოგიის, მათი ხასიათის მასობრივი გარდაქმნისა. მაგრამ საქმე ისაა, რომ ამ „მარადიულ" თემას დემნა შენგელაიამ შეხედა ახალი კუთხით, დღევანდელობის გათვალისწინებით და აღძრა არა მარტო ბურჟუაზიულ ლიტერატურაში სრულიად უცნობი და უჩვეულო, არამედ ოცდაათიანი წლების საბჭოთა ლიტერატურისთვისაც რამდენადმე უცხო პრობლემა.

ამ პრობლემის არსი ცხადი გახდება, თუ სწორად გავერკვევით „განძის" კონფლიქტში, რამაც, აქვე უნდა ითქვას, მნიშვნელოვანწილად განაპირობა ნაწარმოების წარმატება. მართალია, ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, თითქოს „განძის" კონფლიქტი ხელოვნური და არაცხოვრებისეულია, რამდენადაც ემყარება შემთხვევას — საულია ხომ სავსებით მოულოდნელად წააწყდა მიწაში დერგით ჩაფლულ ოქროებს? მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ აქ კონფლიქტს ქმნის არა თვით განძის აღმოჩენის ფაქტი, რაც თავისთავად არავითარ კოლიზიას არ შეიცავს, არამედ მისი შედეგი, ბაპოვნი განძისადმი დამოკიდებულება. განძს იპოვიდა საულია თუ უეცარი გამდიდრების სხვა შესაძლებლობის წინაშე აღმოჩნდებოდა, სულერთია, ამით მოთხრობის კონფლიქტის არსი არ შეიცვლებოდა, რადგან, როგორც უკვე ვთქვით, საულიას ტრაგედიას (და ნაწარმოების კონფლიქტსაც) ქმნის არა თვით განძი, არამედ ძისდამი დამოკიდებულება, საულიას არსებაში შემორჩენილი კერძო საკუთრების სიყვარული. ოქროებით სავსე დერგი საულიას კი არა, სხვა საბჭოთა მოქალაქეს რომ ენახა, თავისუფალს კაპიტალისტური შეგნების გადმონაშთებისაგან, თუნდაც საულიას მეუღლე ფუნდუს, მაშინ, ცხადია, არავითარი კონფლიქტი არ წარმოიშობოდა, რადგან იგი განძს უყოყმანოდ, დაუყოვნებლივ ჩააბარებდა სახელმწიფოს — მის კანონიერ მფლობელს.

მეორე მხრივ, ასევე სრულიად აშკარაა, რომ „განძის" კონფლიქტი შეუძლებელია წარმოიშვას კაპიტალისტურ ან სხვა რომელიმე ექსპლოატატორულ საზოგადოებაში, სადაც ყველაფერს კერძო საკუთრება განსაზღვრავს, სადაც ადამიანს აფასებენ არა პირადი ღირსების, არამედ დაგროვილი სიმდიდრის მიხედვით. სიმდიდრეს, ოქროს იქ შეუძლია სასწაულები მოახდინოს, ისე დიდია საკუთრების როლი და მნიშვნელობა. შესანიშნავად წერდა ამის თაობაზე დიდი ინგლისელი დრამატურგი უილიამ შექსპირი ტრაგედიაში „ტიმონ ათინელი".

ოქრო! ყვითელი ბრჭყვიალა ოქრო!
საკმარისია იგი რომ იქცეს
შავი თეთრად და გონჯი ლამაზად,
მრუდე სწორად და მხდალი გულადად,
მოხუცებული ყრმად, ახალგაზრდად
და სულმდაბალი კეთილშობილად....
საკურთხევლიდან ქურუმს გაიხმობს,
ავადმყოფს ბალიშს აცლის თავიდან,
დიახ... ცბიერი ყვითელი ოქრო
დასდებს აღთქმას და კიდეც დაარღვევს.
დაწყევლილს ლოცავს და გააღმერთებს
კეთროვანების სენით შეპყრობილს.
ქურდს აამაღლებს, მისცემს დიდ ხარისხს
და სენატორთან მიუჩენს ადგილს,
ქვრივს დიდიხნისას საქმროს უშოვის.

რაკი ოქრო, ფული ესოდენ ყოვლისშემძლეა, ადამიანებიც ყოველმხრივ ცდილობდნენ ხელთ ეგდოთ რაც შეიძლება მეტი სიმდიდრე და ამ გზით საზოგადოებრივი ძალა, რომელიც ფულს გააჩნია, ცალკეული პიროვნების, კერძო პირის კერძო ძალად ექციათ. შემთხვევითი როდია, რომ მთელი ბურჟუაზიული ლიტერატურა სავსეა ნაწარმოებებით, რომლებიც გვიჩვენებენ, თუ როგორ აღვივებს კაპიტალისტური სინამდვილე ადამიანებში მესაკუთრულ ფსიქოლოგიას, როგორ სპობს იგი მათში ყველა სხვა გრძნობას, გარდა მისწრაფებისა მოიხვეჭონ ოქრო და სიმდიდრე, თუნდაც ამისათვის გასრისონ სხვები. თავისთავად ცხადია, რომ ასეთი ფსიქოლოგიის, ასეთი „იდეებით“ გამსჭვალული ადამიანი, თუ საულიას მსგავსად შემთხვევით, ნოულოდნელად წაწყდება ოქროებით სავსე დერგს, დაუყოვნებლივ და უყოყმანოდ, ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე დაეუფლება მას. ან რატომ არ უნდა დაეუფლოს, როცა კაპიტალისტურ საზოგადოებაში მთავარია არა ის, თუ როგორ და რა გზით შეიძინე ქონება, არამედ ის, გაქვს თუ არა იგი.

მაგრამ ასე ვერ მოიქცეოდა საულია. ვერ მოიქცეოდა, რადგან იგი წლების მანძილზე განიცდიდა საბჭოთა საზოგადოების კეთილსასურველ გავლენას და მის შეგნებაში მტკიცედ მოიკიდა ფეხი საკუთრებისადმი ახალმა, სოციალისტურმა დამოკიდებულებამ. ამიტომ, თუ ერთი მხრივ ოქროს ბრჭყვიალმა საულიას თვალი მოსტაცა, კერძომესაკუთრული გრძნობები აუშალა და განაზრახვინა დაპატრონებოდა დოვლათს, რომელიც მას არ ეკუთვნოდა, მეორე მხრივ იცოდა, რომ ეს იქნებოდა აშკარა ქურდობა და, მაშასადამე, პატიოსანი ადამიანისათვის სავსებით მიუტევებელი საქციელი. და აი საულია მოულოდნელად, უნებლიეთ აღმოჩნდა ძნელი და რთული პრობლემის წინაშე — რა ექნა, რა ეღონა, დაუფლებოდა თუ არა ნაპოვნ განძს?

ერთი შეხედვით, საულიას ასეთი ყოყმანი უსაფუძვლოა, რამდენადაც იგი მოწინავე კოლმეურნეა, ბეჯითი და გამრჯე, რომელსაც არაერთხელ უსახელებია თავი პატრიოტული შრომით და „საერთო საქმეც თავის პირად საქმედ მიიჩნდა“, „კოლექტივის გამგეობის წინ გამოფენილ წითელ დაფას მისი სურათი ამიტომაც ამშვენებდა“. ოჯახშიც იგი მოსიყვარულე და მზრუნველი მეუღლე იყო, ანუ როგორც ფუნდუ ამბობს, „სულზე უტკბილესი კაცი“. მეზობლებსა და მთელ სოფელსაც უყვარდა ეს „მშრომელი, ხელმართალი და, ჭირსა და ლხინში ღმერთმა მოგცესო რომ იტყვიან, სწორედ ისეთი ყაძახი“. მარტო რკინიგზის დარაჯი, ფუნდუს გამზრდელი ოტია ვერ შეეთვისა მას და თავს შორს იჭერდა, სახლშიც კი არ ესტუმრა, რომ გაეგო „როგორ ცხოვრობდნენ და ოჯახი როგორ მოაწყვეს“ მისმა გაზრდილმა და საულიამ. მოხუცის ასეთი საქციელი აკვირვებდა საულიას: „ნეტავი ერთი აცოდინა, — ფიქრობდა იგი, — ამ გაუცინარ და კუშტ ბერიკაცს მისგან რა უნდოდა, ან ასე რისთვის ამოიჩემა“.

საულიას მთელი უბედურება ის იყო, რომ შრომის სიყვარულთან ერთად მას ბავშვობიდანვე ჩაუნერგეს კერძო საკუთრების სიყვარულიც და ამიტომ, როგორც ყოველი გლეხი, ისიც გაორებული აღმოჩნდა. ვიდრე ერთპიროვნული მეურნე იყო, მასში თითქოს ორი ადამიანი ცხოვრობდა: — ერთი გამრჯე, დაუზარებელი მშრომელი, ხოლო მეორე — კერძო მესაკუთრე, „ერთი მტკაველა მიწის გულისათვის კაცი კინაღამ რომ შემოაკვდა“. დრომ, ახალმა ყოფამ საულიას გაუღვივა და გაუძლიერა შრომის სიყვარული, სამაგიეროდ ჩაუკლა კერძომესაკუთრული გრძნობები და, ამრიგად, გაამთლიანა მისი პიროვნება. მაგრამ მოულოდნელად მასში აღმოჩნდა ბზარი — გამოირკვა, რომ ძველი, ჩამორჩენილი და დრომოჭმული საულიას შეგნებაში უკვალოდ კი არ გამქრალა, სადღაც ბნელ კუნჭულში მიმალულა და, როცა ხელსაყრელი პირობა შეექმნა, მაშინვე გამოცოცხლდა, თავი წამოყო და ზამთრის ძილისაგან ნაგვიანევად გაღვიძებული მაისის გველივით ასისინდა — დაისაკუთრე ნაპოვნი განძი და მისი ძალა შენს პირად ძალად აქციეო. ამის გამო ისევ განახლდა ბრძოლა ძველსა და ახალს შორის, თუმცა რამდენადმე განსხვავებული შინაარსით. თუ წინათ, ოცდაათიან წლებში, როცა საულია კოლმეურნე ხდებოდა, მის შეგნებაში ახალი იბრძოდა ძველის გასაძევებლად, ახლა, პირიქით, ძველი ცდილობდა განედევნა ახალი და დაებრუნებინა დაკარგული ადგილი, დაკარგული პოზიციები.

და აი მთელი სიმწვავით დგება პრობლემა: ვის მხარეზეა გამარჯვების პერსპექტივა ძველისა და ახლის განახლებულ ორთაბრძოლაში? ვის ეკუთვნის მომავალი? როგორია თვითონ ცხოვრების, სინამდვილის ტენდენცია? არსებითად ეს არის „განძის“ ძირითადი პრობლემა, რომელიც, აქვე უნდა ითქვას, დიდი მხატვრული ტაქტითა და დამაჯერებლობით გადაწყვიტა მწერალმა. ამაში რომ დავრწმუნდეთ, საკმარი-

სია თვალი გავადევნოთ საულიას განცდებს იმ დღიდან მოკიდებული, რაც ნადარბაზევთან შემთხვევით იპოვა ოქროებით სავსე დერგი.

ნაპოვნი განძის მითვისება რომ განიზრახა, საულიას წინაშე, ბუნებრივია, უპირველეს ყოვლისა წამოიჭრა კითხვა: რას მისცემდა იგი მას, რად უნდოდა ამდენი ოქრო? იმად, რომ „ამას იქით სულ არხეინად და უშრომლად იცხოვრებდა“. მაგრამ რას ნიშნავს არხეინად ცხოვრება? საულიას აზრით, ეს ისეთი მატერიალური უზრუნველყოფაა, როცა შეგიძლია შეიძინო ყველაფერი, რაც გსურს. მაინც რის შეძენა უნდოდა საულიას, რა აკლდა მას? ცოლს, საყვარელ ფუნდუს, ფიქრობდა იგი, „დედოფალსავით გამოვაწყობ... ჩიტის რძეს არ მივაკლებ. სახლსაც წამოვჭიმავ და მერე...“ მაგრამ ვიდრე „მერეს“ ჩამოთვლიდა, უცბად მიხვდა: „ეს ხომ ისედაც შეიძლებოდა? ამდენი ოქრო და ზინეთი ამას აბა რათ უნდოდა?“ მართლაც, სახლის მასალა უკვე ნალიის ქვეშ ეწყო გასაქარავად და შემოდგომაზე სამთვალიან ოდას მაღალ ბოკნებზე წამოდგამდა, ფულიც იმდენი ჰქონდა, რომ თამამად ეყოფოდა ფუნდუ „დედოფალსავით გამოეწყო“. მაშასადამე, არავითარი ეკონომიური აუცილებლობა საულიას არ აიძულებდა დაუფლებოდა განძს, რომელიც მას არ ეკუთვნოდა. მას ყველაფერი გააჩნდა, რაც ადამიანს ესაჭიროება ნორმალური ცხოვრებისათვის. მაშ რად დაეხარბა ოქროს? რად უნდოდა იგი? რატომ იკლავდნენ ადამიანები თავს სიმდიდრისა და ქონებისათვის?

საგულისხმოა, რომ საულიამ მიაგნო ძირითად მიზეზს, რაც ოქროს ფასს უკარგავდა და თითქმის უსარგებლოდ ხდიდა მისთვის. თუ წინათ, კაპიტალისტურ საზოგადოებაში, ოქრო კერპს წარმოადგენდა და სასწაულების ჩადენა შეეძლო, ახლა ასე აღარ არის, ახლა იგი უძლურია, როგორც მიხრწნილი, დაჩაჩანაკებული ლომი. უძლურია იმიტომ, რომ სოციალიზმის გამარჯვების შემდეგ ჩვენს ქვეყანაში აღარ არსებობს საწარმოო საშუალებათა კერძო საკუთრება და, მაშასადამე, ფულის მოქმედების არე უკიდურესად შეზღუდულია და მისი საზოგადოებრივი ძალა არ შეიძლება იქცეს ცალკეულ პიროვნებათა კერძო ძალად. თუ როკფელერები, მორგანები, დიუპონები და სხვა მილიარდერები ამერიკის შეერთებულ შტატებში თავიანთ ნებას კარნახობენ მთავრობასაც კი, ეს იმიტომ, რომ მათ ხელშია ფაბრიკები, ქარხნები, მაღაროები, რკინიგზები, წიაღისეული, მიწები, ტყე და ქვეყნის ყველა ეკონომიური სადავე. ამიტომ იქ ოქროს ფასი აქვს, ამიტომ იქ დოლარი ბატონობს და მას ყურმოჭრილ ყმასავით ემონებიან. მაგრამ ასე როდია სოციალისტურ საზოგადოებაში, სადაც საწარმოები, მიწები თუ სხვა სიმდიდრე ხალხის საერთო საკუთრებაა და არავის შეუძლია შეიძინოს ისინი, რაგინდ ბევრი ოქრო არ უნდა ჰქონდეს. მაშ რაღა ძალა აქვს ფულს? ფულით შეგიძლია დაიკმაყოფილო მხოლოდ ჩვეულებრივი ადამიანური მოთხოვნილებანი, და მეტი არაფერი. მისი შემწეობით ვერ შეძლებ გაბატონდ სხვებზე, ვერ შეძლებ შენი ნება უკარნახო სხვებს, ე. ი. ფულის ძალას ვერ აქცევ პირად ძალად. ამას მიხვდა და სწორედ ამან გააბოროტა საულია: „მიწა! რის მიწა, როცა ფასი სულ დაეკარგა, — ფიქრობდა იგი. — ეს ფული აბა რისთვის უნდა, თუ მიწას, მამულებს ვერ შეიძენს?“

მეორე მხრივ, საულიამ იცოდა, რომ ნაპოვნი განძი მას არ ეკუთვნოდა, იგი მთელი ხალხის, ქვეყნისა იყო და პირად საკუთრებად ვერ აქცევდა, თუ კი, რა თქმა უნდა, სინდისზე არ აიღებდა ხელს. ადამიანისა პირადად მხოლოდ ის არის, რაც საკუთარი ოფლით, საკუთარი შრომით მოუპოვებია. ყველა დანარჩენი ხალხისაა, ხალხს ეკუთვნის და ცალკე პიროვნებას მასთან რა ხელი აქვს? ის ოქრო, დერგში რომ ეწყო, ხომ მშრომელთა ნაოფლარია და რა უფლებით უნდა დაპატრონებოდა მას მარტო საულია? სულ სხვაა, ძველი დრო რომ იყოს! მაშინ ყველაფერი შენად ითვლებოდა, რასაც კი ხელთ მოიგდებდი. მაგრამ ახლა? ეს მაშინვე გაიფიქრა საულიამ, როგორც კი განძი იპოვა და მისი დასაკუთრება განიზრახა: „არა, ეს რა ჭკუაში მოუვიდა,—ეკამათებოდა იგი თავის თავს, — ამდენ დოვლათს, ქვეყნის სიმდიდრეს ასე ალა-ალად მარტო იმას ვინ სულელი დაანებებდა? ძველი დროება ხომ არ იყო, რომ ეს დერგი ამოეთხარა და შინ არხეინად მიეტანა“. სხვანაირად რომ ვთქვათ, საულია მიხვდა, მან იცოდა, რომ განძის დასაკუთრება, მისი მითვისება აშკარა დანაშაული იქნებოდა მთელი სოფლის, მთელი ხალხის წინაშე.

მიუხედავად ამისა, საულიას ფიქრადაც არ გაუვლია განძი დაუყოვნებლივ ჩაებარებინა მისი ერთადერთი კანონიერი მფლობელისათვის, ისე იყო გამსჭვალული მკვდრეთით აღდგენილი კერძომესაკუთრული მისწრაფებებით. იგი იტანჯებოდა იმის შეგნებით, რომ „ამდენი ქონების პატრონი“ იყო, მაგრამ არათუ ვერ გამოიყენებდა და ვერ მოიხმარდა მას, ვერც კი გაუმხელდა ვინმეს იგი მაქვსო. ასე გაუჩნდა საულიას ყველაზე დიდი საიდუმლო მთელი მისი ცხოვრების მანძილზე, გაუჩნდა და მოსვენება არ მისცა. ეს გასაგებიცაა. დიდი სიხარული აქვს თუ დიდი მწუხარება, ადამიანი ყოველთვის ისწრაფის ვინმეს გაუზიაროს იგი, გაუზიაროს და ამით შვება ჰპოვოს. მაგრამ საულია ასე ვერ მოიქცეოდა, იგი ვერავის ვერ გაენდობოდა. არა თუ ვერ გაენდობოდა, იმის გაფიქრებაც კი ელდას გვრიდა, რომ შეიძლებოდა უცაბედად სადმე რაიმე წამოსცდენოდა. მაშინ ხომ დაკარგავდა ამდენ ქონებას?! მართალია, ერთხელ განიზრახა, მოდი, ყველაფერს ისევ ჩემს მეუღლეს ვეტყვიო, რადგან „თანაგრძნობას და მეგობრობას ისევ ფუნდუ თუ გაუწევდა, მხარში

იმედად ისევ ის თუ ამოუდგებოდა“, მაგრამ ეს აზრი გაფიქრებისთანავე შიშით უარყო: „არა, არა, ვერც იმას ეტყვის — ქალი მაინც ქალია“. მაშ რა ექნა, რა ეღონა? და საულია „მიხვდა, რომ ის თავის დარდის ანაბარა ამიერიდან სულ მუდამ მარტო იქნებოდა“.

ერთი სიტყვით, ოქრომ, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, საულია განამარტოვა, მოწყვიტა, ჩამოაცილა სოფელს და მათ შორის ჩადგა როგორც გამთიშველი ძალა. სხვანაირად არც შეიძლებოდა, რადგან კერძო საკუთრება თიშავს ადამიანებს და ერთმანეთის მტრად აქცევს მათ. თავი წარმოიდგინა თუ არა ნაპოვნი განძის პატრონად, ე. ი. დიდ მესაკუთრედ, მდიდარ კაცად, საულიასაც მაშინვე დაეუფლა სხვა ადამიანების უნდობლობის გრძნობა და ყველაზე ისე გაუცუდდა გული, რომ „ცოლიც მოსისხლე მტრად ეჩვენებოდა“, ხოლო მის სანახავად მისულ მეზობლებს ფეხებში შესცქეროდა, „აქედან როდის წაეთრევაო“. მას მარტოობა უნდოდა და ამავე დროს სწორედ „ეს სიმარტოვე იყო, რომ აგიყებდა“.

ეს იმიტომ, რომ მარტოობა და უსაქმობა საულიასათვის ერთი და იგივე იყო. სახლში რომ ჩაიკეტა, თავისი საიდუმლოს ანაბარა რომ დარჩა, ცხადია, უქნარა გახდა. მაგრამ იგი ვერ ეგუებოდა თავის ახალ მდგომარეობას. წინათ ხომ მან არ იცოდა რა იყო მარტოობა, რა იყო უსაქმურობა და მხოლოდ შრომაში პოულობდა სიხარულს, ნამდვილ კმაყოფილებას, ახლა კი, მას შემდეგ, რაც განძი იპოვა, საულიამ უკვე იუკადრისა შრომა, მისთვის მან „არამცთუ ფასი, აზრიც დაჰკარგა და ახლა ცოლსაც შეუჩნდა, ამდენი ჯაფით წელს რად იწყვეტ, ისედაც დედოფალსავით გაცხოვრებო“. საბედნიეროდ, ქმრის ამ აბდა-უბდას ფუნდუ ყურს არ უგდებდა და ისევ ისე იკარგებოდა ჩაის საკრეფში და საულია მთელი დღე მარტო რჩებოდა. მაგრამ რა უნდა გაეკეთებინა შინ ამ ვეება, სისხლხორცით სავსე მკლავღონიერ ვაჟკაცს? და უსაქმობით გაბეზრებული, დრო რომ მოეკლა, საკარმიდამო ნაკვეთზე ჯახირობდა — ხან ბოსტანში მიწას ჩიჩქნიდა, ხან დობილოში ცოდვილობდა. ასეთი ჩირთიფირთი კი, ცხადია, ვერ აკმაყოფილებდა საულიას, იგი არ იყო ნამდვილი შრომა, უსაზღვრო კმაყოფილებას რომ გაგრძნობინებს. მერე გართობაც სცადა: „მამისეული ჯაზიერით ტყე-ღრეშიც ბევრი იწანწალა, ერთი ორჯერ იმ ყავრულა სასადილოშიც შეუხვია, მაგრამ არავის მისთვის არ ეცალა და ბაიყუშივით მარტო დარჩა“.

აბა ვინ მოიცლიდა ამ გახურებული მუშაობის დროს ნადირობასა და დროს ტარებაში მხარი აება უსაქმო საულიასათვის? არავინ, და საულიამ იგრძნო, რომ იგი უცხო და გადამთიელი გახდა, დაშორდა თავის ხალხს, ურომლისოდაც ყოფნა სულ უფრო და უფრო აუტანელი ხდებოდა. იგი ისეთი კაცი არ ყოფილა, რომ სოფელი, მეზობლები არად ჩაეგდო და მათგან განაპირებით თავი ობლად, მიუსაფრად არ უგრძნო. და რაც დრო გადიოდა, საულია მით უფრო რწმუნდებოდა, რომ ასე ყოფნა არ შეეძლო, რომ თავისი საქციელით ღალატობდა სოფელს, ღალატობდა ქვეყანას. „მისი დღე და მოსწრება უშრომია, ქვეყნის ჭირის და ლხინის მონაწილე ყოფილა და ეს რა გამოდის? ნამუსისაგან ისე გარეცხილა, რომ ამ გაგანია მუშაობის დროს მხარ-თეძოზე წამოწოლილა და ქვეყანას ატყუებს, ავად ვარო“.. ასე ეკამათებოდა საულია თავის თავს და გრძნობდა, რომ მის უკუღმა შეტრიალებულ ცხოვრებაში რაღაც უნდა შეეცვალა, რაღაც გარდატეხა უნდა შეეტანა, თორემ დაიღუპებოდა.

მაგრამ მაინც რა უნდა ეღონა? ყველაფერი ისე აიბურდ-დაიბურდა, რომ საულიას გაუჭირდა გაეგნო გზა, ხან ერთს ფიქრობდა და ხან მეორეს, ხან ეს არ უჯდებოდა ჭკუაში და ხან ის. ერთი რამ კი სულ უფრო ცხადი, ნათელი ხდებოდა: საულიას ცხოვრებას ურევდა „ვინ იცის სად და როგორ მოჭრილი ოქროები“. და მან ერთხელ კიდევ განჭვრიტა ყოველივე, რათა საბოლოოდ გადაეწყვიტა რა გზას დასდგომოდა, რა გაეკეთებინა, როგორ მოქცეოდა ნაპოვნ განძს — ჩაებარებინა იგი სახელმწიფოსათვის, თუ პირად საკუთრებად ექცია?

საულიასთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ამ კითხვის სწორად გადაჭრაში, როგორც მოსალოდნელი იყო, გადამწყვეტი როლი შეასრულა საბჭოთა გარემომ. ჩვენი სოციალისტური სინამდვილე ადამიანებს ხელს უწყობს დათრგუნონ საუკუნეთა მანძილზე გამომუშავებული ეგოისტურ-კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიის გადმონაშთები, უნერგავს მათ ახალი ადამიანის საუკეთესო თვისებებს, რომელთაგან უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია შრომის უღრმესი პატივისცემა და სიყვარული. კეთილსინდისიერი ადამიანი, რომელიც შრომაში ხედავს არა მარტო მატერიალური უზრუნველყოფის წყაროს, არამედ მთელი ქვეყნის წინსვლის პირობასაც და საკუთარი ადამიანური ღირსების, თავისი კაცობის საზომსაც, ვერ უღალატებს მას, ხელს ვერ აიღებს შრომაზე. და თუ რაიმე მიზეზით იგი პატიოსან შრომას თავს აარიდებს, აღრე თუ გვიან მისი სიყვარული კვლავ გაეღვიძება და ისევ დაუბრუნდება მას.

ზუსტად ეს აზრი განავითარა მოხუცმა ოტიამ ფუნდუსთან ერთ-ერთ საუბარში, როცა ცხოვრების გამოცდილებაზე დაყრდნობით მიუთითა, რომ საულიას მოულოდნელი ავადმყოფობისაგან განკურნავდა მხოლოდ ჩვენი გარემო, მხოლოდ ბავშვობიდანვე ჩანერგილი შრომის სიყვარული. „ნუ გეშინია, ბაბა! — ამშვიდებდა იგი შვილივით საყვარელ ფუნდუს. — შენ არ იცი, ბაბა, მე რომ აი, ამ რკინიგზას მომაშორონ... ღმერთმა ნუ ქნას და, ალბათ, გადავირევი. ისიც ასეა. ერთი მშრომელი ყაძახია და

უყანოდ რა გააძლებინებს? მოითმინე, ბაბა, ცოტაც მოითმინე და... მიწას დიდი ძალა აქვს, შვილო. მიწა გლეხისთვის დიდი რამეა. ერთხელაც იქნება დაუძახებს... და მიწა მოარჩენს".

აკი მართლაც დაუძახა და მოარჩინა! მოხუცი ოტიას თითქოს წინასწარმეტყველური სიტყვები საოცარი სიზუსტით ახდა. მუდამ შრომასა და გარჯას შეჩვეულ საულიას ძლიერ გაუჭირდა უსაქმობა და, თუმცა ოქროს სიყვარულმა ისე შებოჭა და დაიმორჩილა, როგორც ჯებირმა მდინარე, მაგრამ მისი სული და გული მაინც იქ იყო, ყანაში, სადაც მეზობლები, თანასოფლელები ვაჟკაცურად ებრძოდნენ ბუნებას და თან „ოდოიას" აგუგუნებდნენ. ეს გუგუნი გარკვევით ესმოდა საკუთარ ეზოში თავისი ნებით გამომწყვდეულ, თავისი მძიმე დარდის ანაბრად მიტოვებულ საულიას და შრომისაკენ მოუხმობდა, მეზობლებთან ძველი, უმჭიდროესი კავშირის აღდგენისაკენ მოუწოდებდა. ოცნებით იგი მათთან იყო, მათთან ერთად გაჰქონდა სვრელი და უკვე ამან, ოცნებით წარმოდგენილმა შრომამ, „საულიას ცოტათი მაინც გულს მიუფონა". მაგრამ ასეთი „მოფონება" აშკარად არ ყოფნიდა საულიას, გული ნამდვილი შრომისაკენ მიუწევდა და როცა გაიგო, ყანები თითქმის სულ გაუთოხნიათ, და გაუთოხნიათ უმისოდ, სახეზე მიწის ფერმა გადაურბინა: „მერე? — დაჭრილ მხეცივით დაიღრიალა. — მერე მე სად ვარ?"

ეს წამოძახილი, ეს გმინვა მიწის ყივილი, მიწის ძახილი იყო და მოწმობდა, რომ ოტიას სიტყვები ახდა. საულიაში კვლავ გაიღვიძა „ერთმა მშრომელმა ყაძახმა", რომლისთვისაც შრომა სიცოცხლე იყო, რომელიც ისევე ვერ გაძლებდა უმიწოდ და უშრომლად, როგორც თევზი უწყლოდ. მაგრამ საქმე მარტო ის კი არაა, რომ საულიას შრომა მოუნდა, როგორც დაჭრილს წყალი, არა. მას საშინლად შერცხვა თავისი უმსგავსი საქციელისა, შერცხვა, რომ გამოეთიშა მეზობლებს, რომ უღალატა და ატყუებდა მათ, ავად ვარო, რათა მუშაობისათვის თავი აერიდებინა. მაშასადამე, იგი უღირსი ადამიანი ყოფილა, მაშასადამე, მას ყველა ჯობდა, ვინც კი ყანაში თოხს ატრიალებდა და სარეველებს სპობდა. რაიღა დარჩა საულიას ძველი სახელისა და დიდებისაგან? რაიღა დარჩა მას თავმოსაწონებელი? ოქროებით სავსე დერგი? და იგი მიხვდა, რომ იმ „მთვარიან კამკაშა ღამეს ნადარბაზევის ნაძრახ ადგილას მშრომელი გლეხის სიამაყეს და ღირსებას როგორ გამოეთხოვა".

ეს სიამაყე, ეს ღირსება ნამდვილი განძი იყო, ჭეშმარიტად თავმოსაწონებელი, მისი ადამიანობის, კაცური კაცობის მაჩვენებელი. და სწორედ იგი დაკარგა საულიამ, სანაცვლოდ კი შეიძინა... ბრჭყვიალა ოქრო, ყალბი, არაფრის მაქნისი განძი, რომელსაც ვერც გამოაჩენდა და ვერც მოიხმარდა. მან სულიერი სიმშვიდე, მუდმივ ოჯახი და ადამიანური ღირსება წაართვა საულიას და ერთ დროს მთელ სოფელში მოწონებული, თითით საჩვენებელი კოლმეურნე, არარობად, ყველაზე უკანასკნელ კაცად აქცია, გადადა საზიზღარ მოღალატედ, რომელიც სწორედ მაშინ გამოეთიშა სოფელს, როცა მისი დახმარება ასე ესაჭიროებოდა — გაგანია მუშაობის დროს. არა, საულია ვერ შეურიგდებოდა თავისი ღირსებისა და სახელის ასეთ შერცხვენას, ლაფში ამოსვრას, ვერ შეურიგდებოდა და თავის მეზობლებს, თავის ძვირფას თანამოსაქმეებს მტკიცედ, გადაჭრით უთხრა:

„გიღალატეთ, ამ გაგანია მუშაობის დროს გიგანეთ, გიმტყუნეთ, არა?.. კმარა, მეყოფა, რაც გატყუეთ. ხვალ ყანაში მეც მოვდივარ და აბა ვნახოთ, ვინ მაჯობებს. თქვენ არ იცით... რა ვქნა, არც მე ვიცოდი... ორი კვირაა შინ ვაგდივარ და ახლა მივხვდი... თუ არ ვიშრომე, ოფლი არ ვღვარე, სული ძაღლსავით ამომხდება, ჩემი საშველი არ იქნება..."

თითქოს ყველაფერი გადაწყდა, თითქოს საულიამ საბოლოოდ დაძლია უეცრად აფეთქებული კერძომესაკუთრული გრძნობები, მაგრამ... ტრაგედია სწორედ მაშინ დატრიალდა, როცა იგი ყველაზე ნაკლებად იყო მოსალოდნელი, როცა ქარიშხალი ჩადგა და ცამ პირი მოიწმინდა. რამდენადაც უჩვეულო არ უნდა იყოს ეს, ტრაგედიის შესავლად იქცა სიზმარი, რომელიც საულიამ ნახა. სამუშაოდ წასვლის წინ. მას ეზმანა, ვითომც „თავისი" ოქროები ახალზე გადასახურდავებლად მიუტანა ოქრომჭედელს. „ამ დროს ვიღაცამ დაიძახა: „ქურდი, ქურდიო!" — და ამ ყვირილზე ხალხმა იხუვლა, ქვებით, კეტებით და ღრიანცელით დაედევნა". როცა გაეღვიძა, სიმწრის ოფლით დაცვარული საულია მიხვდა, რომ მანამ ვერ მოისვენებდა, სულერ სიმშვიდეს მანამ ვერ პოვებდა, ვიდრე ნაპოვნ განძს მის ნამდვილ პატრონს — სახელმწიფოს არ ჩააბარებდა. „რის ყანა? რა დროს ყანაა", — ეკამათებოდა თავის თავს იგი. — ახლა მე ვიცი რასაც ვიზამ. დღესვე მოვთხრი და თავის გზას ვუჩვენებ".

მერე ის იყო, იმის ნაცვლად, რომ სათოხარში წასულიყო, საულიამ „თავის" ოქროებს მიაკითხა ნადარბაზევის ნაძრახ ადგილას, რათა სამუდამოდ გამოთხოვებოდა მათ. მაგრამ ოქროს ბრჭყვიალმა კვლავ თვალი მოსჭრა, კვლავ გააღვიძა მასში კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიით გამსჭვალული მხეცი. საულიას საოცრად გაუჭირდა იმ აზრთან შეგუება, რომ ამდენი სიმდიდრე, ამდენი ქონება მისი იყო და არც იყო მისი, რომ იგი თავიდან უნდა მოეცილებინა როგორც უსარგებლო რამ. და როცა მოულოდნელად თავს ფუნდუ წაადგა, საულიამ მთელი ტანით დაფარა ნათხარი ადგილი, რათა არ გაეცა საიდუმლო, რასაც აგერ უკვე ორ კვირაზე მეტი იყო საგულდაგულოდ ინახავდა. ბოლოს, საყვარელ მეუღლეს სიტყვა რომ ჩამოართვა, არავის არაფერს ვეტყვიო, ვეება ტანით ერთბა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შად გადაიწია, ოქროები გამოაჩინა და შემზარავად დაიხრიალა: „აბა დახედე! ხედავ, რა მდიდრები ვართ?“

ამდენი ოქროს დანახვამ ფუნდუც შეაცბუნა, გააცა და წონასწორობიდან გამოიყვანა: „ეს რა არის? ნეტავი ვისი უნდა იყოს? უჰ, რამდენია!“ მერე დაიხარა, ოქროებს დააცქერდა და უეცრად ისიც შეიპყრო უცნაურმა გრძნობამ: „უჰ, რა კაბებს შევიკერავ, სახლს ავავსებ, რა გინდა, სულო და გულო, რომ ვიყიდი“. საულია, რომელსაც ისე არაფერი ესაჭიროებოდა, როგორც თანამგრძნობი, ზრახვათა თანაზიარი, ფუნდუს ქცევამ და სიტყვებმა აღაფრთოვანა და წარმოუდგენლად გაახარა. საულია უკვე ზეიმობდა გამარჯვებას, გულის ზიარი ვიშოვე, „მიერიდან მარტო არ ვიქნები და ეს ამდენი ოქრო და ქონება სულ ჩემია, ჩემი და ფუნდუსიო. „ჰოდა, იმიტომ გეუბნებოდი, დედოფალსავით გაცხოვრებო“, უსაზღვრო სიხარულითა და კმაყოფილებით უთხრა მან მეუღლეს და ისეთი გამოდებით, ისეთი თავმოწონებით დაუმატა, „აბა რა გეგონაო“, თითქოს ამდენი ოქრო მისი ოფლით ნაშოვარი იყო.

მაგრამ საულია შეცდა, სასტიკად შეცდა. ფუნდუ მხოლოდ წამით გაიტაცა უამრავი ოქროს ბრჭყვიალმა და ქმრის სიტყვებმა, „დედოფალსავით გაცხოვრებო“ ერთბაშად გონს მოიყვანა. იგი მიხვდა, რომ „ეს სიმდიდრე და ავლადიდება მისი კი არა, საქვეყნო იყო“ და საულიას მასთან ხელი არ ჰქონდა, ანდა რად უნდოდა ამდენი ქონება? და როცა ქმრის სიხარისაგან მოღრეცილ სახეს შეხედა, როცა მისი სიტყვები მოისმინა: „როგორ თუ ვისი უნდა იყოსო? ვისია და ჩვენია, ჩვენიო!“, ფუნდუ საბოლოოდ დარწმუნდა, თუ რა მაცდური და ბოროტი გზით სურდა წაეყვანა საულიას არა მარტო საკუთარი, არამედ მისი მომავალი ცხოვრებაც. საულიას უნდოდა მიეთვისებინა საერთო-სახალხო ქონება, რათა იოლად გამდიდრებულიყო, მაგრამ ვინ მისცა მას ამის უფლება? დაისაკუთრო სხვისი ქონება, თუნდაც ნაპოვნი, ეს ხომ იგივე ქურდობაა? ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ უღალატო მშობლიურ ხალხს, რომელმაც ადამიანური ცხოვრების ყველა აუცილებელი პირობა შეგიქმნა და დღენიადაგ ზრუნავს შენი კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის? ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ შენი პიროვნება კოლექტივზე მაღლა დააყენო, დაადგე იოლი გამდიდრების ბინძურ და ბოროტებით აღსავსე გზას? რად არ იცოდა საულიამ სრულიად უბრალო რამ: „ნაარმალი ვის შერგებია, რომ მას შერგებოდა?“

და ეს წყნარი, უთქმელი, ჭირთამთმენი ქალი ერთბაშად გარდაიქმნა და მთელი თავისი არსებით აღსდგა საულიას ბოროტი, უგნური განზრახის წინააღმდეგ. არა, იგი ვერ გაყვებოდა საულიას ამ გზით, ვერ გახდებოდა მისი დანაშაულებრივი მოქმედების თანამონაწილე. და პირველად თავის სიცოცხლეში უკმეხად მიმართა ქმარს, ბრაზით მიახალა მართალი, მაგრამ მწარე სიტყვები, რომელთა გაგონებას საულია სიკვდილს არჩევდა: „მაშ, ამას მთხოვდი? შე საცოდავო, ამან შეგშალა? ერთი მითხარი, ეს სხვისი ნაარმალი რა ოხრად გინდა?“ მართლაც, რა ოხრად უნდოდა? და უკვე გულდაჯერებულ, გამარჯვებასთან ასე ახლო მყოფ საულიას საბოლოოდ გადაეწურა იმედი, დაემსხვრა იოლი გამდიდრების ყველა ოცნება, ყველა ილუზია და ამით გაბოროტებულმა, „მთელ საწუთროზე გაავებულმა“, ასე რად არის, რად არ შემიძლია ნაპოვნი ოქროები გამოვაჩინო და მოვიხმაროო, ისევე როგორც ოდესღაც კარის მეზობელი ერთი მტკაველა მიწისათვის, სასიკვდილოდ გაიმეტა „თავისი წყნარი, უთქმელი ფუნდუ“. მარცხითა და მხილების შიშით გამხეცებულმა საულიამ საყვარელ მეუღლეს, რომლის ფასიც ქვეყანაზე არავინ ჰყავდა, მუცელში წიხლი გამეტებით ჩააზილა და ბელტებში იქვე ჩაანარცხა: „რაოო? ოქრო რათ მინდა? შენ ერთი ამას დამიხედე, ოქრო რათ მინდაო?“

აი სანამდე მიიყვანა ოქროს სიყვარულმა საულია! და როგორც კი გონს მოვიდა, გაოცებით შეეკითხა თავის თავს: „ეს რა ჩავიდინე?“ იგი საშინლად შეაძრწუნა თავისმა უღირსმა საქციელმა, რომელიც არათუ საბჭოთა ადამიანს, მოწინავე კოლმეურნეს, არამედ საერთოდ მამაკაცს არ შეეფერებოდა. „სად გაგონილა, უღონო ქალს ვაკაცი ხელით შეხებოდეს?“, სირცხვილით იწოდა საულია და შეძრწუნებული გოდებდა: „ვინ დამწყევლა? ვინ გამიმეტა?“ ამ კითხვის პასუხი ახლა უკვე სრულიად აშკარა, სავსებით ცხადი იყო. „ამან დამღუპა! ოჯახი ამან ამირია!“, — კვნესოდა საულია და ოქროებით სავსე დერგს დასცქეროდა. „ამან დამღუპა, ამან შემშალა!“, — მოთქვამდა იგი და, რაც უფრო ღრმად უკვირდებოდა თავის თავს, მით უფრო აცვიფრებდა როგორც ფუნდუს წინაშე ჩადენილი დანაშაული, ისე აქამდე მისთვის უცხო და საბჭოთა ადამიანის ღირსების შემლახველი მისწრაფებანი. „ეს რა მომდის? — გაკვირვებით ამბობდა იგი. — ცხოვრება, შრომა, სიყვარული მაშ რა ყოფილა? თუ ეს ასეა, მაშ კოლექტივში რა უნდოდა? წეღანაც აი აქ სიყვარულს ფუნდუს აბა რისთვის ეფიცებოდა?“ და საულია საკუთარი გამოცდილებით დარწმუნდა, რომ ოქრო მას სწორი გზიდან აცდენდა, უფსკრულისაკენ უბიძგებდა, დარწმუნდა, რომ ჩვენს ქვეყანაში ქონება და სიმდიდრე კი არა, მხოლოდ პატიოსანი, დაუზარებელი პატრიოტული შრომა ანიჭებს ადამიანს ჭეშმარიტ ბედნიერებას, ნამდვილი განძი ოქრო კი არა, კეთილი სახელი და ხალხის სიყვარულია. ამის შემდეგ მას ისღა დარჩენოდა, რომ ნაპოვნი განძი დაუყოვნებლივ ჩაებარებინა სახელმწიფოსათვის და ასეც მოიქცა — იგი მთლიანად, უდანაკლისოდ

გადასცა ხალხს, ერთი ოქრო რაა, ისიც კი არ დაიტოვა თავისთვის.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სახელმწიფოსათვის განძის ჩაბარების ეპიზოდი ერთი უმშვენიერესია მოთხრობაში და გვაოცებს თავისი ფსიქოლოგიური სიღრმით, უზადო მხატვრული შესრულებით. იგი ოქროს ჩაბარება-მიღების უბრალო აღწერა კი არა, ბრწყინვალე ფსიქოლოგიური ეტიუდია, რომელიც დიდი დამაჯერებლობით გვიჩვენებს არა მარტო იმას, რასაც საულია განიცდიდა ამ მომენტში, არამედ იმასაც ცხადყოფს, რომ საულია თავისი კერძომესაკუთრული მისწრაფებებით გამონაკლისია საბჭოთა ადამიანების ერთიან ოჯახში. როცა მან კოლმეურნეობის კანტორაში ჯიბეებიდან ამოიღო და მაგიდაზე მუჭა-მუჭად დაყარა ოქროები, შემდეგ კი თავი ერთად მოუყარა და გორად დააყენა, ყველა ფეხზე წამოიწია, მერე ისევ ერთადვე დაჯდა, თითქოს ტანში ელდენმა დაუარათო. ამდენი ოქრო მათ არასოდეს ენახათ და ყველამ თავისებურად გამოხატა გაოცება. ამან საულიას აფიქრებინა, მე გამონაკლისი არ ვყოფილვარ, ოქროს ბრჭყვიალმა თავ-გზა ამათაც აუბნიაო, და კმაყოფილმა იკითხა: „თქვენც, ხომ? თქვენც, არა?“ თავის ვარაუდში რომ დარწმუნებულიყო, საულია ყველას თვალებში ჩაიცქიდა, „მაგრამ ვერაფერი, გარდა გაოცებისა, ვერც სიხარბე და ვერც ვერავითარი ანგარება ვერ ამოიკითხა“. მას ერთბაშად გული ჩაწყდა: „მაჯობეთ, არა? კაცობაში მაჯობეთ, ხომ? მე კი ჭკუა დავკარგე, თავი დავკარგე“.

ასე დამთავრდა დაძაბული ჭიდილი ძველსა და ახალს შორის, დამთავრდა ახლისა და პროგრესულის სრული, განუყოფელი გამარჯვებით. კერძომესაკუთრულმა ფსიქოლოგიამ ვერ შეძლო დაებრუნებინა დაკარგული პოზიციები, პირიქით, თუ განძის პოვნამდე საულიას შეგნებაში მას რაღაც კუნჭული მაინც ეკავა, ამიერიდან აღარც ეს ადგილი შერჩა. საულია საბოლოოდ განიწმინდა წარსულის ჭუჭყისაგან და თითქოს ხელახლა დაიბადა. და ეს სავსებით კანონზომიერია, რადგან ჩვენი სოციალისტური სინამდვილე ადამიანებს ზრდის კომუნისტური იდეოლოგიის სულისკვეთებით, ე. ი. თვით ცხოვრების ტენდენცია ისეთია, რომ კერძომესაკუთრულ ფსიქოლოგიას ჩვენს ქვეყანაში განვითარების არავითარი პერსპექტივა არა აქვს. სხვანაირად რომ ვთქვათ, ძველის, ჩამორჩენილის, დრომოჭმულის ყოველგვარი ცდა ხელახლა იჩინოს თავი და აყვავდეს, განდევნოს ახალი და პროგრესული, რომელიც უკვე გაბატონებული გახდა, ისევე უშედეგოა, როგორც იმის მოლოდინი, რომ შეიძლება მზე დასავლეთიდან ამოვიდეს.

რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენს სინამდვილეში სავსებით გამორიცხულია კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიით გამსჭვალულ ადამიანთა არსებობა. არ შეიძლება დავიკიწყოთ, რომ ადამიანები საუკუნეთა მანძილზე განიცდიდნენ კერძო საკუთრების გამრყვნელ გავლენას და გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს ამ გავლენის სრული აღმოფხვრა, კერძომესაკუთრული ჩვევებისა და ტრადიციების სრული გაქრობა ერთი ან ორი წლის საქმეა. მეორე მხრივ, არ შეიძლება არც იმის დავიწყება, რომ ფული ჩვენს საზოგადოებაში ჯერ კიდევ ინარჩუნებს რაღაც ძალას, მართალია, უკიდურესად შეზღუდულ, უკიდურესად დასუსტებულ, მაგრამ მაინც რაღაც ძალას, რაც აგრეთვე ხელს უწყობს ძველის წინააღმდეგობას, ცალკეულ ადამიანთა შეგნების დანაგვიანებას კერძომესაკუთრულ-ეგოისტური მისწრაფებებით. აი რატომ არის, რომ ზოგიერთი დღესაც კი, სოციალიზმის პირობებში, შეცდომით ფიქრობს, თითქოს ადამიანის ძალა კერძო საკუთრებაშია და ცდილობს როგორმე გამდიდრდეს, თუნდაც ამისათვის დაკარგოს ადამიანური ღირსება და თავმოყვარეობა, დაადგეს უპატიოსნო ცხოვრების გზას. როგორც წესი, ესენი არიან ის პირები, რომლებიც ბატონკაცურად ეკიდებიან შრომას და თავს არიდებენ მას, — ყველა ჯურის სპეკულანტები, კომბინატორები, სხვათა ხარჯზე გამდიდრების, იოლი ცხოვრების სხვა მოყვარულნი. მათი აზრით, ფული ყველგან ფულია და ვერ შეუგნიათ, რომ მისი ძალა სოციალისტურ საზოგადოებაში უკიდურესად შეზღუდულია და არ შეიძლება იქცეს ცალკეულ ადამიანთა პირად ძალად, ვერ შეუგნიათ, რომ ჩვენს ქვეყანაში პატივს სცემენ არა ქონებას, არამედ ადამიანს და პიროვნების ადგილსაც საზოგადოებაში განსაზღვრავს მისი პირადი ღირსებები და არა სიმდიდრე.

მაგრამ ეკუთვნის თუ არა საულია იმ კატეგორიის ადამიანებს, რომლებსაც გამდიდრება ერთადერთ ოცნებად გაუხდიათ და მზად არიან ამისათვის ყოველგვარი სისაძაგლე ჩაიდინონ, ხელი აიღონ სინდისსა და პატიოსნებაზე? რასაკვირველია, არა. პირიქით, განძის მოულოდნელი აღმოჩენით გამოწვეული მისი მძიმე სულიერი ტკივილების მთავარი მიზეზი ის გახდა, რომ საულიამ არ იცოდა გამდიდრების სხვა გზა, გარდა კეთილსინდისიერი და დაუზარებელი შრომისა. იგი რომ უპატიოსნო კაცი იყოს, მხოლოდ გამდიდრებას რომ ესწრაფოდეს და ქონების დაგროვება მიაჩნდეს ცხოვრების ძირითად მიზნად, განა რაიმე ყოყმანს დაიწყებდა და მაშინვე არ მიითვისებდა ნაპოვნ განძს? მას მუდამ თავისი მარჯვენის, თავისი ალალი შრომის იმედი ჰქონდა და არასოდეს არ უფიქრია უპატიოსნო ცხოვრების გზას დასდგომოდა, მით უმეტეს, რომ შრომამ სავსებით გაუმართლა და არა მარტო მატერიალურად უზრუნველყო, არამედ სოფლის თვალადაც, ერთ-ერთ ყველაზე მოწინავე კაცად აქცია. ეს კანონიერად ეამაყებოდა საულიას და ფუნდუს ერთგვარი თავმომწონებით ეუბნებოდა: „აბა მთელ კოლექტივში

საუკეთესო მშრომელი ვინ არის? უკეთესი აბა სხვა ვინ გყავს, წითელ დაფაზე ყველაზე უწინ აბა ვინაა გამოჯგიმული?“

და მაინც, ფაქტია, რომ საულიას შეგნება დანაგვიანებული აღმოჩნდა კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიის სიბინძურით, მაგრამ ამაში ბრალი მიუძღოდა მხოლოდ და მხოლოდ ტრადიციას. ნაპოვნი განძის მითვისება საულიამ განიზრახა არა იმიტომ, რომ ცხოვრების პირობები აიძულებდა, არამედ იმიტომ, რომ ამდენი სიმდიდრის ერთბაშად ხილვამ თვალი მოსჭრა და აუშალა უკვე თითქოს გამქრალი კერძომესაკუთრული გრძნობები. ერთი სიტყვით, ცხოვრება, ცოცხალი სინამდვილე აქ არაფერ შუაში იყო, კიდევ მეტი, მან არათუ ხელი არ შეუწყო ძველის, დრომოჭმულის გაღვიძებას საულიას შეგნებაში, არამედ, პირიქით, დაეხმარა მის დათრგუნვაში. ხომ სრულიად უეჭველია, რომ თუ არა საბჭოთა გარემო, საულია ვერ შეძლებდა მარტოდმარტო გამკლავებოდა ეგოისტურ-კერძომესაკუთრულ გრძნობათა უეცარ შემოტევას, თვითონვე მარტოდმარტო ჩამოერეცხა ლაქა და ტალახი, რომელშიც იგი ამოისვარა. საულიას ამ გამარჯვების მნიშვნელობა მით უფრო დიდია, რომ ნაპოვნი განძი მან სახელმწიფოს ჩააბარა არა იძულებით, არამედ თავისი ნებით, ძალდაუტანებლად, სავსებით შეგნებულად.

შეიძლება თქვან, საულია ვერსად გაექცა გარემოს, დროს, ეპოქას და ბოლოს და. ბოლოს იძულებული გახდა ხელი აეღო ნაპოვნ განძზეო, ე. ი. ხაზი გაუსვან იძულების მომენტს, მაგრამ ასეთი დასკვნა უმართებულო იქნებოდა, რადგან საბჭოთა გარემომ საულიას ხელახალ სულიერ აღორძინებაში ადმინისტრატორის კი არა, აღმზრდელის როლი შეასრულა, ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, მან დაარწმუნა იგი და არა აიძულა. ცხოვრების ზეგავლენით საულია თვითონ, საკუთარი შეგნებით მივიდა იმ დასკვნამდე, რომ დაგროვებით გატაცება არცხვენს საბჭოთა ადამიანის ღირსებას. აქ რომ იძულების მომენტი იყოს გადამწყვეტი, მაშინ სახელმწიფოსათვის ნაპოვნი განძის ჩაბარების შემდეგ საულიას მწვავე სინანული უნდა ეგრძნო, ასე რად მოვიქეცი, მოხდა კი პირიქით. როცა მან კოლმეურნეობის კანტორაში ხელი მოაწერა სათანადო აქტს, ისეთი შვება იგრძნო, „თითქოს რაღაც უსაშველო ჭირი მოიშორაო“. და ასეც იყო. მან ხომ განაახლა დარღვეული კავშირი სოფელთან, საზოგადოებასთან და ამიერიდან წინანდებურად შეეძლო თამამად გაესწორებინა თვალი ყველა თანასოფლელისათვის, მათ შორის თავი კვლავ ეგრძნო როგორც ღვიძლ შვილს მამის ოჯახში. განა ეს ბედნიერება, დიდი, განუზომელი ბედნიერება არ იყო? მაშ სანანებელი კი არა, უაღრესად სასიხარულო ჰქონდა საულიას და ისიც მთელი სიხარულით მიეცა მას, ამ სიხარულს. ახლა საულიას არავინ აღარ ეჯავრებოდა, ყველა ძველებურად უყვარდა, ფუნდუ, მეზობლებიც, ყველგან და ყველაფერში მხოლოდ სიყვარულს ხედავდა — მიწაზეც, ცაშიც, წყალშიც. ჩიტი თავდავიწყებით ჭიკჭიკებდა და „ალბათ იმასაც თავისი ფუნდუ გასჩენიაო“, პატარა მდინარეში თევზმა დანის პირიეით გაიელვა და „ვინ იცის, იქნებ თავისი გულის მურაზი იქ. ჯილეში, ჰყავსო“.

ასე ბედნიერი, ასე „სიხარულით გადარეული“ საულია არასოდეს ყოფილა და შინ ისე მიუხაროდა, როგორც ომგადახდილ დემობილიზებულ ჯარისკაცს. ეგონა იქაც სიხარული და ბედნიერება დახვდებოდა. საულიას, რა თქმა უნდა, კარგად ახსოვდა, როგორ უდიერად მოექცა ფუნდუს ნადარბაზევთან და აწუხებდა თავისი უღირსი საქციელი: „დღეს ისეთი რამ ჩავიდინე, რომ აღარ ვიცი, რა პირით უნდა შევხედო“ ფუნდუსო, მაგრამ მაინც ერთი წუთითაც არ დაეჭვებულა, რომ ფუნდუ ყველაფერს აპატიებდა. „მაპატიებს, აბა რას იზამს, — ფიქრობდა შინ მიმავალი საულია. — მივალ, ორივე ხელით გულში ჩავიკრავ და... შევეხვეწები: გიჟი ვიყავი, მხეცი ვიყავი და მაპატიე-თქო“. საულიას ასეთი შეუვალი რწმენა იმას ემყარებოდა, რომ გაიმარჯვა კერძომესაკუთრულ გრძნობებთან ორთაბრძოლაში და კვლავ ის საულია გახდა, როგორსაც ფუნდუ და მთელი სოფელი იცნობდა. „ფუნდუ! ფუნდუ, შე კაი ქალო, —ოცნებაში ეხვეწებოდა საულია. — შენ ის საულია არ გეგონო, წეღან ისე რომ გაგამწარა... აი, მოვდივარ, შენთან მოვდივარ და მაპატიე... ვიცი, როგორ არ ვიცი, რომ უსათუოდ მაპატიებ და მერე...“ მერე სიყვარული თავიდან დაიწყება, ცხოვრებას სიამტკბილობაში გაატარებენ, კვლავ თითით საჩვენებელი ადამიანები იქნებიან და მეტი რაღა უნდათ?

მკითხველიც მოელის, რომ ასე იქნება, რომ საულია ისევე აღადგენს დარღვეულ კავშირს ოჯახთან, ფუნდუსთან, როგორც საზოგადოებასთან. თუ კი ხალხმა აპატია საულიას, რატომ არ უნდა აპატიოს ფუნდუმ, მით უმეტეს, რომ მიზეზი, რომელმაც ცოლ-ქმრის კონფლიქტი გამოიწვია, უკვე მოისპო და არასოდეს კვლავ აღარ აღმოცენდება? მაგრამ ასე არ ხდება, საულიას იმედი გაუცრუვდება — ფუნდუ შინ მკვდარი დაუხვდება და ყველა ოცნება ერთბაშად დაემსხვრევა.

მოთხრობის ასეთმა ფინალმა, ბუნებრივია, დავა გამოიწვია. მკითხველთა ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ არავითარი აუცილებლობა არ მოითხოვდა ასე სასტიკად დაგვესაჯა საულია, მით უმეტეს ფუნდუ, და ფიქრობს, თითქოს ამ შემთხვევაში მწერალს ამოძრავებდა მხოლოდ სურვილი — გვერდი აევლო ე. წ. „ბედნიერი დასასრულისათვის“. და მართლაც, რატომ არ შეიძლებოდა საულიასა და ფუნდუს შერიგება, განა ცხოვრება გამორიცხავს ასეთ შესაძლებლობას?

პირიქით, იგი გაცილებით უფრო შეეფერება ჩვენს სინამდვილეს. მაგრამ ცხოვრება რთული მოვლენაა და ამა თუ იმ მდგომარეობიდან ყოველთვის ერთ გამოსავალს როდი გულისხმობს. აქ მნიშვნელობა აქვს არა მარტო სინამდვილის ტენდენციას, არამედ პიროვნებასაც, პიროვნების ინდივიდუალობასაც, ხასიათის სპეციფიკას, ე. ი. ადამიანის ქცევას განაპირობებს როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური მონაცემები. თუ ამ გარემოებას გავითვალისწინებთ, ცხადი გახდება, რომ მოთხრობის ტრაგიკული ფინალი „ბედნიერი დასასრულისათვის" თავის არიდების შედეგი კი არ არის, არამედ ბუნებრივად გამომდინარეობს თვითონ ნაწარმოების ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის ფუნდუს ხასიათის თავისებურებებიდან.

ფუნდუ ნამდვილი ქართველი ქალია, გამრჯე, დაუზარებელი მშრომელი, ჭირთამომენი და უთქმელი, ქმრის, ოჯახის ერთგული და მოყვარული. იგი მუდამ მხარში ედგა ქმარს, ლხინშიც და ჭირშიც მასთან იყო და ღირსეულ მეუღლეობას უწევდა. როცა საულია ავადმყოფობდა, რაღაც აწუხებდა და ტანჯავდა, ფუნდუ კი არ წუწუნებდა, ბედს კი არ უჩიოდა, არამედ გასაცარი მოთმინებით იტანდა ქმრის უხასიათობასა და წრეგადასულ უხეშობას, ცდილობდა კეთილი მოპყრობით, ალერსით, თანაგრძნობით, გულწრფელი რჩევით, რითაც შეეძლო ყველაფრით დახმარებოდა, რათა რაც შეიძლება მალე დაეძლია წუხილი, ავადმყოფობა და კვლავ ოჯახსა და სოფელს დაბრუნებოდა. კიდევ მეტი, ფუნდუ მზად იყო „ეს ვეება კაცი რაღაც დიდი განსაცდელისაგან თავის სიცოცხლის ფასად დაეცვა. მაგრამ რისგან დაეცვა? — თვითონაც არ იცოდა". მაშინ იგი ფიქრობდა, მამაკაცებს რაღაც თავიანთი სპეციფიკური ცხოვრება აქვთო და არ უნდოდა ქმარს სულში უკმეხად ჩასძრომოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ნადარბაზევთან ნახა, ფუნდუსათვის ყველაფერი ნათელი გახდა. „შენ არა ხედავ, — გაოცებით ეკითხებოდა თავის თავს ფუნდუ, — თურმე ხელი ამ ოქროებმა მოუთავა და არ იცოდა".

არ იცოდა და, როცა გაიგო, ბუნებრივია, ფუნდუს მთელი არსებით შეძაგდა და შეეზიზღა საულია, მისთვის უკვე სავსებით უცხო მამაკაცი. უცხოობის ეს გრძნობა ფუნდუმ პირველად იმ ღამეს განიცადა, როდესაც საულიამ განძი იპოვა და შინ გაოგნებული დაბრუნდა. მაშინ იგი გამომცდელად ჩააცქერდა საულიას თვალებში და „წუთის რაღაც უმოკლეს დროში უცებ ისეთი რამ ამოიკითხა, რომ ელდანაცემი გაქვავდა, ადგილიდან ფეხი ვერ მოიცვალა, ტანში როგორღაც ცივად გასცრა. არა, არა, ეს მისი საულია არ იყო, ვიღაც სხვა იყო". მსგავსი გრძნობა დაეუფლა ფუნდუს ნადარბაზევის ნაძრახ ადგილზე ქმართან უკანასკნელი შეხვედრისას. სიხარბისაგან მოღრეცილ მის სახეს და გამწვანებულ ჭროღა თვალებს რომ შეხედა, იგი კანკალმა აიტანა: „ასე უცხო და სახიზღარი ის არასოდეს არ ყოფილა". არასოდეს არ ყოფილა, რადგან ფუნდუ საულიას იცნობდა როგორც მოწინავე, დაუზარებელ მშრომელს, პატიოსან ადამიანს, რომელიც საკუთარი მარჯვენით ცხოვრობდა და გულშიც კი არ გაუვლია რაიმე არაკეთილშობილური, ადამიანის ღირსების შემლახველი მისწრაფება. მაგრამ რა გამოირკვა? თურმე საულია სულ სხვა ვინმე იყო, ხარბი, ბოროტი, კერძომესაკუთრული გრძნობებით გამსჭვალული, უპატიოსნო კაცი, რომელიც ვიწრო-პირადულ ინტერესებს ყველაფერზე მაღლა აყენებს.

„ეჰ, რა ქმარი ყავდა, რა ბედნიერი ქალი იყო და რას იფიქრებდა, თუ ის ასე გულღრძო და ხარბი იყო, თუ მის სიყვარულს რაღაც ბრჭყვიალა ლითონში ასე დაუნანებლად გასცვლიდა. რომ გეკითხა, ქვეყნის ჭირი თავის ჭირად მიიჩნდა, ოჯახისთვისაც თავს გადასდებდა და ეს რა არის? შური, ღვარძლი, სიძულვილი... არა, არა, საულია ახლა ის საულია როდი იყო, ვიღაც სხვა იყო", — ნაღვლიანად ფიქრობდა ნადარბაზევიდან შინ მიმავალი ნაცემი და უკიდურესად შეურაცხყოფილი ფუნდუ. მან ხომ არ იცოდა, თუ როგორ ებრძოდა საულია უეცრად აღორძინებულ კერძომესაკუთრულ-ეგოისტურ გრძნობებს, როგორ თრგუნავდა მათ, როგორი დაჟინებით ეძებდა ცხოვრების სიმართლეს. ამიტომ ფუნდუს სრული საფუძველი ჰქონდა საულია მეჩნია ისეთ ადამიანად, რომელმაც ოქროს ანაცვალა ყველაფერი, ე. ი. უღალატა ხალხსაც და ოჯახსაც. და მან იგრძნო, რომ ყველაფერი გათავდა, „ყველა სათქმელი ჩამოათავა და ყველაფერმა აზრი დაჰკარგა". აღარ იყო ცხოვრების დიდი, ძლიერ დიდი სიხარული — უანგარო და გულწრფელი სიყვარული, მას გამოეცალა ერთადერთი საიმედო საძირკველი — მიზანთა და სულიერ მისწრაფებათა ერთობა. მისი საყვარელი, „სულზე უტკბილესი" საულია ადამიანი კი არა, „პირუტყვი, ნამდვილი პირუტყვი" ყოფილა და რა საერთო უნდა ჰქონოდა ასეთ კაცთან? ცხადია, არაფერი და ფუნდუს მეტად აღარ სურდა და არც შეეძლო მასთან ერთ ჭერქვეშ ყოფნა. „უცხო კაცთან როგორ ვიცხოვრო?", ფიქრობდა იგი და სამართლიანადაც. იმ ადამიანთან ცხოვრება, რომელთანაც საერთო არაფერი გაქვს, რა თქმა უნდა, შეუძლებელია.

ამ თვალსაზრისით ფუნდუ სავსებით მართალი იყო, როცა არათუ შეჩერდა, უკანაც კი არ მოიხედა საულიას ძახილზე „მოიცაო". მაგრამ სწორედ აქ შეცდა იგი. ვინ, ვინ, მაგრამ იგი ხომ ყველაზე კარგად იცნობდა საულიას, იცოდა მისი ავ-კარგი, იცოდა ვინ იყო და რას წარმოადგენდა ის. მაშასადამე, არა სხვა ვინმეს, არამედ უპირველეს ყოვლისა უთუოდ ფუნდუს მოეთხოვებოდა მეტი ნდობა, მეტი რწმენა და გულისხმიერება გამოეჩინა საულიასადმი, ზიზღით კი არ უკუეგდო, არამედ მიეღო მისი მონანიე ხელი და დახმარებოდა იმ წუმპედან

ამოსვლაში, რომელშიაც იგი შემთხვევით მოხვ_
და. სამწუხაროდ, ფუნდუ ასე ვერ მოიქცა და
საბედისწერო შეცდომა ჩაიდინა. იგი რომ გამო-
ხმაურებოდა ქმარს, საჭირო თანაგრძნობა და
ნდობა გამოეჩინა, უკან დაბრუნებულიყო, უეჭ-
ველია, საქმე სხვაგვარად შეტრიალდებოდა და
საშინელ ტრაგედიას ორივე თავიდან აიცილებ-
და.

ფუნდუს მეორე დიდი შეცდომა ის იყო, რომ
უმძიმესი განსაცდელის ჟამს არა მარტო საულია
მიატოვა მარტოდმარტო, არამედ თვითონაც ჩაი-
კეტა გული და, თუმცა სიკვდილს ხედავდა, შვე-
ლა არავის სთხოვა. ამ შემთხვევაში გადამწყვე-
ტი როლი შეასრულა მისი ხასიათის ისეთმა თი-
თქოს თანდაყოლილმა თვისებებმა, როგორიც
სიკერპე და სიამაყეა. მას არ ჩვეოდა საჯაჭვარა-
ოზე გამოეტანა წუხილი თუ დარდი და ცდი-
ლობდა თვითონ მოუვლო მათთვის. იგი ამაყობ-
და თავისი პატიოსანი ოჯახით, ამაყობდა პატი-
ოსანი მშრომელი და მოსიყვარულე ქმრით და
სწორედ ეს სიამაყე ნებას არ აძლევდა წუწუნს
მოჰყოლოდა, სხვისთვის ეთხოვა დახმარება, რა
ვქნა დარდი გამიჩნდა და ვერ მოვერიეო. ფუნ-
დუს შეეძლო და წარბშეუხრელი შეხვდა საში-
ნელ განსაცდელს, სტოიკურად გადაიტანა ქმრის
მხეცური მოპყრობა, კრინტიც კი არ დაუძრავს,
როცა საულიამ წიხლი ჩააზილა და ბელტებში
ჩაანარცხა, მაგრამ იმის გამხელა, საჯაროდ თქმა,
წიხლით შემდგნენ დი მიშველეთო, უკვე აღემა-
ტებოდა მის ძალას — თავმოყვარეობა არ აძ-
ლევდა ამის ნებას. მან მხოლოდ მაშინ სცადა და-
ხმარება ეთხოვა, როცა საშველი არსად იყო
და ისიც კი არ ძალუძდა, მეზობლებისათვის
შეეტყობინებინა თავისი გასაჭირი.

ამრიგად, მოთხრობის ტრაგიკული ფინალი
სავსებით ლოგიკურია და ძირითადად ფუნდუს
ხასიათიდან გამომდინარეობს. ფუნდუ რომ სხვა
ხასიათისა იყოს, მაშინ, უეჭველია, ფინალიც
სხვანაირი იქნებოდა, ეს სავსებით ცხადია. მაგ-
რამ როგორღაც ძლიერ ძნელია შეურიგდე იმ
აზრს, რომ საულიას ხელახალმა სულიერმა აღო-
რძინებამ ესოდენ დიდი მსხვერპლი მოითხოვა
და უნებურად გებადება კითხვა: განა აუცილე-
ბელი იყო მწერალს მაინცა და მაინც კერპი და
ამაყი ხასიათი მოეცა? რატომ მოიქცა იგი ასე
და არა სხვაგვარად? როგორც ჩანს, იმიტომ,
რომ მოვლენის გამძაფრებით ხაზი გაესვა პატი-
ოსანი შრომითი ცხოვრების ყოველგვარი უარ-
ყოფის დიდი საშიშროებისათვის. მწერალი თი-
თქოს ეუბნება მკითხველს: ჩვენი საზოგადოება
ყველაზე ჰუმანურია დღემდე არსებულ ყველა
საზოგადოებასთან შედარებით და დიდსულოვ-
ნად ეკიდება ამა თუ იმ წევრის შეცდომას, ეხ-
მარება კიდევაც მის გამოსწორებაში, მაგრამ
არავინ არ უნდა იქონიოს იმედი, ვითომც ამის
გამო ყველაფერი აუცილებლად ბედნიერად და-
მთავრდება. არა, სრულიადაც არ არის გამორი-
ცხული აჩქარებას, გრძნობის აყოლას, შეცდო-
მებს მოჰყვეს უბედურება და მსხვერპლი. მწერ-
ლის ამ მისწრაფებას გამოხატავს მოხუცი ოტი-
ას მამაშვილური დარიგება საულიასადმი: „დინ-
ჯად იყავი, ბაბა, არ აჩქარდე. ცხოვრებას კარ-
გად ჩაუკვირდი, თორემ გაითელები“.

დასასრულ ზედმეტი არ იქნება მოვიგონოთ
ის ნამდვილი ამბავი, რომელიც მილიციის მე-3
რანგის კომისარმა ბ. გრიშინმა მოგვითხრო სტა-
ტიაში „გაორებული ცხოვრება“.[1] როგორც სტა-
ტიის ავტორი წერს, ერთ დღეს ქალაქ მოსკოვის
მილიციაში გამოცხადდა მოქალაქე ა. ბ. ტრუსო-
კოვსკი და სახელმწიფოს თავისი ნებით ჩაბარა
სპეკულანტობით დაგროვილი ნახევარ მილიონ-
ზე მეტი მანეთი ფული და სხვა ფასეულობანი.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ ცხოვრებისა და ხე-
ლოვნების სიმართლე ერთმანეთს დაემთხვა, რომ
„განძი“ უაღრესად ცხოვრებისეული ნაწარმოე-
ბია, რომელშიც სავსებით სწორად აისახა ჩვენს
საზოგადოებაში მიმდინარე მეტად საყურადღე-
ბო პროცესი ადამიანთა სრული და საბოლოო
განთავისუფლებისა კერძომესაკუთრული ფსი-
ქოლოგიის ყოველგვარი გავლენისაგან. თუ ის
ადამიანებიც კი, რომლებიც დაგროვების წყურ-
ვილმა გაიტაცა, თავიანთი ნებით, ძალდაუტანე-
ბლად, რაიმე ადმინისტრაციული ზეგავლენის
გარეშე კვლავ უბრუნდებიან პატიოსან შრომას,
პატიოსან ცხოვრებას, განა ეს ფაქტი ყველაზე
თვალნათლივ არ მოწმობს, რომ ეგოისტურ-
კერძომესაკუთრულ ფსიქოლოგიას, ჩვევებსა
და ტრადიციებს სავსებით ეცლება ნიადაგი? და
რაც უფრო მივუახლოვდებით კომუნიზმს, მით
უფრო გაძლიერდება ეს პროცესი, მით უფრო
შემცირდება იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებ-
საც დაგროვება და ქონების მოხვეჭა მიაჩნიათ
ცხოვრების მთავარ მიზნად. მაშასადამე, შორს
აღარ არის ის დრო, როცა ეგოისტურ-კერძო-
მესაკუთრული მისწრაფებანი მთლიანად და
სავსებით აღმოიფხვრება ჩვენი საზოგადოების
უკლებლივ ყველა წევრის შეგნებაში. „განძისა“
და მისი მსგავსი ნაწარმოებების იდეურ-აღმზ-
რდელობითი მნიშვნელობაც სწორედ იმით განი-
საზღვრება, რომ ისინი ხელს უწყობენ და აჩ-
ქარებენ ამ დიდ პროცესს.

---

1 გაზეთ „იზვესტიას“ ყოველკვირეული დამა_
ტება „ნედელია“, № 21, 1960 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შოთა ნიქარაძე

ზოგიერთი შენიშვნა „ჩაისა“ და „მევლუდის“ მხატვრული ენის შესახებ

მხატვრული სიტყვის ოსტატთა ენის შესწავლას ჩვენში დიდი ყურადღება ექცევა. ქვეყნდება მრავალი გამოკვლევა ქართული ლიტერატურის კლასიკოსებისა და თანამედროვე საბჭოთა პროზისა და პოეზიის საუკეთესო წარმომადგენელთა ენის შესახებ. მაგრამ, სამწუხაროდ, დღემდე არავის უცდია აჭარაში მომუშავე რომელიმე მწერლის მხატვრული ენის შესწავლა.

წინამდებარე წერილი ამ ხარვეზის ნაწილობრივი შევსების ცდაა. ამჯერად შევეხებით პარმენ ლორიას მხატვრული ენის საკითხს. ლორიას მხატვრული ენის ძირითად თავისებურებათა გასათვალისწინებლად საკმარისად მიგვაჩნია განვიხილოთ ამ მწერლის ორი რომანი „ჩაი“ და „მევლუდი“, რადგან ისინი იდეურ-მხატვრული თვალსაზრისით პ. ლორიას სხვა ნაწარმოებებზე მაღლა დგანან.

დასახელებულ ნაწარმოებებში საკმაოდაა წარმოდგენილი მხატვრული სახეები. ბევრ ადგილას ავტორი მოხდენილად იყენებს მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს — ეპითეტებს, მეტაფორებს, შედარებებს, მხატვრულ განმეორებებს.

ეპითეტებს განსაკუთრებით ხშირად მიმართავს მწერალი პეიზაჟების ხატვისას: „**მოკრიალებულ** ცის ქვეშ **გაშლილი** ბუნება საამურად სუნთქავდა... **აქოჩრილი** გორაკები, **ამწვანებული** მინდორ-ველი, **მოჩხრიალე** ნაკადულები, **აბიბინებული** ყანები ერთმანეთს ამშვენებდნენ და აკეკლუცებდნენ... (ერთტომეული, „ჩაი“, „მევლუდი“, 1957 წ., გვ. 322. მაგალითებს ყველგან ამ გამოცემის მიხედვით მივუთითებთ. ხაზი ყველგან ჩვენია — **შ. ნ.**).

ავტორი ხშირად იყენებს აგრეთვე გაშლილ და შემოკლებულ შედარებებს. ორ განსხვავებულ მოვლენას ერთმანეთს უდარებს არა იდენტურობის მიხედვით, არამედ რომელიმე ნიშნის მიმსგავსების ნიადაგზე: „აგიზგიზებულ ცეცხლში ისე გაივლის (ფარცხვანია — **შ. ნ.**), რომ ბეწვს არ შეირუჯავს“ („მევლუდი“, გვ. 336).

მწერალი იყენებს ჰიპოტაქსური კონსტრუქციის წინადადებას, სადაც კორელატ-საკავშირებლად გამოყენებულია „ისე, რომ“.

შედარებისათვის ზოგჯერ გამოყენებულია „ვით“ თანდებული, ანდა ვითარების ცნების გადმომცემი სიტყვა ფრაზაში შეტანილია ვითარებითი ბრუნვის ფორმით. „ვერხვის **ფოთოლივით** დაიწყებს ფარფატს“, „ცას თხელი ღრუბელი დაფლეთილი **საბანივით** გაჰკვროდა“ (იქვე, გვ. 547). „დამწუხრებულ ქალაქში ბნელი ღამე ძაძებით შემოსილ **დედაკაცივით** შემოდიოდა“ (იქვე, გვ. 648).

ასევე არცთუ იშვიათად ოსტატურად იყენებს ავტორი მეტაფორებსაც. ერთ რომელიმე მოვლენას გადმოგვცემს მასზე მეორე მოვლენის გადატანის გზით: „ათასი თვალი და ყური გქონდეს, **მაძებრის ყნოსვა** და **მწევრის მუხლები...**“ (იქვე, გვ. 517); „ცხენი მოითხოვა, დინჯად შეჯდა და **გამარჯვებული სარდლის მედიდურობით** გასწია მაზრის ცენტრისაკენ“ (იქვე, გვ. 704); „მაპატიე დურსუნ. დედის გული **ზღვაზე უგანიერესია, ცეცხლზე უფრო მწველი, რკინაზე უფრო მაგარი, თანაც ყველაფერზე უფრო რბილი...**“ („ჩაი“, გვ. 265).

მწერალი ცალკეულ სურათებს თითქმის მთლიანად ეპითეტებითა და შედარებებით ხატავს. მეფის რუსეთის საპყრობილის ზედამხედველის უბადრუკობა და მევლუდის ვაჟკაცური და პროტესტანტული ბუნება კარგად გამოსჭვივის შემდეგ სურათში:

„— შეგიძლია დაეგდო! — ზიზღით გადახედა ზედამხედველმა მევლუდს, მიბრუნდა და უნდა გასულიყო (საპატიმროს საკანიდან — **შ. ნ.**), მაგრამ ამ დროს თითქოს ჭერი ჩამოინგრა, მევლუდი ადგილზე შეხტა, ჯაჭვით დამძიმებული ხელები მაღლა აღმართა და ისე მაგრად დაუშვა ზედამხედველის თავზე, რომ იმოდენა კაცი მოხეთქილ ხესავით დაეშვა ძირს“ („მევლუდი“, გვ. 732).

მწერალი ფსიქოლოგიური პორტრეტების ხატვის საკმაო უნარს ამჟღავნებს. იგი მოქმედ პირებს სხვადასხვა კუთხით ხატავს. ცალკეული პერსონაჟების ინდივიდუალურ თვისებებს ამჟღავნებს სხვადასხვა სიტუაციაში, ცხოვრებას ასურათხატებს დინამიკურად. ტიპობრივი ხასიათების ტიპობრივ გარემოში გადმოცემისათვის მწერალი მუდამ იმის ცდაშია, რომ დეტალები გადმოგვცეს სიმართლითა და დამაჯერებლობით.

კავკასიის მთავარმართებელი გოლიცინი, რომელიც შიშის ზარს სცემდა თავის ხელქვეითებს, რომლის ერთ სიტყვაზეც იყო დამოკიდებული უდანაშაულო ადამიანის ჩამოხრჩობა ან სიკვდილმისჯილისათვის განაჩენის შეცვლა, მევლუდის თავდასხმის შემდეგ შიშით ცახცახებს, მუხლებზე ხოხავს. გოლიცინის ფსიქოლოგიურ პორტრეტს ავტორი ასე ხატავს:

„იატაკზე გართხმული მთავარმართებელი ახლა მიხვდა, რომ ისიც უბრალო მოკვდავი ყოფილა. მოაგონდა, ერთხელ ვიღაც ქართველმა თავადმა „ვეფხისტყაოსნიდან“ აფორიზმი რომ წაუკითხა: „ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი“... მაშინ სისულელედ მოეჩვენა ეს ბრძნული ნათქვამი, მაგრამ ახლა...

თურმე მართალი ყოფილა... ერთი პატარა ტყვია და ყველაფერი გათავდა, დაიკარგა. იყო და აღარ არის მისი ბრწყინვალება... სად არის აქ მისი აღმატებულება. ნუთუ ეს არის, იატაკს რომ დაჰკვრია და ცდილობს, რაც შეიძლება მოიკლოს სისქე და განი, *რომ როგორმე* გადაურჩეს ტყვიებს; ორი საათის წინ, იქ, ოლქის უფროსის კაბინეტში მისი შიშით კრთოდნენ და ცახცახებდნენ. აქ კი თვითონ ცახცახებს უჩინარი ძალის წინაშე. იქ მას თავი ქვეყნის უფროსად მოჰქონდა, აქ კი ყველაზე პატარა მოჩანს“ (იქვე, გვ. 575).

მოქმედი პირის დასახასიათებლად იშვიათად, მაგრამ მაინც მწერალი იყენებს აკვიატებულ სიტყვებსა და გამოთქმებს: „ჰოდა, **შენ ხარ ჩემი ბატონი,** აბუნტდნენ თურმე ერთ დღეს ფრანცუზები... ჰოდა, **შენ ხარ ჩემი ბატონი,** ახლა ქე ცხოვრობენ თავისუფლად“ (იქვე, გვ. 582). ავტორი ამ ე. წ. სიტყვა-პარაზიტით „შენ ხარ ჩემი ბატონი“ ბევრ რამეს ეუბნება მკითხველს მევლუდის რაზმელის ზარნაძის მეტყველების ინდივიდუალური თავისებურების შესახებ.

ხშირად გვხვდება სათანადოდ მიგნებული სიტყვიერი სამკაულები, რომლებსაც ავტორი პოულობს ამა თუ იმ პერსონაჟის მეტყველების ლექსიკურ ფონდში.

აი სიკვდილმისჯილ მევლუდს საპატიმროში პირველად და უკანასკნელად ნახულობს ცოლი ერთადერთი ბავშვით. ბავშვს არ გაეგება საზოგადოებრივი ცხოვრების უკუღმართობა: „—ბაბაი, ჩემო ბაბაი!.. — იყვირა ბავშვმა, მამასთან მიიჭრა და გულში ჩაიკრა... რად გაქვს ხელზე ასეთი ჯაჭვიო, შეეკითხა და თვალებში შეაჩერდა“ (იქვე, გვ. 743).

ცხადია, ამ სიტყვებით „ბაბაი, ჩემო ბაბაი!.. რად გაქვს ხელზე ასეთი ჯაჭვიო“ — მოცემულ ფსიქოლოგიურ დეტალს უფრო მეტი დამაჯერებლობა ენიჭება.

ორივე თხზულებაში აქა-იქ შეინიშნება მხატვრული განმეორებანი, რომლებიც აძლიერებენ მკითხველის ყურადღებას ამა თუ იმ საგნისა და მოვლენისადმი.

ეტლი **დაიძრა...**

ხალხი **დაიძრა...**

ცხენოსანი ჩაფრები და ქვეითი ჯარისკაცებიც **დაიძრნენ**“ (იქვე, გვ. 726); „მზე **ჩადიოდა...** მზე **ჩადიოდა** მოწყენილი და დაღვრემილი, **ჩადიოდა** იმიტომ, რომ მეორე დღეს უფრო ცხოველმყოფელი სხივებით ამოსულიყო და ქვეყანა გაეთბო“ (იქვე, გვ. 648).

ზოგჯერ მხატვრული განმეორება სინონიმური სიტყვებითა და ფრაზებითაა წარმოდგენილი:

„— მურად! — და დამუნჯდა, თითქოს **ენა გაეყინა.** სათქმელი **სიტყვა** ყელში **გაეჩხირა**“ („ჩაი“, გვ. 138).

ცნობილია, რომ „ენობრივი დახასიათების გარეშე არ შეიძლება შეიქმნეს ხასიათი და ტიპი, არ შეიძლება ღრმად ვაჩვენოთ ადამიანის შინაგანი სამყარო. ზოგიერთ მწერალთან გმირები აზროვნებენ და მეტყველებენ ისე, როგორც აზროვნებს და მეტყველებს თვით ავტორი“ (შ. ძიძიგური, მწერლის ენა, 1957 წ., გვ. 13). „ჩაისა“ და „მევლუდის“ გულდასმითმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ პ. ლორიას ძალზე ძუნწად, იშვიათად პერსონაჟთა მეტყველებაში შეაქვს სპეციფიკური სიტყვები და გამოთქმები, ტიპიური დიალექტიზმები. დიალექტურ სიტყვებსა და გამოთქმებს ზოგჯერ თვით ავტორი ან თანამოსაუბრე მოქმედი პირი უკეთებს კომენტარს, ხსნის მათ და ამით მკითხველს საშუალებას აძლევს გაერკვეს სპეციფიკურ სიტყვასა თუ ფრაზაში. მაგალითად: „— რეიზა დაფიქრებულხარ, ჭოვ? კაცი ხომ არ გინდა? — აჭარულად მოუქცია ზინამ“ („ჩაი“, გვ. 98); როგორც ქვემოთაც აღვნიშნავთ, ზოგჯერ ავტორი სცოდავს დიალექტიზმების შერჩევისას, ამა თუ იმ კუთხის მოქმედ პირს თავს ახვევს ისეთ ფორმებს, დიალექტიზმებს, რომლებიც ან ხელოვნურია ანდა დამახასიათებელი არაა აღებული კუთხისა თუ ეპოქისათვის. ზემოთ მოტანილ ფრაზაში სიტყვა „რეიზა“ აჭარულისათვის არაა სპეციფიკური. იგი ტიპიური გურული დიალექტიზმია, რომე-

ლიც ენაცვლება „რატომ“ და „რისთვის“ კითხვით ზმნიზედებს. „რეიზა“ და ანალოგიურად ნაწარმოები სიტყვები რთული ფონეტიკური სახეცვლილებების შედეგად არის მიღებული: რა-ის-და რე-იზ-და რეიზა.

იმავე ფრაზაში გვხვდება „კაცი“ (კაცი ხომ არ გინდა?). კონტექსტში „კაცი“ შეიძლება „ქმრის“ მნიშვნელობით იყოს წარმოდგენილი. აქაც სწორედ ასეთი გაგება აქვს მას.

ქვემოთ: „**ბეჩი** ხარ...— სიყვარულით დაჰკრა მხარზე ხელი“ („ჩაი“, გვ. 99). „ბეჩი“ აჭარულში ნიშნავს სულელს, უჭკუოს, გამოუცდელს. აღსანიშნავია, რომ ენათმეცნიერულ ლიტერატურაში ამ სიტყვას ორი სხვადასხვაგვარი ეტიმოლოგიური ახსნა აქვს. ზოგი მას „ბედ-შავისაგან“ მიღებულ **სახეშეცვლილ** სიტყვად სთვლის (**შდრ.** იმერ. „ბეჩა“), ზოგი კი (**სახელდობრ პროფესორი** იუსტინე აბულაძე) სპარსულ „ბეჩე“-ს (ყრმა, ჯეელი) უკავშირებს. ეს სიტყვა აჭარულისათვის ერთობ დამახასიათებელია.

„— ნუ მორცხვობ, **ჭოვ**, გაიცანი... ახლა არის ასე დინჯი, თორემ **შაითანია**, ნამდვილი შაითანი!“ („ჩაი“, გვ. 132). ამ მიმართვით წინადადებაში აჭარული დიალექტური სიტყვაა ჭოვ (← ბჭოვ ← ბიჭოვ ← ბიჭო!), რომელიც წინააღმდეგ სალიტერატურო ქართულის ნორმისა, წოდებით ბრუნვაში ვ-ინითაა გაფორმებული (**შდრ.** გოვ ← გოგოვ ← გოგო!).

რაც შეეხება სიტყვას „შაითანი“, ის არაბული წარმოშობის სიტყვაა, რომელიც აჭარულს თავს მოახვია თურქულმა ენამ (გავიხსენოთ აკ. წერეთლის „ბაში-აჩუკიდან“: „— შაიტან, შაიტან! — დაიძახეს აქეთ-იქით თათრებმა“).

„მეევლუდში“ პერსონაჟად მწერალს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხის მცხოვრებნი ჰყავს გამოყვანილი. აქ ვხვდებით აჭარლებს — მეევლუდ დიასამიძეს, თოფან-ბეგ შერვაშიძეს და სხვ; გურულ ერმილე მამალაძეს, ესე ჭანუყვაძეს; იმერელ ზარნაძეს, ქართლელ იოსება გელუაშვილს; ქართული ენის სუსტად მცოდნე სომეხ ყარაყუმიანს და სხვ. ამიტომ მწერალი ცდილა ისინი შესაბამის დიალექტზე ალმეტყველებინა.

ქართლელი იოსებ გელუაშვილი ქართლურად უქცევს: „— მაშ, შიმშილით უნდა დავიხოცოთ, თუ რასა ფიქრობენ **ი ოხერ-ტიალები!**“ („მეევლუდი“, გვ. 484).

ესე ჭანუყვაძის გურულობას მკითხველი გურული კილოს მიხედვითაც გაიგებს: „ვინ ხარ, **ძამიავ**, შენ?! (იქვე, გვ. 589); „—რა გქვია **კუტა** შენ?“ (იქვე, გვ. 600).

ქალაქელ სიპიტო ჩიჩილაძის მეტყველებაში აქა-იქ რუსიციზმები შეიმჩნევა: „ყველაფერზე მე ვიქნები **ატვეჩაი**“ (იქვე, გვ. 628).

ქართულად მოლაპარაკე სომხის — ყარაყუმიანის მეტყველებაში უხვად გვხვდება სიტყვები, რომლებსაც ქალაქური მეტყველების იერი გადაჰკრავს: „ეა **ბარსაკაჯან**, — მიმართა ყარაყუმიანმა მოწმეს. — თოფი რომ გაკარდა, შენ ხომ იმავე **ნიმუტში** გამოხველ **საქმეროდან**?...“ (იქვე, გვ. 658).

ყარაყუმიანის მეტყველებისათვის არც რუსიციზმებია უცხო: „ვაჰ, ვაჰ, — წამოვარდა ყარაყუმიანი. — ასეთი **აბვინენიე** კაცზე თქვა, შეიძლება?“ (იქვე, გვ. 664).

ზოგჯერ მკითხველისათვის გაუგებარ სიტყვებს, დიალექტიზმებს ავტორი ხსნის შენიშვნებში, რემარკებში. თუ მკითხველმა ესა თუ ის დიალექტური ფორმა კონტექსტში ვერ გაიგო, მაშინ მის ახსნას იპოვის ავტორისეულ მიმნიშნებელ რემარკებში. მაგალითად, „— **დიდიდედე** ჩამობრძანებულა, **დიდიდედე!** — გაისმა ხალხში ამ **მოხუცის** გამოჩენისას“ (იქვე, გვ. 710).

ჩვენ გაკვრით ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ პ. ლორია თავის თხზულებებში დიალექტიზმების გამოყენებისას ყოველთვის ვერ იცავს თანამიმდევრობას. პერსონაჟის კუთხურ მეტყველებაში ზოგჯერ შეაქვს ისეთი ფორმა, რომელიც არაა დამახასიათებელი მოქმედი პირის მშობლიური კუთხისათვის. მოვიტანოთ ამის საილუსტრაციოდ ორი მაგალითი.

„— ვისთან მუშაობ? (ეკითხება მოხუცი აჭარელ ქალიშვილს ფერიდე ძირკვაძეს — **შ. ნ.**).

— არც არავისთან“ (უპასუხებს ფერიდე — **შ. ნ.** „ჩაი“, გვ. 4).

არც არავისთან არა თუ აჭარულისათვის, არამედ ასეთი გამოთქმა საერთოდ არაა დამახასიათებელი დასავლური დიალექტებისათვის.

„— რა მოგვივდა? **მიმაცილებდი** ბარემ სახლამდე...“ („ჩაი“, გვ. 101). აჭარულისა და გურულისათვის სრულიად შეუფერებელია გამოთქმა: „მიმაცილებდი ბარემ“. ამავე რიგისაა: „წამოხვიდოდი მოსასვენებლად“ (იქვე, გვ. 109).

„გეყოფათ ამდენი ცელქობა! **დაიშალენით.**— გადმოსძახა მან“. როგორც რომანიდანაა ცნობილი, მოხუცი ქალი ქედის რაიონის მკვიდრია — მოედინ ბარაძის ცოლი. „დაიშალენით“ ფორმა კი ქვემოაჭარულისათვის სავსებით უცხოა. ეს და მსგავსი ფორმები ზემოაჭარული კილოკავის კუთვნილებაა.

პ. ლორიას რომანებში გარკვეული სტილური ელფერი შეაქვს ხალხურ სასაუბრო ფრაზებს. უნდა შევნიშნოთ, რომ როგორც საერთოდ, ისე ლორიას თხზულებებშიც ხალხური სასაუბრო ფრაზები უპირატესად პერსონაჟთა მეტყველებაში გვხვდება, თუმცა აქა-იქ ავტორის ენაშიც გამოკრთის. ხალხური სასაუბრო ფრაზების გამოყენება მწერალს საშუალებას აძლევს მეტი დამაჯერებლობით დაგვიხატოს პერსონაჟები, სისრულით გადმოგვცეს მათი ხასიათი, განწყობილება, სულიერი განცდები, მისწრაფებანი. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ხალხური სასაუბრო ფრაზების ესთეტიკური ფუნქცია, ექსპრესიული ძალა გაცილებით დიდია მხატვრულ

ნაწარმოებში, ვინემ მწერგნობრულ-ლიტერატურული ენისა.

რა მხატვრულ-ემოციური ძალა ექნებოდა ქვემოთ მოტანილ ფრაზებს, რომ ისინი ხალხურ სასაუბრო სტილზე არ ყოფილიყო აგებული:

„— მე რა ვარ! — იყვირა ვოლკოვმა. — მოხსენება მოხსენებაა. **მე ზეციდან ანგელოზებს ხომ ვერ ჩამოუვუფრენ მაგათ!**“ („ჩაი“, გვ. 31). „**აჰა, გახედე, რა დაჩიჩქინებული ბიჭებია**“ (იქვე, გვ. 132).

„— დირექტორი კი არა, **ნახერხით სავსე ტომარაა.** — იძახდა ერთი ახალგაზრდა“ („ჩაი“, გვ. 23)... „მთელი ზაფხული გადატვირთული ვართ მუშაობით, **თავის მოსაფხანად არ გვცალია და...** (იქვე, გვ. 189).

„**თქვენი დანა და ჩემი კისერი!** — წამოხტა თედორე... („მევლუდი“, გვ. 500).

ბევრ შემთხვევაში ხალხური სასაუბრო ფრაზებით ავტორი გადმოგვცემს ხალხის ეთნიურ-ყოფით პირობებს, ზნე-ჩვეულებებს. მაგალითად: „**ხესა და ქვას ველაპარაკები, შე ამოსაგდების შვილო...**“ (იქვე, გვ. 640). „**ახალ სახლში პირველი ცეცხლის ანთება შენ გეკუთვნის, მამა ხარ,** — უთხრა ცოლმა ქმარს და ასანთი მიაწოდა“ („ჩაი“, გვ. 236). „ხომ არ გგონია, გენერალი დრიაგინი აქ შენ **რძის ფაფას დაგახვედრებდა...**“ („*მევლუდი*“, *გვ. 640*); „**—ა დათვი და ა კვალი,** ვნახოთ, რა შედეგი მოჰყვება ამ ჩვენს გამოსვლას“ (იქვე, გვ. 641).

ხალხური სასაუბრო გამოთქმები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზოგჯერ ავტორისეულ თხრობაშიც გვხვდება. მაგალითად: „**თითქოს ხსენებაზეო,** სწორედ ამ დროს დურსუნიც მოვიდა“ („ჩაი“, გვ. 248); „**სათქმელი ყელში გაეჩხირა**“ („ჩაი“, გვ. 138); „სამი შვილი დარჩა. **ერთმანეთს ვერ აყენებდნენ ისინი**“ (იქვე, გვ. 14),

ხალხური სასაუბრო ფრაზებიდან შეიძლება ცალკე გამოიყოს წყევლისა და ლანძღვის გამომხატველი წინადადებანი და ცალკე გამოთქმები. ასეთი წინადადებები, როგორც წესი, გვხვდება პერსონაჟთა მეტყველებაში და წარმოდგენას იძლევა მოქმედი პირის დამოკიდებულებაზე სხვა პირისადმი. ლანძღვა-წყევლის გამომხატველი წინადადებები ჩვეულებრივ მიმართვის ფორმით გვხვდება და იგი უარყოფითი პერსონაჟებისათვისაა დამახასიათებელი. ამდენად, ავტორი მიმართვის თავისებური ფორმების გამოყენებით არა მარტო მთქმელს, სუბიექტს ახასიათებს, არამედ ობიექტსაც: „— **ჯანდაბას, წკვარამში, ჯოჯოხეთში!** — ბრაზობდა და იწყევლებოდა ის. — წადით, გაიქეცით, **თქვენი რჯული და სალავათი არ იყოს**“ („ჩაი“, გვ. 62).

„**გაწყდეს თქვენი სინსილა, თქვენ ყაჩაღებო,** თქვენა! — ვალოდიას და არჩვაძეს ეჩხუბებოდა“ (იქვე, გვ. 174). „იქით გამეცალე, **როსკიპო, ბავშვების კეთება იცი** და სხვისი ქონების გარ-ჩევა არა?“ „თუ **შევაკვდები, მათ გადასულთ-ჩემი თავი და ფეხები**“ (მევლუდი“, გვ. 641): „მოდი, **შე ჯოჯოხეთის კერძო!**“ (იქვე, გვ. 785).

ხალხურ ფრაზეოლოგიურ შემადგენლობაში იგულისხმება აგრეთვე იდიომატური თქმები, ხალხური აფორისტული გამოთქმები. მნიშვნელობის მიხედვით, როგორც ცნობილია, იდიომები უცვლელი ფრაზეოლოგიური ერთეულებია, რომელთაც ჩვეულებრივ გადატანითი მნიშვნელობა აქვთ. მაგალითად: „სიყვარული ხათრით არ გაისკვნება...“ („ჩაი“, გვ. 280). „გენაცვალე სულში!“; „ვახარე შენი მარჯვენა!“ (იქვე, გვ. 329); „ეჰ, რა მოკლე მანძილია ენასა და გულს შორის, მაგრამ რარიგ დაშორებული არიან ისინი ერთმანეთს“ („მევლუდი“, გვ. 525).

აფორისტული, ხატოვანი თქმების დიდი ნაწილი, როგორც ცნობილია, დიდაქტიკურ-დამრიგებლობითი ხასიათისაა. მაგალითად, „კატა თავს მაშინ მოიმძინარებს, როცა თაგვზე თავდასხმა აქვს განზრახული, მტერს მუდამ მომზადებული უნდა ხვდებოდეთ...“ (იქვე, გვ. 365). „ბოძზე ჩამოგკიდებენ და მერე უყარე კაკალი“ (იქვე, გვ. 640); „ზოგჯერ ეშმაკის დამოყვრებაც ხელსაყრელიაო“ (იქვე, გვ. 686).

როგორც მოტანილი მაგალითებიდან ჩანს, ბევრ შემთხვევაში ავტორი ცდილა აფორისტულ-ხატოვანი *თქმები* გადაკეთებული ფორმით წარმოედგინა, გადაეჯგუფებინა სიტყვები, რასაც ზოგჯერ მყარ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში შეაქვს განსხვავებული მნიშვნელობა თუ სემანტიკური იერი.

გარდა ხატოვანი გამოთქმებისა და ანდაზებისა, სტილისტიკურ ხერხად პ. ლორია მიმართავს პირდაპირ ან პერიფრაზირებულ ლიტერატურულ გამოთქმებს, ცალკეულ ნაწყვეტებს ქართული მწერლობის ნიმუშებიდან და მორგებულად ჩაურთავს ხოლმე პერსონაჟთა მეტყველებაში. მოგვყავს ადგილები ორივე თხზულებიდან: „კარგია იმ ადგილებს რომ ნახავ, სადაც **შობილხარ, გაზრდილხარ და გისროლია ისარ**“... („ჩაი“, გვ. 188); „— კი მაგრამ, მაშინ **რად გაცვალე სალი კლდეები სხვა ქვეყნის სამოთხეზედა,** თუ ასე გიყვარდა. — ჩაერია ლაპარაკში მშვიდობაძე“ (იქვე).

რაფიელ ერისთავის ლექსიდან („სამშობლო ხევსურისა“) აღებული ეს ადგილები, ბუნებრივია, მეტ მხატვრულ-ესთეტიკურ ძალას ანიჭებს სათანადო ადგილებს და მიმზიდველს ხდის მკითხველისათვის.

„**სიყვარულმა** კაცი კი არ უნდა დასცეს, არამედ **აამაღლოს!** — მოხუცმა წუთით იყუჩა“ (იქვე). მწერალმა აქაც ცნობილი აფორიზმი „სიყვარული აღგვამაღლებს“ პერიფრაზირებულად ჩაურთო შესაფერის ადგილას და გააძლიერა მკითხველზე ემოციური ზემოქმედება. „შიში შეიქმს სიყვარულსა“, — ვხვდებით რუსთაველის ცნობილ აფორიზმს „მევლუდში“ (გვ. 675).

მსგავსი ადგილები მწერალს მომარჯვებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქვს ფოლკლორიდანაც: **„ზღრასტი ზნაკომ, გაგიმარჯოს, კუდა იდიოშ, საითკენა?“** — მღეროდა ფარცხვანია. ამ დროს ყველა მას მისჩერებოდა. როცა იგი მომდევნო სიტყვებს იტყოდა: **„არსენამ რომ ეს გაიგო, ჩაიცინა ნელა-ნელა. ნაბადი გვერდზე მოიგდო, თოფი ფეხზე შეაყენა...“** ხშირად წამოიძახებდნენ: „გენაცვალე სულში, ვახარე შენი მარჯვენი!..“ (იქვე, გვ. 330).

ცნობილია, რომ არ მოიძებნება არც ერთი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი მწერალი, რომელიც ფართოდ არ იყენებდეს ანდაზებს და ამით კიდევ უფრო მიმზიდველს არ ხდიდეს მხატვრულ ნაწარმოებს. ისიც კარგადაა ცნობილი, რომ ჩვენი ლიტერატურის კორიფეები არა მარტო იყენებდნენ ხალხურ ანდაზებს, არამედ, ამასთანავე, თავის მხრივ აწვდიდნენ ფართო მასებს საკუთარ ანდაზა-სენტენციებს.

პ. ლორიას თხზულებებში უხვად გვხვდება ხალხური ანდაზები. ისინი ლექსიკურად და ფორმით მისადაგებულია ამა თუ იმ ამბავთან, რითაც მწერალი უფრო დამაჯერებელს ხდის პერსონაჟთა მეტყველებას. ამ მიზნით ზოგჯერ ანდაზის პერიფრაზირებასაც მიმართავს: „ზარმაცი კაცის ხელში ბასრი ნამგალიც ცუდად ჭრისო“ („ჩაი,“ გვ. 8); „ხომ გაგიგონიათ, მარჩიელს ნარჩიელაო“ (იქვე, გვ. 130); „მორიელს რომ სიკვდილი მოუნდება, ხვრელიდან უდროო დროს გამოძვრებაო, — ნათქვამია“ („მევლუდი“, გვ. 395); „ხომ იცით, მორიელის ნაკბენს მორიელის შხამითვე მკურნალობენ“ (იქვე, გვ. 451); „სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობსო — ამ ხნის კაცს ტყუილიც დაეჯერება“ (იქვე, გვ. 464).

ადგილების შესაფერისად აქა-იქ ვხვდებით რუსული სამოხელეო, ჩინოვნიკური ყარგონული მეტყველების ნიმუშებსაც, რომელთაც მოხელეთა თანამდებობრივი რანგების განსასხვავებლად ზოგჯერ შესაფერი იერი გადაჰკრავს. მაგალითად, „ტაკ ტოჩნო, ვაშე როდიე! — შესძახა მიხეილ ფედოროვიჩმა და სამხედრო წესზე გამოეჭიმა“ („ჩაი“ გვ. 20).

მწერალი, სამწუხაროდ, ზოგჯერ სალიტერატურო ქართულის ნორმებს არღვევს, რაც ხშირად აზრობრივ-ლოგიკურ შეუსაბამობას იწვევს. მაგალითად: „სოფლებიდან ჩამოტანილ **ფოთლებს** აღარ ღებულობდნენ“ (იქვე, გვ. 32; შდრ. დაფნის ფოთლებს — **შ. ნ.**); „კომკავშირში რომ მიიღეს, ანკეტა სამჯერ დაწერა...“ (იქვე, გვ. 67. უნდა იყოს „შეავსო“. — **შ. ნ.**).

ასეთია მოკლედ პარმენ ლორიას „ჩაისა“ და „მევლუდის“ ენობრივი თავისებურებანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსიანად და საინტერესოდ

თბილისის მოზარდ მაყურებელთა რუსული სახელმწიფო დრამატული თეატრის გასტროლების გამო

ჩვენს დიად ეპოქაში — კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა ახალგაზრდობის აღზრდა კომუნისტური სულისკვეთებით. ამ დიდ სახელმწიფოებრივ საქმეში ძვირფასი წვლილი შეაქვს არა მარტო სკოლას, არამედ თეატრსაც, სადაც მოზარდი თაობა ითვისებს ზნეობრივ საფუძვლებს, რაც იმის საწინდარია, რომ ისინი აღიზრდებიან პატიოსან, უშიშარ, მამაც ადამიანებად, სამშობლოს ერთგულ შვილებად.

ამ კეთილშობილურ ამოცანას სახელდობრ ემსახურება თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრი.

ნიჭიერი და უნარიანი შემოქმედი კოლექტივი სექტემბერში ეწვია ბათუმს და ნორჩი და მოზარდი მაყურებელი გაახარა საინტერესო სპექტაკლებით.

რეპერტუარში იყო სხვადასხვა ასაკის მაყურებლისათვის გათვალისწინებული 13 სპექტაკლი.

ა. აქსაკოვის „ალისფერი ყვავილის“, ა. ვლადიჩინისა და ო. ნეჩაევის „მშვენიერი ვასილისას“, ზ. კოროსტილიოვის „რაზე გვიამბეს ჯადოსნებმა“ და სხვა სამავშვო პიესების გვერდით თეატრმა წარმოადგინა უმცროსი და საშუალო ასაკის მოსწავლეებისათვის განკუთვნილი სპექტაკლებიც — მ. შატროვის „რევოლუციის სახელით“, მაინ რიდის „უთავო მხედარი“, ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით ინსცენირებული; დაბოლოს, უფროსი კლასების მოსწავლეებისა და მოზრდილებისათვის — ა. ოსტროვსკის „უდანაშაულო დამნაშავენი“, ი. ჭავჭავაძის მოთხრობის „სარჩობელაზედ“ ინსცენირება სახელწოდებით „რისთვის?“, აგრეთვე ე. რონეტის თანამედროვე თემაზე დაწერილი პიესა „უძღები შვილი“, ბერნარდ შოუს „ეშმაკის მოწაფე“ და სხვ.

დიდი ინტერესი გამოიწვია მაინ რიდის ცნობილი რომანის „უთავო მხედრის“ ინსცენირებამ.

პირველი მოქმედების სცენა: კაკტუსები, ქვიშა, ალაგ-ალაგ ბალახით მოფენილი პრერიები, რომელთაც დაჰყურებს ახლად ამოსული მეწამული მთვარე. ამ ფონზე თამაშდება ადამიანთა დრამა. ტეჰასში (კალიფორნია) ცხოვრება კაპიტალის მგლური კანონის ტყვეობაშია, იტანჯებიან უბრალო და პატიოსანი ადამიანები.

მაინ რიდი თავის რომანში ხაზს უსვამს სიყვარულისა და სამართლიანობის გრძნობას, რომელსაც განასახიერებს ნაწარმოების მთავარი გმირი მორის ჯერალდი. ჯერალდს მეტად დამაჯერებლად წარმოგვიდგენს მსახიობი ი. სუხანოვი. მორისის მეგობარი მონადირე ლ. რომანოვის (საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი) შესრულებით საუკეთესოა მთელ სპექტაკლში. მისი მშვენიერი გარეგნობა, საუცხოო დიქცია, სცენური სახის არსში ჩაწვდომის უნარი უზრუნველყოფენ წარმატებას. პლანტატორ ბუდლა ჰოიდენქსტერის როლის შემსრულებელმა ა. ენგელგარტმა აგრეთვე ნამდვილი ფერები გამონახა ჰენრისა და ლუიზას მამის განსახიერებისათვის. კასიო კოლხუანი (ი. ბალა), ენებიანი ისიდორა კოვარუბიო დე ლოსლანოსი (ე. აგალაროვა), რომანტიკული ლუიზა (ნ. პანინა), პოეტი ლირიკოსი ჰენრი (ლ. სოლნცევი), დაბოლოს ფელიო ნილი (კ. ეფიმოვი), ფლორინდა (მ. ბუბუტეიშვილი) და სხვები, ჩანს, მონდომებით ეძებდნენ და უპოვიათ კიდევაც შესატყვისი შტრიხები სცენური სახეების გამოსაკვეთად. მინდა შევნიშნო რეჟისორს და მსახიობებსაც: რა საჭიროა ასე ხშირად ლაპარაკის შეცვლა სიმღერით? სიმღერის დროს ბავშვები მაშინვე ხმაურს იწყებენ, რადგან დრამის მსახიობის ხმა სასიმღეროდ ვერ არის დაყენებული, იგი მაყურებელთა დარბაზში ვერ იჭრება,

მსახიობიც იჩრდილება და ვერ ამჟღავნებს შემსრულებლობითს ოსტატობას. თეატრმა ყველაფერი პროფესიულად უნდა გააკეთოს. ჩანს, რეჟისორს ამით უნდოდა შეეფერადებინა, გაემართა პიესის დრამატულად სუსტი მხარეები, მაგრამ ამას ვერ აღწევს.

განსაკუთრებით იტაცებს მაყურებელს უკანასკნელი მოქმედება, სადაც მჟღავნდება არამზადა კასიო კოლხუანის მთელი სისაძაგლე და საბოლოოდ იმარჯვებს სათნოება.

ა. აქსაკოვის ზღაპარი „ალისფერი ყვავილი" (ი. კორნოუხოვასა და ა. ბროსუევიჩის ინსცენირება) განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. ამბავი მშვენიერ გოგონა ალიონუშკასი, მის მიერ ყეყეჩი დების — მზაკვრობისა და ბუნების ბნელი ძალების — თილისმის, როკაპის, ჭინკისა და ქაჯის დაძლევა მეტყველებს ცხოვრებაში სიკეთისა და სილამაზის ნათელი საწყისების დამკვიდრებაზე, ბოროტების დამარცხებაზე. რეჟისორმა რ. შაპოტაშვილმა, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწე მხატვარ ი. შტენბერგთან და საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწე კომპოზიტორ ვ. ბაიერთან ერთად, შექმნა ხალისით სავსე, ოპტიმისტური და მეტად კოლორიტული სპექტაკლი. მოსაწონია აგრეთვე შემსრულებლები. მსახიობი ნ. პანინა ქმნის ახალგაზრდა გმირი ქალის ალიონუშკას ლირიკულ და ამაღელვებელ სახეს. დამაჯერებელი და უშუალოა მამა (პ. შტოგრინი). საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები ო. ბელენკო („ფისა"), კიროვა („კაპა"), მ. ბუბუტეიშვილი (როკაპი), მსახიობი ლ. კუბარევა (კიკიმორა) და მ. მიხაილოვი (ქაჯი) ქმნიან ანსამბლს, რომელიც მკვეთრად გამოყოფია ზღაპარში გადმოცემულ კეთილ ძალებს. კარგად განახორციელა ი. სუხანოვმა ურჩხული. კარგი და მგრძნობიარეა გადია — ი. ორიოლი. ნორჩი მაყურებლები სულგანაბული ადევნებენ თვალყურს პერსონაჟებს და სპექტაკლის დამთავრების შემდეგ კმაყოფილი გამოდიან თეატრიდან.

ამ პატარა მიმოხილვით ძნელია ყველა საგასტროლო სპექტაკლის დახასიათება. მაგრამ ერთი კი მაინც ცხადია — თბილისის მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრის გასტროლები საინტერესო და სასარგებლო იყო.

ჩვენ შეგვიძლია ამ თეატრის რეპერტუარიდან განვიხილოთ რომელიც გნებავთ სპექტაკლი და დავრწმუნდეთ, რომ თვითეულ მათგანს აქვს თავისი ეთიკური და ღრმა აღმზრდელობითი მნიშვნელობა. ავიღოთ მ. შატროვის პიესა „რევოლუციის სახელით". აქ ასახულია სამოქალაქო ომის მძიმე წლები, როცა ვ. ი. ლენინი ფ. ძერჟინსკისთან ერთად ზრუნავდა ახალგაზრდა რესპუბლიკის ნორჩ მოქალაქეებზე, ოცნებობდა მათ ნათელ მომავალზე (რეჟისორი ვ. ვალგუსტი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე მხატვარი ი. შტენბერგი, კომპოზიტორი კ. ლისტოვი), ანდა ა. გაიდარის ნაწარმოების „რ ს. ს." ინსცენირება, რომელიც ასახავს წითელი არმიის ბრძოლებს თეთრ გაიდამაკებთან და პეტლიურელებთან (რეჟისორი მ. ვახნიანსკი, კომპოზიტორი ვ. ბაიერი). თეატრი მოზარდ მაყურებლებში აღვიძებს მოქალაქეობრივ გრძნობებს, სამშობლოს სიყვარულს და ავითარებს მათში საკუთარი მოქმედებისადმი პასუხისმგებლობის შეგნებას.

თეატრი წარმატებით ახორციელებს აგრეთვე კლასიკური დრამატურგიის ნაწარმოებებს. მაგალითად, ა. ოსტროვსკის პიესა „უდანაშაულო დამნაშავენი" თეატრმა სწორად გაიგო (რეჟისორი მ. ვახნიანსკი, მხატვარი დ. ნოდია, მუსიკა ვ. ბაიერისა).

ბათუმელმა მაყურებელმა გულთბილად მიიღო თბილისის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრის სპექტაკლები და უსურვა შემდგომი გამარჯვება თავის კეთილშობილურ და უანგარო საქმეში.

ქ. კოზმისაროვა,
რსფსრ დამსახურებული არტისტი,
თეატრმცოდნე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიცოცხლის სიმღერა

ქსენია მჟავიას ლექსების პირველი წიგნი ექვსი წლის წინათ გამოვიდა. პოეტმა იმთავითვე მიიპყრო მკითხველთა ყურადღება, მძაფრად გვიჩვენა ლირიკული გმირის სულიერი სილამაზე და სიმდიდრე, ჯანსაღი ოპტიმიზმი.

გასული წლის ბოლოს გამოვიდა ახალგაზრდა პოეტის მეორე წიგნი „სიცოცხლე მღერის". პოეტისათვის მრავალი ნიჭიერი ლექსი შთაუგონებია ჩვენი ადამიანების მჩქეფარე, შინაარსიან ცხოვრებას. საბჭოთა ადამიანის, საბჭოთა ქალის ვაჟკაცური გულის ძახილი ისმის სტრიქონებში:

ვინ ბედავს ასეთ სიმშვიდეში,
ამ სიწყნარეში,
ომზე ლაპარაკს!

ავტორს განსაკუთრებით იმიტომ აამაყებს ჩვენი ძლევამოსილი სამშობლოს შვილობა, რომ საბჭოთა ქვეყანა თანმიმდევრულად იცავს მშვიდობას, რომ ჩვენში გაიმარჯვა ყველაზე მოწინავე იდეამ — კომუნისტურმა იდეამ. პოეტი ამას გამოთქვამს არა დეკლარაციული და მშრალი სტრიქონებით, არამედ გულთბილად და შთამბეჭდავად.

კრებული იხსნება ლექსით „სიცოცხლე მღერის", რომელიც გვხიბლავს ლაღი ლირიზმითა და სიცოცხლის უსაზღვრო სიყვარულით. ლირიკული გმირი საბჭოთა ადამიანია, ჩვენი ბუნების სილამაზე რომ ახარებს, ჩიტის გალობას ჩვილის ტიტინივით რომ ისმენს, მაგრამ საქმე წუთითაც არ ავიწყდება. აქ ყოველი ტაეპი სათანადო მხატვრული სახეებით არის განათებული.

პოეტი ქალი ცხოვრებას არ უყურებს ვარდისფერი სათვალეებით. ბევრი მისი ლექსი აღბეჭდილია შინაგანი დრამატიზმით. იგი გამოხატავს მაღალზნეობრივ გულისტკივილებსაც, მაგრამ აქაც ნაჩვენებია საბჭოთა ადამიანის სულის მღელვარება, ადამიანისა, სტოიკურ სიმხნევეს რომ იჩენს ჭირში და მომავალს რომ იმედიანად შეჰყურებს.

ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს ლექსი „მოგონება". აქ არის მოთხრობილი მშობლის დაკარგვით გამოწვეული განწყობილებანი.

ქსენია მჟავიას წიგნში დიდი ადგილი აქვს დათმობილი სატრფიალო ლექსებსაც. ამ ლექსთა ლირიკული გმირი უაღრესად კეთილშობილი, სულიერად მდიდარი ადამიანია. ვის შეეძლო, თუ არა საბჭოთა ადამიანს, ეთქვა: „ჭორი უთქვამთ, სიყვარული ძნელიაო, სიყვარული ტანჯვაააო და წვალება". პოეტს კარგად ესმის, რომ სიყვარული ადამიანის უღრმესი გრძნობა და პატიოსნებაა. მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ ქ. მჟავიას ზოგიერთ სატრფიალო ლექსში არ ჩანს ჩვენი დროის ადამიანი. ზოგიერთი სტრიქონი მომეტებულად ნაზი განცდებითაა აღბეჭდილი.

სხვა ლექსებიდან კარგ შთაბეჭდილებას ტოვებენ „დედისადმი", „დედა", „მატარებელში", „ზღვის სიმღერა", „გამოთხოვება", „ცხოვრობდა, წერდა, უყვარდა", „ის გიმღეროდა" და სხვ.

ნ. თალაკვაძე.

საქართველო-ამიერკავკასიაში კაპიტალიზმის განვითარების შესახებ

გამოქვეყნდა პროფ. პ. გუგუშვილის მონოგრაფიის „საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში" მესამე ტომი. იგი სოფლის მეურნეობის ტექნიკისადმი მიძღვნილი გამოკვლევით იხსნება. ავტორის მიზანია კაპიტალისტური მეწარ-

მეობის განვითარების შესაბამისად გააშუქოს სამიწათმოქმედო ტექნიკის მდგომარეობა XIX საუკუნის II ნახევარში. მდიდარი ფაქტობრივი მასალის საფუძველზე მკვლევარი დაასკვნის, რომ კოლონიური მდგომარეობით გამოწვეული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეზღუდულობა, დაბალი ანაზღაურება და წვრილი მიწათმფლობელობა აფერხებდა „შრომის საზოგადოებრივ მწარმოებლურ ძალთა განვითარებას და მეცნიერების გამოყენებას მიწათმოქმედებაში“ (გვ. 121). ეს კი უარყოფითად მოქმედებდა კაპიტალიზმის განვითარებაზე, რადგან უმცირესობის მიერ შეძენილი წვრილი სამეურნეო ინვენტარი შრომამიგებას მთლიანად ვერ დევნიდა, შრომის ნაყოფიერებას სწრაფად ვერ ზრდიდა და აფერხებდა გლეხობის დიფერენციაციას. ამის მიუხედავად, სამართლიანად შენიშნავს ავტორი, „კაპიტალისტურმა მეწარმეობამ და ტექნიკამ პირველად მიიტანა იერიში... რუტინული მიწათმოქმედებითი იარაღების კონსტრუქციული უცვლელობისა და საერთოდ შეუცვლელობის წინააღმდეგ და, ცხადყო რა ახალშემონაღებთა ტექნიკურ-ეკონომიური უპირატესობა, მითვე გააადვილა მიწათმოქმედებაში შემდგომ სიახლეთა და გაუმჯობესებათა შეტანა“ (გვ. 121-122).

მონოგრაფიის მეორე ნაწილი მემინდვრეობას ეხება. აქ განხილულია ხორბლის, სიმინდისა და სხვა მარცვლეული კულტურების გავრცელების მდგომარეობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში. დიდძალი სტატისტიკური მასალის გაანგარიშებით ავტორი გვიჩვენებს სასაქონლო ურთიერთობის განვითარების შედეგად ამ დარგში მომხდარ ცვლილებებს, კერძოდ მემინდვრეობაში კაპიტალისტური მეწარმეობის შესვლას და მარცვლეულით ამიერკავკასიის რესპუბლიკების ვაჭრობას XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე.

ფულადი ურთიერთობის განვითარების შედეგად მარცვლეულმა სავაჭრო ხასიათი რომ მიიღო, ამის შესახებ ნაშრომში საკმაო ფაქტია მოტანილი. მაგრამ საყურადღებო ისაა, რომ ავტორმა გვიჩვენა სასაქონლო მარცვლეულის წარმოებაში მემამულეთა და გლეხურ მეურნეობათა ხვედრითი წონა. ნაშრომში სწორადაა აღნიშნული, რომ „საქონლური ხორბლის თითქმის მთელი მოსავალი გლეხურ მეურნეობათა პროდუქტს წარმოადგენდა“ (გვ. 242). ფაქტიურად ეს საკითხის ამოსავალი დებულებაა, რადგან მემამულეების მიერ დამზადებული მარცვლეული ამ მეურნეობათა პროდუქტულობის ზრდის შედეგი კი არ იყო, არამედ ფართოდ გავრცელებული იჯარის ნაყოფს წარმოადგენდა. ამის გამო ეს უკანასკნელნი საბატონო მეურნეობიდან კაპიტალისტურზე გარდამავალ ხასიათს ატარებდნენ. განსხვავება მხოლოდ მათ დანიშნულებაში მდგომარეობდა, რადგანაც ახლა ბაზართან უფრო იყო დაკავშირებული.

ნაშრომში საინტერესოდაა წარმოდგენილი მსოფლიო ბაზარზე საქართველო-ამიერკავკასიის მარცვლეულის როლი და მნიშვნელობა, კერძოდ ხორბლის ექსპორტის ზრდა, რაც XIX საუკუნის 60-90-იან წლებში იყო შესამჩნევი. აქვე მკვლევარი დაწვრილებით განიხილავს ამიერკავკასიის მარცვლეულის თვითღირებულების საკითხს, რადგან უამისოდ გაუგებარი იქნებოდა უცხოურ მარცვლეულთან კონკურენციაში მისი დამარცხების მიზეზი. იგი სწორად მიუთითებს, რომ მსოფლიო ბაზართან დამაკავშირებელი კარგი და მოხერხებული სამიმოსვლო გზების უქონლობა ზრდიდა საქართველო-ამიერკავკასიის მარცვლეულის თვითღირებულებას. „ასეთ პირობებში ადგილობრივ ხორბალს ბაზრებზე... თანდათანობით გზა უნდა დაეთმო რუსეთიდან მოტანილისათვის“ (გვ. 245).

ნაშრომის მესამე ნაწილი მიძღვნილია მეცხოველეობისადმი.

ფეოდალური და ბურჟუაზიული ხანის იურიდიული ძეგლების შესწავლის საფუძველზე ავტორი ფართოდ აშუქებს საბალახოთა სარგებლობის წესებსა და გადასახადებს, რომლებიც სამეურნეო ყოფაცხოვრების გარდამავალი ფორმების შესაბამისად იცვლებოდნენ, თუმცა არსებითად ინარჩუნებდნენ საკუთარ სახეს, როგორც ექსპლოატაციაზე დამყარებული საზოგადოებრივი ურთიერთობის წარმონაქმნი. მეცხოველეობის განვითარების აუცილებლობით ამ სისტემაში მომხდარი ცვლილება (რაც ხშირად მისი უვარგისობით იყო გამოწვეული) მხოლოდ სახელმწიფო ხაზინისა და პრივილეგიური საზოგადოების ინტერესებს შეესაბამებოდა.

ნაშრომში უძვირფასესი მასალაა წარმოდგენილი მეურნეობრივი სხვადასხვაობის თავისებური პირობების, ბაზრისა და მომთაბარე მოსახლეობის ეკონომიური ურთიერთობის, გლეხობისა და პრივილეგიური წოდების დამოკიდებულების და საზოგადოებრივი ყოფაცხოვრების სხვა ძირითადი ნიშნების შესახებ, ახსნილია მიზეზები (მოსახლეობის ზრდა, საბალახოს შემცირება), რამაც მომთაბარე მესაქონლეობიდან მიწათმოქმედებაზე გადასვლის ტენდენცია გააძლიერა, და სხვ.

დაბოლოს, ნაშრომს ერთვის ცალკეული დარგების მიხედვით შედგენილი მეცხოველეობის სტატისტიკა (თითოეული ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობის ოდენობის გათვალისწინებით) 1862 წლიდან 1917 წლამდე.

წიგნი დაწერილია მრავალრიცხოვანი წყაროებისა და დღემდე უცნობი საარქივო მასალების მომარჯვებით.

კ. ღლონტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შალვა შუბლაძე

დისერტანტი კოდალა

დილიდან შეღამებამდე ხეს უკაკუნებს კოდალა,
ვერც ვერაფერი მოკორტნა, ვერც ვერაფერი მოთალა.
შოშიამ ჰკითხა: — ძმობილო, რა თავი გიძლებს, რა გული,
ნუთუ ტვინი არ შეგერყა ხეზე ამდენი რახუნით?
კოდალამ უთხრა: — ვერ ხედავ, დისერტაციას ვამზადებ,
ფუღურეოს წარმოშობისა და შიგ ბარტყების დაზრდაზე.
მალე დოქტორი გავხდები, დრო დამიდგება ნეტარი!
— კანდიდატიც ხარ? რომელი მეცნიერების ნეტავი?
— რომელი მეცნიერების? (კოდალა მწარედ ფიქრდება),
სოლომონ ბრძენი ხომ არ ვარ, ასეთი კითხვა იქნება!
შოშია ეტყვის: — მითხარი, როგორც ძმასა და მეგობარს,
როდისღა უნდა დაწერო, მარტო რახუნი გეყოფა?
კოდალამ ჩაიხითხითა, თან მეგობრულად გაჰკრა ფრთა:
— აგერ, ჭინჭრაქას თუ ხედავ, კაცი რომ არ თვლის არაფრად,
სულ ტვინად არის ქცეული, არც არის ენა ტარტალა,
ბევრი დიდი თუ პატარა მისი შემყურე გამხდარა.
სულ საქმეშია საწყალი, წამით არაა მოცლილი,
სამაგიეროდ ყელამდე სავსეა მისი ცოლ-შვილი.
დღეს ხარისხს ვინც ვერ დაიცავს, ის, აბა, რაღა კაცია
და ჭინჭრაქასაც ყოველთვის მზადა აქვს დისერტაცია.
— ჩანს, მასზე განათლებული ჩვენში არავინ ყოფილა?
— ცხრა კლასი რომ დაამთავრა, სიბრძნე ქვეყანას მოჰფინა.
შოშიამ უთხრა: — მრცხვენია, შენს ქცევას როგორ ვუყურო,
სხვა თემას ვერ მიაგენი, ვის რად ჭირდება ფუღურო?
— მე კი რაიმედ მჭირდება? მაგის არც მცხელა, არც მცივა.
შენ ხარისხი თქვი, მერე კი ფული ჩეჩქივით დაცვივა!
ბოლოს დაფიქრდა კოდალა, უთხრა:
— რაც აქ ვთქვი, ძმობილო,
თავი არ მომჭრა საქვეყნოდ, არავის შეატყობინო!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქ უ რ დ ი

ქურდი სახლში შეიპარა,
ბაგრამ ყურში სტაცეს ხელი.
— გსურს გაგვძარცვო?
— სულაც არა,
არ გეგონოთ მტაცებელი!
წუხელ გვიან, აქ რომ გახლდით,
დაკეტილი იყო სახლი.
და არ ვიცი, რატომ, თუ რად
კართან მიველ უნებურად.
ყურს ვუგდებ და უცნაური
ხვრინვა მესმის კედელს იქით.
„უჰაეროდ ძვრებათ სული!“ —
მომივიდა თავში ფიქრი.
„მიეშველე, ვიდრე ძინავთ!“
ფანჯარაზე შევდგი ფეხი.
ჩამოვხსენი უმალ მინა,
სახლში ჰაერს შევუძეხი.
და გადარჩით, ხედავთ, სიკვდილს,
აწ სიკეთეს ასე მიხდით?
— გვჯერა შენი, — უთხრეს, — მაგრამ
ხელს გაგიკრავთ მაინც მაგრად.
გვეპარება განა ეჭვი,
კარგი კაცი ხარ თუ არა?
რადგან ქურდებს ერთი ზნეც
გჭირთ, —
ყველანი ხართ მატყუარა.

* * *

პაუერსიც შემოპარვას
ჩვენს ბაღჩაში ასე ცდილა,
მაგრამ რაც მას ერგო წილად,
სხვებს ეყოფა გაკვეთილად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე სამსონია

სტუდენტობა და სიყვარული

შესავალი

სტუდენტობისა და სიყვარულის საკითხი მე დიდი ხანია მაწვალებს. რომ გითხრათ, ბავშვობიდან მსურდა სტუდენტი კაცის ცხოვრებაზე მოთხრობა დამეწერა-მეთქი, ტყუილი გამომივა. ბავშვობიდან მე უმაღლესში მოწყობა მსურდა, უფრო სწორად, ჩემი მშობლები გიჟდებოდნენ ამაზე. მე ისედაც გიჟი ვიყავი და ბებიაჩემის გარდა არავის ეგონა ინსტიტუტში თუ მოვეწყობოდი.

საყვარელო ბებია, გახსოვს რომ ამბობდი, ჩემი შვილიშვილი გენიოსი თუ არ გამოვა, ქვეყანას მაინც გააკვირვებსო? აგისრულდა ხომ ხედავ სიტყვები!

შენ ისიც გახსოვს, ალბათ, ჩურჩხელებს რომ გპარავდი, მაგრამ არც მე დამვიწყებია თხილის შოლტით აწითლებული კანჭები. რა გაგიკვირდა, კი მირტყამდი ხანდახან, მაგრამ შენზე საყვარელი მაინც არავინ მყავს ამ ქვეყანაზე. ახლა კარგად იყავი, ჩემო ბები, და თუ არ დაგეძინება, იკითხე აგი ნაცოდვილარი. რაო, თვალები გტკივა? მაპატიე, ოქროს სათვალე რომ ვერ გიყიდე ამდენ ხანს!

მკითხველების წინაშე ბოდიშს ვიხდი ამ ლირიკული გადახვევისათვის. ბებიას და ბაბუას მეტს არ შევაწუხებთ. ისინი ჩვენ აღარ გვჭირდება, ჩვენ ხომ დიდები ვართ და უმაღლესი კარგა ხანია დავამთავრეთ.

როგორც უკვე გითხარით, მე დიდი ხანია მინდოდა სტუდენტობაზე მოთხრობის დაწერა. საერთოდ მე ვალში ვარ ინსტიტუტის წინაშე, რადგან ბიბლიოთეკას დავუკარგე ორი წიგნი და დოსააფს ერთი თვის საწევრო. ალბათ, შემინდობს ამ ცოდვას ინსტიტუტი. ჩემისთანა ხალხს რომ უმაღლესს ამთავრებინებდა, აბა რა ეგონა!

მაშასადამე, ეს იქნება მოთხრობა სტუდენტობასა და სიყვარულზე.

სტუდენტობა!

სტუდქალაქი, ინსტიტუტი, კრებები, გამოცდები.

სტიპენდიის დაკარგვა და სოფლიდან გამოგზავნილი ფულის მოლოდინი.

ბორში ხორციანი და ბორში უხორცო.

ნასესხები სამშაურიანებით ტრამვაიში მგზავრობა.

თვალსა და ხელს შუა გაფრენილი ხუთი წელი.

დიპლომი, რომელიც ახლა ბუხარზე დევს, და

მამაჩემი სევასტი:

„ამიზა დამიქციე, შვილო, ოჯახი?“

ახლა სიყვარული!

თეთრი ქალიშვილი, ჭადრების ხეივანი, მზე და წვიმა.

პაემანი, ჩხუბი, ღვინო.

ბევრი, ბევრი ფული.

„სადაა?“

ხუთი წლის შემდეგ დიპლომის გვერდით ჩოლკიანი გოგოს სურათი.

დედაჩემი სოფიო:

„აღარ მოგყავს, ბიჭო, ვინცხაა აგი თმაგაწეწილი?“

„ვინ გატანს, დედაჩემო, ვინ!“

ყველაფერი ზემოთ თქმული იყო შესავალი. შესავალი რომ არ დამეწერა, მე გამოსავალი არ მქონდა, რადგან წესია მკითხველებს გააცნო რაზე იქნება მოთხრობაში ლაპარაკი, როგორ აიგება კომპოზიცია, სად იქნება კულმინაცია, ვინ შეკრავს კვანძს და ვის ჩამოახრჩობენ.

საერთოდ მწერალმა უნდა დაინტერესოს მკითხველი. ნაწარმოებში უნდა იყოს სროლა, ამისათვის საჭიროა ხმაურის ატეხა, მერე ვიღაცას უნდა მოეჭრას თავი, თავი შეიძლება ავ-

ტორსაც მოეჭრას, მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს.

წინასწარ უნდა განვაცხადო, რომ ჩვენს მოთხრობაში სისხლი არ დაიღვრება. მკითხველის გარდა სასიკვდილოდ ჩვენ არავის გავიმეტებთ.

მე და ჩემი ამხანაგები ვიქნებით ამ მოთხრობის გმირები. ჩემს ამხანაგებს თავის დროზე მე გაგაცნობთ, თქვენ კიდევ მე გამიცნობთ, როცა საჭირო იქნება, და მივცემ ნებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ არ დაგვავიწყდეს, ჩემს სახელს გეტყვით, მე სიმონი მქვია. მანამდე ეს სახელი სიმონა დოლიძეს ერქვა. საერთოდ ძალიან პოპულარული სახელია. თქვენ წარმოიდგინეთ, საფრანგეთშიც კი ჰქვია ხალხს სიმონა და რა გასაკვირია ჩვენც სიმონები ვიყოთ.

31 აგვისტოს ღამე

ყოველი პროფესორი თავის დროზე სტუდენტი იყო, მაგრამ ყოველი სტუდენტი პროფესორი არ იქნება. მიუხედავად ამისა, ყველა სტუდენტს შეუძლია თავისი წვლილი შეიტანოს მეცნიერების განვითარებაში.

პირადად მე აღმოვაჩინე, რომ თბილისშიც თურმე ისე ღამდება, როგორც მზიანეთში.

მზიანეთი ჩემი სოფელია გურიაში. მზიანეთში, მართალია, ტრამვაი არ დადის, მაგრამ ზედ რკინიგზის პირას ვცხოვრობთ და თბილისის მატარებელი ჩვენს სადგურზეც ჩერდება.

კარგი სოფელია მზიანეთი! ცუდიც რომ იყოს, მაინც მიყვარს და ყოველთვის გული მიტოკდება მის გახსენებაზე. აი ახლაც, ამ საღამოს, მზიანეთიდან შორს, თბილისში, სტუდენტთა ქალაქის მეოთხე კორპუსის მეხუთე ოთახში მე ჩემს სოფელს ვიგონებ.

ფიქრები ჩქარი მატარებელივით მიყვება რკინიგზის ლიანდაგს. უკან რჩება სადგურები, სოფლები, ქალაქები. წიფის გვირაბს რომ გაცდები, თავი უკვე სახლში გგონია, ხოლო სამტრედიაში რომ ჩახვალ, გინდაც შენს ეზოში წამოწოლილხარ კოინდარზე. სამტრედიაში კაცი აღარ დაიკარგება. რაო, მზიანეთში მივედით უკვე? ჩამიშვი ერთი, პრავადნიკ, ფული ხომ მოგეცი, კაცო, აღარ გახსოვს?

— გამარჯობა, ალფეზი ბიძია, სიმონი ვარ, რომ მიყურებ. მამაჩემი ხომ არ გინახავს სადმე? აა, ბრიგადაში იქნება? დედა ძროხის მოსადენადაა წასულიო? მადლობელი ვარ, ბიძია, მადლობელი!

მზე კარგა ხანია ჩავიდა. უკვე ისე ჩამობნელდა, რომ გოგო-ბიჭები ხელჩაკიდებული ბრუნდებიან სამუშაოდან და პლანტაციებში გაკრული ლოზუნგების წაკითხვაც შეუძლებელი ხდება. მე მაინც ყველა ზეპირად ვიცი. ა, თუნდაც აგერ, ღელის პირას რომაა: „მზიანეთის მშრომელებო, მიბაძეთ ნათელა ურუშაძეს და მოკრიფეთ 7 ტონა პირველხარისხოვანი ჩაი. მეორე ხარისხს ფაბრიკა არ მიიღებს“.

ნათელა ურუშაძე ჩემი კბილაა. სკოლაში რომ დავდიოდით, მასწავლებელი მეუბნებოდა ნათელას მიბაძეო. სკოლა რომ დავამთავრე, თავმჯდომარემ მითხრა ისევ ნათელას უნდა მიბაძო და სოფელში დარჩე სამუშაოდო. მე თავმჯდომარის შვილს მივბაძე და უმაღლესში მოვეწყვე.

ნათელა კარგი გოგოა. მე და ნათელა ერთად ვიზრდებოდით და ჩემზე უკეთესად არავინ იცის მისი ამბავი.

ნათელას მუსიკის ნიჭი აქვს, ოლიმპიადის სიმღერები სულ ზეპირად იცის. კოლექტივის მერგოლურო, მზეში დამწვაროო, რომ დაიწყებს, მერგოლურიც მორბის მის მოსასმენად და რგოლის წევრებიც. ამ ამბავს რომ დაინახავს, ბრიგადირი შორიდან გადმოსძახებს, ქალაუ, გეგმებს თუ ასრულებო. ნათელა გულს დაუწყნარებს, ნუ გეშინია, გეგმებსაც ვასრულებ და პრემიასაც მივიღებო.

მართალია, პირადად მე უნიჭო ვარ და ხეირიანად სიმღერის მოსმენაც არ შემიძლია, მაგრამ ის ძაან მსიამოვნებს, როცა ნათელა „ზამთარია, მათოვს, მაწვიმს“ მღერის. ეს არის და მეტი არაფერი, თქვენ სხვანაირად ნუ იფიქრებთ.

აგერ ჩვენს სახლსაც მივადექით. მამაჩემო, ჭიშკარი რომ დაგრჩენია ღია, ანთიმოზას ღორები თუ შეგიცვივდა ეზოში, ნახავ ერთი რას დაემსგავსება შენი ნაფერები სიმინდი!

დედაჩემი ლაფარაში ძროხას წველის, ქოთანი პირამდეა სავსე. ეტყობა, კარგად უბალახია დღეს ჩვენს ლამაზას. არა, ნენა, რძე არ მინდა, ხბოს დაუტოვე, ცოდვაა. მე კვერს თუ გამომიცხობ, კი შევჭამ, ძაან მომენატრა.

რა იყო, რა გაკვირვებით მიყურებთ, სოფიოვ და სევასტივ? თქვენი ბიჭი ვარ, სიმონი, ხომ მიცანით? რაფერ ვიქნები ახლა, ორი დღეა სახლიდან რომ წამოვედი, წერილი კი გამოგიგზავნეთ გუშინ და ჯერ თუ არ მიგიღიათ, გეტყვით, რასაც გწერდით.

თბილისი რომ მზიანეთი არაა, მაგი ქე გეცოდინებათ უჩემოდ.

სამტრედია ხომ დიდი ქალაქია, მაგრამ თბილისი სამტრედიაზე დიდია. როგორ აგიხსნათ ახლა, ქუჩაში რომ მივდივარ, პატარა კიდეც მეშინია არ დავიკარგო ამ ბაზრობა ხალხში, მაგრამ იმდენი კი ვიცი, პირველი და ორი ნომერი ტრამვაი ვაკეში რომ ჩერდება ჩემი სახლის წინ. ჩაჯდები ლამაზად, გადაიხდი ექვს შაურს და სულ ხრიგინ-ხრიგინით მიგიყვანს სტუდქალაქში.

სტუდქალაქი რაცაა, კი გექნებათ გაგონილი, მაგრამ მე უფრო კარგად გეტყვით. თბილისი ქალაქია, მაგრამ რაიონიდან ჩამოსული ხალხისთვის კიდევ ცალკე ქალაქია გაშენებული, ასე

ჩვენი სოფლის ხელა იქნება. ჩემისთანა სიმონი ათასი ცხოვრობს შიგ. ხუთი წელი რომ გავა და უმაღლესს რომ დაამთავრებ, პატარა ჭკუა თუ გექნა და პატარა იღბალიც, შეიძლება ბინა მოგცენ და მაშინ ნამდვილ თბილისში იცხოვრებ. აქაურები ამბობენ, ყველა მასე შვებაო. მე პირადად ღმერთმა დამიფაროს, დიპლომი თქვენ თუ არ ჩამოგიტანეთ სოფელში, რად მინდა თავი ცოცხალი!

რავა ხარ, უჩვენოდ რას აკეთებო, რომ მეკითხებით, ჯერჯერობით ჭამის მეტს არაფერს ვაკეთებ. აგი ბორშო, აგი შნიცელიო, აგი კიდევ სალიანკაო და რა ვიცი კიდევ რამდენ თავს შეჭამს კაცი თუმნად და ორ აბაზად. თქვენ ნუ გეშინიათ, ჭამაზე სტიპენდია მეყოფა. ჩემთვის გამოსაგზავნი ფულით მაგი ჭიშკარი გავაკეთოთ წელს, ისე იმხელა, მანქანა რომ შემოტეიოს შიგ. გოგია კოპლატაძეს სამი კლასიც არა აქვს დამთავრებული და ხუთი მანქანა თუ გამოიცვალა, ჩვენ ვითომ რა ღმერთი გაგვიწყრება?!

მეტი რა გითხრათ, თბილისის მაღაზიებში ხანდახან იმისთანა რამეები გამოდის, ჩვენსკენ რომ ნახავ კულაშში.

სწავლა ხვალ დილას მეწყება და ნუ გეშინიათ, თქვენ რომ გაგიხარდებათ, ისე გისწავლიო. დედაჩემმა, აქაური ბოგონების ნუ გეშინია, ჩემთან თუ არ გადავრიე, მაგენი მე ვერ გადამრევენ. ისე, სულო ცოდვილო, იმისთანა ჩაცმულ-დახურულები დადიან რუსთაველის პროსპექტზე, ისე აციცინებენ თვალებს, რომ გული ქი გადაგიტრიალდება ხანდახან, მაგრამ მაგისთანა რამეები ჩემთვის აღრეა, ჯერ უმაღლესს დავამთავრებ და ცოლს, მე თუ ვერ ვნახავ, თქვენ მაინც კი მიშოვით სადმე.

ახლა დამაძინეთ პატარა, ხვალ აღრე ვარ წასასვლელი ინსტიტუტში. დანარჩენ ამბავს, როცა კიდევ გნახავთ, მაშინ გეტყვით.

...

— სიმონ, ბიჭო!

— ა?

— ა და წამოდექი ზედ, რა გამოშტერებული გვიყურებ.

— რა იყო, გათენდა უკვე?

— გათენდა კი არა, ახლა დაღამდა.

— თუ დაღამდა, მაცალეთ დავიძინო.

— ჯერ ტანზე გაიძვრე, ძმაო, და ისე დაიძინე.

თერთმეტს ათი წუთი აკლდა, ჩვენი ბიჭები დაბრუნებულიყვნენ კინოდან.

პირველი სექტემბრის დილა

პირველი სექტემბერი სულ სიზმრებში გამითენდა. სად არ ვიყავი და რა არ ვნახე. ჯერ ვითომ უმაღლესი დავამთავრე და ასპირანტურაში დამტოვეს, მერე სოფელში გამგზავნეს სამუშაოდ და ფერმის გამგედ დამნიშნეს. მამაჩემი სიხარულით ცას გამოეკრა, მადლობა ღმერთს, ძლივს კაცური საქმე იშოვაო. ერთი სიტყვით, ისე ვიყავი გაბრუებული, რომ კარგა ხანს თავი მზიანეთში მეგონა და შეშინებული ვუცდიდი როდის ამაგდებდა დედაჩემი ძროხის გასადენად, ან კიდევ ბრიგადირი ჩამიყენებდა ყურში, გეყოფა ძილი, ჩაში წამოდიო.

ბოლოს, როგორც იქნა, ბურანიდან გამოვერკვიე და სტუდენტალაქში აღმოვჩნდი. მაშასადამე, პირველი სექტემბერი დადგა, ისტორიული დღე ჩემს ცხოვრებაში! რამდენი რამ მელის წინ, რამდენი რამ უნდა მოხდეს. ჯერჯერობით კი არაფერი მომხდარა, ჩვენს ოთახშიც სრული სიწყნარეა, ბიჭებს ძინავთ და სანამ გაიღვიძებდნენ, მოდით, მათ გაგაცნობთ.

აი, ჩემს გვერდით რომ მადიანად ხვრინავს, სიკო ხანდრავაა, ფოთელი. ერთად ვაბარებდით, ერთნაირი ქულები მოვაგროვეთ და ახლაც ერთად ვართ. ცუდი ბიჭი არ უნდა ჩანდეს. როგორც კი მოვიდა, გაგვაფრთხილა, ხვრინვა ვიცი და არ შეშინდეთო, პატარა რომ აცივდება, გლანდებს ამოვიჭრი, მეც დავისვენებ და თქვენც დაგასვენებთო.

კუთხეში მეოთხეკურსელი ნოდარ გორდაძე წევს. ბიჭია, რომ უნდა ისეთი. ვაკეში კარგი დამრტყმელის სახელით იცნობენ, ჩვენი ინსტიტუტის ჩემპიონია კრივში. მე რომ მაგის ოთახში მოვხვედი, სხვები შურით გულზე სკდებოდნენ, ბედი გაქვს, თბილისში ვეღარავინ გაგლახავსო. მე მოჩხუბარი კაცი არა ვარ, ჩხუბის მარტო ყურება მიყვარს. ნოდართან ცხოვრება იმიტომ მიხარია, რომ ოქრო გული აქვს და კაცურად თუ ეტყვი რამეს, კაცურადვე გაგიკეთებს.

ნოდარს საწოლთან ათასი რკინები და ღვედები უწყვია. ყოველ დილით იმით ვარჯიშობს. გულში ვთქვი, მოდი ერთი მეც ვნახავ თუ ავწევ ამ გირებს-მეთქი. მოვკიდე ხელი. ოჰო, კაი მძიმე ყოფილა! აბა, დავიწყოთ ვარჯიში. ერთი, ორი, სამი! — შესუნთქვა, ოთხი, ხუთი, ექვსი! — ამოსუნთქვა. ჰო, მიდი, სიმონ, ნუ გეშინია, თუ დაიღალე, დაისვენე პატარა და მერე გაგრძელე. მაშასადამე, ერთი და... ორის თქმა ვეღარ მოვასწარი, გირა პერპენდიკულარულად დაეშვა ჩემს მაზოლიან თითებზე.

ხმაურზე სიკოსა და ნოდარს ეღვიძებათ, მე დარცხვენილი და დაკოჭლებული ისევ ლოგინში ვწვები.

. კარებზე დააკაკუნეს. ნოდარმა გვანიშნა, ჩუმად იყავითო.

კაკუნი ახლა ბრახუნში გადავიდა.

— გააღეთ კარები! — ულტიმატუმს გვიყენებს ვიღაცა გარედან.

— ვინ არის? — ეკითხება ნოდარი.

— სტუდენტთა ქალაქის კომენდანტი! — ისმის ოფიციალური ხმა.

— რა მოგაქვს?

— გიჩვენებთ რაც მომაქვს, კარი გამიღეთ, თქვე ციგნებო!

რა გაეწყობა, ვაღებთ კარებს. კომენდანტ თადაოზს თვალები პროჟექტორებად გახდომია და ისე გვიყურებს, თითქოს სისხლის სამართლის დამნაშავეებთან ჰქონდეს საქმე.

— რა ხმაური იყო? — მრისხანედ კითხულობს იგი.

ნოდარი კომენდანტს წინ დაუდგა.

— ხმაური თქვენ ატეხეთ, ამხანაგო თადაოზ.

— რას მითამაშებ მაგ მუსკულებს, — იყვირა კომენდანტმა, — შენი კი არა, სტრაუნიკების არ შემშინებია ცხრაას ხუთში, დაიწი უკან, მე შენ გელაპარაკები!

ნოდარის მაგივრად უკან თადაოზი იწევს.

— მაჩვენეთ რა გატეხეთ, არ დამიმალოთ. ოო, კიდევ ეს რკინები! ბურთაობთ, არა? ავი ახალგარემონტებული ოთახი რომ დამინგრიოთ, სად მიხვალთ მერე? იცოდე, შენ მოგთხოვ პასუხს, გორდაძე, ჩიტივით გაგაფრენ სტუდენტაქიდან, კაცი შენს ბურდღას ვერ ნახავს!

ჩვენ ვდუმვართ. თადაოზიც წყნარდება.

— პაპიროსი გექნებათ, მომაწევიეთ ერთი ამ ცხელ გულზე.

ნოდარი აწვდის და თადაოზი მადიანად აბოლებს.

— გულის მაგივრად ოქრო მაქვს საგულეში და იმიტომ მიშვებით ამას ხომ?

ნოდარი ხელს კიდებს და ჩემს საწოლთან მოყავს.

— ბატონო თადაოზ, ამ კაცს ხომ ხედავთ. მუხლებამდე წვდება საბანი. ცოდვაა, მოვუხერხოთ რაღაცა.

თადაოზი გაკვირვებული მიყურებს.

— ამის სარგო საბანს ვინ მოძებნის, კაცნახევარია ვიღაცაა ეგ, სადაური ხარ, ბიძიკო?

— მზიანეთელი.

— მზიანეთელიო?

— ჰო, ბატონო, არის ასეთი სოფელი გურიაში.

— კი მარა, ყველა ამ სიგრძე იზრდებით მზიანეთში? ისე, ჩვენებური თუ იყავი, დროზე ვერ თქვი?

— არ გიკითხავთ და.

— ჰო, კარგი, ახლა, ოღონდ ჭკუით იყავით და რამეს მოგიხერხებთ.

თადაოზმა ერთ პაპიროსს კიდევ მოუკიდა და წავიდა.

საათის ისრები ცხრის ნახევარს უჩვენებს. მე უკვე დალეული მაქვს ჩაი და ტრამვაის გაჩერებასთან ვდგევარ. თქვენ თუ ოდესმე სტუდენტი იყავით, გეცოდინებათ რას ნიშნავს ცხრის ნახევრიდან ცხრამდე ტრამვაით მგზავრობა. ამ დროს ყველა სახის ტრანსპორტს ბუზებივით აკრია ხალხი, ყველაფერი გაჭედილია, ადგილი არავის ყოფნის, მაგრამ მგზავრობას შეგნებულ მოქალაქეთა აბსოლუტური უმრავლესობა ახერხებს. ეს არის სასწაული და ცოტა უფრო მეტიც.

ასეთ საქმეში ნოდარი, ეტყობა, დიდი სპეციალისტია. თვითონ ხომ ავიდა და სიკოც ჩამოიკიდა ქამარზე, მე ვიღაცას ფეხს წავეტანე, მაგრამ ამიხსნეს, ეს სახელური არ გახლავთო და ბოდიში მოვუხადე. ამ ახსნა-განმარტებაში ტრამვაი წავიდა და მე ადგილზე დავრჩი.

ლოდინში დრო ისე სწრაფად მიდის, რომ საათზე დახედვისაც მეშინია. აი გამოჩნდა მეორე ტრამვაი. აბა, სიმონ, მოემზადე, — ვუთხარი ჩემს თავს, — უფრო ენერგიული მოძრაობაა საჭირო, ჯერ აამოქმედე ხელები, მერე ფეხებზე იზრუნე, მთავარია დაბლა ფეხსაცმელები არ დაგრჩეს, თორემ ინსტიტუტში ნასკებით მოგიწევს წასვლა.

ტრამვაი დაიძრა.

— გავიწიოთ წინ!

— კარებში ნუ გავჩერდებით!

— შეეიძინოთ ბილეთები!

ისვრის ლოზუნგებს კონდუქტორი, ხალხი უსმენს და არ მოქმედებს, რადგან თევზებივითაა ჩაწყობილი ვაგონში და ხელები შეკრული აქვს. სქელ მამაკაცს, რომელიც უხერხულად გაჩხერილა ბაქანზე, წურწურით ჩამოსდის ოფლი.

— აღარ შემიძლია, გავთავდი, დამიბერე, გენაცვალე, მაგი გაზეთი, თორემ გული შემიწუხდება,—ეხვეწება იგი გვერდით მდგომ ქალს.— ბატონო, ნუ მეხუტები, მე მარტო დამიბერე-მეთქი გითხარი.

აღშფოთებული ქალი მას გაუთლელს, გაუზრდელსა და ლუდის კასრს უწოდებს.

მე ვცდილობ როგორმე სახიფათო ზონიდან გავიდე.

— ვაი ფეხი, მაზოლი! — ღრიალებს სქელი. — თქვენ აკლდით სწორედ, ყმაწვილო, ხო, ხო რა ხართ ახლანდელი ახალგაზრდები, ფეხით მგზავრობას თქვენ არ კადრულობთ, ყოველთვის სხვისი ფეხით გინდათ სიარული.

დანარჩენი მგზავრები კონფლიქტში არ ერევიან, მათ ნეიტრალური პოზიცია უჭირავთ, კუთხეში მდგომ ქალიშვილს კი ეღიმება.

გაჩერებაზე სქელმა მოახერხა ჩასვლა და იქვე მდგომ კონტროლიორს ჩემზე მიუთითა.

— აგერ, იმ ყმაწვილს, ფიჩორის ყანჩასავით რომ დგას, ბილეთი არ აუღია და ჭკუა ასწავლეთ!

ბილეთი მართლაც არა მაქვს, ახლა დაგიჯერებს ვინმე, რომ აღება ვერ მოახერხე?

— ახალგაზრდავ, თქვენი ბილეთი! — ზრდილობის სრული წესების დაცვით მეუბნება ჩემზე უფრო ახალგაზრდა კონტროლიორი.

— ინებეთ! — რაც შეიძლება რიხიანად ვამბობ მე და ჯიბეებში ვიწყებ იმის ძებნას, რაც არ არსებობს. მოულოდნელად ჩემს ხელს ვიღაცას თბილი და ნაზი ხელი ეხება და ბილეთს მაწვდის. მე დაბნეული ვუყურებ ქალიშვილს

ლურჯ თვალებში, რომლებშიც ახლა ოდნავ შესამჩნევი ღიმილი კიაფობს, და მერე კონტროლიორს ვუწვდი ბილეთს. იგი დიდხანს უკირკიტებს ამ ექვსშაურიან ქაღალდის ნახევს, ბოლოს რწმუნდება, რომ ყველაფერი კანონს შეეფარდება, გახევს და წინ მიიწევს.

ჩემი მხსნელი კი ისევ მიყურებს და ეღიმება, არ ვიცი როგორ გადავუხადო მადლობა.

— მე... — და ენა მებმება.

— თქვენ სიმონი ხართ, არა? — იცინის ქალიშვილი.

— დიახ, მაგრამ... თქვენ ხომ არ შეგეშალათ?

— მგონი არა, ფილოლოგიის ფაკულტეტზე ხომ აბარებდით გამოცდებს?

— კი, სულ ხუთები მქონდა, ოცი ქულა მოვაგროგე.

— ჰოდა, მეც გამოცდებიდან მახსოვხართ.

— ახლა მეც გამახსენდა.

— რა გაგახსენდათ?

— აი, გამოცდებს რომ ვაბარებდი.

ქალიშვილი ხმამაღლა იცინის.

— მე თუ გახსოვართ?

— როგორ არა, თქვენ გქვიათ...

— ნანა.

— ჰო, ნანა, მე კიდევ სიმონი მქვია.

— ძალიან სასიამოვნოა, ახლა ჩავიდეთ, სიმონ, ჩვენი გაჩერებაა.

— მილიციელი დგას, უკნიდან ჩამოსვლისთვის დაგვაჯარიმებს.

— შენ მე მომყევი, — მეუბნება ნანა და პირველი ჩადის. რა გაეწყობა, მეც უნდა ჩავიდე!

მილიციელის სასტვენმა ადგილზე გამაქვავა. ნანა კი ამ დროს სამშვიდობოზეა გასული.

— მოქალაქევ, გადაიხადეთ ჯარიმა!

— ბოდიში, პატივცემულო, სტუდენტი ვარ.

— მით უარესი, სტუდენტი თუ ხარ.

ჩვენს გარშემო ხალხი მოგროვდა, ნანამაც მოირბინა. მე ჯიბისკენ წავიღე ხელი, მაგრამ შემაჩერა.

— ხომ ხედავთ რამდენი ხალხია, წინიდან როგორ ჩამოვიდოდით, — ეუბნება იგი მილიციელს.

— ეგ მე არ მეხება, გადაიხადეთ ჯარიმა, თორემ განყოფილებაში წაგიყვანთ.

— თუ თქვენ ეს არ გეხებათ, მაშინ არც ჩვენ გვეხება ჯარიმის გადახდა, — ეუბნება ნანა, მერე ხელს მკიდებს და თითქმის ძალით მიმარბენინებს.

მილიციელი სტვენით დაგვედევნა, მაგრამ წინ სტუდენტები გადაუდგნენ.

— ამხანაგო უფროსო, ეპატიებათ, დღეს პირველი სექტემბერია.

უფროსმა ხელი ჩაიქნია და წავიდა.

ჩვენ ვესტბიულში შევედით. თვალი ამიჭრელდა, იმდენი ხალხი ირევა. აგერ პირდაპირ ჩემკენ თეთრი ქალიშვილი მოდის, დიახ, თეთრი ქალიშვილი, თეთრ კაბაში, თეთრი სახით და თეთრი ღიმილით, უფრო სწორად, თეთრ ფიფქებით. მან შორიდან გაშალა ხელები და, როცა მე უკვე სასიამოვნო მოლოდინში გავინაბე, ჩემს მაგივრად ნანას გადაეხვია.

— ნანოჩკა!

— ქეთინო!

ქეთინო თეთრ პეპელასავით უტრიალებს ნანას და თითქოს მღერისო, ისე ამბობს.

— როგორ დამწვარხარ, მე სულ არ მეკიდება მზე. ცურვა ისწავლე? ჰო, მართლა, ეგ ტიპი ვინ არის?

— ეგ სიმონია, ერთ ჯგუფში ვიქნებით.

— გამარჯობა, სიმონ! — ძველი ნაცნობივით მიწვდის თეთრ ხელს ქეთინო.

მე ვიცი, რომ ასეთ დროს ზრდილობიანი ლაპარაკია საჭირო.

— გაგიმარჯოთ, როგორ გაატარეთ ზაფხული?

— გადასარევად. ზღვაზე სულ თქვენისთანა ხალხი იყო.

— მე კიდევ მდინარეში ვბანაობდი და ღორჯოებს ვიჭერდი.

ქეთინო არაფერს ამბობს და მხოლოდ ჩემს შარვლის ტოტებს უყურებს.

წინ მივიწევთ. კარისკაცის ხმა შორიდან გვაჩერებს.

— აბა, სტუდბილეთები მაამზადეთ. ე, გოგო, სად მიძვრები, დაგინახე, გაჩერდი-მეთქი, გეუბნები!

— ძია მოსე, ბილეთი დამრჩა, გამიშვით. რა.

— აბა გვერდზე ჩამოვდგეთ, სხვებს ხელს ნუ ვუშლით.

ძია მოსე დიდხანს უყურებს ჩემს სტუდბილეთს, მერე მე მიყურებს და მეუბნება:

— ეგ შენი არ არის.

— როგორ თუ არ არის?

— როგორ არ არის და არ არის-მეთქი!

— ჩემია, ბიძია, მამას ვფიცავარ.

— მაგისია ნამდვილად, — არწმუნებს ნანაც, — ოღონდ სურათში თმა აქვს.

ძია მოსე ახლა ნანას უყურებს.

— მაშ შენ უდგები თავდებად, რომ ნამდვილად ეგ არის?

— რა თავდები უნდა, — იცინის ნანა, — კარგი, თუ ასეა, —დავუდგები.

— ახლა გავიაროთ, ნუ გავჩერდებით, — ბილეთს მიბრუნებს ძია მოსე, — იცოდე, მეორედ არ განახო თმაგადაკრეჭილი.

ზუსტად ცხრა საათზე დაირეკა ნანატრი ზარი ისე, როგორც სკოლაში რეკდნენ ხოლმე. მერე აუდიტორიაში შემოვიდა სათვალებიანი მოხუცი, მოგვესალმა და კათედრაზე ავიდა ლექციის წასაკითხად.

ჩვენ რვეულები გავშალეთ.

„პირველი კურსის სტუდენტი სიმონ მდინარაძე, ლექცია ნომერი პირველი“ — მსხვილი ასოებით დავწერე პირველ გვერდზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორი უნდა იყოს სტუდენტი

სტუდენტი, რასაკვირველია, მოწინავე უნდა იყოს სწავლასა და საზრგადოებრივ საქმიანობაში, სტუდენტი უნდა ღებულობდეს ხუთიანებს, სტიპენდიას და სახლიდან გამოგზავნილ ფულს, ინსტიტუტში შესვლისთანავე უნდა იხდიდეს ქუდს და პროფკავშირის საწევროს, ლექციების დროს არ უნდა დადიოდეს კინოში ან არ უნდა იჯდეს ინსტიტუტის ბაღში.

ერთი სიტყვით, სტუდენტს ბევრი რამ ევალება და მათ შორის ლექციებზე დასწრებაც. თვითეული ლექცია ორი ტაიმია — ორმოცდახუთ-ორმოცდახუთი წუთი. რადგან პირველ კურსზე საგნები ბევრია და დრო ცოტა, დღეში საშუალოდ ოთხი ლექციის მოსმენა გვიხდება. ჩვენ ბეჯითები ვართ და სწავლაზე ძალას არავინ გვატანს, ჩვენ მხოლოდ საკუთარ თავს ვატანთ ძალას, რვა საათს მერხებზე ვსხედვართ და ვუცდით როდის დაირეკება უკანასკნელი ზარი.

საერთოდ ბოლო ლექციას არაფერი ჯობია, რადგან იცი, რომ იმის შემდეგ უფლება გეძლევა სახლში წახვიდე. ბოლო ლექცია რაგინდ საინტერესო უნდა იყოს და რაგინდ მკაცრი ლექტორი კითხულობდეს, მაინც ბოლო ლექციაა და მის მოსასმენად განწყობილი არა ხარ.

ხიდაშელის სიმკაცრეზე ინსტიტუტში ლეგენდებს ყვებიან და ამიტომ გამოცდების დაწყებამდე ჩვენ ისღა დაგვრჩენია, რომ მის ყველა ლექციას და სემინარს დავესწროთ.

ჯგუფში წინა მერხებზე ფანატიკოსები სხედან. ისინი ლექტორის არც ერთ სიტყვას არ ტოვებენ ჩაუწერელს. უკანა მერხები ნახევრადდამოკიდებულებისა და დამოუკიდებლების ტერიტორიაა. ლექციების დროს აქ დასაშვებია ხატვა, წერილების წერა და გარეშე ლიტერატურის კითხვა.

ქეთინო დილიდან რემარკის „სამ ამხანაგს“ გადაყვა. ახლაც მერხში ჩაურგავს თავი და გატაცებით კითხულობს. დროდადრო შუბლზე ჩამოყრილ თმებს ხელით ივარცხნის. როგორ უხდება!

ქეთინომ წიგნი დახურა, უცებ მობრუნდა და ჩემს თვალებს წააწყდა. ახლა იფიქრებს, რომ მას ვუცქეროდი. სრულიადაც არა, მე უბრალოდ მაინტერესებდა რა წიგნს კითხულობდა. უკვე სამჯერ ვკითხე? ბოდიში, მაშინ მე ფანჯარაში ვიცქირებოდი.

ქეთინომ კვლავ გადაისვა თმებზე ხელი და მანიშნა რამდენი წუთი დარჩა დარეკვამდეო. ამ ყურადღებით გახარებულმა ხუთი თითი გავშალე, გავშალე და იმ წუთში ხიდაშელმა ჩამავლო.

— თქვენი საათი, სტუდენტო მდინარაძევ, ინსტიტუტის დროს ჩამორჩება, ერთი თითი კიდევ მოუკეცეთ, დარეკვამდე ზუსტად ოთხი წუთი დარჩა.

წინა რიგებში გაიცინეს, უკან გაიღიმეს, მე გავწითლდი.

ხიდაშელი კათედრიდან ჩამოვიდა და ნანას წინ გაჩერდა.

— აბა, კახიანი გვეტყვის რაზე ვლაპარაკობდით.

ნანა თავდახრილი წამოდგა.

— ბოდიში, პატივცემულო პროფესორო, მე არ გისმენდით.

— არ მისმენდით, რატომ?

— დილიდან ეს უკვე მერვე საათია და, დამიჯერეთ, საშინლად დავიღალე.

— ჰოო... ყოველ შემთხვევაში ჩემზე მეტად არ დაღლილხართ. რა გაეწყობა, თუ არ მისმენდით, ცხადია, არც გეცოდინებათ.

ზარი დაირეკა. ხიდაშელმა პორთფელი აიღო და წყნარად გვითხრა:

— იანვარს ნუ დაივიწყებთ, სტუდენტებო, იანვარს.

ჩვენ ერთბაშად ვიგრძენით სუსხი. დაფიქრებულები გარეთ გამოვედით.

გზადაგზა ჩვენ ერთმანეთს შთაბეჭდილებებს ვუზიარებდით და კმაყოფილებას გამოვთქვამდით.

ეზოდან რომ გამოვედით, ნანამ შემაჩერა.

— სიმონ, დაიცა, ერთად წავიდეთ.

— სახლში არ მივდივარ, ნანა, ქვემოთ უნდა ჩავუხვიო. — ვთქვი მე და ენაზე ვიკბინე.

— თუ არ მიდიხარ, რა გაეწყობა.

ქეთინომ ისე შემხედა, რომ ადგილზე გამაქქავა.

— ქალიშვილი გაცილებას თხოვს და ეს უარს ეუბნება!

მუნჯივით ვიდექი და ლამპიონის ბოძად გადაქცევას ვნატრობდი. ქეთინომ მიყურა, მიყურა და მხოლოდ ერთი სიტყვა წარმოთქვა:

— სიმონი!

ეს ერთი სიტყვა მთელ წინადადებას უდრიდა.

როცა ჭადრებს ფოთლები ცვივა

ჭადარი თბილისში დიდი პოპულარობით სარგებლობს.

თბილისელებს უყვართ ჭადარი, უფრო სწორად, ჭადრის ქვეშ დგომა.

ჭადართან ეწყობა პაემანები და ვარიანტები.

ჭადარზე სხდებიან ბეღურები.

ჭადარს უმღერიან პოეტები.

მე პირადად ამ ხეში გადასარევს ვერაფერს ვხედავ. ჩემთვის რომ ეკითხათ, ჭადრის მაგივრად რუსთაველის პროსპექტზე ვაშლებსა და მსხლებს გავაშენებდი და ხალხს ბაზარში წასვლა არ დასჭირდებოდა ხილის საყიდლად.

ეს სხვათაშორის, მთავარი კი ისაა, რომ ჭადრების გარეშე წარმოუდგენელია თბილისი.

ზვით ჭადრები კი წარმოუდგენელია შემოდგომის გარეშე.

შემოდგომაზე თუ რუსთაველის პროსპექტზე გაივლი, პირველად იქ შენიშნავ, რომ ჭადარი მარადმწვანე მცენარე არ არის და ფოთლები ცვივა, თუმცა არც სტუდქალაქშია ამის დანახვა ძნელი.

ჰოდა, შემოდგომა მოვიდა სტუდქალაქში, ცეცხლი წაუკიდა ჭადრის ხეებს.

ცვივა ჭადრებს წითელი და ყვითელი ფოთლები და, როცა უყურებ, ისეთ ხასიათზე დგები, რომ არ იცი რა გინდა: დალევაც გინდა, კარგ გოგოსთან სიარულიც და ჯიბეში ასი თუმანიც. ასეთ დროს მხოლოდ სემინარის მომზადება არ გინდა.

და თქვენ წარმოიდგინეთ, რა ბეჯითი უნდა იყოს კაცი, რომელიც შემოდგომის ასეთ საღამოს, როცა ჭადრებს ფოთლები ცვივა და როცა შენს ოთახში ბიჭები მღერიან, სემინარს ამზადებდეს.

ეს კაცი არის სიკო ხაინდრავა და კითხულობს ძველი ქართულის ლექციებს.

ბიჭები კი მღერიან:

ოქტომბერში თუ ჩემს მხარეს გაგივლია...

სიკოს თავზე საბანი წამოუხურავს, მაგრამ სიმღერა საბანშიც აღწევს.

პაწაწინა მარჯნისფერი ყვავილია,
იმერეთში ეძახიან საპოვნელას.

გაბრაზებული სიკო მონუმენტივით წამოდგა ლოგინზე.

— რასაც თქვენ აკეთებთ, მე არ ვიცი რას ეძახიან იმერეთში, მაგრამ ჩვენებურად მას უსინდისობა ჰქვია.

— ბიჭოს, ეს რა ბრძენი ყოფილა. ბევრია კიდევ შენისთანა ჭკვიანი ფოთში? — სიცილით ეკითხება ნოდარი.

— სიკო, ფოთში ტრამვაი დადის?

— ტაქსები რამდენს წერს თქვენთან? — სალაპარაკო იშოვეს ბიჭებმა.

სიკო, როგორც ნამდვილი ფოთელი, თავისი ქალაქის პატრიოტია, კაცს არ შეარჩენს ფოთის ცუდად ხსენებას. მისი მთავარი კოზირი ყველა არაფოთელის წინააღმდეგ არის ფეხბურთი. თუმცა მეტად არასასიამოვნოა, მაგრამ ფაქტია, რომ, როცა თბილისელები კოჭს აგორებდნენ, ფოთში ფეხბურთის თამაში იცოდნენ და რომ ბორის პაიჭაძე საბურთალოზე არ დაბადებულა.

„ფოთის პრობლემა“, როგორც ყოველთვის, ახლაც სიკოს გამარჯვებით მთავრდება, მაგრამ ბიჭები ასე ადვილად არ თმობენ ბრძოლის ველს. საქმეში ახლა მალხაზი გადის, რომელიც იმდენად დაბალია, რომ ზედმეტ სახელად გიგანტს ეძახიან.

აი ეს გიგანტი უახლოვდება სიკოს ლოგინს და იწყებს:

სწავლობს სიკო ფოთელი,
გარეთ ცვივა ფოთოლი...

სიკო მალხაზს წიგნს უჩვენებს.

— გაჩუმდი, თორემ ამ წიგნს თავში გამოგიქანებ.

გიგანტი შეუშფოთებლად განაგრძობს:

სიკოს უყვარს მაწონი
და ლოგინში დაწოლა.

იმის მაგივრად, რომ გიგანტს თავში ესროლოს, სიკო წიგნს მაგიდაზე ისვრის.

— არა, აქ მეცადინეობა არ შეიძლება!

— რა გაქვს ამდენი სამეცადინო, დილიდან რომ გადააკვდი? — ნოდარი წიგნს ხელში იღებს, — ოო, ხიდაშელის სემინარს ამზადებ?

— ხომ იცი რა მკაცრია.

— ცოდნა თუ გაქვს, არ დაგიკარგავს.

— მე, ჩემო ძმაო, ხიდაშელმა სამჯერ გამომაბრუნა გამოცდიდან, — გულს უკეთებს გიგანტი.

— მერე რა ქენი?

— მეოთხეჯერ გავედი.

სიკო ხელებს უმწეოდ შლის.

— თქვენ რომ გიყუროს, კაცი გაგიჟდება.

— კარგი რა, სიკო!

— გაიცინე ერთი.

— ნუ ბრაზობ, თორემ ულვაშები ამოგივა.

— სიკო, პაემანზე არ მიდიხარ?

სიკო რწმუნდება, რომ ჩათრევას ისევ ჩაყოლა ჯობს.

— პაემანზე მე რატომ უნდა წავიდე?

— აბა ვინ?

— ვინც შეყვარებულია, ის.

ამ სიტყვებზე რატომღაც ყველა ჩემსკენ იხედება. მე ვგრძნობ, რომ სახეში მაწვება სისხლი და მაქვს უზომოდ გრძელი ხელები და ფეხები.

— ო, სიმონ, ცოცხალი ხარ? — მეკითხება გიგანტი.

— რა მომკლავდა ვითომ?

— კარგი, სიმონ, ნუ ბრაზობ.

— სრულიადაც არ ვბრაზობ.

— სიმონ, რატომ ხარ შეყვარებული?

— მე არა ვარ შეყვარებული.

— თქვი ახლა ვაკაცურად, ვინ გიყვარს.

— ჩვენი დეკანი.

— კიდევ?

— კომენდანტი თადაოზი.

— ამხანაგებო, გთხოვთ მომისმინოთ, — ხელებს მაღლა წევს სიკო, — მე ვიტყვი სიმართლეს!

— ჰო, თქვი აბა.

— მიდი, ნუ გეშინია.

— როგორც სარწმუნო წყაროებიდან, ისე პირადი დაკვირვებითაც დადასტურებულია, რომ პირველი კურსის სტუდენტ სიმონ მდინარაძეს უყვარს თეთრი...

რაც კი ძაბვა ჰქონდა ჩემს თვალებს, ყველა სიკოს მივანათე.

— ჰო, თქვი არ შეშინდე, — ამხნევებენ სიკოს, — თეთრი, რა თეთრი?

— თეთრი პური. — იცინის სიკო.

იცინიან ბიჭები. მეც ვიცინი და გაოფლილ

ხელებს ჯიბეებში ვიწმენდ. თურმე ვღელავდი. თეთრი ქალიშვილიო, უნდოდა ეთქვა სიკოს, ასე ეძახიან ჯგუფში ქეთინოს. ჰო, კარგი გოგოა ქეთინო, ლამაზი, მაგრამ ნანაც ხომ კარგია? ლაურაც და ნანულიც ლამაზები არიან, ქეთინო მაინც სხვანაირი ლამაზია, რაღაც სხვანაირი ლა_პარაკი იცის. მერე შენ რა, სიმონ, მართლა ხომ არ შეგიყვარდა? ვინა თქვა ეს! მე მხოლოდ... არა, ქეთინო კარგი გოგოა, ქეთინო თბილისელია, მე მზიანეთში ვცხოვრობდი და ახლა თბილისში ვსწავლობ ქეთინოსთან ერთად. ქეთინოს თეთრი კაბა უხდება...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარეთ ჰადრებს ფოთლები ცვივა და, როცა უყურებ, ისეთ ხასიათზე დგები, რომ დალევაც გინდა და გოგოსთან სიარულიც, ოღონდ არც ფული გაქვს ჯიბეში და არც ქალიშვილი გელოდება პაემანზე.

ცვივა ჰადრებს წითელი და ყვითელი ფოთლები...

ბედნიერი დღე

სტუდენტური ცხოვრების დღეები ერთმანეთს მისდევენ.

სხვადასხვანაირია ეს დღეები.

მზიანი და უმზეო.

მხიარული და მოსაწყენი.

და ზოგჯერ ბედნიერი დღეც გამოერევა, როცა სახლიდან სევასტი მდინარაძე შეგახსენებს, ცოცხალი ვარო და ფულს გამოგიგზავნის.

დიდი ხნის ლოდინის შემდეგ ეს ბედნიერი დღეც გამითენდა. ფოსტალიონმა მზიანეთიდან გამოგზავნილი სამასი მანეთი ჩამითვალა ხელში. ჩვენს ოთახში დღესასწაული იდგა. მე ხომ მიხაროდა, მაგრამ ბიჭებმა კინაღამ დროშები გამოკიდეს.

მიღებისთანავე ხუთი თუმანი ვალებში დავარიგე, ხუთი კიდევ ჩემგან ისესხეს, დამრჩა ორასი მანეთი და ამ თანხის დახარჯვის ათასი ვარიანტი.

რა ჯობია ფულიან კაცს! იმ დღეს მთელი ქალაქი შენია! გინდა ტრამვაიში ჩაჯექი, გინდა ტროლეიბუსით ისეირნე, შეგიძლია ქალიშვილებსაც აუღო ბილეთი, ან კიდევ ტაქსით წახვიდე და მტერს გული გაუხეთქო.

კარგია მგზავრობა, მაგრამ როცა ფული გაქვს, ყველა ტრანსპორტს მაინც ფეხით სიარული ჯობია. თამამად გაუვლი რესტორანს, სამწვადეს, სახინკლეს, რისი გეშინია — ჯიბეში ოცი თუმანი გაქვს, თითო ხინკალი კი მანეთი ღირს, ლუდი — ორი მანეთი და ერთი აბაზი.

ყველაფერი ეს ზოგადი მოსაზრებებია, კონკრეტულად ჩემთვის დღეს დალევა არ შეიძლება, რადგან ვარჯიშზე მივდივარ. თქვენ, ალბათ, არ იცით, მე სპორტსმენი გავხვდი, კალათბურთის თამაში დავიწყე. ყველაფერში ჩემი სიმაღლეა დამნაშავე. ჯერ იყო და სკოლაში მეუბნებოდნენ, იმისთანა ტანი გაქვს, უმაღლესში აუცილებლად მოეწყობიო, მერე უმაღლესში შემიჩნდნენ, აუცილებლად კალათბუროი უნდა ითამაშოო. თუმცა მე ბურთის ხელში დაჭერაც არ ვიცოდი, მაგრამ ძალზე მონდომებული ვიყავი და, როცა ისტორიის ფაკულტეტს მოვუგეთ, ყველა გაკვირვებული დარჩა ჩემი ტალანტით. ისტორიკოსების კაპიტანმა ქართლოსმა ჩემზე სპეციალურად იკითხა, ეს მხეცი სად იშოვეთო. ჰოდა, იმ დღიდან სექციაში ჩავეწერე და ახლაც იქ მივდივარ სავარჯიშოდ.

გვიანი შემოდგომის წყნარი, უღრუბლო და უქარო საღამოა. რუსთაველის პროსპექტზე საოცარი სიმშვიდე სუფევს. არ ისმის სიმღერა და ყვირილი, არც არავინ ჩხუბობს, ურნებიც თავის ადგილზეა, ხოლო ყოველ კუთხეში მორიგე მილიციელი დგას.

ასიოდე ნაბიჯი ისე გავიარე, არავინ დამჯახებია. ის იყო ზევით უნდა ამეხვია, რომ ძახილმა შემაჩერა.

— სიმონ!

მოვიხედე, ქართლოსი იდგა ბიჭებში.

— პრივეტ, ჯიგარო! — ხელი გამომიწოდა.

— პრივეტ!

— საით გაგიწევია?

— ვარჯიშზე მივდივარ.

— კუნთებს ვიმაგრებთ, არა? — გაიცინა ქართლოსმა და ბიჭებს მიუბრუნდა, — გთხოვთ იცნობდეთ, კალათბურთელი სიმონი, ქეთინოსა და ნანას თანაკურსელი.

— ოო, ძალიან სასიამოვნოა!

— სიმონს სიცოცხლე! — სათითოოდ გამეცნენ ბიჭები.

— სხვათაშორის, ეს ის სიმონია, ფილოლოგებთან თამაში რომ წაგვაგებინა.

— ოო! — გაიკვირვეს ბიჭებმა.

მე დავიმორცხვე.

— ხალხს მართალი ეგონება, აბა მე რა მოთამაშე ვარ.

— ნება მომეცი არ დაგეთანხმო! — ხელები გაშალა ქართლოსმა.

— ასევე ჩვენც! — დაუმოწმეს ბიჭებმა.

შეეება მესიამოვნა და ამაყად გადავხედე ყველას, შემდეგ პირდაპირ გავიხედე და სახინკლე დავინახე. გადაწყვეტილება წამსვე მივიღე.

— ბიჭებო, ხუთი წუთით გთხოვთ. — და სახინკლესკენ მივუთითე.

ქართლოსმა ბეჭებზე ხელი დამარტყა.

— ყოჩაღ, სიმონ!

— აი გვესმის, ნამდვილი სიმონი ყოფილხარ!

— თქვეს ბიჭებმა.

ერთმა მათგანმა, გელას რომ ეძახდნენ, სუფრასთან შეწყვეტილი საუბარი განაგრძო.

— იმას გეუბნებოდი, ქართლოს, კარგი ვარიანტი ჩავაწყვეთ იმ ღამეს, ოღონდ ფული დაგვაკლდა და კოტემ საათი დატოვა ზალოგში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ახალი ამბავი, — გაიცინა ქართლოსმა, — შემდეგ?

— შემდეგ გოჩა აუტყდა ვიღაცეებს და ძლივს გამოვიყვანეთ.

— ცემეთ?

— ლაწირაკები იყვნენ, ხელის გასვრადაც არ ღირდა.

ოფიციანტმა ხინკალი, ლუდი და არაყი მოგვიტანა. ქართლოსმა ჭიქები შეავსო.

— აბა, სიმონ, თქვი ორი სიტყვა.

მე დავიწყე:

— ამ პირველი რუმკით გაუმარჯოს ჩვენს სტუდენტობას, რომელიც გულმოდგინედ ეუფლება მეცნიერების საფუძვლებს.

ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს.

— ეს რა შაყირი გაუშვა. — თქვა გელამ.

ჭიქები ერთმანეთს მივუჭახუნეთ და გადავკარით.

— ამ მეორე სასმისით ჩვენი პროფესორ-მასწავლებლები ვადღეგრძელოთ, — განვაგრძე მე, — კარგად ყოფილიყვნენ, თავიანთთვის დისერტაციები ეწეროთ, ჩვენთვის — ხუთიანები.

ქართლოსმა აღტაცებისაგან ხელები გაშალა.

— სიმონ, სად ისწავლე ამისთანა სადღეგრძელოები?

— სოფელში. შენ ჩვენი თავმჯდომარე უნდა ნახო, ქორწილში ისეთ რამეებს გამოიგონებს, რომ სანამ ნეფე-დედოფლის სადღეგრძელოს დალევდნენ, ხალხი სუფრიდან გასატანი ხდება.

— აბა თუ მასეა, თქვენს თავმჯდომარეს გაუმარჯოს! — თქვა ქართლოსმა.

— გაუმარჯოს!

— ამინ!

არაყი გაგვითავდა.

— ბიჭო, აფიციანკა, მოგვიტანე მეორე ბოთლი, — დავუძახე მე.

— მაგ ოფიციანტს სიმონი ჰქვია, — მითხრა ქართლოსმა.

— სიმონი მე მქვია, შენ რა, დათვერი?

— არა, ძმაო, შენც სიმონი ხარ და ის ოფიციანტიც, გაიგე ახლა?

— კარგი, თუ მასეა. ახლა ეს ჭიქები ავწიოთ.

— ვისი სადღეგრძელოა? — იკითხა გელამ.

— ამით მანდილოსნები ვადღეგრძელოთ, — ვთქვი მე, — მოიცათ, პირი ნუ დაიღეთ, მოკლედ და კონკრეტულად ჩვენს ნაცნობ ქალიშვილებს გაუმარჯოს, კარგად იყვნენ ნანა, ქეთინო...

— ჰოო, — თქვა ქართლოსმა, — ქეთინო კარგი გოგოა.

— ნანაც კარგია.

— ნანაც კარგია, მაგრამ ქეთინო გადასარევია.

— შენ რა, იქნებ...

— კარგი, ნუ ბრაზობ, სიმონ, — ჭიქა მომიჭახუნა ქართლოსმა, — მე უბრალოდ ვთქვი, რომ ქეთინო კარგი გოგოა.

— თუ კარგია, ქეა მიზდა. ჰოდა, გაუმარჯოს ახლა ნანას და ქეთინოს, ნათელაც კარგად იყოს!

— ნათელა ვინაა?

— რაო, თქვენ ნათელა ურუშაძეს არ იცნობთ? — პირველი ჩაის მკრეფავია ჩვენს სოფელში, ისიც კარგი გოგოა, პირდაპირ დახატული თვალ-წარბი აქვს.

— აბა ნათელასაც გაუმარჯოს! — თქვა ქართლოსმა.

კარგა ხანს შევრჩით. გარეთ რომ გამოვედით, ვარსკვლავებით მოჭედილი ცა დაგვყურებდა. მთვარეც იყო და ლამპიონებიც ენთო. მე ბიჭებს გამოვემშვიდობე, სეირნობის თავი აღარ მქონდა, თავში მხოლოდ სასიამოვნო ბურუსი სუფევდა. ერთბაშად სიყვარული მომწყურდა და ქეთინო ვინატრე.

ქუჩაში პეპლებივით ირეოდნენ ქალიშვილები, ყველა კარგი და ლამაზი იყო, მაგრამ მე მაინც ქეთინოს ვეძებდი.

— ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე, ოღონდ ახლა ქეთინო მანახვინე და...

— ვთქვათ განახვინა, რას იზამ?

— არაფერს, უბრალოდ შევხედავ და გამიხარდება.

და უცებ ზარების რეკვასავით ჩამესმა ყურში ჩემი სახელი.

— სიმონ!

ჯერ არ მოვბრუნებულვარ, მაგრამ ვიცი, რომ ისაა. მოვბრუნდი და ისაა ნამდვილად, სულ მარტო. მადლობელი ვარ, ღმერთო!

— სიმონ, რა დაგემართა? — გაკვირვებული მეკითხება ქეთინო.

— არაფერი.

— შენ რა, ნასვამი ხარ?

— კი, ნასვამი ვარ, მაგრამ არ დავმთვრალვარ.

— კარგად იყავი, მე აქეთ უნდა ჩავუხვიო.

— მოიცა, მე გაგაცილებ, ნუ გეშინია, მთვრალი არა ვარ... მე ძაან ჩვილი გული მაქვს, ქეთინო.

— რა უცნაური ყოფილხარ, სიმონ. — იცინის ქეთინო.

მივდივართ. გაბედულება კი მაქვს, მაგრამ ენა არ მემორჩილება.

— სიმონ, თქვი რამე.

— ქეთინო, მე მთვრალი არ გეგონო.

— ვინ გეუბნება მთვრალი ხარო.

— ქეთინო, მე ჩვილი გული მაქვს.

— კარგად იყავი, სიმონ, აგერ კუთხეში ჩემი სახლია, მადლობელი ვარ გაცილებისათვის, — მითხრა ქეთინომ.

აბა სიმონ მდინარაძევ, ან ახლა, ან არასოდეს!

— ქეთინო, ერთი წუთით მომიცადე.

მობრუნდა და მიყურებს.

— ქეთინო, მე...

— ვიცი, ვიცი, მთვრალი არა ხარ.

— არა... ის მინდოდა მეთქვა, რომ ხვალ... ხვალ კინოში წამოხვალ? დაიცა, ნუ იცინი, გუ-

ლით გთხოვ, ხომ იცი რა ჩვილი გული მაქვს.

— უცნაური ხარ, უცნაური.—კვლავ იცინის ქეთინო და მე ჭკუიდან მშლის ეს სიცილი.

— წამოხვალ?

— აბა რა ვიცი.

— ხვალ „სპარტაკში", მესამე სიანსზე, ცხრა საათზე ვერაზე გიცდი საათთან.

— ერიჰაა, შენ უკვე ყველაფერი გადაჭერი?!

— არა, მე მარტო გთხოვ, ხომ წამოხვალ?

— ვნახოთ. — მეუბნება ქეთინო და მიდის.

ვნახოთო! მაშასადამე, უარი არ მითხრა! სიმონ მდინარაძეევ, შენზე ბედნიერი კაცი ახლა ქვეყანაზე არავინაა, იმღერე, სიმონ, იმღერე!

გოგონია და კისკისაო,
აქ ჩამოდი წყლის პირსაო...

ბოდიში, ამხანაგო მილიციელო, ნუ მაჯარიმებ, ფული მაინც არ მაქვს, ისე კი მქონდა, მაგრამ დავხარჯე. აი სტეპენდიას რომ ავიღებ, მაშინ დამაჯარიმე. არა, მე მთვრალი არა ვარ, ამას სიყვარული მამღერებს. წავალ ახლა, კარგად იყავი, ღმერთმა ჩემზე ფულიანი შეგახვედროს!

სტუდქალაქში სულ ჰარი-ჰარალოს ძახილით მივედი. ბიჭებს ეძინათ, მე ნოდარის საწოლზე ჩამოვჯექი.

— ნოდარ, გაიღვიძე, ნოდარ! მე ვარ...

— შენ მთვრალი ხარ.

— ჰო, ცოტა დავლიე, მინდოდა და [illegible] მაგრამ ცუდი კაცი არა ვარ.

— ოქრო ხარ, სიმონ, ოღონდ ახლა დაწექი.

ჩვენს ლაპარაკზე სიკომ თავი წამოყო.

— რა მოხდა, რა ხმაური ატეხეთ?

— რაო, ძმაკაც, შენ გაგეღვიძა? ბოდიში რა!

— თავი დამანებე, დათვერი, არა?

— კი დავთვერი, ახლა წადი და კომიტეტში უთხარი, მდინარაძემ სტუდენტისათვის შეუფერებელი საქციელი ჩაიდინა-თქვა, თუმცა რატომ, ღვინოს კომიტეტის წევრებიც კი სვამენ, ჩვენი დეკანიც ყოფილა როდესმე მთვრალი.

— კარგი ახლა, თუ ძმა ხარ, თავი დამანებე.

— შენ ძმობას ნუ მაფიცებ.

— მაშ ქეთინოს გაფიცებ.

— ბიჭოს, ამას რამდენი ცოდნია, თავია, აბა პროტეზი ხომ არაა! — ვთქვი მე და წავუთაქე.

სიკო ზეზე წამოვარდა. ნოდარმა ხელი მომკიდა და ლოგინთან მიმიყვანა.

— დაწექი ახლავე!

უსიტყვოდ დავწექი.

— ვარჯიში რომ გააცდინე, რას ფიქრობ?

— გავაცდინე, თორემ ქორქია არ გამოვიდე ერთბაშად.

ნოდარმა სინათლე ჩააქრო და ჩემს თავში წისქვილის ქვებივით დატრიალდა ყველაფერი.

პირველი პაემანი

რას ნატრობს ნამთვრალევი კაცი მეორე დილით? პირველ რიგში ბორჯომს, რასაკვირველია, მაგრამ როცა ბორჯომს დალევს, მაშინ ინატრებს, რომ წინა ღამის სცენები სიზმარი იყოს.

გალოთდი ხომ, სიმონა მდინარაძეევ? — ვეუბნებოდი ჩემს თავს, — მაგი შეგეხვეწენ, სპირტი დაისხი თავზეო? იმდენი ფული რომ დაფშვენი ერთ ღამეში, როგორ ფიქრობ, კიდევ გამოვიგზავნის მამაშენი სტეპენდიის აღებამდე თუ რუსთაველის პროსპექტზე იშოვი ერთბაშად. რომ დალიე და გამოთვერი, კარგი ბატონო, მაგრამ წასულიყავი სახლში და დაგეძინა, ქუჩა-ქუჩა რომ დაიწყე პორწიალი. პაემანი დაუნიშნე ქეთინოს, არა? მერე ვინ ხარ ასეთი? — სოფლიდან ჩამოსული სიმონი და მეტი არაფერი! რავა გგონია, შენზე უკეთესი არავინ დადის თბილისში, ეგ ანგელოზივით გოგო რომ ჩამოგეკიდოს კისერზე?!

მთელი კვირადღე ასე გაოგნებული ვიყავი და ფიქრებს ბუზებივით ვიგერიებდი. ბოლოს, როგორც იქნა, დაღამდა და თანდათანობით დამიბრუნდა იმის რწმენა, რომ მე უბედური კი არა, ბედნიერი კაცი ვარ და ცხრა საათისთვის პირველ პაემანზე უნდა წავიდე.

პირველი პაემანი პირველი სიყვარულის გარეშე არ არსებობს. საერთოდ პირველი ყველაფერი კარგია — პირველი კოცნა, პირველი ცოლი, პირველი განქორწინება. რაც შეეხება მეორეს, შეიძლება ისიც კარგი იყოს, მაგრამ რატომღაც მეორე სიყვარულსა და მეორე პაემანზე ჯერ არც ერთი ლექსი არ დაწერილა.

ახლა პაემანზე საერთოდ.

პაემანი, როგორც ადამიანთა ურთიერთობის განსაკუთრებული ფორმა, კაცობრიობის უდიდესი მონაპოვარია.

როგორც სიყვარულის გარეშე არ არსებობს პაემანი, ასევე თვით პაემანიც არ არსებობს ტელეფონისა და საათის გარეშე.

წარმოდგენილი მაქვს, რამდენი დაბრკოლება უნდა გადაელახათ ჩვენს წინაპრებს ბნელ შუასაუკუნეებში თავისი მიჯნურის სანახავად და რა ბედნიერები ვართ ჩვენ მათთან შედარებით, როცა ავიღებთ ტელეფონს და:

— ალო, სადა ხარ, თინა, ამდენ ხანს?

— მე, ბატონო, თინას დედა ვარ.

— ბოდიში, თინა რომ მოვიდეს, უთხარით, ზემელზე ველოდები საათთან.

რას იტყვით, ხომ საოცრად იცვლება დრო?!

შვიდი საათი რომ დაიწყო, წვერის პარსვას შევუდექი. ჩვენი ოთახი, როგორც წესი, ხალხით იყო გაჭედილი და ცნობისმოყვარეობით მიცქერდნენ.

— დაისისხლიანა თავი ამ კაცმა, უთხარით რაღაცა, — ურჩია ბიჭებს ნოდარმა.

— ბედნიერი კაცი ვარო, სიკომ უნდა თქვას, — ჩართო გიგანტმა, — არც პარიკმახერი ჭირდება და არც სამართებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიცილზე მანუჩარმა შემოიხედა.

— რა სულელებივით დაგიღიათ პირი?

— ბიჭოს, ეს ვინ მოსულა!

— მანუჩარ, ახალს რას გვეტყვი?

მანუჩარმა ჭკუა იხმარა და გაჩუმდა.

წვერის პარსვა რომ დავამთავრე, კოსტუმის წმენდას შევუდექი.

— აბა ვინ გამოიცნობს სად მიდის ჩვენი სიმონი? — იკითხა გიგანტმა.

— მაგას რა ცოდნა უნდა, — საჯარო ბიბლიოთეკაში.

— ოლოლო შენ, მანუჩარ, ვერ გამოიცანი.

— აბა სამეცადინოდ. — დაასკვნა ნოდარმა.

— თქვა რუქამ არაკი.

— მაშ სად?

— თქვენც იტყვით უმაღლესში ვსწავლობთო, რა! აბა სად უნდა წავიდეს ახალგაზრდა უცოლო კაცი საღამოს, როცა წვერს გაიპარსავს და კოსტუმს გაიწმენდს.

— აა, გასაგებია, — იყვირა მანუჩარმა, — პაემანზე!

მე ხელი ჩავიქნიე. — თქვენი შემყურე კაცი გაგიჟდება.

— აბა მარტო სიკოს უყურე, ჭკუა მოგემატება, — მითხრა გიგანტმა.

სიკო არც კი იხედება, ეტყობა ძალიანაა გაბრაზებული.

წასვლის წინ ნოდარი დერეფანში გავიხმე.

— ნოდარ, შენი ჭირიმე, ერთი თუმანი გექნება, იქნებ მე ფული არ მეყოს და...

ნოდარმა ოცდახუთიანი ამოიღო.

— ხურდას მოგიტან ამ წუთში. — ვუთხარი მე.

— კარგად შეინახე, არ დაკარგო. ჰო, წადი ახლა არ დაგაგვიანდეს.

დამაგვიანდეს კი არა, იმდენი დრო მაქვს, ფეხით ჩავუყევი სტუდქალაქიდან. ნახევარი საათით მაინც ადრე მივედი.

არ წვიმდა. არც ქარი ქროდა.

გული მოლოდინით, შიშით და ეჭვით იყო სავსე.

შეიქნა ცხრა საათი.

ქეთინო არ ჩანს.

ტრამვაები დადის. ხალხიც დადის.

ქეთინო მაინც არ ჩანს.

ცხრა საათი და ხუთი წუთი.

„მოვა?“

„რავა არ მოვა!“

ცხრა საათი და ათი წუთი.

ტრამვაები გაჩერდნენ, ხალხიც გაჩერდა.

ღმერთო, გამოჩნდა, როგორც იქნა!—ქეთინო, სად მიდიხარ, მე აქ ვარ!

მობრუნდა და

— თქვენ, ახალგაზრდავ, გეშლებათ.

— კი, ბატონო, შემეშალა.

ცხრა საათი და თხუთმეტი წუთი.

„ნამდვილად აღარ მოვა!“

„ვნახოთო, რომ თქვა?“

„ხომ ნახე ახლა!“

ცხრა საათი და ოცდაათი წუთი.

„მომატყუა ხომ, ვინ ვგონივარ მაგას!“

ცხრა საათსა და ორმოცდახუთ წუთზე ხელი ჩავიქნიე და სტუდქალაქში წავედი.

ბიჭები ისევ ოთახში დამხვდნენ.

— რა ზეთი ჩამოგდის სახიდან? — მკითხა გიგანტმა.

— მაცალე ერთი, თუ კაცი ხარ.

— ალბათ, არ მოვიდა. — დაასკვნა ნოდარმა.

— მერე როგორ ემზადებოდა, — ამოიოხრა გიგანტმა, — ხო, ხო, რა არიან ეს ქალები, ეშმაკი ვერ გაუგებს ვერაფერს!

— შენც იმიტომ დაანებე თავი, არა?

— მე ვინც მომეწონა, ყველა ჩემზე მაღალი გამოდგა და რა მექნა?

ბიჭები იცინიან. მე კი ცეცხლი მიკიდია გულზე და ქვეყანაზე არავინაა, ეს ხანძარი რომ ჩამიქროს.

(პირველი ნაწილის დასასრული)

ახალი წიგნები

ეროვნული ბიბლიოთეკა

აჭარის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოუშვა ახალი წიგნები:

აჭარის ასსრ სახელმწიფო მუზეუმის შრომები, ტომი V, რედ. ხ. ახვლედიანი, გვ. 132, ფასი 6 მან. 50 კაპ.

დ. ნაცვალაძე — ილია ხონელი, რედ. კ. რუსიძე, გვ. 138, ფასი 2 მან. 50 კაპ.

აჭარის ექიმთა საზოგადოების შრომები, ტომი IV, რედ. ვ. გიორგაძე, გვ. 142, ფასი 5 მან

ფ. მახარაძე — აქ ცხოვრობდა და მუშაობდა ლენინი, რედ. ვ. ტოშკუა, გვ. 99, ფასი 1 მან

ნ. ბარამიძე — სამოქალაქო ომის გმირი ნესტორ კალანდარიშვილი, რედ. ც. წუწუნავა, გვ. 55, ფასი 50 კაპ.

ხ. ბერიძე — როგორ მივიღე 4405 კილოგრამი რძე თითოეულ ფურზე, რედ. ც. წუწუნავა, გვ. 18, ფასი 25 კაპ..

ალ. გურგენიძე — ფეხბურთი ბათუმში, რედ. გ. ურუშაძე, გვ. 62, ფასი 1 მან.

მ. ლლონტი — უცნაური ცხოველები, რედ. დ. უჩანეიშვილი, გვ. 134, ფასი 3 მან.

გ. სანადირაძე — თოლიების ცა, რედ. ნ. ნოღაიდელი, გვ. 96, ფასი 1 მან. 50 კაპ.

შ. როყვა — მამის ღიმილი, რედ. ნ. მალაზონია, გვ. 102, ფასი 2 მან.

პ. ლორია — შვილები (წიგნი მეორე), რედ. ა. შონია, გვ. 352, ფასი 10 მან.

ა. ართილაყვა — ბავშვის ტემპერამენტი, რედ. ვლ. ნორაკიძე, გვ. 134, ფასი 6 მან.

ლ. სეიდიშვილი — ლექსები, რედაქტორი ნ. ნოღაიდელი, გვ. 54, ფასი 1 მან.

კ. ლილუაშვილი, ხ. ახვლედიანი — ისლამი და მისი ზოგიერთი გადმონაშთი, რედ. ც. წუწუნავა, გვ. 72, ფასი 1 მან. 50 კაპ.

ს. ხელაძე — ეს მოხდა საზღვარზე, რედ. კ. რუსიძე, გვ. 103, ფასი 1 მან.

ჯ. მესხიძე — საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს კეფალის ბიოლოგიისათვის (რუსულ ენაზე), რედ. ვ. ნიკიტინი, გვ. 84, ფასი 4 მან.

ი. დიასამიძე, ო. ნორაკიძე, ს. ავალიშვილი — ჰიგიენა ჯანმრთელობის საწინდარია, გვ. 46, ფასი 1 მან.

შ. იოსელიანი — რჩეული, რედ. გ. სალუქვაძე, გვ. 132, ფასი 4 მან.

საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი სათევზმეურნეო სადგურის შრომები (რუსულ ენაზე), ტომი V, გვ. 70, ფასი 3 მან.

ი. ჯიბლაძე — ბათუმის რაიონი (ეკონომიურ-გეოგრაფიული დახასიათება), რედ. ნ. ნიკურაძე, გვ. 106, ფასი 2 მან. 50 კაპ.

მ. ვარშანიძე — ჩემი ტაძარი, რედ. ა. შონია, გვ. 498, ფასი 11 მან.

ი. ჩულოკი — ბათუმის ბოლშევიკების სამხედრო-საბრძოლო მოქმედება რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში (რუსულ ენაზე), რედ. კ. დოლიძე, გვ. 246, ფასი 11 მან.

გიორგი ყაზბეგი აჭარის შესახებ (შეადგინეს მ. სვანიძემ და ნ. ნაჭყებიამ), რედ. ი. სიხარულიძე, გვ. 124, ფასი 4 მან.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 18/X, 60 წ., საბეჭდი 6 (პირობითი 8), საგამომცემლო 7 თაბახი. შეკვეთის № 6298, ემ 00668, ქაღალდის ზომა 70X108, ტირაჟი 2000.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
მთავარპოლიგრაფსამმართველოს ბათუმის სტამბა-ლითოგრაფია
(ბათუმი, ლუქსემბურგის, 22).

Батумская типо-литография Главполиграфиздата
Министерства культуры Грузинской ССР
Батуми, ул. Люксембург, 22.

ᲬᲚᲘᲡ 4 ᲐᲠᲑ.
6·70/287

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ
„Литературули Аджара"
ОРГАН АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ
СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ